

რუსულიდან

თარგმნა ელიზბარ ბიორბაძემ

ჩემი ვარაუდით, იმ ხანებში, სულ მცირე ათი ათასმა ცნობისმოყვარემ მომადგა კიბე და მოიარა ჩემი სხეული.

ჯონათან სვიფტი — ლემიუელ გულივერის მოგზაურობა.

### უმოღვა ბიჯი

**ტ**ოლსტოი მოულოდნელად გამოიჭრა კაბინეტიდან და შეშლილი იყვირა (მას არ სჩვეოდა ყვირილი): ილია! მერე საჯინბოსაკენ გავარდა და თვალის დახამხამებაში შეკაზმა ცხენი. ილიამ უმაღლესად მოიბინა.

— ცხენები გავაჭენოთ! — გადაუგდო მამამ, მოევლო უნაგირს და ჩორთით წაიყვანა ცხენი, შვილი ჭიშკართან წამოეწია.

— აბა, ვინ გაასწრებს! — კვლავ გადასძახა მამამ და ცხენი დააოთხა. ფართოფართლიანი შლაპა ეხურა, ჩამოშვებულ ხალათზე განიერი ქამარი შემოერთყა. გრძელი, ნიჩაბივით წვერი შევენოდა. სიამისაგან თვალანთებული ტოლსტოი ახლა სამხრეთ-აფრიკულ ბურს მოჰგავდა. გულმკერდზე გადაჯვარედინებული სავაზნე, ზურგზე მოგდებული შაშხანა და გაფრიალებული მოსასხამილა აკლდა, თორემ ნამდვილი გენერალი ბოტა გეგონებოდათ.

მაშინ არც ბურები იყვნენ ცნობილნი და არც ბოტას სახელი გაეგო ვისმე, ამიტომ ილიას ისლა დარჩენოდა, მაინ რიდის მიერ აღწერილი პრერიების მეუფესთვის შეედარებინა მამა. ცხენს კისერი წაეგრძელებინა, ყურები უკან გადაეწურა და მიგელავდა.

ტოლსტოი გამართული იჯდა უნაგირზე, ოღნავ უკან გადაზნეჭილი, დროდადრო ყიჟინას დასცემდა ხოლმე ყმაწვილივით. ასე იქროლეს ორიოდე ვერსი. მოსახვევთან ტოლსტოიმ კვლავ ჩორთზე გადაიყვანა ცხენი, მერე ნაბიჯით ატარა, ბოლოს ჩამოხდა. აღგზნება არ დასცხრომოდა, მძიმედ სუნთქავდა და ფართოდ მიალაჯებდა.

შვილიც ასევე მოიქცა, ცხენს კისერზე გადაუგდო აღვირი და მამას მიჰ-



ყვა. ვერაფერი გაეგო. გუმანით კი უტყუარად გრძნობდა, ფრიად უჩვეულო იყო დღევანდელი გასეირნება. დღეისდღე მამამისისათვის დიდი შინაარსით იყო აღსავსე. არც თუ უბრალო რამ განეცადა მამას, ვიდრე კაბინეტიდან გამოვიდოდა.

ტოლსტოი უეცრივ მკვეთრად მოუბრუნდა შვილს, პირისახე ახლოს მიუტანა — იცი რა მოხდა? — იგი ახლა იმ მოწაფესა ჰგავდა, ამხანაგის წინაშე რომ ტრაბახობს თავისი ოინებით.

— შემოაბიჯა გესმის? შე... მო... ვიდა, არასგზით არ უნდოდა შემოსვლა, ახლა კი... — და მან მაგრად დაჰკრა ჩექმის ქუსლი მიწას, — მე ვაიძულე შემოსულიყო და მერე როგორ შემოვიდა რომ იცოდე, სხვაგვარად ვერც კი წარმომედგინა.

ილიას კვლავ ვერაფერი გაეგო, მაგრამ აღარ ჩაჰკითხა. ის, რასაც მამა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვამდა ძნელად მისახვედრი იყო მართლაც. გრძნობდა ბრიყვის როლში გამოდიოდა, მაგრამ თავს ზევით ძალა აღარ იყო.

ტოლსტოის სამუშაო მაგიდაზე კი დაბალჭერიან, თამბაქოს კვამლით გაბოლილ კაბინეტში უწესრიგოდ ეყარა დიდრონი, ერთმანეთში გადახლართული ასოებით გაკრულად ნაწერი, შენიშვნებითა და ჩამატებებით აჭრელებული, წაღმა-უკუღმა ათასგზის გადახაზულ-გადმოხაზული იაფფასიანი ქაღალდის ფურცლები. ეს გახლდათ „ანა კარენინას“ მეორე ნაწილი.

ახლახან დაწყებულ, უკვე ნაჯახირევ ფურცელზე ეწერა:

„გააღო თუ არა კარი უცნობმა კარისკაცმა, ანას შემოსვლა აღარ დაუყოვნებია. მუფთიდან სამმანეთიანი ამოიღო და სწრაფად ჩასჩარა ხელში.

— სერიოჟა, სერგეი ალექსეიჩი, — ჩაილაპარაკა მან და წინ წადგა ფეხი. კარისკაცმა ფულს დახედა და ანა შემინულ კართან შეაჩერა. ვინ გნებავთო? — ჰკითხა.

ანას ვერ მისწვდა მისი სიტყვები და არც არაფერი უპასუხია“. აქ წყდებოდა ხელნაწერი. შემდგომი სცენა (კაპიტონიჩთან) თავისთავად გამომდინარეობდა აქედან. მოთხრობა უკვე იდგა ლიანდაგზე.

### ნუშის ნამცხვარი

მატარებელში ვისხედით. ჟინჯლავდა. ქროდა ქარი. აღარ ვიცოდით რითი მოგვეკლა დრო. ერობის მეთაურმა მეზობელი კუპედან ბანქოს თამაში შემოგვთავაზა. ის იყო მაგიდა მოვასუფთავეთ და თამაშს ვაპირებდით, რომ კონდუქტორმა ჩამოიარა. ერთ-ერთი ჩვენთაგანი შეეკითხა, შემდგომი სადგური რომელიაო.

— კოზლოვკა, — უპასუხა კონდუქტორმა, თან ხმადაბლა დასძინა, — გრაფი მიემგზავრება ჩვენთან ერთად მესამე კლასით.

ვისლა გაახსენდა ქაღალდის თამაში. ერობის მეთაურმა აკრიფა დასტა და გაგვერიდა. ტოლსტოიზე ავლაპარაკდით. საუბარი მის ვეგეტერიანობაზე ჩამოვარდა.

— ამბობენ, ტოლსტოის პრინციპები დიდად არ ანადვლებს, თავის ჯანმრთელობას უფრთხილდება, ექიმების რჩევას დაჰყვა, ამიტომ გახდა ვეგეტერიანელიო, — წამოიწყო ერთმა ხმელ-ხმელმა წვეროსანმა კაცმა.



— ჰო, ჰო, ჰო! — შეეპასუხა ჩაკურატებულის, მეფაბრიკისა თუ ნაფიცი მსაჯულის მსგავსი მგზავრი, — როგორ უყვარს ჩვენს საზოგადოებას დიდი ადამიანის განქიქება. ხედავთ, ეგ თქვენი ნაქები ტოლსტოი ჩვენ, ცოდვილთა არაფრით გვჯობიაო. მაინცდამაინც პრინციპებს უნდა მისდევდეს? მაშინ როგორღა წეროს? ისეთი ტემპერამენტიანია, ფიცხი ადამიანია. მე ისიც მითხრა მისმა ერთმა ახლობელმა ადამიანმა, წავასწარი საუზმიდან მორჩენილ ცივ კატლეტს რომ იპარავდაო. შეარგოს უფალმა! ადამიანმა ხანდისხან ხომ მაინც უნდა მისცეს თავს რაიმე უფლება. თვით წმინდანი მეუღაბნოენიც კი ველური თაფლის გარდა აკრიდასაც კარგად გეახლებოდნენ. ეგეც მეუღაბნოეა. საკუთარ სულში მოხეტიალე. ახლა სოფია ანდრეევნასა და მისი ამალის ახირებებს აღარ იკითხავთ? ამბობენ, სახლიდან წასვლას აპირებსო. წავა კიდევ. იქ გამჩერებელი ეგ არ არის. აი, მაშინ კი თაყვანსა სცემთ ყველანი. იტყვიან, სიცოცხლის ბოლოს მაინც მოიქცაო ჭეშმარიტი სულიერი ბელადის შესაფერად. მაშინაც კი ვერ მიხვდებით, რომ ეს საქციელი დიდად როდი განსხვავდება ცივი კატლეტის მოპარვისაგან.

მატარებელი დიდ სადგურთან გაჩერდა.

— ბატონებო, ამ სადგურზე შესანიშნავი ბუფეტია, — დაფაცურდა ტანსრული კაცი, — აბა, ვიჩქაროთ. რა გინდა, სულო და გულო, იქ რომ არ ჰქონდეთ. სულაც არ გამოიკვირდება, იქ რომ ტოლსტოი დამიხვდეს. გრაფი ხომ ძველი ოფიცერია, ბანქოს მოთამაშე და მოქეიფე.

იგი ვაგონის კიბეებზე ჩაგორდა.

— თქვენ ცინიკოსი ხართ, — მიაძახა ხმელ-ხმელმა წვეროსანმა.

— რაც გნებავთ ის დამარქვით, ოღონდ იცოდეთ, ტოლსტოის მე დიდ პატივს ვცემ, თქვენზე დიდ პატივს. აგერა ისიც. ალბათ უკვე შესცოდა.

ბუფეტიდან სწრაფი ნაბიჯით გამოვიდა ტოლსტოი. ცხვირსახოცით უღვაშები და ნიკაპი მოიწმინდა. წამით შედგა, თვალი მოავლო მატარებელს და მერე მწვანედ შეღებილი მესამე კლასის ვაგონისაკენ გაემართა.

— ესეც თქვენი პრინციპი, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა სქელმა და ბუფეტს მიაშურა. პურის ნაჭერზე ათასგვარი საუზმე დაახვავა. არაყი გადახუხა. მისატანებელიც ერთიანად გადაუშვა ხახაში და დახლიდარს შეეკითხა:

— რა ინება ტოლსტოიმ?

— ცხელი რძე.

— სხვა არაფერი?


— ნუშის ნამცხვარი.

— აკი ვთქვი, — კმაყოფილად ჩაილაპარაკა სქელმა, — მცირე ცოდვა მაინც ჩაუდენია. ტკბილი მონატრებია. ტოლსტოის გაუმარჯოს. გადახდაზე არ გაისარჯოთ, ბატონებო. ყველას გეპატიუებით.

### პორტრეტი

როგორ მეცნობა თქვენს წიგნში დახატული ეგ პორტრეტი, ერთ ადამიანს მაგონებს. ჩემს ნაცნობ ბოშა ქალს ჰქონდა სწორედ ასეთი პორტრეტი... ეს ქალი მომღერალი იყო. ჭილყვაგებივით ეხვეოდნენ თავადები, მაგრამ ახლოს არავის იკარებდა. ერთ მოძალე ვაჟბატონს ბოთლი სთხლიშა და თვა-





ლი დაუვსო. ცუდად წაუვიდა საქმე, მაგრამ იმ კაცის ახლობელთა გახმაურება-  
ბისა შეეშინდათ. ჰო, დიდი უკარება ვინმე გახლდათ ის ლამაზმანი. მაგრამ ერთ  
ადამიანზე შეუვარდა გული. ჰკუას კარგავდა მისთვის, ფეხებში უვარდებოდა,  
ის კი ზედაც არ უყურებდა, სხვას ეტრფოდა. ქალი ვეფხვივით უღრენდა  
მოქიშპეს, ერთი სული ჰქონდა ყელში სწვდომოდა, ოღონდ თვადასხმა ვერ  
გაებედა. თავდავიწყებით უყვარდა ის კაცი. ამბობენ, მერე ეს ადამიანი განდგა  
და სახარების ქადაგება იწყოო. ქალს მწირის ცხოვრება აურჩევია. ერთხელ  
მისდგომია კიდევ კარზე, მაგრამ არ შეუშვიათ.

ერთადერთი შვილიშვილი შერჩა. თვალეზბრიალა, ახტაჯანა გოგონა. ერთ  
მშვენიერ დღესაც პორტრეტი მოუტანია სახლში ამ გოგონას. სწორედ ასეთი.  
მასზეც წვეროსანი, ხალათში გამოწყობილი მკაცრსახიანი მამაკაცი ყოფილა  
გამოსახული.

იმ დროს ჩვენი ბოშა ქალი სიკვდილის პირას იყო თურმე მიმდგარი.  
დღეებს ითვლიდა, მაგრამ პორტრეტი დაინახა თუ არა, წამოვარდა, ეძგერა  
შვილიშვილს. გახეულა სურათი. ბებიას თავი შერჩა ხელში. შვილიშვილს  
ტანი. მერე აღარც მოუცილებია. მიჩერებული იყო ამ სურათზე. აღსასრულმა  
მალე მოაწია. მღვდელი მოუყვანეს. ქალმა აღსარების ნაცვლად პორტრეტი  
მიჩერა.

— ეგ ანტიქრისტია, ჩერჩეტო, მაგან ღმერთი დაგმო, სახარება თავდა-  
ყირა დააყენა. მოაშორე აქედან. ზეთი როგორ ვაკურთხო ამ უწმინდურების  
გვერდით, — უთქვამს მღვდელს.

ქალი ღვთისმოსავი კი იყო, მაგრამ ისე გაცეცხლებულა, შეუფურთხებია  
მღვდლისათვის. მღვდელი გარეთ გავარდნილა. ახლა ვიღაც უბრალო კაცი მო-  
უყვანიათ, ოღონდ წერა-კითხვის მცოდნე. იმასაც უჩვენა ქალმა პორტრეტი.  
მწიგნობარი დაინტერესებულა. საუბარი გაუბამს ქალთან და იმასაც გული  
გადაუშლია, თან ცრემლად იღვრებოდა თურმე.

გამოსულა იქიდან მწიგნობარი, მეზობლად მცხოვრები სტუდენტისთვის  
მიუმართავს, იქნებ ვინმე გაზეთში მომუშავე ნაცნობი გყავდეთ, შემახვედ-  
რეთ, ბევრი რამ საყურადღებო მაქვს მოსათხრობი ერთ ცნობილ ადამიანზეო.

ყურიც არ ათხოვა თურმე სტუდენტმა. მწიგნობარიც თავის გზით წა-  
სულა.

როცა დედაბერი მოკვდა, შვილიშვილმა შეაწება გახეული პორტრეტი და  
ყუთში შეინახა ბებიის სახსოვრად.

„ჰო, ის არის. ნამდვილად ისაა. რაო? მწერალიო? ჩვენ კი ვიღაც გრაფი  
გვეგონა. რაო, გრაფიო? გრაფი რომელიც სახარებას ქადაგებდა? ასეთი მარ-  
ტო ტოლსტოი იყო. ეს ტოლსტოია? კარგით ერთი თუ ღმერთი გწამთ! სად  
ტოლსტოი და სად ასეთი ამბები.

### მ ო ა ხ ე ლ თ ე ს

— მე ვიცი მაგის ხასიათი, კარგსა და მოკლე გზას ერიდება, აქ ნუ დგა-  
ხართ. იმ ხევს გადავცდეთ. მადლობა ღმერთს, სამი წელია აქა ვცხოვრობ და  
ასეთი რამ როდი მესწავლება.

ხეებს შორის გორაკზე თეთრად მორთულმა მხედარმა გაიელვა და თვალს



მიეფარა. ღრმა სიჩუმეში ფიჩხის მტვრევის ხმა ისმოდა მხოლოდ და გაურკვეველი შეძახილები.

ის არასოდეს ღალატობს საკუთარ თავს. წინააღმდეგობებს ესწრაფვის. მოგეხსენებათ არტილერისტი გახლდათ და მონადირეც. ყველა მისი ნაწარმოები სწორედ რბოლის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ეს არის განსაკუთრებული შემოქმედებითი ხერხი. თვით მისი სტილი სხვა არაფერია, თუ არ წინააღმდეგობათა განუწყვეტელი გადალახვა. ასეთი ხერხით კი გასაოცარ სილამაზეს აღწევს.

ლიდია ივანოვნამ თვალი ჩაუკრა დანარჩენთ და მალულად დაამთქნარა.

— კმარა, ნიკოლაი პეტროვიჩ, კმარა.

მაგრამ ნიკოლაი პეტროვიჩი ეშხში შევიდა.

— ვინმეს არ ეგონოს, — გაჰყვიროდა იგი მთელ ტყეში, — რომ ის რითიმე მაინც ჩამოჰგავდეს ტოლსტოველებს. ღმერთთან მორკინალი ადამიანია, ოღონდ იაკობივით კი არა, ბერძნების მსგავსად ებრძვის ღმერთს, იმ ბერძნებისა, რომელთაც ერთი ბიჯილა უკლდათ ღვთაებრივობამდე. დააკვირდით აბარას წარმოადგენს მისი რელიგია? ეს გახლავთ პრაქტიკული წესების კრებული. შეუძლებელია ბერძნები არ მოგაგონდეთ.

— შეხედეთ, შეხედეთ, — გააწყვეტინა ლიდია ივანოვნამ, — რა საოცარი სანახაობაა!

ყველამ მალლა აიხედა და გორაკის ქედზე, თეთრი ხალათითა და თეთრი შლაპით მორთული, ულამაზეს ყორანა ცხენზე ამხედრებული ტოლსტოი იხილეს.

ტოლსტოიმ ერთი გადმოიხედა ძირს და მყის დაძრა მერანი. ცხენმა უკანა ფეხები ჩახარა და ფრთხილად დაეშვა დაქანებულ ფერდობზე. მისი ფლოქვების ქვეშ შრაშუნობდა ფოთლები, თიხნარიდან რიხინ-რიხინით ცვიოდა კოლბოხები. ტოლსტოი უკან გადაწეულიყო უნაგირზე. თეთრი, გაფანჩული წვერი, ღრმა ნაოჭები, შუბლზე დაზიდული წარბები. ყველაფერი ბებრული და მაინც სულაც არ მიაგავდა მოხუცს.

— ბრავო, ბრავო! — შესძახეს ქალბატონებმა, — ლევ ნიკოლაევიჩ, ჩვენ აქ საგანგებოდ მოვედით თქვენს საცქერლად.

— ნება გვიბოძეთ სურათი გადაგიღოთ. არ შეგაყოვნებთ, ღვთის გული-სათვის. — ნიკოლაი პეტროვიჩმა ცოცხლად გააწყო სამფეხა აპარატი, ხრახნით მალლა ასწია, მხედარს გაუსწორა (ტოლსტოიმ სარტყელში ჩაიტანა ამოჩაჩული ხალათი) და ორგზის ჩააჩხაკუნა.

— უღრმესი მადლობა, მშვიდობით გველოთ!


ტოლსტოიმ აღვირი მოქაჩა, ცხენს დეზი ჰკრა. ისიც მოწყდა ადგილიდან და გრიგალივით გაქანდა. მტვრის ბოლქვები აედინა ჰაერში.

— ეს რას მოვესწარი, ღმერთო დიდებულო, ნიკოლაი პეტროვიჩ, თქვენ მართლაც ჯადოქარი ყოფილხართ!

— რას ბრძანებთ, თქვენი ბედნიერი ფეხის გამო გვეღირსა ასეთი დიდებული სანახაობის მომსწრე გავმხდარიყავით, — მიუგო ნიკოლაი პეტროვიჩმა ქალს და ხელზე ემთხვია.

□





ქართული  
საშენობის



მ. ლახვიანი

„საქი-მშენობი“





### გერმანულიდან

თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა



ოგი მეცხრამეტე საუკუნის ბუმბერაზი იყო. ასეთ ტიტანს ვერაფერი დააკლო ეპიკური ტვირთის სიმძიმემ, რომელიც ადვილად გასრესდა გამოფიტული და ასთმური მოდგმის ახლანდელ თაობას. პირქუშობისა და შიშველი მატერიალიზმის, მეცნიერული აზრის სიმშრალისა და ასკეტური სიმკაცრის მიუხედავად, მაინც რა დიდებული იყო ის ეპოქა და რა დიადი იმ შემოქმედთა თაობა, რომელსაც ტოლსტოი ეკუთვნოდა და რომლის ნიშატითაცაა აღბეჭდილი წარსული საუკუნის ბოლო ხუთი ათეული წელი! ნამდვილად ასეა, რითაც ჩვენი მსოფლმხედველობაა გამორჩეული ანდა რა უპირატესობაც გამოიკვეთა ახლახან, თვალსაჩინო გახდა სწორედ განვლილი დროის შემდეგ: ის მცირეოდენი გამოჭიატება და გასულიერება, ჯერ კიდევ გაუბედავი მინიშნება უფრო ღალ და შეუბღალავ ადამიანურ გრძნობაზე ნუთუ უფლებას გვაძლევს აგდებულად ვილაპარაკოთ მეცხრამეტე საუკუნეზე, ამჟამად რომ ამდენს მასლაათობენ, მით უმეტეს, ხომ შეუძლებელია არ დავეთანხმოთ იმათ, ვინც ამტკიცებს, გარდასულ ეპოქასთან შედარებით, ზნეობრივად უკან დავიხიეთო? ბევრ რამეს: გონზე ძალმომრეობით გაბატონებას, აბუჩად აგდებასა და ადამიანთა ღირსების ამგვარ შებღალვას, რასაც ჩვენი თანადროულობა უმაღლურიგდება, ვერასოდეს შეეგუებოდა „ფატალისტური“ მეცხრამეტე საუკუნე; და იმ დღეებში, როცა ომი ბობოქრობდა, ხშირად ვფიქრობდი, თოთხმეტე წელს იასნაიაპოლიანელ ბერიკაცს თავისი გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი რუხი თვალებით რომ მსოფლიოსათვის ეცქირა, ის ომიც არ ატყდებოდა-მეთქი. ნუთუ ეს, ჩემი მხრივ, ბავშვობა იყო? რა მოგახსენოთ: ისტორიამ ასე ინდომა; ის ჩვენს გვერდით აღარ სულდგმულობდა და მისი ბადალიც არავინ გვეგულებოდა ამ ქვეყანაზე. ევროპამ თავი აიშვა და მიქროდა; ის აღარ გრძნობდა მბრძანებლის ხელს, არ გრძნობს აქამომდეც.





თავის აღრეულ ნაწარმოებზე — „ბავშვობა და ყრმობა“ — ტოლსტოის უთქვამს: „მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე რომ ვაღიარო, ეს ნაწარმოები „ილიადასავითააო.“ სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ თუ ამ შედარებას უფრო მეტი უფლებით მივუყენებთ მისი მოწიფულობისდროინდელ გრანდიოზულ ქმნილებას „ომსა და მშვიდობას“, მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი ნიშნები იქნება. ეგებ მსოფლიომ არც იცოდეს მეორე მხატვარი, რომელშიც ჰომეროსული, მარად-ეპიკური საწყისი ისეთივე ძლიერი და ეგზომ ნიშანდობლივი იყოს, როგორც ტოლსტოის შემოქმედებაშია. მის ქმნილებებში ეპოსის სტიქიაა ჩასახლებული, მისი დიადი ერთგვარობა და რიტმი, ზღვის ზომიერი სუნთქვის სადარი, მისი მწკლარტე და ძალუმი სინედლე, სიუჟეტის მწვავე პიკანტურობა, ულვევი ჯანმრთელობა, ურყევი რეალიზმი. ხომ მართებულა, რომ ჩვენს შეგნებაში ჯანმრთელობა და რეალიზმი მარად განუყოფელი იქნებიან, ყოველთვის აღიქმებიან როგორც რაღაც ერთიანი, პლასტიკური სამყაროს განმსახიერებელი, სულიერი სიწმინდის თანდაყოლილი კეთილშობილება, ბუნების შვილის სამყარო, რომელიც წინ აღუდგება — როგორც ერთხელ ვცდილობდი მეჩვენებინა უფრო ფართო კავშირში — ამალღებული ავადმყოფობისა და სულიერი არისტოკრატიზმის სამყაროს, შილერის იდეალურ სამყაროსა და დოსტოევსკის აპოკალიფსურ მოჩვენებებს. გოეთე და ტოლსტოი! მოულოდნელი და უცნაური მეჩვენა ამ სახელთა სიახლოვე, როდესაც კრიტიკოსებმა ერთმანეთის გვერდი-გვერდ პირველად დააყენეს ისინი, თუმცა უახლესი ფსიქოლოგიური გამოკვლევებით თუ განვსჯით, ასეთნაირი შეპირისპირებანი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა თავისთავად გასაგებისაც კი. მაგრამ ამ პარალელთა მეტისმეტი განვრცობა, ძირითად-ტიპიურისა და ელემენტარულის სამანების გადალახვა პედანტობა და ახირება იქნებოდა მხოლოდ. სულიერი ატმოსფერო, ისტორიული და გეოგრაფიული გარემოს თავისებურება ორივე შემთხვევაში იმდენად განსხვავებულია, დამტკიცებასაც არ მოითხოვს, სხვადასხვაობა ისედაც თვალში საცემია. როგორც არ უნდა გვაცდუნებდეს ჩვენი წარმოდგენა ორივე მხატვრის მოჩვენებით ნათესაობაზე, მათ შორის გავლებული პარალელების დროს მაშინვე თავს იჩენს კულტურის ცნების გაგება — გონისადმი ბუნების სასიყვარულო მისწრაფების ფორმულა, რაც ბუნებისადმი გონის სენტიმენტალურ ლტოლვას შეესაბამება, ნათესაობა თითქოს ქრება, მანამდე მითიურ ინტიმურობას რომ არ მოვეხიბლეთ. პატიოსნება უნდა გვეყოს ვაღიაროთ, ჩვენ, გოეთე რომ გვყავს, ბუნების შვილის ტოლსტოის აბსურდულსა და ნახევრადველურობას შორის ტრაგიკულად გახირული გასულიერების მიდრეკილება შეიძლება მოგვეჩვენოს მიაშიტ-ბავშვური ბარბაროსის, გულის ამაჩუყებელ-უილაჯო ბრძოლად ჭეშმარიტებისა და ადამიანურობისათვის დიად და ამავე დროს უბადრუკ სანახაობად.

და მაინც, მხატვრული თვალთახედვით, ტოლსტოის ნაწარმოებებს ეს დიდი უმწეობა ანიჭებს გასაოცარ ზნეობრივ შთაგონებას, ატლანტის\* მუსკულატურის მორალური იდეის ძალასა და დაძაბულობას, რომელიც გონებაში აღად-

\* ატლანტი—ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით მრავლისმთმენი გოლიათი, რომელიც ღმერთებს აუჯანყდა, მაგრამ ღმერთებმა იგი დასაჯეს და აიძულეს ცის თაღს მხრებით შედგომოდა. ამჟამადაც შენობების სვეტების ნაცვლად თაღების დასამაგრებლად გამოკვეთილ მამაკაცთა ქანდაკებებს ატლანტები ჰქვია.




გენს მიქელანჯელოს მიერ შექმნილ წამებულ სახეებს. მის შემოქმედებაში თხრობის მომაჯადოებელი ძალა შეუდარებელია, ყოველგვარი შეხება მასთან ტალანტის მგრძობიარე სულს აღავსებს ენერჯის სასიცოცხლო ნაკადით (სხვა-ნაირი ტალანტი არც არსებობს), პირველქმნილი შემოქმედებითი სიხარულითა და სიჯანსაღით — მაშინაც კი, როცა თვით ტოლსტოი სულაც არ ისწრაფვის მხატვრობისაკენ, როცა იგი აუმხედრდება ხელოვნებას და ზურგს შეაქცევს მას, მიმართავს რა მხატვრულ ფორმას მხოლოდ და მხოლოდ თავისდაუნებურად, როგორც საშუალებას თავისი საეჭვო და ნაცოდვილარი მორალური დოქტრინის საქადაგებლად. საქმე მიბადვას როდი ეხება, ან კი შეიძლება ძალას მიეზღო? ალბათ არასოდეს შეიძლება ითქვას, რომ ტოლსტოიმ შექმნა ლიტერატურული სკოლა ამ სიტყვის საყოველთაოდ გავრცელებული აზრით: მისი ზეგავლენით იქნებ შეიქმნას კიდევც ნაწარმოებები, როგორც იდეური ისე ფორმის მიხედვით სრულიად გამორჩეულნი ერთმანეთისაგან და, რაც უფრო არსებითია, სავსებით განსხვავებულნი თვით ტოლსტოის ნაწერებისაგან. მაგრამ, ვითარცა ანტეოსი\* მშობლიურ მიწაზე ყოველ შეხებისას სასწაულებრივად აღიდგენდა ხოლმე ხელოვანის ძალას, ასევე ჩვენთვისაც დედა-მიწით, დედა-ბუნებით, მარადიული ფორმის ძიებით გახდა შესაძლებელი მისი დიდი შემოქმედების აღქმა. ტოლსტოის წაკითხვისას კვლავ და კვლავ განცვიფრებული რჩები ადამიანი ამ შეხედულების შორსმჭვრეტელობით, ისეთი მახვილი ალლო, ნადირს რომ გააჩნია, საჭრისის ბუნებრივი ძალა, სიტყვის ასეთი პლასტიკა, აღვსილი ფაქიზი, ანკარა, უცხო რაციონალიზმის რაიმე მისტიური ბურუსისაგან, — რაც ისევ და ისევ ასე გვაგონებს გოეთეს — ეს ნიშნავს თავი დააღწიო მანერულობის ცდუნებას და ავადმყოფურ თამაშს ხელოვნებასთან, ეს ნიშნავს დაუბრუნდე დასაბამიერს, სიჯანმრთელეს, საკუთარ თავშიც მიაგნო საღსა და პირველქმნილს.

მერეჟკოვსკიმ სულის მჭვრეტელის — დოსტოევსკისაგან განსხვავებით, ტოლსტოის სხეულის დიდი მჭვრეტელი უწოდა. მართლაც, ტოლსტოის ხელოვნებით გასხივოსნებული საღსალამათობა მისი ხორციელი ცხოვრების სიხარულისაგან მომდინარეობს. ფსიქოლოგიურში ხომ პათოლოგიურის საწყისიცაა; სულის სამყარო — ავადობის სამყაროა, სიჯანსაღისა კი სხეულის მეუფება. ბუნებრივია, ტოლსტოის აროდეს შეეძლო გაეგო დოსტოევსკი, თვით ის დოსტოევსკი, რომელმაც „ანა კარენინას“ შესანიშნავი და განსაცვიფრებლად ღრმა, გულშიჩამწვდომი და სიყვარულით აღსავსე ანალიზი მოგვცა და რომელიც საოცრად მოჰგავს „ვილჰელმ მაისტერის“ შილერისეულ სენტიმენტალურ-აღტაცებულ შეფასებას. როცა „კარამაზოვების“ ავტორი გარდაიცვალა, ტოლსტოიმ ანაზდად წარმოიდგინა, თითქოს ის იყო მისი „ყველაზე ახლობელი, ძვირფასი ადამიანი“, თუმცა დოსტოევსკის სიცოცხლეში აინუნშიაც არ აგდებდა იგი და ის კრიტიკული შენიშვნები, რაც კი ტოლსტოის საუბრისას დასცდენია მასზე, შეეძლო ეთქვა მართლაცდა შეზღუდულ კაცს. იგი ამბობდა: დოსტოევსკის მთელი სამყარო ავადმყოფურია იმიტომ, რომ თვით დოსტოევსკია

\* ანტეოსი — ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით დაუმარცხებელი ბუმბერაზი, პოსეიდონისა და გეას ვაჟი. ანტეოსი დაიღლებოდა თუ არა, მაშინვე მიწას შეახებდა ხელს და ძალა უბრუნდებოდა. ჰერაკლემ ხერხით შეძლო მისი დამარცხება: გაიგო გმირის უძლეველობის მიზეზი, მშობელ მიწას მოსწყვიტა, ჰაერში აიტაცა და გამარჯვებაც იზეიმა.





ავადო. თუ ამგვარ მსჯელობაში არის რაღაც სიმართლის ნასახი, მაშინ ეს უნდა იყოს უდიდესი, როგორც დაახლოებით იმათი აზრი, ვინც შეეცდებოდა დაემტკიცებინა ნიციუზი: „არა, არა, ავადმყოფისაგან მხოლოდ ავადმყოფური თუ წარმოსდინდებაო!“, — ამაზე კვერის დაკვრა არა მარტო უღირსობაა, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. ტოლსტოისმიერი შეფასება ეს არის დიდი ადამიანის მსჯავრი: ბატონკაცური და ობიექტურად სავსებით თვითნებური. ამაში რომ დავრწმუნდეთ, სულაც არ არის საჭირო გავიხსენოთ ის დრო, როცა ტოლსტოის შექსპირის „უზნეობის“ წინააღმდეგ გალაშქრებისას ცამდე აპყავდა „ბიძია თომას ქოხის“ ღირსება. განა საკუთარი პიროვნების განსჯისას კი იყო „სამართლიანი“? ეს კითხვა ისევ და ისევ შეიძლება მიაკუთვნო არა მხოლოდ იმ დროს, როცა იგი უქმ და ცოდვილ თავშესაქცევთა გამო მთელი თავისი ცხოვრებით მოსწყდა ტიტანურ შემოქმედებას. ბევრად ადრე, მსოფლიო ლიტერატურის უდიადესი სოციალური რომანის „ანა კარენინას“ წერისას, ხელნაწერზე მუშაობა ათჯერ მაინც შეწყვიტა, რადგან შექმნილი უსაზმნობად ესახებოდა და შემდგომშიც, როცა წიგნი დაასრულა, ტოლსტოის ამ ნაწარმოებზე აზრი არ შეუცვლია. ასეთი თვითშეფასება არასწორი იქნებოდა წუთიერი სულიერი დებრესიითა და საკუთარი ძალის რწმენის უქონლობით აგვეხსნა. საეჭვოა, სხვისთვის ეპატიებინა ასეთი აზრი, ვინაიდან მისი საზომი თვით მასშივეა საძიებელი. პირიქით, მწერალი, რომელიც უპირველეს ყოვლისა, დიდი ადამიანიც იყო, მოუთმენელ-უგულეებელმყოფელია თავისი შემოქმედებისა და შესაძლებელია ყოველივე ეს აიხსნას საკუთარ ძალთა და შესაძლებლობათა იმ დიდი უპირატესობის აღიარებით იმაზე, რაც მას თვითონ შეუქმნია. იქნებ ჭეშმარიტია ის აზრი, რომ მწერალი ყოველთვის მეტი უნდა იყოს, ვინემ მისი ქმნილებაა და თუ რაიმე დიადის შექმნა სურს, დასაბამი კიდევ უფრო დიადშია მისაკვლევია. ყოველ შემთხვევაში, ისეთი მოვლენანი, ვითარცა ლეონარდო, გოეთე და ტოლსტოი, ადასტურებენ ამ ვარაუდს. მაშ რატომღაა, როცა თავის მოძღვრებასა და სექტანტურ დოგმებს ქადაგებდა და ზნეობრივ თვითსრულყოფილობის იდეაზე მსჯელობდა, ტოლსტოი თავს ნებას არასოდეს აძლევდა ისეთი აგდებულ კილოთი ელაპარაკა, როგორც საკუთარ მხატვრულ შემოქმედებას ეკიდებოდა? რატომ ერთხელ მაინც არ აიგდო სასაცილოდ? პასუხი თავისთავად იბადება: იმიტომ, რომ მასში ადამიანური ძლიერი იყო მხატვარზე და უდავოა, უფრო ძლიერი მოაზროვნეზე.

დიახ, ასეთია ტოლსტოის აზრები! მას აღიქვამდნენ როგორც გამოცხადებას და ცხადია იმიტომ, რომ ის იყო ნამდვილი ზეშთაგონება: ძალუმი გამჟღავნება იმისა, რასაც ჩვენ ვუწოდებთ „პიროვნებას“, რომლის უცილობელი მართლზომიერება მტკიცდებოდა და კურთხეულიქმოდა ბუნების იდუმალი კარნახით, რამაც ტულის გუბერნიის ეს კარმიდამო სულიერ შეჭირვებულთა სამლოცველოდ გადააქცია, ცხოვრებისეულ ძალთა სხივებით გააცისკროვნა მთელი სამყარო. ცხოვრებისეულობა და სიდიადე, დიადობა და ძალა — განა ერთი და იგივეა?! ეს არის „დიდი ადამიანის“ პრობლემა, რაც თავსამტვრევ ამოცანას აძლევს ამოსახსნელად დედამიწაზე მცხოვრებ ხალხს და რომელმაც თავისი გამოხატულება ჩინელებში ჰპოვა, რომელთა ფხიზელმა დემოკრატიზმმა ჩვენი სმენისათვის შეურაცხმყოფელი აფორიზმი ასეთნაირად ჩამოაყალიბა: დიდი ადამიანი „საზოგადოებრივი უბედურებააო.“ ევროპული აზროვნების არსი ამჟამად, როგორც უწინ, ინსტინქტურად ცდილობს ამ განსაკუთრებულ მოვლენას ესთეტი-



კური ფენომენი მოუძებნოს. როცა საქმე კაცობრიობის წინამძღოლობას, მის დამოძღვრასა და სრულქმნას ეხება, მაშინვე, რბილად რომ ვთქვათ, ალიფროს ხოლმე ეჭვი, შესაძლებელია თუ არა ჭეშმარიტების გაუმრუდავად რამენაირი კავშირი დავადგინოთ ყოველივე ამ მოვლენასა და დიდი ადამიანის როლს ან თუნდაც მის პიროვნებას შორის; დიდი ადამიანი რაღაც წმინდა დინამიკური მოვლენა ხომ არ არის, რაღაც განუზომელი ენერჯის უეცარი ამოხეთქვა, მორალური თვალსაზრისით საოცრად ინდიფერენტული და ეგზომ გულისამაჩუყებელი თავის ცდებში, რათა ადგილი იპოვოს ზნეობრივ სფეროში, ცდებში, რომელსაც „იასნაიაპოლიანელი წინასწარმეტყველი“ წამოიწყებდა ხოლმე ისეთი კეთილშობილური უგერგილობით, რომ თავის სასერიო მიმდევართაგან ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა. რა კურთხეული ცხოვრებაა! კურთხეული თავისი ტრაგიზმითა და წმინდა ტრაგიკომიკურობით, არა სულით, არამედ ძალით კურთხეული, რადგან ზნეობრივი მარტვილობა და მგზნებარე სასოება ამ გასაოცარი ცხოვრებისა აღნიშნულია იმ სიჭარბით, რომელიც ნიშანდობლივია ყოველგვარი ძალის გამოვლენისას. რა იყო ამის საფუძველი? ფიზიკური სიკვდილის შიში, შემადრწუნებელი თავისი სასიცოცხლო ძალით, რომელსაც ცრუსულიერ სახითაც ძალუძდა გამოესხივებინა მხოლოდ და მხოლოდ ვიტალობა. მოდი, გულახდილნი ვიყოთ და დიადის დამცირების შიშით ნუ დავმალავთ სიმართლეს. მისი აღსასრულიც, წმინდანის ოჯახიდან, მშობლიური კერიდან ყბადაღებული წასვლა იმავე ცხოველური ინსტინქტით იყო განპირობებული — ისევე გაჰქცეოდა კარზე მომდგარ სიკვდილს, როგორც სოციალურ-რელიგიური ხსნის წყურვილს.

ამასთან დაკავშირებით, რატომ გონებიდან არ მშორდება ადამიანზე დაწერილი გოეთეს შესანიშნავი, ღვთისმოსაობით აღსავსე ლექსის სტრიქონები

„ჭეშმარიტების მარადიულ მაძიებელი,  
განა ყოველთვის დიადი და მშვენიერია?“

რა მოკრძალებულობის, როგორი მაგალითის მაჩვენებელია პლასტიკის უდიდესი სიმდიდრით აღვსილი ბუნებისაგან ბოძებული ძალა, რომელმაც უარყო „ზედმეტობა“ და „ჭეშმარიტისაკენ მარადი ფიქრის“ იგარჯით განპირობებული სიცოცხლის მთელი გზნება კაცობრიობის იდეისა და მის სულიერ მოთხოვნილებათა სამსახურში ჩააყენა! რა ვუყოთ მერე, რომ ეს გზა ტოლსტოის შემოქმედებას ასობით მარცხს განაცდევინებდა, არეულ-დარეულ ფიქრებს ბავშვურობამდე, კულტურის უარყოფამდე, პირდაპირ უაზრობამდე მიჰყავდა, — მაინც „მარად მშვენიერი და დიადი“ რჩება მისი დაუოკებელი ძიება. მასში იღვიძებდა ღრმა სინამდვილის გამახვილებული გრძნობა: ტოლსტოი წინასწარ ხვდებოდა, დგებოდა ეპოქა, როცა ხელოვნება მხოლოდ ცხოვრების გრძნობის ამალგებით არ იქნებოდა ნამდვილი, არამედ, როცა წამყვან, განმსაზღვრელ და გასხივოსნებულ ძალად წარმოდგებოდა გონი, დაუკავშირდებოდა საზოგადოებრივ ინტერესს, მის სამსახურში ჩადგებოდა და შემოქმედებითი გენიით წინ წარუძღვებოდა, რადგან ზნეობა და გონება მოწოდებულნი არიან წარმართონ უზრუნველ-მშვენიერი, და აზრადაც არ მოსვლია იმ დიადის დამცირება, არასოდეს გამოუყენებია გენიოსისა და „დიდი ადამიანის“ უფლება, გაეცრულებინა ხალხში უმეცრება, პირველყოფილ-ინსტინქტური, ატავისტური, ბოროტი,





არამედ ყოველთვის უდიდესი მოწიწებით ემსახურებოდა იმას, რაც მისი გაგებით გონიერ-ღვთაებრივს წარმოსახავდა.

ყოველივე ამას დავარქვი სამაგალითო. თუ თანამედროვე მწერლები ტოლსტოისდროინდელ თაობას შევედრებით, ჩვენ ევროპის მწერალთა იმ ჩამომავლობას ვეკუთვნით, რომელიც არაფრის მაქნისად გამოიყურება, არადა, უკეთეს შემთხვევაში საშუალოა. ქვეყანაზე ვერაფერი გაგვამართლებს, განსაკუთრებით კი ცილისმწამებლური შეურაცხყოფისა და უგუნურთა სიძულვილის წინაშე შიშით ქედმოღრეკა, თუ ვერ შევიგნებთ ეპოქის მოთხოვნას და არ შევასრულებთ ჩვენს სულიერ მოვალეობას, რათა ჭეშმარიტების ძიებაში ბოლომდე პატიოსანი და ერთგულნი დავრჩეთ ჩვენი ხალხისა.

1928 წ.





### ფრანგულიდან

თარგმანი მამუკა ცაცხლაძის

●

თავიანი ვსცეთ ტოლსტოის, ვისი უდიადესი, ღვთაებრივი, ზვიადი აზრიც თავს დასტრიალებს მთელს კაცობრიობას.


ეპიკური ტილოების შემოქმედი ლევ ტოლსტოი ყველა ჩვენთაგანის მასწავლებელია. იგი გვასწავლის როგორ უნდა აღვწეროთ ხასიათის გარეგნული გამოვლინებანი და სულის დაფარული მოძრაობა. ტოლსტოი ჩვენი მასწავლებელია მის მიერ შექმნილი მრავალფეროვანი სახეებისა და ძლიერი მხატვრული წარმოსახვების გამო. მისგან ვსწავლობთ მივაგნოთ ის ვითარება-გარემოებანი, რომელნიც მკითხველს ნამდვილი ცხოვრების შეგრძნებას უქმნიან. ამ გამორჩეულ თვისებებს ტოლსტოის გენიისა. ჩვენ ვხედავთ მისი შემოქმედების ყველა პერიოდში.

ტოლსტოი ჩვენთვის, ამავე დროს, ზნეობრივი კეთილშობილების, სიმამაცისა და დიდსულოვნების განუმეორებელი მაგალითიც არის. ჭეშმარიტად გმირული სიმშვიდით ამხილებდა იგი დანაშაულს საზოგადოებისა, რომელსაც კანონი მხოლოდ იმისათვის სჭირდება, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს მისთვის ჩვეული უსამართლობა და ძალადობა. ასე ირჯებოდა იგი და ამ გარჯის მიხედვით საუკეთესო იყო საუკეთესოთა შორის.

სულის უბრალოება და მორჩილება ყველა ამქვეყნიური სიავის წამალიაო, ალბათ ვერ ვიტყვით, — ამისათვის ტოლსტოის სიწმინდეა საჭირო, — მაგრამ როდესაც მართალი სიტყვის მიტანას შევეცდებით ჩვენს საშინელ ქალაქ-გიგანტებში, თვალწინ მუდამ დიდი პანის სახე დაგვიდგება — ხატი იასნაიაპოლიანელი ევანგელური პატრიარქისა, ტყისა და ველის ამ ახალი ნახევარღმერთისა.

ძველ საბერძნეთს ქალაქ-სახელმწიფოთა თანამეგობრობა და საუკუნეების ჰარმონიული ცვლა დასჭირდა იმისათვის, რომ ჰომეროსი წარმოეშვა, რუსეთში კი ბუნებამ უცებ მოახდინა ეს სასწაული. შვა ტოლსტოი — სული და ხმა უზარმაზარი ხალხისა, წყარო, რომელიც საუკუნეთა მანძილზე წყურვილს დაუცხრობს ბავშვებს, მოზრდილებსა და ადამიანთა მწყემსთ.





### რუსულიდან

თარგმნა ჯუმბერ თითქვერიაშვილი

### XVII

ოგი ოცდამესამე წელში იდგა, როცა „ბავშვობის“ წერა დაიწყო: მაშინ პირველად აღწერა სიკვდილი, გადმოსცა თუ რა განიცადა, როცა ოდესღაც მიცვალებული ნახა (მე ვლადიმერ კობაძე „ბავშვობის“ იმ თავზე, რომელსაც „უბედურები“ ჰქვია: ეს იყო ნიკოლენკას, ესე იგი, თვით ლიოვოვკა ტოლსტოის დედის სიკვდილი, მაგრამ ლიოვოვკა სულ ორი წლისა იყო, როცა დედა მოუკვდა. რატომ ჩნდება პირველსავე მის ნაწარმოებში სიკვდილის თემა?).

— მეორე დღეს, გვიან საღამოს, მომინდა კიდევ ერთხელ შემეხედა მისთვის (კუბოში მწოლარე დედისთვის). უნებლიე შიშის გრძნობას ვძლიე, ნელა გამოვალე კარი და ფეხის წვერებზე შევედი დარბაზში.

— შუაგულ ოთახში, მაგიდაზე, იდგა კუბო, ირგვლივ თავწამწვარსანთლებიანი მაღალი ვერცხლის შანდლები შემორკალოდა. შორეულ კუთხეში დიაკვანი იჯდა და ჩუმი, გაბმული ხმით ფსალმუნს გალობდა.

— კართან შევჩერდი და ცქერა დაუწყე, მაგრამ თვალცრემლიანმა და გულაჩუყებულმა ვერაფერი გავარჩიე. ყველაფერი რაღაც უცნაურად გადადიოდა ერთმანეთში: სანთლების შუქი, ფარჩა, ხავერდი, მაღალი შანდლები, ვარდისფერი მორაშიაგებული ბალიში, გვირგვინი, ბაფთიანი ჩაჩი და კიდევ ცვილისფერი რაღაც. მე სკამზე შევდექი, რომ მისი სახე უკეთ დამენახა; მაგრამ იმ ადგილას, სადაც სახე იყო, მე ისევ ის ფერმკრთალყვითელი, მოქათქათე საგანი დავინახე. ვერა და ვერ დამეჯერებინა, რომ ეს მისი სახე იყო. უფრო და უფრო მივაცივდი თვალთ და თანდათან გამოიკვეთა ნაცნობი, ძვირფასი სახის ნაკვთები. როცა დავრწმუნდი, რომ ეს მისი სახე იყო, შევძრწუნდი; დახუჭული თვალები ასე რად ჩასცივინია? ასე საშინლად რად გაყვითლებულა და ლოყაზე, გაცრეცილ კანზე მოშავო ლაქა რად დასჯდომია? ტუჩები ასე რად გასცრეცია და მისი პირი მშვენიერი, ასე დიდებული როგორღაა, რატომ გადმოსცემს იგი ისეთ არამიწიერ სიმშვიდეს, რომ მის შემყურეს მაყრუოლებს და ტანში მზარავს, და თმა ყალყზე მიდგება?





— ვუყურებდი და ვგრძნობდი, რაღაც გაუგებარი, დაუძლეველი ძალა მანიჭებდა მეცქირა ამ უსიცოცხლო საგნისთვის. თვალს არ ვაცილებდი, წარმოსახვა კი სულ სხვა, ბედნიერი და მოზეიმე სიცოცხლის სურათებს აცოცხლებდა. მე მაგიწყებოდა, რომ მკვდარი სხეული, რომელიც ჩემს წინ ესვენა და რომელსაც უაზროდ შევცქეროდი, როგორც საგანს რასმე, რომელსაც ჩემს მოგონებებთან არაფერი ჰქონდა საერთო, დედაჩემი იყო. თვალწინ მედგა ხან ასეთი, ხანაც ისეთი: ცოცხალი, მზიარული, მომღიმარე, შემდეგ უცაბედად მისი სახის რომელიღაც ნაკვთი მაფეთებდა: გონს მოვდიოდი, საზარელ სინამდვილეს ვიხსენებდი, შიშისგან გული საგულეს აღარ მქონდა, მაგრამ სახეს თვალს ვერა და ვერ ვაცილებდი. და ისევ ოცნებები ენაცვლებოდნენ სინამდვილეს და ისევ სინამდვილის შეგრძნება მიქარწყლებდა ოცნებებს. ბოლოს, წარმოსახვა დამელალა, იგი უკვე ვეღარ მატყუებდა: სინამდვილის განცდაც გაქრა და გავოგნდი... მცირე ხნით ჩემი არსებობის შეგრძნება მთლად დავკარგე და რაღაცნაირად ღვთიურმა, აუხსნელად-საამო და კაეშნიანმა სიამოვნებამ მომიცვლა...

ეს თავი, ადამიანის როგორც გარეგანი, ისე შინაგანი მოძრაობების გამოსახვით, გასაოცარზე გასაოცარი რამაა, თითქოს, გარეგნულის გამოსახვის ძალა უფრო მეტია. „სანთლების შუქი, ფარჩა, ხავერდი... ვარდისფერი მოარშიავებული ბალიში, გვირგვინი, ბაფთიანი ჩაჩი და კიდევ ცვილისფერი გამჭვირვალე რაღაც“...

მაგრამ ეს გარეგნული სურათი მართლაც რომ შეძრწუნებულ სულსაც აჩენს: თუნდაც ეს „რაღაც“ რად ღირს!

— ერთ-ერთი უკანასკნელი, ვინც განსვენებულთან გამოსათხოვებლად მოვიდა, ვიღაც გლეხის ქალი იყო. ხელში მშვენიერი ხუთიოდე წლის გოგონა ეჭირა, რომელიც, ვინ იცის რატომ მოეყვანა. ამ დროს მე უცაბედად გამივარდა სველი ცხვირსახოცი და აღება მოვიხდომე, მაგრამ დავიხარე თუ არა, ისეთი საშინელი, გულისშემძვრელი, შემადრწუნებელი კვილი გავიგონე, ასი წელიც რომ ვიცოცხლო, ვერ დავივიწყებ. ავიხედე და დავინახე — კუბოს ის გლეხის ქალი მისდგომოდა და ძლივს იმაგრებდა ხელში გოგონას, რომელსაც თავი უკან გადაეგდო, გადმოკარკლული თვალელები ცხედრისთვის მიეციებინა, ხელეებს ასხმარტალებდა და ყურთასმენის წამლები, საშინელი ხმით კიოდა.

ნიკოლენკა-ლეგოჩკამ, როცა „რაღაც“ გამჭვირვალე, ცვილისფერ, ფერმკრთალ-ყვითელ საგანს უყურებდა, ბოლოს და ბოლოს, დაკარგა თავისი არსებობის შეგრძნება და იგი „რაღაცნაირად ღვთიურმა აუხსნელად-საამო და კაეშნიანმა სიტუბოებამ“ მოიცვა. ესაა უტყუარი გაცხადება იმ გრძნობებისა, რომლებიც შემდეგში უფრო მეტად და მეტად გარდასახავენ სიკვდილის ტოლსტოისეულ აღქმას და მას რაღაც „დიადისკენ“, ამალღებულისკენ წაიყვანენ. მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ერთი გაცხადებაა. ჯერჯერობით ძრწოლა ჭარბობს. „მის შემყურეს ტანში მზარავს და თმა ყალყზე მიდგება“. გლეხის გოგონა კი, როცა იმ „რაღაცას“ უყურებს, „ყურთასმენის წამლები, საშინელი ხმით კივის“.

სიკვდილზე დაწერილ ამ პირველ გვერდებს მოჰყვება მოთხრობა „სამი სიკვდილი“, რომელიც შვიდი წლის შემდეგ დაიწერა. აქ კვდება მდიდარი ჭლეჭიანი ახალგაზრდა ქალბატონი, იტანჯება, ეწამება, ხან სასოწარკვეთილი ებლაუჭება სიცოცხლეს, ხან გაანჩხლებულია და გაბოროტებით წყევლის ყველას და ყველაფერს, ხან საწყალობლად იგულაჩუყებულს კიდევ რაღაც იმედის სხივი გაუკრთება. ძალაგამოღებული ნადირივით თვინიერად, უდრტვინველად კვდება ლატაკი



მსახური (მეეტლე) და წმინდა, მშვენიერი უგრძნელობით ეთხოვება სიცოცხლეს. მხოლოდ ქალბატონმა შესცოდა ღმერთს — მხოლოდ ის არ დაჰყვა ვაცთათვის იდუმალ დიად და მოზეიმე ნებას ღვთისას, ბალღით გაუჭირვეულდა, რამეთუ არ ესმოდა მისი კანონები და გულისზრახვანი. და აქ უკვე ყვედრება-მუქარად ისმის პათეტიკური სიტყვები ტოლსტოისა სიკვდილზე:

— იმავე საღამოს ავადმყოფი უკვე ცხედარი იყო და ცხედრიანი კუბო დიდი სახლის დარბაზში იდგა... მაღალი ვერცხლის შანდლებიდან ცვილის სანთლების შუქი ეღვრებოდა მიცვალებულს ფერმკრთალ სახეზე, მძიმე ცვილისფერ ხელებსა და სუდარის გაქვავებულ ნაკეცებზე. სუდარა უცნაურად ამოწეულიყო მუხლისთავებსა და ფეხების თითებთან...

— მიცვალებულს მკაცრი და დიდებული სახე ჰქონდა. არც სუფთა, ცივ შუბლზე, არც მაგრად მოკუმულ ტუჩებში წერტილიც არ უკრთოდა. მთელი სხეული ყურთასმენად ქცეულიყო, მაგრამ ახლა მაინც თუ გაეგებოდა მას ამ დიადი სიტყვების აზრი?

და, მაინც, იმხანად თვითონ მასაც „არ გაეგებოდა“. „სამი სიკვდილის“ დაწერიდან ერთი წლის შემდეგ, — 1860 წელს, — ჭლექით უკვდება ძმა ნიკოლაი და მისთვის მთელ ქვეყნიერებას სიკვდილის სუდარა ეფარება: „რად გვინდა რამე, — წერს იგი, — რად გვინდა რამე, თუკი ხვალ დაგვეწყება სიკვდილის-პირა ტანჯვა-წამება მთელი მისი თანამდევი საზიზღარი სიცრუით, თავისმოტყუებითა და ყოველივე დასრულდება არარაობით, ნულით!..“

კიდევ ერთი წლის შემდეგ მან დაიწყო „ფეხმარდი“ — „ამბავი ცხენისა“, რომლის დასათაურება ასეც შეიძლებოდა: „ორი სიცოცხლე და ორი სიკვდილი“ — სიცოცხლე ამლავი ლაფშასი, საგვარეულო ნუსხით — გლენ 1-ისა, რომელსაც მდაბიურად ფეხმარდი შეარქვეს, „რადგან ისეთი მკვირცხლი და სწრაფი იყო, რუსეთში ბადალს ვერ უპოვიდით“ და სიცოცხლე მისი ერთ-ერთი პატრონისა, დიდი ბატონისა, ჰუსარისა, თავად სერპუხოვსკოისა. თუკი ვილაპარაკებთ მიწიერი „ამბების“ აღწერისას ტოლსტოის უღმობელოებაზე, იგი უდაოდ, აქ იქნება ყველაზე შეუბრალებელი. ლაფშა, რომლის სახელიც ოდესღაც ქუნდა, სიცოცხლის დღეებს, უკვე მარტოსული და აბუჩად აგდებული, მემამულის რემაში ლევს.

„არის დიდებული სიბერე, არსებობს სამაგელი, საწყალობელი სიბერეც. არსებობს ერთდროულად სამაგელი და დიდებული სიბერეც. ამლავი ლაფშას სიბერე სწორედ ასეთი გახლდათ... იყო რაღაც დიდებული ამ ცხენის აღნაგობაში და იყო რაღაც საზარელიც — მის საზიზღარ მიხრწნილებას ჭრელი ბალანი კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდიდა, ამავე დროს, მის მოძრაობებსა და გარეგნობაში ჩანდა საკუთარი სილამაზისა და ძლიერების შეგნებით გამოწვეული თვითდაჯერებაც“.

ეს იყო „ცოცხალი ნანგრევი“, რომელსაც ახალგაზრდა ცხენები ამასხარაგებდნენ, ამწარებდნენ, სისხლს უშრობდნენ:

„ეგ ბებერი იყო, ეგენი — ახალგაზრდები იყვნენ; ეგ მჭლე იყო, ეგენი ხორცსავსენი იყვნენ; ეგ ნაღვლიანი იყო, ეგენი — მხიარულნი. ეტყობა, ეგ სრულიად უცხო, უცხო ჯილაგის, სულ სხვა ცხენი იყო და მისი შებრალება არ იქნებოდა. ცხენები მხოლოდ თავიანთ თავს იბრალებენ, სხვებს — იშვიათად და ისიც მხოლოდ ისეთებს შეიცოდებენ, ვის ტყავშიც ადვილად შეუძლიათ თავიანთი თავის წარმოდგენა...“

და აი, ბებერი ლაფშა ლამლამობით მაინც უყვება ახალგაზრდა ცხენებს. თავისი უწინდელი ცხოვრების ამბავს, უყვება, როგორ დიდხანს ემსახურებოდა.



პატრონებს, — რომლებიც მასზე ამბობდნენ ხოლმე „ჩემი ცხენი“, რაც ბებერ ლაფშას თავის დროზე ისევე აკვირვებდა, როგორც აკვირვებდა სიტყვები: „ჩემი მიწა, ჩემი ჰაერი, ჩემი წყალი“; ჰო, ჰყვებოდა იგი, თუ რა სამსახური გაუწევია პატრონებისთვის, რაც იმით დამთავრდა, რომ ჰუსარმა ჯანი გააგდებინა. იმ ჰუსარს „არავინ და არაფერი არ უყვარდა“. ლაფშა ამბობდა:

„ის უსულგულოდ მექცეოდა, ისე მკაცრი იყო, იმდენად ვიყავი მასზე დამოკიდებული, რომ ჩემს სიყვარულს მისდამი ამით მეტი და მეტი ძალა ეძლეოდა. მომკალი, ქანცი გამაცალე, ვფიქრობდი ხოლმე, იმ სანეტარო დღეებში, — ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება-მეთქი“.

და ჰუსარმაც ქანცი გააცალა ცხენს. „ულამაზესი საყვარელი ჰყავდა, თვითონაც ლამაზი იყო, მეეტლეს ლამაზი ჰყავდა“. საყვარელი რომ გაექცა, მისდია და მაშინ დააგდო ლაფშა, ილაჯი გაუწყვიტა. მაგრამ ასეთი ცხოვრებით თავის თავსაც გამოუყვანა წირვა. როცა, უკვე თხუთმეტი წლის შემდეგ, ერთხელ ფენმარდის უკანასკნელ პატრონს ესტუმრა, თვითონაც უკვე ნანგრევი იყო:

— სტუმარი, ნიკიტა სერპუხოვსკოი, იყო ორმოცს გადაცილებული კაცი, მაღალი, მსუქანი, მელოტი, დიდულვაშა და ბაკენბარდიანი. ეტყობოდა, ძალიან ლამაზი ვინმე უნდა ყოფილიყო. ახლა, ჩანს, ხორციტაც, სულიტაც, ჯიბიტაც ხელდარეულია..

— სამხედრო კიტელი და ლურჯი შარვალი ეცვა. ამისთანა კიტელსა და შარვალს მხოლოდ მდიდარი კაცი თუ შეიკერავდა, შიგნითაც ასე ეცვა; საათიც ინგლისური ეკეთა; რაღაც უცნაური სქელლანჩიანი ჩექმებით დადიოდა.

— ნიკიტა სერპუხოვსკოიმ თავის ცხოვრებაში ორი მილიონის ქონება გაანიავა და 120 ათასიც ვალი დარჩა. ამხელა ქონება კაცს ყოველთვის უნარჩუნებს შესაძლებლობას ათიოდე წელიწადი მაინც ფუფუნებაში იცხოვროს.

— ის ათი წელი უკვე იწურებოდა და ნიკიტას მწუხარება ერეოდა...

მასპინძელი კი ჯანით საფსე, მდიდარი ახალგაზრდა კაცი იყო, „ერთი იმათ-თაგანი, რომელთა ჯილაგი არასოდეს გადაეგება, სიასამურის ბეწვის ქურქს რომ ატარებენ, ძვირფას თაიგულებს რომ ესვრიან აქტრისებს, უახლესი მარკის ყველაზე ძვირად ღირებულ ღვინოს გეახლებიან და ყველაზე ძვირად ღირებულ საყვარელს ყველაზე ძვირფას სასტუმროში აცხოვრებენ...“

მასპინძელი თავს იწონებდა სერპუხოვსკოისთან თავისი ბედნიერებით, სიმდიდრით, აძალებდა ბლომად აელო ძვირფასი სიგარები, რითაც უხერხულ დღეში აგდებდა, შეურაცხყოფდა სტუმარს: ისინი, თითქოსდა ერთნაირად დაარხენებულნი იყვნენო, მთელი საღამო ბაასობდნენ, — რაღაზე არა: ეს ცხენებო, ეს ქალებო, „ვის ვინ ჰყავდა საყვარლად: ბოშაო, მოცვეკვავეო, ფრანგიო“, მაგრამ ერთმანეთისთვის ყურის გდება სულაც არ ეპიტნავებოდათ, — თითოეულს სურდა მხოლოდ თავის თავზე ელაპარაკნა. გვიან ღამით, როგორც იყო, დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

ბატონი ხარჭასთან იწვა.

— არა, ეგ აუტანელი ვინმეა. დათვრა და ტყუის და ტყუის გაუთავებლად...

— მეც მეარშიყება...

— ფულის თხოვნა უნდა, მგონია.

სერპუხოვსკოი გაუხდელი იწვა ლოგინზე და სულს ითქვამდა.

— ეტყობა, ბევრი ტყუილი ვთქვი, — გაიფიქრა მან. — მოგცლია, ერთი ღვინო კი კაი ჰქონდა, მაგრამ დიდი ღორი ვინმეა ეგ! ვაჭრული აქვს რაღაცა, მეც კაი ზორბა ღორი ვარ, — ჩაილაპარაკა თავისთვის და გადაიხარხარა...

— იგი წამოჯდა, კიტელი გაიძრო, ჟილეტი და შარვალი ძლივს, რის ვაი-ვაგლანით გაიხადა, მაგრამ ჩექმა დიდხანს ვერ გაიძრო, — ფაფუკი ფაშვი უშლიდა, რის





ვაი-ვაგლახით წაიძრო ჯერ ერთი, მერე მეორე, იწვალა, იხვანხვალა, იქლოშინა, ბოლოს, დაილალა. ეგრევე, ჩექმის ყელში ფეხგაჩრილი, წამოშვავდა, ხვრინვა-მორ-  
თო, მთელი ოთახი თამბაქოს, ღვინისა და ბინძური სიბერის სუნით აავსო.

გადაყრუებულ, დაქეციანებულ ფეხმარდს წირვა გამოუყვანეს ეზოს გარეთ, აგურის ფარდულის გვერდითა ღარტაფში და ის ბებერი ტყავი გააძრეს.

— საღამოვამს გორაზე რემამ გადაიარა და მარცხენა მხარეს მომაგალი ცხენები ხედავდნენ, რომ იქ, ქვევით, წითლად ჩანდა რალაც, რასაც ფაცი-ფუცით უტრია-  
ლებდნენ ძაღლები, ყვავები და ძერები დაჰფრენდნენ თავზე...

და ეს საშინელი „ამბავი ცხენისა“ რიტმულად, ზარ-ზეიმით მთავრდება:

— ცისკრისას, ბებერი ტყის ხევში, ბარდიანის ბოლოში მხიარულად ყმუოდნენ თავბომბორა მგლის ლეკვები. ხუთი ლეკვი იყო: ოთხი თითქმის ერთმანეთის ტოლი იყო, ერთი — მომცრო, დიდთავა. ბუჩქებიდან გამოვიდა გამხდარი, ბალანგაცვეთი-  
ლი, მაკე ბუ მგელი, მიწამდე ჩამოწეული ძუძუები ლასლასით მოჰქონდა, წამოვი-  
და და ლეკვებს პირისპირ დაუჯდა. ლეკვები ნახევარწრედ შემოერთდნენ. დედა მგე-  
ლი მივიდა ყველაზე ცეროდენასთან, ჩაიმუხლა, დრუნჩი ქვევით ჩაღრიჯა, რამდენ-  
ჯერმე გაიგრუნჩხა, ხახა დააბჩინა, დაიჭინთა და ცხენის ხორცის მოზრდილი ნაჭე-  
რი გადმოახველა. ხორცილებენ მოზრდილი ლეკვები წავარდნენ, მაგრამ დედამ მუ-  
ქარით წაიწია მათგან და ნაჭერი მხოლოდ ცეროდენას დაუნარჩუნა. ნაბოლარამ,  
თითქოს გაბრაზდაო, ღრენა-ღრენით დაითრია ხორცი და მიძგნა დაუწყო. დედამ  
ასევე გადმოუგდო ხახიდან ხორცის ნაჭერი მეორეს, მესამეს, ხუთივეს და მერეღა  
დაწვა მათ პირდაპირ, სხეული მოასვენა.

— ერთი კვირის შემდეგ აგურის ფარდულთან მხოლოდ დიდი თავისქალა და  
ორი ბარძაყის ძვალი ეყარა: დანარჩენი პირწმინდად აუქანქლავთ. ზაფხულში ძვლე-  
ბის შემგროვებელმა გლეხკაცმა ის თავის ქალა და ორივე ბარძაყის ძვალი ტომა-  
რაში ჩაჩურთა და ორიოდუ კაპიკი იშოვა.

— სერბუხოვსკოის ამ მზისქვეშ მოსიარულე, მსმელი და მჭამელი ლეში მიწამ  
გაცილებით უფრო გვიან მიიბარა. არც ტყავი მისი, არც ხორცი, არცა ძვლები არა-  
ვის არაფერში გამოდგომია.

— როგორც მთელი ამ ოცი წლის მანძილზე მისი ლეში მძიმე ტვირთად ედო  
კისერზე ყველას, ასევე, მათ ამ სხეულის დამარხვაც ზედმეტ. მოვალეობად დაეკის-  
რა. იგი უკვე არავის სჭირდებოდა, ყველას შეაბეზრა თავი, მაგრამ, მაინც, მკვდრის  
დამმარხველმა მკვდრებმა საჭიროდ ჩათვალეს ამ აქოთებული ფუმფულა სხეულის-  
თვის კარგი მუნდირი და კარგი ჩექმები ჩაეცმიათ, კარგ, ახალთახალ ფორებშემოვ-  
ლებულ კუბოში ჩაესვენებინათ, შემდეგ ეს ახალი კუბო მეორე, ტყვიის კუბოში ჩა-  
ედოთ და მოსკოვს ჩაეტანათ, იქ კი მიწიდან ამოეყარათ დიდი ხნის წინათ ჩაყრი-  
ლი ძვლები სხეებისა და მაინცდამაინც იმათ ნასაფლაგარში ჩაეფლათ ეს ახალ  
მუნდირსა და გაკრიალებულ ჩექმებში მოქცეული სუნადენილი, მატლებით გაძევი-  
ლი გვამი...

ეს „ამბავი ცხენისა“, ასე ვთქვათ, მკვდრების სიკვდილის ამბავია.

აღდანოვი თავის წიგნში „ტოლსტოის საიდუმლო“ ითვლის, თუ რამდენი  
კაცი კვდება მის ნაწარმოებებში და მხრებს იჩეჩავს: მთელი თავისი, როგორც  
მხატვრის, ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე სიკვდილის თემაზე ამდენი მხატ-  
ვრული მასალა, ნეტა, რაღად უგროვებიაო? „თუკი სიკვდილის ფილოსოფიის  
შექმნა წარმოიდგინება, იგი ტოლსტოის უნდა შეექმნა. მაგრამ მან თავისი მდი-  
დარი საგანბური არ გამოიყენა განზოგადოებული ეთიკური დასკვნებისთვის.  
ტოლსტოის სიტყვაც არ დასცდენია არც ყუმბარისგან გაგლეჯილ კურაგინზე,  
არც ქმრის მიერ მოკლულ პოზდნიშევანზე, არც „სამ სიკვდილში“ ჭლექისგან



შეჭმულ მებატონეზე... ბუნებისმეტყველმა თავისი საქმე გააკეთა. ფილოსოფოსმა გვერდზე ჩაიარა...“

კითხულობ და თვალს არ უჯერებ. ისე გამოდის, თითქოს ტოლსტოის ევალებოდა ლამის ყველა სიკვდილისთვის, რომლებიც კი მას აღუწერია, ეახლებინა ეთიკური განზოგადებები, ფილოსოფიური დასკვნები, და, თითქოს, ეს მას არც არასოდეს არ გაუკეთებია. მე და ალდანოვი ძალზე სხვადასხვანაირად, განსხვავებულად ვკითხულობთ „სამ სიკვდილსა“ და „ფეხმარდს“.

„ომსა და მშვიდობაში“ სიკვდილთა წყება იხსნება „ფეხმარდთა“ უმაღლესი ნაირსახის — გრაფ ბეზუხოვის სიკვდილის წარმართულად დიდებული სურათით. ამას მოსდევს სიკვდილი „პატარა ქალბატონისა“. ესაა ზღვარი — სიკვდილის უმანკო მსხვერპლთა მიმართ მეტი ადამიანური სინაზის, მეტი მწუხარების გამოხატვა შეუძლებელია. ამ სიკვდილს წინ მომობიარობა უსწრებს: „აი, მტენიარობა დაიწყო და გრძელდება — ზამთრის ქარბუქიანი, წკვარამი სალამო; თოვლით დაფარული მინდვრები; მოხუცი თავად ბოლკონსკის მამულის ძველ, ნახევრადბნელ სახლში სახატესთან, გაწამებული მომობიარე ქალის წინ ანთია შემოქროვილი საქორწილო სანთლები. ირგვლივ სიჩუმე სადგურობს. ელიან, ყველანი „მზად არიან რაღაცისთვის“, ყველა „რაღაც საერთო საფიქრალს მისცემია, ყველას გული შეძვრია, ყველა შეუმსჭვალავს რაღაც დიადს, ჩაუწვდომელს, რაც ამ წუთში ხდება... სალამო გადავიდა, დაღამდა. იდუმალემა, ამქვეყნად საზეიმოზე საზეიმო, გრძელდებოდა, და იდუმალის, ჩაუწვდომელის მოლოდინისა და გულის შეძვრის გრძნობა არ ნელდებოდა, პირიქით, ძლიერდებოდა. არავის ებინა...“

ბუნებისმეტყველნი ასე ლაპარაკობენ? თუკი ტოლსტოისთვის ადამიანის დაბადება არის „საზეიმოზე საზეიმო იდუმალემა“, როგორ შეიძლება, რომ მისთვის იდუმალემა არ იყოს სიკვდილი ადამიანისა, თუკი ადამიანი მის სიცოცხლეშივე არ მომკვდარა, თუკი იგი, კურაგინივითა და სერპუხოვსკოვივით, „ფეხზე მოსიარულე ლეში“ არაა. ქვეყნიერებას, სამყაროს ახალი ადამიანის სიცოცხლე არ უჭა თუ არა, პატარა ქალბატონი გარდაიცვალა.

— თავადი ანდრეი ცოლის ოთახში შევიდა. ქალი ახლა მკვდარი იწვა, ისევე იწვა, როგორც ამ ხუთი წუთის წინათ ნახა იგი ანდრეიმ და, თუმცა, თვალები გასცილებოდა და ლოყებიც გაფერმკრთალებოდა, ეს, მშვენიერი, შავქინქლიანი ბავშვური სახე ისევ ისეთი იყო.

„მე თქვენ ყველანი მიყვარხართ და არავისთვის სიავე არ გამიკეთებია, თქვენ კი რა მიყავით?“ — ამბობდა მისი მშვენიერი, საბრალობელი, მკვდარი სახე.

— სამი დღის შემდეგ პატარა ქალბატონს წესი აუგეს და, როცა მას ემშვიდობებოდა, თავადმა ანდრეიმ კუბოში ჩაიხედა. კუბოში ისევ ისეთი სახე ჰქონდა, ოღონდ თვალები დაეხუჭათ. „ეჰ, ეს რა მიყავით?“ — ისევ იმას ამბობდა მიცვალებულის სახე...

შემდეგ იყო საახელგანთქმული „აუსტერლიცის ცა“, ამ სოფლით თავად ანდრეის გადასვლის, მისი „გათავისუფლების“ პირველი ზღურბლი.

— თავადი ანდრეი ვერ ხედავდა, რითი დამთავრდა ეს (რუსი არტილერისტისა და ორი ფრანგი ჯარისკაცის ხელჩართული ბრძოლა)... „რა მემართება? ვეცემი? მუხლთ მეკეცება“, — გაიფიქრა მან და ზურგზე დაეცა... მის თავზე უკვე სხვა აღარაფერი იყო, გარდა ცისა — მაღალი ცისა; ეს ნათელი ცა არ იყო, არა, მაგრამ მაინც ამ უსაშველოდ მაღალ ცაზე ნელა მიცურავდა რუსი ღრუბლები. „რა სიწყნა-



რეა! რა სიმშვიდეა და როგორი სიდიადე: მთლად ჩემს გაქცევას არ ჰგავს!“ — გაიფიქრა თავადმა ანდრეიმ, — „არა, ჩვენ ასე არ გავრბოდით, ასე არ ვყვიროდით და ვიბრძოდით... არა, ამ უსაზღვროდ მაღალ ცაზე სულ სხვაგვარად დიან ღრუბლები, როგორ მოხდა, რომ ადრე ასეთი მაღალი ცა არ მინახავს? ო, რა ბედნიერი ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ვნახე იგი. დიან, ყველაფერი არარაობაა, ყველაფერი თვალთმაქცობაა, ამ უსაზღვრო ცის გარდა. არაფერი, არაფერი არ არსებობს, გარდა მისა, მაგრამ ისიც კი, ისიც კი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სიჩუმე, სიმშვიდე, მაღლობა ღმერთს, რომ ასეა...“

— პრაცის მთაზე, ზედ იმ ადგილას, სადაც დაეცა დროშით ხელში, იწვა თავადი ანდრეი ბოლკონსკი, სისხლისგან იცლებოდა და თვითონაც რომ არ იცოდა ისე კვნესოდა ჩუმი, საბრალობელი, ბალღური კვნესით.

სალამოსთვის კვნესა შეწყვიტა და მთლად მიყუჩდა. არ იცოდა, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს უსაზღვრობა. უცებ მან კვლავ იგრძნო, რომ ცოცხალი იყო, თავში რაღაც ტკივილი ისე ჯოჯოხეთურად მიძგინდა და წვაავდა, გასკდომამდე არაფერი აკლდა.

„სადღაა იგი, ის მაღალი ცა, რომელიც აქამომდე არ მენახა და ახლა ვნახე?“ — პირველად ამ ფიქრმა გაუელვა. „ასეთი ჯოჯოხეთური ტკივილიც არ ვიცოდი აქამდე“, — გაიფიქრა მან. „დიან, მე არაფერი, არაფერი არ ვიცოდი აქამდე. მაგრამ სადა ვარ ახლა მე?“.

ყური მიუგდო და მოახლოებული ცხენების ფეხის ხმა და ფრანგული ლაპარაკი ჩაესმა... ის მხედრები, ნაპოლეონი და მისი ორი ადიუტანტი იყვნენ...

— *Voilà une belle mort\**, — თქვა ნაპოლეონმა, ბოლკონსკის რომ დახედა.

ანდრეი მიხვდა, რომ ეს მასზე ითქვა და ნაპოლეონმა თქვა... მაგრამ ეს სიტყვები ბუზის ბზუილივით ჩაესმა... თავი ეწვოდა, გრძნობდა, სისხლისგან იცლებოდა და იგი თავს ზემოთ ხედავდა შორეულ, მაღალ და მარადიულ ზეცას. მან იცოდა, რომ ეს იყო ნაპოლეონი — მისი გმირი, მაგრამ ამ წუთას ნაპოლეონი ისეთ პატარა, არარა ადამიანად ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რაც მის სულსა და ამ ჩქარა მსრბოლავი ღრუბლებით მოპენტილ მაღალ, უსაზღვრო ცას შორის ხდებოდა... მხოლოდ უხაროდა, რომ ადამიანები წამოადგნენ თავზე და ისლა სურდა, ეს ადამიანები მიშველებოდნენ და მიებრუნებინათ იგი სიცოცხლისაკენ, ესოდენ მშვენიერი რომ ეჩვენებოდა, რადგან ახლა სულ სხვაგვარად ესმოდა ის...

ნაპოლეონს თვალში რომ შეჰყურებდა, თავადი ანდრეი ფიქრობდა დიალოგების არარაობაზე, არარაობაზე სიცოცხლისა, რომლის მნიშვნელობის გაგებაც არავის შეეძლო და კიდევ უფრო მეტ — არარაობათა არაობაზე სიკვდილისა, რომლის აზრის წვდომა და ახსნა ცოცხალთაგან არავის ძალუძდა.

\* \* \*

და, აი, ბოლოს, თავადი ანდრეის მეორე და უკანასკნელი „გათავისუფლება“.

— თავადმა ანდრეიმ არა მარტო იცოდა, რომ მოკვდებოდა, არამედ გრძნობდა, რომ კვდებოდა, რომ სანახევროდ უკვე მოკვდა. იგი ყოველივე მიწიერისგან, ამქვეყნიური ყოფის სიხარულის მომნიჭებელ და უცნაურ სილაღეთაგან განრიდების გრძნობით აღივსო. ახლა უდრტვინველად, უსწრაფველად უცდიდა იმას, რაც მოელოდა. ის მრისხანე, მარადუამული, იღუმალი და შორეული, რომლის თანამდევობასაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძნობდა, ახლა მისთვის ახლობელი და — იმ უცნაურად ლაღად ყოფნის, შვების მეოხებით, რასაც განიცდიდა, — თითქმის გასაგები, ცხადად შესაგრძნობი გახდა...

უწინ მას აშინებდა აღსასრული, ორჯერ შეიგრძნო ეს საშინელი — მტანჯველი შიში სიკვდილისა, აღსასრულისა და ახლა უკვე უცხო იყო მისთვის ეს გრძნობა.

პირველად სიკვდილისა მაშინ შეეშინდა, როცა ყუმბარა დაუბზრიალდა თვალწინ

\* რა მშვენიერი სიკვდილია (ფრანგ.).



(აუსტერლიცის ველზე) და ის უყურებდა ნაქერალს, ბუჩქებს, ცას და იცოდა, რომ ფეხებთან სიკვდილი ატუზებოდა. როცა დაჭრილი გონს მოვიდა, მაშინვე, თითქოს ამ წუთისოფლის მიძიმე კირთებისგან გამოათავისუფლავს, გაიშალა მარადიული, თავისუფალი, ამ ცხოვრებისაგან დამოუკიდებლად მსუნთქავი ის ყვავილი, და მას უკვე არ ეშინოდა სიკვდილისა და არ ფიქრობდა მასზე.

დაჭრის შემდგომ იმ წამებულ მარტოობისა და ნახევრად უგონო ბორგვის საათებში რაც მეტს ფიქრობდა იგი იმ ახალ, ეს-ესაა მოვლენილ მარადიული სიყვარულის საწყისზე, მით უფრო, თვითონაც რომ არ გრძნობდა, ისე, თანდათან შორდებოდა იგი მიწიერ ცხოვრებას. ყველაფრის და ყველას სიყვარული, სიყვარულთვით ყოველ წუთს თავის გასაწირად მზადყოფნა ნიშნავდა არავის სიყვარულს, ნიშნავდა არა ამ მიწიერი სიცოცხლით ცხოვრებას. და რაც უფრო იგებოდა იგი სიყვარულის ამ საწყისით, მით უფრო უარს ამბობდა ცხოვრებაზე, მით უფრო საძიროკვლიანად სპობდა იმ საშინელ ძალას, რომელიც (უსიყვარულოდ) დგას სიცოცხლესა და სიკვდილს შუა.

მაგრამ მიტიშიში გათეული იმ ღამის შემდეგ, როცა, სანახევროდ ბოდვებში წასულს, მოევლინა ის სასურველი, და როცა, მის ხელს დაწაფებული, ჩუმი, სიხარულის ცრემლით ატირდა, ერთი ქალის მიმართ სიყვარული შეუმჩნევლად ჩაბუდდა მის გულში და ამან კვლავ მოაქცია ცხოვრებისკენ. ერთდროულად სასიხარულო და შფოთიანი ფიქრები ეჯარებოდა მას.

ავადმყოფობა თავისი ფიზიკური წესით და რიგით მიდიოდა, მაგრამ ის, რაზეც ნატაშა ამბობდა: **ეს მოუვიდაო**, თავადის ასულ მარიას ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე დაემართა. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის უკანასკნელი ზნეობრივი ბრძოლა, რომელშიც გამარჯვება სიკვდილს დარჩა. ეს იყო მოულოდნელი შეგრძნება იმისა, რომ, თურმე, მას კიდევ ეპვირფასება სიცოცხლე, რაც ნატაშას მიმართ სიყვარულის სახით წარმოედგინა და ეს იყო გამოუცნობის, იდუმალის შიშის უკანასკნელი შემოტევა.

ეს საღამოსპირს მოხდა. როგორც სხვა დროს, სადილის შემდეგ, ოდნავ ალგზნებული იყო და სავსებით ნათლად, ცხადად გრძნობდა ყველაფერს. სონია მაგიდასთან იჯდა. ანდრეიმ ჩათვლიმა. უცებ ბედნიერების ტალღა მოაწვა.

„ნამდვილად ის შემოვიდა!“ — გაიფიქრა.

მართლაც, სონიას ადგილზე იჯდა ის წუთია ჩუმად, ფეხაკრეფით შემოსული ნატაშა.

მას აქეთ, რაც ნატაშა ნახულობდა, ანდრეი ყოველთვის ფიზიკურად გრძნობდა მის სიახლოვეს. ნატაშა სავარძელში იჯდა მისკენ გვერდით მიქცეული, სანთლის შუქს უჩრდილავდა, იჯდა და წინდას ქსოვდა.

„შეიძლებოდა ეს მომხდარიყო თუ არ შეიძლებოდა?“ — ფიქრობდა ახლა ანდრეი და მისი ფოლადის ჩხირების ოდნავ რაწკუნს იჭერდა. „ნუთუ მხოლოდ იმიტომ შემყარა მასთან ბედმა, რომ მოვმკვდარიყავი? ნუთუ სიცოცხლის ჭეშმარიტება იმისთვის გამიცხადდა, რომ სიცრუეში მეცხოვრა? მე ის ამქვეყნად ყველაფერზე მეტად მიყვარს, მაგრამ რა ვქნა, თუკი მიყვარს?“ — გაიფიქრა და უნებლიეთ დაიკვნესა — მტანჯველი ტკივილების დროს დასჩემდა ეს ჩვევა.

ეს ამოკვნესა რომ გაიგონა, ნატაშამ წინდა გვერდზე გადადო, ანდრეისკენ მიიწია, და უცებ, როცა მისი ანთებული თვალები დაინახა, ფრთხილი ნაბიჯით დაადგა თავზე და ავადმყოფის სახესთან დაიხარა.

— თქვენ არ გპინავთ?


— არა, მე დიდი ხანია თქვენ გიყურებთ. ვიგრძენი, როდის შემოხვედით... თქვენ რომ მგვრით იმ ნაზ სიჩუმეს... იმ ნათელს ვერავინ მგვრის. როგორ მინდა ვიტირო სიხარულისაგან.

ნატაშამ კიდევ უფრო მიიწია მისკენ. ქალს სახე უსაშველო სიხარულისგან უბრწყინავდა.

— ნატაშა, მე მეტისმეტად მიყვარხართ, მთელ ქვეყანას მირჩევნიხართ.

— მე... მე... — ქალი წამით შებრუნდა. — მეტისმეტად მიყვარხართო, რად ბრძანებთ? — შეეპასუხა ქალი.





— მეტისმეტად-მეთქი... ამას რატომ ვამბობ? როგორ ფიქრობთ, გული როგორ გიგრძნობთ, ვიცოცხლებ? როგორ გგონიათ?

— დარწმუნებული ვარ, შეჭველად! — თითქმის იკვილა ნატასამ და სწრაფად აიხუტა მისი ორივე ხელი.

ანდრეი გაირინდა.

— ღმერთო, რა კარგი იქნებოდა! — აიღო ხელში ქალის ხელი და ეამბორა.

... ამის შემდეგ მალე მიხუჭა თვალი და დაიძინა. ცოტა ხანს ეძინა და უცებ ცივ ოფლში გახვითქულს, შეშფოთებულს გაეღვიძა.

როცა იძინებდა, ისევ და ისევ იმაზე ფიქრობდა, რაც მთელი ეს ხანი არ ასვენებდა — სიცოცხლესა და სიკვდილზე. უფრო — სიკვდილზე, მასთან უფრო ახლოს გრძნობდა თავს.

„სიყვარული? რა არის სიყვარული?“ — ფიქრობდა იგი.

„სიყვარულს სიკვდილისა არა გაეგება რა. სიყვარულია სიცოცხლე. ყველაფერი, რაც მე გამეგება, მხოლოდ იმიტომ გამეგება, რომ მიყვარს. ყველაფერი მხოლოდ იმიტომ არის, ყველაფერი იმიტომ არსებობს, რომ მე მიყვარს, ყველაფერი მხოლოდ სიყვარულითაა შეკავშირებული. სიყვარული არის ღმერთი და სიკვდილი ჩემთვის — სიყვარულის ნაწილაკისთვის, საყოველთაო და მარადიულ წყაროსთან დაბრუნებას ნიშნავს“. მაგრამ ეს მხოლოდ ფიქრები იყო, რაღაც აკლდა მათ, რაღაც იყო მათში ცალმხრივ-პირადული, გონებისმიერი — სიცხადე აკლდა. ეს კვლავ შფოთვა და ბუნდოვანება იყო, მას ჩაეძინა.

სიზმარში ხედავდა, რომ იმ ოთახში იწვა, რომელშიც ნამდვილად იწვა, მაგრამ ვითომ. დაჭრილი კი არა, საღსალამათი იყო, რაგინდარა ჯურის ხალხი, — უსულგულონი, სულ ვიღაც-ვიღაცეები, — მოდის თავად ანდრეისთან. ელაპარაკება მათ, რაღაც სისულელეებზე ეკამათება. სადღაც ეპირებიან გამგზავრებას. თავადი ანდრეი ბუნდოვნად იგონებს, რომ ეს წყლის ნაყვია და მეტი არაფერი და მას ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საზრუნავი აქვს, მაგრამ ისევ და ისევ რაღაც უაზრო, ოხუნჯურ სიტყვებს აყრის იმ ხალხს, რითაც ყველა გაოცებულია, თანდათან, შეუმჩნევლად ყველა ეს სახე ქრება და ყველაფრის ადგილს იჭერს ერთადერთი კითხვა — რატომ არაა კარი ჩაკეტილი? იგი დგება, რომ ურდული გამოსწიოს და კარი ჩაკეტოს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, მოასწრებს თუ არა კარის ჩაკეტვას. მიიწევს იქით, ჩქარობს, ფეხს ვერ ანძრევს და მან იცის, ვერ მოასწრებს კარის მიკეტვას, მაგრამ მაინც მთელ ძალ-ღონეს იკრებს, საზარელი შიში იპყრობს, და ეს შიში სიკვდილის შიშია: კარს უკან ის\* დგას, მაგრამ იმ დროს, როცა ანდრეი, უმწეო და მისავათებული, კარამდე მიხობდება, ის რაღაც, ამაზრზენი რამ, გარედან აწვება კარს და ცდილობს შემოამტვრიოს, არაადამიანური რაღაც სიკვდილი — ცდილობს კარის შემოგლეჯას და საჭიროა მისი შეკავება. ავადმყოფი კარს მიაწვება, უკანასკნელ ძალას ძაბავს, — ჩაკეტვით უკვე ვეღარ ჩაკეტავს, — ოღონდ, როგორმე არ გააღებინოს, როგორმე, მაგრამ ძალა გამოლევიან, მეტი აღარ შეუძლია და ჯოჯოხეთური წამებით შეკავებული კარი იღება და ისევ იხურება.

იგი გარედან ერთხელ კიდევ მოაწვა. უკანასკნელი ზებუნებრივი დამაბვაც ამოა და ორივე კარი უხმაუროდ იღება. იგი შემოვიდა, და იგი არის სიკვდილი. და თავადი ანდრეი მიიცვალა.

მაგრამ იმავე წამს, როგორც კი მოკვდა, თავადმა ანდრეიმ გაიხსენა, რომ მას სძინავს, და იმავე წამს, როგორც კი მოკვდა, მან თავს ძალა დაატანა და გაიღვიძა.

„ღიას, ეს სიკვდილი იყო. მე მოკვდი — მე გავიღვიძე, ღიას, სიკვდილი — გამოღვიძება“, უცებ გაუნათდა მას გონება და ფარდა, რომელიც აქამდე მისგან იდუმალს ფარავდა, ახლა მისი სულისმიერი მზერისთვის ზეაიწია. მან იგრძნო მასში აქამდე თითქოს შებოროტი ძალის გამოთავისუფლება და ის უცნაური შვეება, რომელიც იმ დროიდან არ სტოვებდა.

როცა, ცივ ოფლში გაწურულს, გამოეღვიძა და დივანზე შეიძრა, ნატასა მიუახლოვდა და ჰკითხა რა მოგივიდაო.

\* კურსივი ტოლსტოისაა (ი. ბუნინის შენ.).



არაფერი უბასუხია, ვერა გაუგო რა და გაოცებით შეხედა. ეს იყო ის, რაც თავადის ასულ მარიას ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე დაემართა...

თავადი ანდრეისათვის აქედან დაიწყო სიზმრიდან გამოღვიძებასთან ერთად ცხოვრებიდან გამოღვიძებაც...

მისმა უკანასკნელმა დღეებმა და საათებმა ჩვეულებრივად, უბრალოდ ჩაიარა, განუშორებლად მის თავთან მდგარი თავადის ასული მარიაც და ნატაშაც გრძნობდნენ ამას. ისინი არ ტიროდნენ, არც თრთოდნენ და ეს ერთი ხანია თავადვე გრძნობდნენ, რომ უკვე მასთან კი არ შედიოდნენ (ის უკვე აღარ იყო, ის მათგან უკვე წავიდა), არამედ იმასთან, რაც მისგან ყველაზე ძვირფას მოგონებად დარჩა — მის სხეულთან...

ორივენი ხედავდნენ როგორ სულ უფრო და უფრო ღრმად, ნელ-ნელა, მშვიდად ეშვებოდა იგი სადღაც ქვევით და ორივემ იცოდა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო და კარგი იყო, რომ ასე ხდებოდა...

\* \* \*

ტოლსტოიმ ერთხელ დღიურში ჩაწერა:

— ახლობლების სიკვდილი დიდ ტკივილს არასოდეს მაყენებს.

ეს რომ ჩაწერა, მოხუცი იყო და ბევრი, ძალზე ბევრი ახლობლის სიკვდილი ჰქონდა გადატანილი. იქნებ, ამიტომაც ჩაწერა ასე, — იქნებ გრძნობები მიუცხრა, იქნებ, ამდენი ახლობლის დაკარგვის შემდეგ უკვე ვეღარ გრძნობდა ტკივილს ვისიმე დაკარგვის გამო? მაგრამ იგი ყოველთვის ძალზე გააზრებულად, ძალზე ზუსტად ამბობდა სათქმელს. და ისე, ჰაიჰარად არ დაწერდა სიტყვას „არასოდეს“. როგორღა ავხსნათ, რომ ახლობლების სიკვდილი მას არასოდეს არ აყენებდა დიდ ტკივილს? ცნობილია, როგორი სულიერი შემრწუნება იგრძნო მან, როგორი თავზარი დასცა ჯერ ერთი, მერე მეორე ძმის სიკვდილმა, ან გავიხსენოთ, რას გრძნობდა ლევინი, როცა მისი ძმა ნიკოლაი კვდებოდა: იმ დღეებში იგი მხოლოდ კიტიმ გადაარჩინა, გადაარჩინა კიტის ნორჩ სიცოცხლესთან და სიყვარულთან შესისხლხორციების შეგრძნებამ და მისდამი სიყვარულმა. და, აი, მაინც, იგი ამბობს, ახლობლების დაკარგვა „დიდ ტკივილს არასოდეს მაყენებს“. და ეს „დიდ ტკივილს არასოდეს მაყენებს“, პირველი შეხედვით, უცნაური რამ ჩანს. „მე ყოველთვის როგორღაც ფიზიკურად ვგრძნობ ადამიანებს“, — ამბობდა იგი თავის თავზე (რითაც დიდებულ ლუკმას აძლევდა იმ ბრიყვ ხალხს, ვისაც ეჭვშეუვალად სჯეროდა, ტოლსტოი მხოლოდ „ხორცის“ საიდუმლოს წვდებოდა). მაგრამ ის „ფიზიკურად“, ესე იგი, მთელი თავისი არსებით, წარმოუდგენლად მძაფრად გრძნობდა ყველაფერს. ხოლო განცდა სიკვდილისა, სიკვდილის მთელი ხორციელი და სულიერი პროცესისა მას განსაკუთრებით ჰქონდა გამძაფრებული, — ეს კანონია: „სიცოცხლის განცდის ხარისხი სიკვდილის განცდის ხარისხის პროპორციულია“, — და ეს მძაფრი განცდა არასოდეს მიმცხრალა მასში. თუ ასეა, როგორ არ გრძნობდა „დიდ ტკივილს“ ახლობელი ადამიანების სიკვდილის დროს? არადა, მართლაც რომ ასე იყო, ან, უფრო ზუსტად, თითქმის ასე იყო. „უდიდტკივილოდ“ გადაიტანა თავისი საყვარელი შვილის, პატარა ვანეჩკას, შემდეგ კი უსაყვარლესი ასულის, მაშენკას სიკვდილი.

ალექსანდრა ლევის ასულის მოგონებებში ნათქვამია:

— მამა იშრიტებოდა. გამახსენდა ვანეჩკა, რომელსაც იგი ახლა ჰგავდა... ჩუმად, გატრუნული შემოდდიოდა მამა, მის ხელს ხელში იჭერდა, მუბლზე ჰკოც-





ნიდა... როცა მაშენკა კვდებოდა, ყველანი მის ოთახში ვიყავით, მამა ლოგინზე ჩამოუჯდა და მაშას ხელი ხელში აიღო...

როცა ცხედარი სახლიდან გამოასვენეს, მამა კუბოს მხოლოდ ჭიშკრამდე მოჰყვა, — აქ უკან შეტრიალდა და სახლისკენ წავიდა...

ამასვე გასაოცრად გვიყვება ილია ლევის ძე:

— როცა მიცვალებული ეკლესიაში უნდა წაგვესვენებინა, მამამ ჩაიცვა და გამოგვყვა, ქვის ბოძებთან შეგვაჩერა, მიცვალებულის ნეშტს გამოეთხოვა და სახლისკენ მიმავალ პრიშპექტს დაადგა. თოვლჭყაპში კაჭა ფეხებით მიცუხცუხებდა და ერთხელაც არ მოუხედავს...

1903 წელს ტოლსტოიმ ჩაიწერა:

— ტანჯვა, სიკვდილისა არ იყოს, არ აგცდება, გარდაუვალია. ტანჯვა არღვევს ჩვენი სულის მბორკავ ჩარჩოებს, იგი მატერიალურობის ცდუნებებს გვიქარწყლებს და ჩვენ, ადამიანებს გვაბრუნებს ადამიანებისთვის დამახასიათებელი თვისებისკენ — გვაბრუნებს სიცოცხლის, როგორც სულიერი, და არა მატერიალური, მოვლენის გაგებისკენ.

ადრეც და მერეც არაერთხელ ამბობდა და წერდა ამასვე.

— ფიქრობენ, ავადმყოფობა დაკარგული დროაო. იტყვიან ხოლმე: „აი, გამოგვეთდები და მაშინ...“ ავადმყოფობა კი ყველაზე მნიშვნელოვანი დროა ადამიანის ცხოვრებაში...

თავისი მძიმე ავადმყოფობის ყველაზე მძიმე წუთებს რომ იგონებდა, ნეტარებით აღმოხდებოდა:


— ო, ის ჩემთვის ძვირფასი წუთები კვდომისა!

თავის ასულზეც ასე წერდა:

— 1906 წლის 26 ნოემბერი. ახლა ღამის პირველი საათია. გარდაიცვალა მამა. უცნაური ამბავია, არც თავზარი დამცემია, არც შევშინებულვარ, არც ის მიგრძენია, რომ რაღაც განსაკუთრებული მომხდარიყოს, სიბრალული და მწუხარება რაა, ესეც კი ვერ ვიგრძენი. მე თითქოს საჭიროდ ვთვლიდი, გული ამჩუყებოდა და მწუხარების გრძნობით გავმსჭვალულიყავ და გავიმსჭვალე კიდეც, მაგრამ სულის სიღრმეში უღრტვინველად ვიყავი... დიახ, ეს იყო ხორცისმიერი მოვლენა და ამიტომაც იყო უმნიშვნელო. როცა კვდებოდა, თვალს არ ვაცილებდი, გასაოცრად მშვიდად შევყურებდი. ჩემთვის იგი იყო სულისამხელი არსება თვით ჩემივე სულის ახელის წინარე. მე თვალს ვადევნებდი მის სულის ახელას და ეს სიხარულს მგვრიდა. მაგრამ აი, ეს სულის ახელა ჩემთვის მისაწვდომ ფარგლებს გასცდა, ესე იგი, ეს სულის ახელა ჩემი თვალისთვის უხილავი გახდა; მაგრამ იგი, რაც ის არის, არსებობს. სად? როდის? ეს ის კითხვებია, რომლებიც შეეხება აქ სულის ახელის პროცესს და არ შეიძლება მიემართოს ჭეშმარიტ — სივრცისა და დროის გარეთ მდგარ — ცხოვრებას.

და შემდეგაც, როცა მაშას იგონებდა, წერდა:

— ვცოცხლობ და ხშირად ვიგონებ მამას უკანასკნელ წუთებს (მამა არ მინდა დავუძახო, ეს უბრალო სახელი სულაც არ შეჰფერის იმ არსებას, რომელმაც მე დამიტოვა). წამომჯდარია ლოგინზე, ირგვლივ ბალიშები უწყვია, მისი გამხდარი, ძვირფასი ხელი ხელში მიჭირავს და ვგრძნობ, როგორ იღევა სიცოცხლე, როგორ თავდება მამა. ეს თხუთმეტი წუთი ჩემი სიცოცხლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, უარსებითესი ნაწილია...







## რუსულიდან

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა




„თას რვაას ოთხმოცდაცხრამეტი წლის აპრილს რილკე მოსკოვში ესტუმრა ტოლსტოის. ამ შეხვედრას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე. 1899 წლის 7/19 მაისს იგი დოქტორ სალიუსს პეტერბურგიდან სწერს: „აგერ სამი კვირაა რუსეთში ვიმყოფები, მაგრამ ისე კარგად ვარ, აქ ყოფნა ისე მსიამოვნებს, თითქოს სამი კვირა კი არა, მთელი სამი წელიწადია აქ ვიყო. მოსკოვი ჩემი უპირველესი მიზანი, ჩემი პირველი სააღდგომო სიხარული იყო, ტოლსტოი კი, ვისთანაც მე სტუმრად გახლდით, ამ ახალი ქვეყნის თავკაცია, ნამდვილი რუსი, საოცრად გულში ჩამწვდომი, მგრძნობიარე ადამიანი“.

გერმანიაში დაბრუნების შემდეგ კი, 1899 წლის 8 სექტემბერს, რაინერ-მარია რილკე მაეინინგენიდან ტოლსტოის სწერს:

„დიდად პატივცემულო გრაფო, ჯერ კიდევ იმ ღირსსახსოვარ საღამოს, მოსკოვში, ჩვენ სამთავეს — ქალბატონ ლუ ანდრეას-სალომეს, დოქტორ ფ. ანდრეასსა და მე, თქვენდამი უღრმესი პატივისცემით გამსჭვალულებს, ამ შეხვედრისას მიღებული უღრმესი შთაბეჭდილებებით აღვსილებს, სურვილი დაგვეზავა და ამა თუ იმ წიგნის მეშვეობით თქვენთან კვლავ შეხვედრისა, რათა გაგვეზავებინა თქვენის გულკეთილობის წყალობით ასე მშვენივრად, ასე უშუალოდ აღმოცენებული სიახლოვე.

თქვენ მაშინ ბაზიდეებით დაინტერესდით, დიდად პატივცემულო გრაფო, ამიტომაც გიგზავნით იმ ბროშურას, რომელიც მაშინ ვახსენეთ და რომელსაც ქალბატონი ლუ ანდრეას-სალომე თან ურთავს თავის ბოლო წიგნს, მე კი ჩემის მხრივ გიგზავნით აფორიაქებული გრძნობებით აღბეჭდილ ამ პატარა წიგნაკს, რომელიც ჩემი სლავური სამშობლოს, პრადის სიყვარულმა დამაწერინა.





ამგვარად, ჩვენ ერთხელ კიდევ შემოვიჭრებით თქვენთან, დიდად პატივცემულო გრაფო, სამივენი ერთად და ამავე დროს თვითნებური ცალ-ცალკე, დენუ იქნებით ჩვენი ამ ჩუმი, მოკრძალებული წიგნების მიმართაც ისეთივე დაუზარებლად კეთილი და შემწყნარებელი, როგორც თქვენდამი უღრმესი, გულწრფელი პატივისცემით (რაშიაც ისევ და ისევ გარწმუნებთ და გეფიცებით) შეერთებული იმ სამი უცხოელის გვიანი სტუმრობისას იყავით“.

რაინერ-მარია რილკე

1899 წლის 13/25 სექტემბერს ტოლსტოი რილკეს პასუხობს:

„მოწყალეო ხელმწიფევ,

მივიღე თქვენს მიერ გამოგზავნილი ამანათი—ქალბატონ ლუ ანდრეას-სალომეს, თქვენი და ბაბიდეებზე დაწერილი წიგნები. უდროობის გამო ჯერჯერობით ყველა წიგნის წაკითხვა ვერ შევძელი, წავიკითხე მხოლოდ ქალბატონ ლუ ანდრეასის წინა სამი მოთხრობა, რომლებიც ძალიან მომეწონა. არ დავაყოვნებ და მალე დანარჩენებსაც წავიკითხავ. წიგნებისა და წერილებისათვის მადლობას მოგახსენებთ. დიდი სიამოვნებით ვიგონებ იმ მშვენიერ, საინტერესო საუბარს, აქ, მოსკოვში თქვენსა და თქვენს მეგობრებთან რომ მქონდა.

მოწყალეო ხელმწიფევ, მიიღეთ, ჩემი წრფელი, კეთილი სურვილები.

ლევ ტოლსტოი

რუსეთში პირველი მოგზაურობის უდიდესი შთაბეჭდილებებით აღსავსე რილკე 1900 წლის 5 თებერვალს მხატვარ ლ. ო. პასტერნაკს სწერს: „უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რუსეთი, როგორც ამას ადრევე გიწინასწარმეტყველებდით, ჩემთვის შემთხვევითი ამბავი არ ყოფილა, და რომ გასული წლის აგვისტოდან მოყოლებული მხოლოდ რუსეთის ისტორიის, ხელოვნების, კულტურისა და თქვენი მშვენიერი, შეუდარებელი ენის შესწავლით ვარ გატაცებული. მართალია, ჯერ ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ თითქმის ყველაფერი მესმის, აი, კითხვით კი სრულიად იოლად ვკითხულობ თქვენს საუცხოო, დიდებულ პოეტებს! რომ იცოდეთ, გულს როგორ მესაღებუნება, რა ნეტარებას მანიჭებს ლერმონტოვის ლექსებისა თუ ტოლსტოის პროზის დედანში წაკითხვა! ამ ბეჯითი მეცადინეობის უახლოესი შედეგი კი ის გახლავთ, თუ რაიმე ისეთი არ მოხდა, პირველი აპრილისათვის უკვე მანდ ვიქნები, რათა ამჯერად ვითარცა უკვე ხელდასხმულმა და ცოდნას ნაზიარებმა, ცოტა უფრო დიდხანს ვიცხოვრო თქვენს გვერდით.

... მოკლედ, ეს ის საათი იყო, რომელიც მას სულ თავისუფლად შეეძლო სხვებისათვის წაერთმია და ჩვენთვის მოულოდნელად მორთმეული ნობათივით მოეძღვნა. საინტერესო საუბარში გართულნი ხელა მივაბიჯებდით გრძელ შამბ-მოდებულ გზაზე და ამ საუბარს, ისე როგორც იმ პირველი შეხვედრისას, სწორედ გრაფი აძლევდა ასე დიდ სიბოძას და სიცხოველეს. იგი რუსულად ლაპარაკობდა და ქარი რომ არა, მე, ალბათ, მის წარმოთქმულ ყოველ ცალკეულ მარცვალსაც კი ჩავწვდებოდი. მარცხენა ხელი ქურთუკის ქამარში ჰქონდა წაყოფილი, მარჯვენა ჯიხის სახელურზე ევლო და ოდნავ ეყრდნობოდა. დრო-





დადრო დაიხრებოდა, ყვავილს მოწყვეტდა, ხარბად დაყნოსავდა და დასაწყისში  
 გართული დამჭკნარ, სურნელებაგამოცლილ ყვავილს დაუღვევრად აგდებდა.  
 გაშლეგებულ, გაშლილ-გადაპენტილ გაზაფხულს ამით, ცხადია, არაფერი აკლ-  
 დებოდა.. რაღაზე არ ვისაუბრეთ, რაღას არ შევეხეთ, მაგრამ სიტყვებს ჰაერში  
 როდი ვისვრით, ჩვენს მიერ წარმოთქმული თვითეული სიტყვა ღრმად სწვდე-  
 ბა საგანთა არსს, მის სიღრმეში იჭრება. ჩვენთვის ცალკეული საგნის უდიდესი  
 მნიშვნელობა ამ საგნის ხილვად სახეში კი არა, მის შეცნობაშია, რომ იგი  
 მოვლენილია წყვილიადიდან, იდუმალიდან, და რომ ჩვენც იქიდან, იმ გამოუც-  
 ნობადიდან ვართ მოსულნი. და მუდამ, როცა კი ჩვენი საუბარი რაიმე უჩვეუ-  
 ლოსა და უცნაურს შეეხება, სადღაც, სინათლით გაჩახჩახებულ ფონზე უმაღ-  
 უცილობელი ერთაზრობის პერსპექტივა იბადება.

ასე დასრულდა ჩვენი მშვენიერი, შესანიშნავი სეირნობა. როცა ქარი დაუ-  
 ბერავდა, გრაფის სხეული აზვავდებოდა, დაფანჩული წვერი აეფოფრებოდა,  
 სიდარბაისლით სავსე, მარტობით დაღდასმული სახე კი კვლავ მშვიდი, ქარი-  
 შხლისაგან თითქოს შეუხებელი რჩებოდა. შინ რომ დავბრუნდით, ბავშვური  
 მადლიერების გრძნობით აღვსილნი, მისი არსების ზიარებით დამდიდრებულნი  
 გრაფს გამოვემშვიდობეთ. იმ დღეს აღარავისი ნახვის, აღარავისთან შეხვედრის  
 თავი აღარ გვქონდა.“

...იმავე 1900 წლის 13 სექტემბერს ტოლსტოის ავადმყოფობის ამაღელ-  
 ვებელი ამბის გამო რილკე თავის დღიურში წერს (ჩანს, ეს ლუ ანდრეას-  
 სალომესადმი მიწერილი ბარათის პირველი პირი უნდა იყოს):

„ტოლსტოი იასნაია პოლიანაში მძიმედ არის ავადო, — იწერები. ვინ იცის,  
 იქნებ ის ჩვენი საბოლოო გამომშვიდობებაც იყო. ო, რა ნათლად მიდგას თვალ-  
 წინ ის დღე, ყოველი წამი იმ დღისა“. ამ ამბავს მოსდევს მოგონება იასნაია-  
 პოლიანაში ტოლსტოისთან მათი გამგზავრების შესახებ და იმ მომენტამდე  
 გრძელდება, როდესაც ტოლსტოი მათთან აღელვებული გამოდის და რამო-  
 დენიმე შეკითხვის შემდეგ უკანვე ბრუნდება. „კიბეზე ნაბიჯის ხმა ისმის, ყვე-  
 ლა კარი იღება, შემოდის გრაფი, ცივად და თავაზიანად შენ რაღაცას გეკითხე-  
 ბა, მაგრამ აშკარაა, ვერვის გვამჩნევს; მერე ერთს შემომხედავს და — თქვენ  
 რა საქმიანობას ეწევითო — მეკითხება. რა ვიცი, ვწერ ცოტ-ცოტას-მეთქი, —  
 მგონი, ასე ვუპასუხე“...

ამ ადგილზე დღიური წყდება.





თარგმნა ელზა ახვლედიანმა

## წიგნიდან „აზრიკის მწვანე ბორცვები“

ცხელი და ქვიშიან ფერდობზე ასვლა ძალიან გამიჭირდა, მაგრამ როგორც კი აღმართს თავში მოვექეცი, შვეებით ამოვისუნთქე, ხის ძირში დავჯექი და ტოლსტოის „სევასტოპოლური მოთხრობები“ გადავშალე. ცოცხალი წიგნია, მშვენივრად არის დახატული ბრძოლის სურათები, ფრანგების შეტევა ბასტიონებზე. აი, რას ნიშნავს, როცა მწერალი სამხედრო საქმეში გამოცდილია-მეთქი, გავიფიქრე მე. ბრძოლის მართალი აღწერა ერთ-ერთი უმთავრესი თემა და ამასთანავე ძნელი საქმეა მწერლისთვის. იმ კალმოსნებს, ვისაც საკუთარი თვალთ არ უხილავთ ბრძოლის ველი, მუდამ შურთ ვეტერანებისა და ცდილობენ დაარწმუნონ საკუთარი თავი და სხვებიც, რომ ეს თემა არც ისე საჭირო, არც ისე ბუნებრივი და მნიშვნელოვანია. სინამდვილეში კი ცდებიან: ვისაც საკუთარი მხრებით არ უზიდავს ომის სიმძიმე, მას ბევრი რამ დაუკარგავს.



„სევასტოპოლურ მოთხრობებში“ ერთი ძალიან კარგი მოთხრობა წავიკითხე — „კაზაკები“. მოთხრობაში უხვად ჩანს ზაფხულის მცხუნვარება, კოლოები, მდინარე — რომელზეც თათრები გადადიან — სხვადასხვაფერად დახატული ტყე წელიწადის სხვადასხვა დროს... ასე მეგონა, მაშინდელ რუსეთში ვცხოვრობდი (...) მშვენიერი მოთხრობაა.

## ადამიანები ომში

ჯერ არ შემხვედრია მწერალი, ტოლსტოიზე უკეთ შეეძლოს ომის აღწერა. მისი რომანი „ომი და მშვიდობა“ დიდზე დიდი და შთამბეჭდავი ნაწარმოებია. რომანიდან შეიძლება ბრძოლისა და შეტაკების არაერთი ეპიზოდი ამოიჭრას ისე, რომ ამით არაფერი დაშავდეს და თვითუღმა ეპიზოდმა კვლავაც შეინარჩუნოს თავისი სიმართლე და სიმძაფრე...

ნასაღდათარ, გონიერ კაცს მთელის არსებით სძულს გენერალიტეტი და ეს სიძულვილი აბსურდამდე აჰყავს. მართლაცდა, არაერთი გენერალი იმსახურებს ამ შეფასებას, მაგრამ ტოლსტოიმ უდიდეს მხედართმთავრებიდან მხოლოდ ერთი პიროვნება გამოჰყო და მისტიკური ნაციონალიზმით გამსჭვალულმა დაუმტკიცა მკითხველს, რომ ეს გენერალი, ნაპოლეონი, სინამდვილეში ბრძოლებს კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ უბრალო სათამაშოდ ქცეულიყო იმათ ხელში, ვისი დანორჩილებაც მის ძალებს აღემატებოდა. სამაგიეროდ, რუსი გენერლების დახატვისას, ძალზე ზუსტად და გამოწვლილვით აღწერს მათი წინამძღოლობით ჩატარებულ ბრძოლებს, ტოლსტოის სძულს ნაპოლეონი და მხოლოდ ამ ერთი სიძულვილით არის გაუღენთილი ომსა და ადამიანებზე შექმნილი ეს უსაჩინოესი წიგნი.






გასულ წელს (1941) „ომი და მშვიდობის“ ახალი გამოცემის რედაქტორებმა მთხოვეს და მეწერა შესავალი ნაწილი, სადაც ერთმანეთს დავუპირისპირებდი ჰიტლერისა და ნაპოლეონის თავდასხმას რუსეთზე. ეს წინადადება ისე უაზრო მეჩვენა, რომ უარი ვთქვი. „ომი და მშვიდობა“ მე მიყვარს ომისა და ადამიანების საკვირველი, ღრმა და საფუძვლიანი აღწერისათვის, მაგრამ დიდი გრაფის მსჯელობას კი არასოდეს გავუტაცებ. როგორ მინდა მას გვერდში ჰყოლოდა ვინმე ავტორიტეტული პიროვნება, ვინც ურჩევდა უარი ეთქვა დამძიმებულ, არაფრისმთქმელ მსჯელობაზე და სარბიელი მიეცა მართალი აზრისთვის, რამეთუ მხოლოდ ტოლსტოის ძალუძს ამქვეყნად გვითხრას ყველაზე ბევრი ყველაზე ღრმად და ყველაზე მეტი სიმართლით. მაშინ თავისი მძიმე, მესიანური აზროვნებით აღარ დაემსგავსებოდა რომელიმე პროფესორს ან ევანგელისტს. ამ მაგალითმა მე პირადად ჭკუა მასწავლა და მიზნად დავისახე, არ ავყოლოდი საკუთარ აზროვნებას და მეწერა რაც შეიძლება სიმართლით, პატიოსნად, ობიექტურად და მოკრძალებულად (...).

ბაგრატიონის არიერგარდის ბრძოლა ისე მართლად და მძაფრად არის აღწერილი, მსგავსი რომ არსად წამიკითხავს. მწერალმა ბევრისმომცველი ამბავი და ბრძოლის არსი შედარებით ისე მოკლედ, მაგრამ ზუსტად დახატა, რაც ჯერ არავის გაუკეთებია ამქვეყნად. ჩემის აზრით, ბოროდინოს ბრძოლა, რაოდენ დიდებულადაც არ უნდა იყოს ის აღწერილი, მაინც ჩამოუვარდება ბაგრატიონის არიერგარდის ბრძოლის აღწერას. შემდეგ მოდის საოცარი ამბავი პეტიაზე, მის სიკვდილზე (...) ყმაწვილი კაცის რაოდენი აღტაცება, ხალისი და კეთილშობილება გამოსჭვივის შრომისა და ომის საშინელებით სავსე გზაზე (...) ომი საკუთარ მხრებზე უნდა გადაიტანო, მხოლოდ მაშინ მიხვდები, რა საზარელია იგი.

მოგვიანებით, ომის შემდეგ, კორესპონდენტებმა ჰემინგუეის ჰკითხეს, რა აზრისა ხართ თქვენს წინამორბედ მწერლებზეო.

ჰემინგუეიმ დაახლოებით ასე უპასუხა: „ჯერ ბატონი ტურგენევი დავამარცხე აუღელვებლად, შემდეგ კარგად მოვემზადე და ასევე ვძლიე მესიე დე მოპასანს. სტენდალთან ორი შეხვედრა ფრედ დავამთავრე, თუმცა ჩემის აზრით, მეორე შეხვედრა ჩემი უპირატესობით მიმდინარეობდა. რაც შეეხება ტოლსტოის, ცოცხალი თავით ვერავინ გამიყვანს რინგზე მასთან საბრძოლველად, თუ ჭკუაზე არ შევიშაღე ან ძალიან არ გავიზარდე“.

კორესპონდენტებმა ათასნაირი პროვოკაციული და შიგადაშიგ აშკარად ირონიული შეკითხვები დააყარეს მწერალს, მაგრამ იგი ყველას ამდაგვარი პიპერბოლებით უმასპინძლებოდა. რა თქმა უნდა, ჰემინგუეიმ ისუძრა ტურგენევის მოპასანსა და სტენდალზე, მაგრამ ტოლსტოის შესახებ პასუხში ნაღდი ჭეშმარიტება ჩანს, ტოლსტოის ხსენებისას ჰემინგუეი არ ხუმრობდა.





თარგმნა ელზა ბახტაძემ

## რუსული გაზეთის ერთი მივიწყებული წერილი

როცა „რუსსკოე სლოვოს“ რედაქციამ პატივი დამდო და მთხოვა ტოლსტოის მანძილზე ვკითხულობდი ყველაფერს, რასაც ეს დიდი ადამიანი ქმნიდა; მე ხომ ბევრჯერ დავუფიქრებია მას, არაერთხელ მიმიძღვნია წერილიც, მაგრამ შევცდი, სტატიის დასაწერად თვეც არ მეყო.

წაკითხულის გახსენება რომ მოვინდომე, ვიგრძენი, შთაბეჭდილებას ბინდი მოკიდებოდა და გადავწყვიტე, ხელმეორედ გადამეკითხა. ჩავიკითხე თუ არა ერთი ნაწარმოები, მაშინვე მომესურვა მეორეს ჩავღრმავებოდი, შემდეგ მესამეს და ასე ნელ-ნელა ჩემს გარშემო მისი წიგნების მთა დადგა.

მაგრამ წერილის დაწერაზე უფრო ძნელი მეჩვენა ის გარემოება, რომ ამ უზარმაზარი პიროვნების მსაჯულობა მევალებოდა. რაც უფრო ღრმად ვწვდებოდი მწერლის შემოქმედებით სამყაროს, მით უფრო ძლიერი და შემბოჭავი ხდებოდა მისი გავლენა. ვგრძნობდი, რაოდენ პატარა ვიყავი ამ გავლენის მნიშვნელობასთან შედარებით.

ტოლსტოი უპირველესია თანამედროვე მწერალთა შორის. მხოლოდ იგია საყოველთაო პატივისცემისა და აღიარების ღირსი. როცა ახლად დაწესებული ნობელის პრემია პირველად ერთ კეთილშობილსა და ფაქიზ, მაგრამ მეორეხარისხოვან პოეტს მიაკუთვნეს, ცნობილმა შვედმა მწერლებმა ადრესი გაუგზავნეს ტოლსტოის. ადრესში ისინი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პრემიის მიკერძოებით მინიჭებაზე და ერთხმად აცხადებდნენ, ნობელის პრემია მხოლოდ ერთისთვის — რუსეთის უდიდესი მწერლისთვის უნდა მიეკუთვნებინათ.

ეს ადრესი სულაც არ გახლდათ შემთხვევითი. ტოლსტოი დიასაც რომ იმსახურებდა პატივისცემასა და აღიარებას თავისი ხანდაზმულობით, საქმიანობით, გენიით, — რომელმაც ევროპასა და ამერიკას გააცნო რუსეთის საკვირველი ბუნება და ხალხი — ღარიბთა და ჩაგრულთა მიმართ თანაგრძნობით, შეუპოვარი სულით, ტრადიციების თავისუფალი გაგებითა და იმ გამბედაობით, რითაც თავს ესწმობდა უღმობელ კრიტიკას, იშვიათია ინტელექტისა და მორალის ასეთი თანხედრობა და ეს თანხედრობაა სწორედ თავისთავად აღიარებისა და გამორჩევის ღირსი. ტოლსტოი უფრო მეტად მოკრძალებულ გაკვირვებას იმსახურებს, ვიდრე სიყვარულს.

ტოლსტოი თავისი ხალხის გრძნობებითა და ოცნებებით ცხოვრობდა და ამიტომაც წარმოადგენს იგი ასე მილიონი რუსი ადამიანის ცოცხალ განსახიერებას. თუმცა უცხოეთში მშვენივრად იციან, ტოლსტოის აზრებსა და შეხედულებებს არ იზიარებს განათლებული რუსეთის უმცირესი ნაწილი და მის ნაწარმოებებს გაუნათლებელი რუსეთის მხოლოდ მცირე ნაწილი იცნობს, მაინც მიაჩნიათ, რომ მომავალში მთელი რუსეთი მის მხარეზე იქნება. გაიხსენეთ რეპინის ცნობილი სურათი — ტოლსტოი გუთანს მიჰყვება კვალში. სულაც არ ჰგავს იგი გრაფს, დიდებულ







თავად. მსხვილი ცხვირი და ასევე მსხვილი ნაკეთები ნამდვილი რუსი გლეხისა აქვს. გლეხია, მაგრამ რა საოცარი გლეხი! გლეხი — მოაზროვნე, გმირი, გენიოსი, ცივილიზატორი!.. კურთხეული სვრელი გაჰყავს რუსეთის უკიდუგანო მიწაზე...

შესაძლოა პატარა ქვეყანაშიც იშვას მისებრ დიადი სული, როგორც, მაგალითად, ნორვეგიაში — იბსენი, მაგრამ ტოლსტოისებური ძალა არც იბსენს აქვს და არც არავის. ნორვეგია ხომ რუსეთთან შედარებით პატარაა ფართობით, მოსახლეობით და მსოფლიო მნიშვნელობითაც. ამ ორ პიროვნებას შორის დამოკიდებულება დაახლოებით იგივეა, რაც საიმპერატორო კარზე პატარა ქვეყნისა და დიდი სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის — რაც არ უნდა ნიჭით იყოს ცხებულები პირველი, მაინც მეორის ჩრდილქვეშ აღმოჩნდება...”

დასასრულს, ბრანდესი ამბობს, ტოლსტოიმ რუსი ხალხი გამოადვიდა, ფიქრი ასწავლაო, და თავის სტატეიას ასე ამთავრებს: „ტოლსტოიმ უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო კულტურის განვითარებაზე. საერთო ჯამში მისი ცხოვრება არის და იქნება — ტოლსტოი მსოფლიო ძალა“.







ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მ. ლანსერი

ჰაჯი-მურაზის სიკვდილი





რომენ როლანი ტოლსტოის ნაწარმოებებს ჯერ კიდევ ყრმობისას გაეცნო, ლენინის იდეებსა და მოღვაწეობას კი — პირველი მსოფლიო ომის წლებში, ანუ სამი ათეული წლის შემდეგ.

უცხოური კულტურის ყოველი მოღვაწე თავისებურად აღიქვამდა და საკუთარი გზით მიდიოდა ლენინის იდეებთან, გამონაკლისს არც რომენ როლანი წარმოადგენდა.

სასარგებლოა თვალი გავადევნოთ, როგორ შეამზადა ტოლსტოის ქმნილებათა შესწავლამ როლანი ლენინური მოძღვრების აღსაქმელად ან, თავის მხრით, როგორ დაეხმარა მას ლენინი ღრმად ჩასწვდომოდა ტოლსტოის შემოქმედებას.

### 1

პირველი მსოფლიო ომის წინ, დასასტამბად რომენ როლანის რჩეულ ნაწერებს („გმირული ყოფის უბრალოება“) რომ ამზადებდა, კრიტიკოსმა ალფონს სეშემ მწერალს კრებულისათვის გამიზნული წინასიტყვის მონახაზი გაუგზავნა. 1912 წლის ექვსი თებერვლით დათარიღებულ საპასუხო ბარათში როლანმა წერილის იმ აბზაცის რედაქცია მოისურვა, სადაც ტოლსტოისადმი მისი დამოკიდებულებაა გამყლავნებული. აქვე ირკვევა, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა სპინოზამ როლანზე, მისი სახელი როლანისათვის იყო მაგიური სიტყვა, რომლის წყალობითაც ფრანგი ავტორი ჩაწვდა ამქვეყნიური ყოფის ღვთაებრივ ბუნებას.

როლანმა ტოლსტოის შემოქმედებაში ყოველი ცოცხალისადმი იგივე სიყვარული აღმოაჩინა, რითაც თავად სულდგმულობდა და ამ სამყაროთი უფრო მოიხიბლა, ვიდრე ტოლსტოის რელიგიური თუ ზნეობრივი მრწამსით.

როლანის ბიოგრაფიული ნარკვევი „ტოლსტოის ცხოვრება“ იმ დროს იწერებოდა, როდესაც მწერალმა ნაწილობრივ უარყო „ჟან კრისტოფის“ ცენტრალური ნაწილების („ჯანყი“, „ბაზრობა მოედანზე“) მუამბოხე სულისკვეთება. ამ ნაშრომში უკრიტიკოდაა გადმოცემული ტოლსტოის ქრისტიანული მსოფლხედვა (როლანს კრიტიკისაგან თავი შეუკავებია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლახან გარდაც-



ვლილი „საყვარელი გენიისადმი შვილური მოკრძალების გამო“). თუმცა წინა პლანზე გაბედულადაა გამოტანილი ტოლსტოის „დაუნდობელი რეალისტური ხედვა“, „ნათელხილვა მხატვარი-რეალისტისა“, ვისთვისაც „განუყოფელია ხელოვნება და ცხოვრება“. ამასთან, ამ ნარკვევში ტოლსტოის სახე რევოლუციამდელი რუსეთის შეურიგებელ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა ფონზე წარმოგვიდგება.

შეუსაბამობანი ყველგან შეიმჩნევია, — ამტიკცებს როლანი, — სადაც კი ტოლსტოის რწმენა მისსავე რეალიზმს ემთხვევა. მათ შორის კონტრასტი მით უფრო გასაოცარია, რომ რაც უფრო მეტი დრო გადის ტოლსტოის უაპელაციო და დაუსაბუთებელი რწმენის საპირისპიროდ, გაბედული და ბასრი ხდება მწერლის რეალიზმი: ასე, მაგალითად: „აღდგომის“ ევანგელური დასასრული მთლიანი სიუჟეტის ლოგიკას ეწინააღმდეგება. რა ხდება? — ეს გენიის ახირებაა, თუ აზრი „გაქვავდა“ მოხუცებულობის გამო? როლანს არ შეეძლო — და არც უცდია — ამ განსაცვიფრებელ წინააღმდეგობათა მიზეზის პოვნა. ნაცვლად ამისა, მან მოახერხა დასავლეთის მკითხველისთვის ეჩვენებინა საზოგადოებრივი მღელვარების, სტიქიური სახალხო პროტესტისა და დიად გარდაქმნათა მოლოდინის ის ატმოსფერო, რომლის გარემოცვაშიც დიდი რუსი რეალისტის ხელოვნება ყალიბდებოდა.

როლანის ამ წიგნის სოციალური არსის სიახლე და სიმასვილე საფრანგეთის ინტელიგენციის გამორჩეულმა ნაწილმა მაშინვე იგრძნო, განსაკუთრებით ეს ითქმის ჟან-რიშარ ბლოკზე:

„თქვენმა წიგნმა, — წერდა იგი, — მაინძულა შემეცნო, რომ ტოლსტოი, პირველი თუ არა, ყველაზე ძალოვანი მაინცაა მოციქულთა შორის, ვინც ამამინდელი მსოფლიოს ტანჯულთ თანამედროვეთა სახილთ ესაუბრება“.

ბლოკის შეკითხვაზე — როგორ შევუთანხმოთ ტოლსტოის ასკეტიზმი და თავგანიწრულობა ცხოვრების კანონიერ მოთხოვნებსო, — როლანი პასუხობდა: „ტოლსტოის იდეალი მოძრაობა და გამუდმებული ძიებააო. აი, რატომ იქცა გმირული ტოლსტოველობა — ტოლსტოველობა ტოლსტოისა პრინციპად, რომელმაც კაცობრიობის ენერჯიას უკიდველანო სამოქმედო ასპარეზი გადაუშალა.

რადა თქმა უნდა, მოქმედების სხვა

პრინციპებიც არსებობს; მე მათ არ უარყოფ. სამყარო ხომ სიმფონიაა, სადაც ყოველ ინსტრუმენტს საკუთარი პარტია აქვს. თუ შეიძლება და დირიჟორის პარტიტურას ამოიკითხავ, მაშინ შენს პარტიასაც უკეთ შეასრულებ“.

ევანგელურად კი არა, პარადოქსულად ჟღერს „გმირული ტოლსტოველობა“. აქ როლანი მეტისმეტად სუბიექტურად ხსნის ტოლსტოის იდეურ მემკვიდრეობას. და მაინც ბოროტებასთან შეურიგებლობა — ესაა კაცადყოფნისთვის უმაღლესი ზნეობრივი მოთხოვნების შესაბამისი მოქმედება.

როლანი აღტაცებული ლაპარაკობს ტოლსტოის, როგორც ფსიქოლოგის, ოსტატობასა და ეპიკურ ხელოვნებაზე. „მოხარული ვარ, „ომი და მშვიდობა“ რომ გიყვართ, — სწერდა იგი ელზა ვოლფს 1907 წლის 29 სექტემბერს. — ამქვეყნად მსგავსი არაფერი მეგულება. მაინც რა მიყვარს? ყველაფერი. და კიდევ? ნატაშა. ვიზიარებ თქვენს აზრს ტოლსტოის ქალებზე. მე მინაჩნია, რომ ისინი ტოლსტოის მამაცაყებზე მაღლა დგანან“. „ტოლსტოის, მის გულმოდწყალებზე მეტად, სიცოცხლის ხვავრიელობის გამო ვეჭრები“.

დროდადრო როლანის წერილებში ტოლსტოი თითქოს უჩინრად, მაგრამ მაინც ძალზე აშკარად წარმოდგება. დიდი რუსი რეალისტის სოციალური კრიტიციზმის ძალამ ღრმა კვალი დააჩნია მის ცნობიერებას. რომენ როლანს ტოლსტოის შეხედულებები განუშორებლად თან სდევდა პირველი მსოფლიო ომის წლებშიც. როლანი ცდილობდა ტოლსტოის მაგალითით აღეფრთოვანებინა თანამედროვენი. 1914 წლის ოქტომბერში შვეიცარიელ პასტორს ადოლფ კელერს სწერდა: „როგორ მოხდა, რომ ერთი მაღალსინდისიერი გერმანელიც არ მოიძებნა, ვინც შეძრწუნდებოდა და ტოლსტოის მსგავსად პროტესტს გამოთქვამდა სახელმწიფოსა და არმიის წინააღმდეგ? ყურს არ დაუგდებდნენ? მერე რა! ხმას ხომ მაინც გაიგონებდნენ?! მარად ცოცხალი ქრისტეს ხმის მსგავსი ამგვარი ხმები ხომ გამუდმებით ესმის ქვეყანას“. სტატიაში „ტოლსტოი — თავისუფალი მოაზროვნე“ რუსი კლასიკოსი წარმოგვიდგება ზნეობრივი დამოუკიდებლობისა და შეუპოვრობის ნიმუშად, მამაც და მოუსყიდველ მანხილებლად, რომელიც მარტოდმარტო იბრძვის გამეფებული ბოროტების წინააღმდეგ და ყველასა და ყველაფერს უპირისპირდება. მაგრამ ტოლ-



სტოი აქ ეწინააღმდეგება არა მარტო ხელისუფალთა დესპოტიზმს, არამედ „ბრბოს“ ცრურწმენასაც: აქ ხაზგასმულია ტოლსტოის პროტესტის ერთგვარად განყენებული ხასიათი, მისი, ასე ვთქვათ, „ეთიკური ანარქიზმი“.

სეშესადმი ომამდე მიწერილ წერილში ტყუილად როდი დაიბევა როლანმა „შემდგომი ცვალებადობის უფლება“. ანტიმilitარისტული მოღვაწეობის გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია; თანდათან იმძლავრა სურვილმა არა ჩუმად ან მინიშნებით, არამედ ნათლად და გარკვევით გამიჯვნოდა ტოლსტოის წინაღუდგომლობის იდეებს.

როლანის მეგობარმა და თაყვანისმცემელმა, პოეტმა პიერ ჟან ჟუვმა დაწერა პუბლიცისტური წერილი „ჩვენ, მონები“, რომელშიაც დაახლოებით ტოლსტოის პოზიციებიდან აკრიტიკებდა თანამედროვე ტიპის სახელმწიფოს და თანმიმდევრულ პაციფიზმსა და ცალკეულ ადამიანთა მხრივ სამხედრო სამსახურის ერთპიროვნულ უარყოფას ქადაგებდა.

ხელნაწერის წაკითხვის შემდეგ როლანმა ჟუვს მისწერა: „ტოლსტოის იდეების ბოლომდე“ მქადაგებელს უნდა ახსოვდეს და ითვალისწინებდეს, რომ იგი უმცირესობას უბიძგებს უმრავლესობასთან საბრძოლველად. დე იყოს ასე, არ ვდაობ. ოღონდ დაფიქრდით. „ნაციონალური ომები სოციალურს მოიყოლებენ თან. ხართ კი ამისათვის მზად?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყოველი ადამიანის უპირველესი მოვალეობაა“.

ამავე თემას უბრუნდება როლანი 1916 წლის 17 ივლისის ჟუვისადმი მიწერილ მეორე წერილშიც. აქ იგი მეგობარს აფრთხილებს — რელიგიური რწმენის ხარისხში აყვანილი ტოლსტოველობა ფანატიზმისაკენ ბიძგიაო.

„...წინაღუდგომლობის რწმენისადმი ჩემი სიფრთხილე როდი ნიშნავს, თითქოს მას ამაღლებულად არ მივიჩნევდე, მაგრამ ევროპაში მე ვეძებ ისეთ სულს, რომელიც ამ უნაკერო სამოსს მოიხდენს; და უნდა გამოვტყდე, რომ ამაოდ დაგშვრი. მადლობა უფალს, რომ ესოდენ რთული სულის ადამიანები ვართ, ამდენი გონებრივი და მორალური მოთხოვნილებანი გაგვჩინია! ტოლსტოისებურ რწმენას რომ ფლობდე, არ კმარა მასავით დიდი გული გიცემდე“

მხოლოდ, არამედ, და უთუოდ, იმასაც უნდა იყო მოკლებული, რაც მას აკლდა... თვით ტოლსტოიც ძლივს თავსდებოდა ამ ჩარჩოებში. მორწმუნე კაცი ღირსია ალტაცებისა. მაგრამ ჭეშმარიტ მორწმუნედ რომ იქცე, ბოლომდე თანმიმდევრული უნდა იყო. ტოლსტოიმ ვერ მიაღწია ამას, სურდა კი მიეღწია, რაც მხოლოდ ქრისტემ შეძლო ყოვლის განწირვითა და... შეგნებული თვითგანადგურებით. აბა ვიკითხოთ, რომელი დროის უკეთილშობილეს სულს ძალუძს გაჰყვეს ქრისტეს და სიცოცხლესთან ერთად გაწიროს ისიც, რაც ამ სულთა ცხოვრების მიზანია. გაწიროს ხელოვნება, მეცნიერება, მეამბოხე სული, მთრთოლვარე ოცნება, იჭვის მაცოცხლებელი სუნთქვა?

მე მიყვარს და თაყვანსა ვსცემ ტოლსტოის; მაგრამ „მეტისმეტად ვიწროა კარი, რომლითაც თავს დავალწევდი ცეცხლმოდებულ სახლს“. ალბათ შევძლებდი იმ კარიდანაც დამეხსნა თავი, ჩემთვის უუძვირფასესს თუ ცეცხლში დავტოვებდი. მაგრამ მიჩვენია მასთან ერთად მეც დავიფერფლო (ჩვენს შორის დარჩეს და — მე იმედი მაქვს ცეცხლს გამოვტაცო ჩემი თავიცა და სხვებიც)“.

ეს წერილი, რომელიც როლანის სტილისათვის ნიშანდობლივი გართულებული ხატოვანებით ხასიათდება, გადმოგვცემს მწერლის გაუბედავი და მერყევი აზროვნების ძიებებს, მწერლისა, ვინც იგრძნო საჭიროება, მღელვარე სოციალური სინამდვილის პირისპირ მდგომს, ზუსტად და და აშკარად გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ტოლსტოველობის ქრისტიანულ-ასკეტური დოქტრინისადმი, ეს საჭიროება, ეს მოთხოვნილება მით უფრო გარდუვალი და აუცილებელი იყო, რამდენადაც როლანი გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გრძნობდა ახალგაზრდა ლიტერატორთა წინაშე, ვინაც ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დაუეჭვებლად მიჰყვებოდა მის გზას.

პასუხისმგებლობის ამავ გრძნობითაა ნაკარნახევი ოქტომბრის რევოლუციამდე მცირე ხნით ადრე ჟან-რიშარ ბლოკისადმი მიწერილი სიტყვებიც: „არც ისეთი ტოლსტოველი ვარ, როგორც ვჩანვარ“.

ომის წლების სისასტიკემ უკარნახა როლანს, ტოლსტოისადმი ღრმა სიყვარულის მიუხედავად. „ქმედების სხვა პრინციპები“ მოეძია.



ომის შემდგომ წლებში როლანმა გადაწყვიტა, რეაქციისა და ახალ ომთა საშიშროების მოსაგერიებლად, საერთაშორისო მასშტაბით გაეერთიანებინა შემოქმედებითი ინტელიგენციის ძალები (სწორედ ამის თაობაზე სწერდა იგი 1920 წლის 16 მარტს ბერტრან რასელისადმი გაგზავნილ ბარათში). ომის ძნელბედობის უამს „დამოუკიდებლად მოაზროვნენი“ — აინშტაინი, რასელი და თვით როლანიც — ტრაგიკულად დაშორდნენ ერთმანეთს. ყოველი მათგანი მეტნაკლებად განცალკევებულ ცხოვრებას ეწეოდა, მხოლოდ საკუთარი შიშისა და რისკის ფასად თუ აიმაღლებდა ხმას. „რამდენად ეფექტური იქნებოდა ჩვენი გამოსვლები, მოქმედების ერთიანი ცენტრი რომ გვექონოდაო, — წერდა როლანი და განსხვავების წარმოსაჩენად ორგანიზებულად, ერთობლივად მეზობლ რუს რევოლუციონერ-ემიგრანტებს იგონებდა. მხოლოდ რუსებმა შეძლეს 1914—1917 წლებში შვეიცარიაში ჩამოეყალიბებინათ მოზრდილი დაჯგუფება, ამ დაჯგუფებამ ალბათ არანაკლებ შეუწყო ხელი ნოვატორული აზრის ფორმირებასა და განმტკიცებას, რითაც დღეს ხელმძღვანელობს რუსეთი და აოცებს კიდევ მთელ მსოფლიოს“. აქ ლენინის სახელი არ არის ნახსენები, მაგრამ იგი იგულისხმება.

ისტორიის ლოგიკა როლანს არწმუნებდა ბრძოლის კოლექტიური, ორგანიზებული ფორმების უპირატესობაში. ამიტომ რუსი ბოლშევიკების რევოლუციამდელი მოღვაწეობის გამოცდილება მას მეტიმეტად საყურადღებოდ ესახება.

როლანის ანტისაომარი მოღვაწეობის შესახებ ლენინმა უფრო ადრე შეიტყო, ვიდრე როლანი რუსი ემიგრანტი ბოლშევიკების ბრძოლას გაეცნობოდა.

ლენინურ პუბლიცისტიკაში სიტყვა „ნაციონალისტს“ ყოველთვის როდი ჰქონდა ის საძრახი აზრი, რაიც ახლა აქვს. და მაინც პირველი აღქმისას (დაიხ, მხოლოდ პირველი აღქმისას) გვაოცებს როლანის მიმართ გამოყენებული ეს განსაზღვრება. ომის დასაწყისში როლანს არ შეეძლო მთლიანად უარყო ფრანგული ნაციონალიზმის ცრუ შეხედულებანი. მხეცური ძალდატანების, კაცთმოდულე ინსტინქტების ვალვივებისა და კულტურის ძეგლთა ნგრევისადმი წინააღმდეგობის მიუხედავად, იგი მაინც ფიქრობდა, რომ კაიზერულ იმპერიალიზმთან საფრანგეთის ბრძოლა არ-

სებითად სამართლიანი საქმეა (ფსიქოლოგიურად ეს გასაგებია, რამეთუ ბრძოლა შემოჭრილ გერმანულ არმიასთან საფრანგეთის ტერიტორიაზე წარმოებდა). ლენინური შეფასების შორსმჭვრეტელობა დასტურდება როლანის არა მხოლოდ პირველი, ომის საწინააღმდეგო სტატიების ანალიზით, არამედ ზოგიერთი გამოუქვეყნებელი წერილითაც. როლანს სურდა თავი ემართლებინა მეგობარ-ნათესავთა წინაშე, რომლებსაც ვერ აეხსნათ მისი პოზიცია, და ამის გამო საკუთარ ბიძას მაქსიმ კუროს სწერდა (1914 წ. 28. XII): „თუ ყველა ამ სტატიაში ძველ გერმანიას ვუპირისპირებ ამჟამინდელს, თუ ვამხელ ჩემი თანამემამულეების აზრსა და მოქმედებაში დაშვებულ ყოველ შეცდომას, საზიანოს იმ სამართლიანი საქმისათვის, რომელსაც თავად იცავენ, თუ ბრძოლისას წითელი ჯვრის, ადამიანურობის დევიზს მოგაგონებთ, — ეს იმიტომ, რომ მწამს, პატიოსანი ადამიანისა და კარგი მოქალაქის საქმეს ვაკეთებთ“.

გრძელდებოდა ომი და როლანის სტატიები სულ უფრო ცხადად ასახავდნენ მოვლენებს, მეტ მამხილებელ ძალას იძენდნენ. მაგრამ, როგორც ცნობილია, იგი რევოლუციური ანტიმილიტარიზმის პოზიციებზე არ იდგა და, ამის გამო, სტატიებში ღრმა და მართალი აზრები ხშირად გულუბრყვილო, ყოველისშემწყნარებელ დეკლარაციებსა და პაციფისტურ ილუზიებში იყო აღრეული.

ვ. ი. ლენინისათვის რომენ როლანი მხოლოდ პაციფისტურად მოაზროვნე ერთერთი დასავლეთელი პუბლიცისტი კი არა, დიდი მწერალი, საქვეყნოდ ცნობილი რომანის „ჟან კრისტოფის“ ავტორი იყო. ვ. ი. ლენინი არაერთგზის აღნიშნავდა (განსაკუთრებით მაქსიმ გორკისთან მიმოწერაში), რომ პოლიტიკური მოღვაწისაგან განსხვავებით მხატვარი სინამდვილის შემეცნების საკუთარ გზებსა და საშუალებებს ფლობს.

მართლაცდა, უშუალო დაკვირვებების საფუძველზე ცხოვრების შემსწავლელ მხატვარს ნაკლებად ძალუძს პირდაპირ, გასაგები ფორმით გაუკეთოს დასკვნები ამ დაკვირვებებს, ხოლო პოლიტიკური მოღვაწე, მასებთან უშუალო კონტაქტს გარდა, ვანაგებს ეპოქის დოკუმენტებს, პუბლიცისტიკის, სტატისტიკის, ეკონომიური მეცნიერების მონაცემებს, ფლობს ნაირგვარი



საბუთებისა და მასალების ლოგიკური გა-  
აზრების ჩვევასა და გამოცდილებას. და  
მაინც მხატვარს სინამდვილის შემეცნების  
საკუთარი გზა გააჩნდა. მას საქმე აქვს  
ადამიანთა ხასიათებთან და ბედთან, შე-  
უძლია თავისებურად ჩასწვდეს ადამიანებს,  
საკუთარი განწყობილების მიხედვით აღი-  
ქვას ხალხში, ან მის ცალკეულ ფენებში  
ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესში  
მყოფი გრძნობები, მოთხოვნები, შეხედუ-  
ლებები და, არც თუ იშვიათად, იგი ითვა-  
ლისწინებს, ანგარიშს უწევს მასებში, სა-  
ზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ  
უჩინრად არსებულ განწყობილებას.

სხვადასხვა ეტაპზე ვ. ი. ლენინის პო-  
ლიტიკური აზროვნებისათვის ნიშანდობ-  
ლივია განსაკუთრებული ყურადღება სო-  
ციალური ფსიქოლოგიისადმი, მასების  
განწყობილებისადმი. მილიონობით ადამი-  
ანის, ხალხთა მასების, ანდა ცალკეული  
სოციალური ჯგუფების გრძნობებსა და  
ოცნებებში ლენინი საზოგადოებრივი გან-  
ვითარების მნიშვნელოვან, რეალურ ფაქ-  
ტორს ხედავდა, რასაც პოლიტიკოსები  
უთუოდ უნდა უწევდნენ ანგარიშს.

...მხატვრული და განსაკუთრებით ლი-  
ტერატურული ცხოვრების ფაქტთა ლენინურ  
შეფასებაში მყლავნდება ბრძენი პოლიტი-  
კოსი, ვისთვისაც ხელოვნება სოციალური  
ტიპებისა და ხასიათების, საზოგადოების  
სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიის, გრძნო-  
ბებისა და განწყობის შემეცნების  
მნიშვნელოვანი წყარო იყო.

ამ აზრით, ყურადსაღებია მისი მსჯე-  
ლობანი თანამედროვე უცხოელ მწერლებზე.  
ბარბიუსის რომანებში „ცეცხლი“ და „სი-  
ცხადე“ ლენინმა დაინახა, როგორც ცნობი-  
ლია, მასებში რევოლუციური შეგნების  
ზრდის „უთვალსაჩინოესი დადასტურება“,  
ხოლო საბჭოთა რუსეთის ბლოკადის წინა-  
აღმდეგ კულტურის ფრანგ მოღვაწეთა ჯგუ-  
ფის მოწოდების შესახებ, რომელსაც ანა-  
ტოლ ფრანსი აწერდა ხელს, ლენინმა  
თქვა, რომ ეს იყო „გამარჯვება, თვით  
იმპერიალისტური საფრანგეთის შიგნით  
მოპოვებული“, რამეთუ ინტელიგენციას  
„გამოარჩევს თვისება, იყოს კარგი ბარო-  
მეტრი, გვიჩვენებდეს, საით იხრება წვრი-  
ლი ბურჟუაზია, გვიჩვენებდეს, საით იხრე-  
ბა საზოგადოებრივი აზრი“...

როლანი ომამდეც ბევრს ფიქრობდა  
რუსულ განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.  
იგი გულმხურვალედ შეეხმინა 1905 წლის

რევოლუციას, რომელმაც, მისი სიტყვებით,  
„უკან მოიტოვა პატივის კომუნა“.

1917 წლის აპრილში როლანის დღი-  
ურში პირველად ჩაიწერა და ომის დასას-  
რულამდე მრავალგზის განმეორდა ლენი-  
ნის სახელი. სწორედ ამ ხანებში ფრანგუ-  
ლი ჟურნალის „დემენის“ ფურცლებზე (რო-  
მელშიაც თვითონაც თანამშრომლობდა)  
დასტამბულ ილიჩის უამრავ ნაშრომს გა-  
ეცნო იგი.

„წარსულთან დამშვიდობებაში“ როლა-  
ნი იგონებს, რომ 1917 წლის მარტში  
გილბოს მეშვეობით ლენინმა იგი რუსეთ-  
ში მიიწვია. ცნობილია ბერნიდან ჟენევა-  
ში ანრი გილბოს სახელზე ლენინის მიერ  
გაგზავნილი დეპეშა, რომელშიც ასეთ ფრა-  
ზასაც ვხვდებით: „პრინციპში თუ თანახმაა,  
ჩამოიყვანეთ რომენ როლანი“.

1917 წლის 24 მაისს როლანი ჟან-  
რიმარ ბლოკს სწერდა: „ჯანმრთელად  
ვარ, ვმუშაობ; უკანასკნელ ხანებში რამდენ-  
იმე რუსი გავიცანი; მაქვს მეგობრული  
მიმოწერა გორკისთან. ძალიან მინდა ჩა-  
ვიდე და ვნახო, რა ხდება რუსეთში. შეე-  
იცარიამი გალიაში დამწყვდეული მტრე-  
დივით ვგრძნობ თავს, ფრთები მტკივა და  
დაოსებული აქეთ-იქით ვაწყდები“.

როლანს ბევრი რამ ჰქონდა წაკითხუ-  
ლი და მოსმენილი ვ. ი. ლენინზე და  
ამის გამო იზიდავდა მისი პიროვნება.  
ჯერ კიდევ 1917 წლის 12 აპრილს მან  
თავის დღიურში ჩაწერა: „უსარგებლოა  
ლენინთან კამათი. როცა რაიმე სურს,  
უკან ვერავინ დაახვეინებს. ლუნაჩარსკის  
თქმით, იგი გამორჩეული ენერგიის ადა-  
მიანია და მასებზე უჩვეულო ზეგავლენა  
აქვს, იგი ერთადერთია სოციალისტ ბე-  
ლადთა შორის, ვისაც შესწევს უნარი ამ-  
გვარად იმოქმედოს მასებზე, რადგან მისი  
მიზანი ნათელია, და შეუძლია საკუთარი  
ნება მოახვიოს მასებს. პირველ მაისს რო-  
ლანმა ვრცელი ნაწყვეტები ამოიწერა ლე-  
ნინის სტატიიდან „გამოსათხოვარი წე-  
რილი შევიცარიელი მუშებისადმი“ და მა-  
ლალი შეფასება მისცა სტატიაში გამოვ-  
ლენილ მის „მკაცრ ენერგიასა და გრან-  
დიოზულ სიწრფელეს“. როლანმა მთლია-  
ნად გადაიწერა დღიურში ფრანგ ინტერ-  
ნაციონალისტთა მანიფესტი, რომელიც ამ-  
გვარად იწყება: „სახელოვანი რუსული  
რევოლუცია ახალი ერის დასაწყისია მსოფ-  
ლიოს ისტორიაში“.

1918 წლის სექტემბერში როლანი წერ-  
და:



„პეტროგრადში მოაწყვეს ლენინზე თავდასხმა, იგი მძიმედაა დაჭრილი, ხოლო მეორე ბოლშევიკი, შინაგან საქმეთა კომისარი, ურიცკი მოკლეს (2 სექტემბერს). მთელი ევროპის ბურჟუაზიული და ომისმჭადაგებელი პრესა ცდილობს საჩქაროდ გაავრცელოს ცნობა, თითქოს ლენინიც გამოსალმეს სიცოცხლეს და მე აქ, ჩემს გვერდით, შვეიცარიის სასტუმროში, ვუმზერ სახეგაბრწყინებულ ბრიყვ ადამიანებს. ერთი მათგანი, ახალგაზრდა ფრანგი ქალი (პარიზის ერთ-ერთ უმდიდრეს ოჯახში რომ ასწავლის) დერეფანში გაპყვირის, ეს სიხარული შამპანურით უნდა აღვნიშნოთ. ო, რა ცხადია რუსული რევოლუციისადმი (შიშით ნაშობი) უმძაფრესი სიძულვილი, რომელიც მთელი ევროპის — მთელი მსოფლიოს — პროგრესულ თუ მოკავშირე სახელმწიფოთა ბურჟუაზიას გასჩენია! ყოველი მათგანი საკუთარ ფულის ტომარას დაჰკანკალებს“.

როლანი ცდილობდა, შეძლებისდაგვარად, დაპირისპირებოდა რეაქციული პრესის ანტისაბჭოურ კამპანიას, რაც იოლი საქმე როდი იყო.

1918 წლის ოქტომბრის დღიურში მან პუბლიცისტი ელენ კლაპარედ-სპირისადმი მიწერილი ღია წერილის სრული ტექსტი აღადგინა. ეს წერილი შემოკლებით დაისტამბა შვეიცარულ ჟურნალ „ესორში“, რომლისგანაც აი ეს სტრიქონები იყო ამოღებული: „ბოლშევიზმს დეზორგანიზაცია კი არ შემოუტანია. პირიქით, მან ქაოტურად, მაგრამ მაინც, წესრიგის შემოტანა სცადა. სცადა მატერიალური და მორალური რღვევის მდგომარეობაში მყოფი ევროპისათვის ახალი სოციალური პრინციპები მიეცა...“

„ძალადობის მომხრე არ ვარ არც ომსა და არც რევოლუციაში, მაგრამ ვაღიარებ ენერჯიისა და გონების საუკეთესო თვისებებს, ყველგან სადაც კი ვიხილავ“.

როლანი ბოლშევიზმის იდეებს არ იზიარებდა, იგი თვალნათლივ ხედავდა კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ევროპაში, აღშფოთებული იყო ბურჟუაზიის უსინდისო სიმკაცრით, მაგრამ ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს მაინც არ იზიარებდა. როლანი საბჭოთა რუსეთის თანამოაზრე არ ყოფილა, მაგრამ მისი მეგობარი და მოკავშირე კი იყო; დიდად ახარებდა ლენინური საქმის წარმატებები.

1919 წლის აპრილში როლანს ეწვია

შვეიცარიაში მუდმივად მცხოვრები ტოლსტოის მიმდევარი და ბითგრაფი უკოვი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო საბჭოთა რუსეთიდან. როლანმა დაუფარავი სიამოვნებით ჩაწერა დღიურში, რომ „ყოველგვარი ძალადობის მოწინააღმდეგე, წმინდა ტოლსტოველი ბირიუკოვი იმედიანი შთაბეჭდილებებით დაბრუნდა რევოლუციური რუსეთიდან“. ბირიუკოვის ცნობით, ტერორი საბჭოთა ხელისუფლების მხრივ „საპასუხო რეაქცია“ იყო თეთრთა „ბევრად მკაცრი“ ტერორისადმი“. და რევოლუციის მიერ დამარცხებულ კლასთა ნაწილი მზადაც კი არის აღიაროს ლენინის ძალა, „ანარქიის მოთოკვის“ მისი უნარი და საკუთარი ნებით დაემორჩილოს მას.

როლანმა განსაკუთრებული ინტერესით გამოჰკითხა სტუმარს საბჭოთა ხელისუფლების კულტურული პოლიტიკის საკითხებზე და დღიურში ჩაიწერა: „საბჭოები მნიშვნელოვან თანხას გამოყოფს განათლებისათვის და არანაკლებს — ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარებისათვის“. „ლუნაჩარსკი გულუხვად იძლევა სუბსიდიას, ტოლსტოის თხზულებათა სრულ და პოპულარულ კრებულთა გამოსაცემად, რომელსაც საერთო ხელმძღვანელობას ჩერტოკოვი უწევს. რაც შეეხება ტოლსტოის ოჯახს, იგი მშვიდად ცხოვრობს იასნაია პოლიანაში, რადგან გლეხები მფარველობენ“.

„ომის წლების დღიურის“ 1917—1919 წლების ჩანაწერები ასახავს როლანის რთული მსოფლმხედველობის არაერთ მხარეს — იმპერიალისტური სამყაროს სიძულვილსა და რევოლუციური ძალადობის უარყოფას, გაფაციცებულ-გაუცხოებულ დამოკიდებულებას პროლეტარიატის დიქტატურისადმი და ლენინის ქვეყნის ჭკმში რიტ. გულწრფელ სიყვარულს.

როლანის შემდგომ სულიერ და შემოქმედებით განვითარებაზე ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის გავლენის, 20—30-იან წლებში მისი ძიების გზათა სირთულის შესახებ ბევრია თქმული როგორც საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეების შრომებში, ისე თვით როლანის ავტობიოგრაფიულ ნარკვევებში — „დამშვიდობება წარსულთან“ და „პანორამა“.

ახლა თვალი მივადევნოთ ამ ძიებათა მსვლელობას კონკრეტული, ჩვენთვის საინტერესო პრობლემის კუთხით.



დიდოსტატის იდეურ განვითარებაში ზოგჯერ ძალზე მოულოდნელად ერწყმიან ერთმანეთს ძიება და წინასწარგანჭვრეტა, მარცხი და წინსვლა. როლანიმა 1931 წელს გამოქვეყნებულ სტატიაშიც „დამშვიდობება წარსულთან“ ისეთნაირად მოიხსენია „ეკონომიური მატერიალიზმის რკინის კანონი“, რომ იგრძნობოდა, არ ეთანხმებოდა მას. არც შემდეგ ქცეულა მარქსისტად და კომუნისტად. მეორე მხრივ, მისი ომის-შემდგომი მოღვაწეობა „მოხიბლული სკლის“ რევოლუციური ფინალით და ტრაგედია „რობესპიერის“ ისტორიული სიბრძნით დაგვირგვინდა.

ომისშემდგომ წლებში როლანი სხვადასხვა პირთადმი მიწერილ ბარათებში დაჟინებით იმეორებს, რომ იგი ტოლსტოველი არ არის! ამ გამოთქმის მოჩვენებით საბაბად იქცა ვ. ბულგაკოვის წიგნი „ქრისტიანული ეთიკა“. „ლ. ნ. ტოლსტოის მსოფლმხედველობის სისტემატური ნარკვევები“. როლანი მთარგმნელს წინასიტიყვაობას შეჰპირდა ამ წიგნის ფრანგული გამოცემისათვის, მაგრამ ხელნაწერის გაცნობის შემდეგ უარი თქვა პირობაზე.

როლანი თავის მეგობარ ჟანა მენილს წერდა:

„გულწრფელად გეტყვი, შევწუხდი... აუტანელია იმის შეგრძნება, თითქოს ისევ უკან ვბრუნდები — წარსულისაკენ, რომელიც ჩემთვის უკვე მკვდარია და ძლეული.

მეორე მხრივ, როდესაც დავინახე ეს წარსული, პირველად ათი-ოცი წლის შემდეგ მოწაფე-ტოლსტოველის სარკეში, რომელიც აშკარად გამოაჩენს ყველა ნაკლს, მტანჯველი ძალით ვიგრძენი მორალის მქადაგებლური ფილისტერობა, შეზღუდულობა, უსამართლობა, ბარბაროსობა და უმეცრება.

თავზარდამცემია ამის თქმა, მაგრამ არ შემიძლია, ვიცრუო“.

თვით ტოლსტოის ნაწარმოებებსა და საუბრებში, წერს შემდეგ როლანი, ყველაზე უკმეხი და შემაშფოთებელი მსჯელობებიც კი მისი დიადი პიროვნების დაღს ატარებენ.

„მაგრამ როდესაც ღვთისმოსიში ტოლსტოველები აიტაცებენ მასწავლებლის სიტყვებს, მაშინ, ნურას უკაცრავად! აქ სამხიარულო აღარაფერია. გგონია კატეხიზმოს გაკვეთილს ესწრები.

„ქრისტიანულ ეთიკაში“ როლანი განსა-

კუთრებით შეაცბუნა მსატყველი მემკვიდრეობის უგულვებლყოფამ. თავის დროზე მას მიაჩნდა, რომ შექსპირის ანდა ბეთ-ჰოვენისადმი ტოლსტოის წინასწარგამიზნული უარყოფითი დამოკიდებულება სხვა არა იყო რა, თუ არა გენიის უცნაურობა, რომელიც შეიძლება არც შენიშნო. „არავისა აქვს უფლება, — წერდა როლანი „ტოლსტოის ცხოვრებაში“, — გენიალური მხატვარ-შემოქმედისაგან მოითხოვოს მიუკერძოებელი კრიტიკოსობა“. მაგრამ „ქრისტიანული ეთიკის“ წაკითხვის შემდეგ კი გაიანზრა როლანი, რაოდენი ზიანის მოტანა ძალუძს ამგვარ უსამართლო შეფასებას, მით უფრო განზოგადებულსა და უცილობელ ჭეშმარიტებათა რანგში აყვანილს.

„წარმოვიდგინე როგორ იმოქმედებდა ეს წიგნი უბრალო მკითხველზე. ვფიქრობ, რომ იგი მხოლოდ გააღვივებს გაუნათლებელი პროლეტარების სიძულვილს უანგარო ინტელიგენციისადმი. უცნაურია, რა უცხოოდ და მიუღებლად ეჩვენება ტოლსტოის აზრი ლიტერატურასა და ხელოვნებაში უანგარო მოღვაწეობისა და ძიებათა შესახებ! მაგრამ იგი თავს იტყუებს, არსებითად კი საპირისპირო სჯერა.

ერთი ინდური წიგნის კითხვა დავასრულე. ო, რაოდენ იოლად სუნთქავს კაცი დიადი ბრძანული აზრის სფეროში! ნეტავ, როგორღა მოიძებნა ადგილი ყველაფრისათვის — ხელოვნებისათვის, მეცნიერებისა და კაცთა სიყვარულისთვის. ასევეა „ომისა და მშვიდობაში“. მე მიმაჩნია, რომ ტოლსტოის დიადი წიგნი უფრო რელიგიურია, ვიდრე ღვთისმოსაობის მისეული სახელმძღვანელოები“.

სტატიებსა და წერილებში როლანი ხშირად მოუხმობს სიტყვა „რელიგიურობას“, მაგრამ ამ სიტყვაში ეკლესიისა და ქრისტიანული მოძღვრებისაგან საკმაოდ დაშორებულ რაიმეს — ადამიანთა დამაკავშირებელ უმაღლეს ზნეობრივ საწყისს გულისხმობს. ამის თაობაზე იგი ჯერ კიდევ 1908 წ. წერდა აბატ ჰერლს: „ყოველი დიადი იდეა... რელიგიურია თავისებურად. და ეს მე გულწრფელად მწამს მხოლოდ მაშინ, თუ სიტყვას „რელიგიური“ წმინდა ადამიანური აზრი ეძლევა“. ამ ასპექტში მას „ომისა და მშვიდობის“ რელიგიურობაზეც შეეძლო ემსჯელა და საკუთარ თავზეც, ვით რელიგიურ ნატურაზე.



როლანის მოსაზრებანი სიძულვილზე, რომელსაც თითქოსდა ინტელიგენტის შრომისადმი განიცდიან „გაუნათლებელი პროლეტარები“, „კლარტეს“ ჯგუფის დისკუსიათა უშუალო გამოძახილი იყო. ამ ჯგუფის მოღვაწეთა შორის იყვნენ სექტანტური, მემარცხენული ყაიდის ლიტერატორები, რომლებიც ხელოვნებაზე პრიმიტიულ-უტილიტარულ შეხედულებებს ნერგავდნენ და, მიიწერდნენ რა მუშათა კლასის სახელით ლაპარაკის უფლებას, უხეშად ესხმოდნენ თავს მხატვრულ ინტელიგენციას. შემდგომში ეს პირები კომუნისტურ მოძრაობას განუდგნენ და თვითვე გაამჟღავნეს თავიანთი თავი. მაგრამ, როგორც როლანის მრავალი წერილიდან ჩანს, 20-იანი წლების დასაწყისში მათ გარკვეული დროით მაინც შეძლეს მცდარი წარმოდგენა შეექმნათ მწერლისათვის რევოლუციური პროლეტარიატის დამოკიდებულებაზე კულტურისა და კულტურის მოღვაწეებისადმი.

ომის წლებში როლანმა ბევრად უკეთ შეიგრძნო მწერლისა და საერთოდ შემოქმედებითი შრომის ღირებულება. ამ ხნის მანძილზე იგი უამრავ მადლობის წერილს იღებდა ფრონტელთა და მათი ოჯახის წევრთაგან. როლანი მორალურად მხარში ამოუდგა ომით გატანჯულ ადამიანებს. ანტიმილიტარისტული მოღვაწეობის გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ მწერალი, ხელოვნების მოღვაწე, მნიშვნელოვანი სოციალური ძალაა, რომელსაც უნარი შესწევს საგრძნობი გავლენა მოახდინოს, ისტორიული მოვლენების მსვლელობაზე თუ არა. ადამიანთა ცნობიერებასა და გრძნობებზე მაინც, და, ბუნებრივია, ამ ვითარებაში იგი მეტისმეტად შეუწყნარებელი იყო ყველაფრის მიმართ, რასაც, მისი აზრით, შეეძლო ზიანი მიეყენებინა შემოქმედებითი შრომის ღირსებისათვის.

როლანი, როგორც ვხედავთ, იცავს გენიალურ მხატვარს თავგამოდებულ ინტერპრეტატორებისაგან, მაგრამ ამავე დროს მაინც აკრიტიკებს ტოლსტოის მსოფლმხედველობის ჭეშმარიტად სუსტ ადგილებს.

წერილში უცნობი კორესპონდენტისადმი (1924, თებერვალი) იგი წერს: „...მრავალთა აზრის საპირისპიროდ, მე ტოლსტოველი არა ვარ, თუმცა აღმაფრთოვანებს ტოლსტოი მხატვარი და გულითად მადლიერებას ვგრძნობ იმ მამობრივი ზრუნვისათვის, რომელიც ერთხელ ჩემს მიმართ

გამოიჩინა. ორი წლის წინ, როდესაც ერთმა მეგობარმა მარშანის მიერ თარგმნილი ბულგაკოვისეული „ტოლსტოის ეთიკა“ გადმომცა და წინასიტყვაობის დაწერა მთხოვა, მომაკვდინებელი, საკუთარ თავზე შეყვარებული ობსკურანტიზმისადმი ზიზღის გამო, მე უარი ვთქვი ამაზე. ტოლსტოი მხოლოდ იმიტომ მიყვარს, რომ საკუთარ დოქტრინას არაფრით ჰგავს. ტოლსტოველები კი (ზოგიერთის გამოკლებით) შემძაგდნენ, ისინი დოქტრინას უფრო ჰგვანან, ვიდრე ტოლსტოის. და მაინც მივიჩნევ, რომ არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს ნება შეასწოროს, შეაკეთოს, აკრძალოს ტოლსტოის შემოქმედება“.

(უკანასკნელი ფრაზა, როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირში ტოლსტოის თხზულებათა „აკრძალვის“ შესახებ მონაჭორითაა ნაკარნახევი: უცხოელ ტოლსტოველთა მიერ გავრცელებული ამგვარი ხმები დროდადრო როლანამდეც აღწევდა და დიდად აღაშფოთებდა მას. მწერალმა უზომოდ გაიხარა, როდესაც გორკისაგან შეიტყო, რომ გამოსაცემად მზადდებოდა ტოლსტოის არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოებების, არამედ ფილოსოფიური სტატიებისა და ტრაქტატების სრული კრებული).

ოციანი წლების დასაწყისში ტოლსტოის სახელი არაერთგზის მოიხსენიება გორკისთან როლანის მიმომწერაში. როლანი აღფრთოვანებულია გორკის ნარკვევით „ლევ ტოლსტოი“ (რომლის თარგმანს ჯერ კიდევ 1922 წელს გაეცნო) და ინტერესით კითხულობს ტოლსტოის ბიოგრაფიულ მასალებს, 1924 წელს რომ გაუგზავნა გორკიმ.

როლანის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებში (1925 წლის თებერვალი) ერთი ასეთი ფრიად მნიშვნელოვანი ჩანაწერია:

„რით განვსხვავდები როლანისტთაგან და უმეტესად რად მიზიდავენ ანტიროლანისტები?“

სხვაობა ფორმირებაშია.

მე, რეალურმა ფილოსოფოსებმა: სპინოზამ (ტრაქტატი პოლიტიკაზე), მაკიაველმა, შექსპირმა და ისტორიამ ჩამომყალიბეს, ისინი კი — ტოლსტოიმ, სახარებამ და როლანმა.

ტოლსტოის ისეთი ზემოქმედება არ მოუხდენია ჩემზე, როგორც ფიქრობენ! მოაზროვნეზე მეტად მე ის, როგორც მხატვარი, უფრო მიზიდავს.

რეალური ფილოსოფიის საფუძველზე მე შევქმენი (თუ აღვადგინე) რაღაც ევანგე-



ლიზმის მსგავსი და ესაა გზა ხსნიისა, რომელიც მისგანვე გამომდინარეობს.

როლანისტიები კი უნიადაგო, ძალზე სენტიმენტალური და აზარეალური ევანგელიზმიდან ამოდიან.

და სწორედ ამიტომ ბედნიერი ვიყავ, განდის რომ მივაგენი, რომელიც ჩემსავით ძალადობას უკუაგდებს და არა აპრობორული აღიარების უარყოფას.

1921—1922 წლების დისკუსიით როლანი უკმაყოფილოა. სტეფან ცვაიგისა და ჯორჯ დიუჰამელის მსგავსი „როლანისტიები“ როლანზე მეტად განაქიქებდნენ ბრძოლის რევოლუციურ მეთოდებს — ისინი პოლიტიკური მოქმედების ყველა ფორმის ვარგისიანობას უარყოფდნენ. აქედან გასაგებია, რომ ბარბიუსი და მისი თანამოაზრენი რაღაც არსებითში როლანთან „როლანისტიებზე“ ახლოს იყვნენ.

როლანს პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდეც არ ეუცხოებოდა ისტორიის მშფოთვარე კონფლიქტები და გარდუვალად მიიჩნევდა მომავლის სისხლიან შეტაკებებს. მსგავსი შეხედულება ახალგაზრდობაშიაც ჰქონია მას, როცა იტალიაში რენესანსის კულტურას სწავლობდა გატაცებით (ალბათ, მისი ცხოვრების სწორედ „რომაული გაზაფხულის“ მოგონებათა გამოძახილია სტრიქონი, სადაც შექსპირი პარადოქსულად მაკიაველის გვერდით მოიხსენიება).

რეალური სინამდვილის შესასწავლად საჭიროა მისი ობიექტური კანონების გაცნობიერება და არა მორალური სქემების გაფეტიშება.

მეორე მხრივ კი საინტერესოა ისიც, რომ „საღვთო ხელოვნების“ ტოლსტოისეულ კრიტიკას როლანი ისევე უყოყმანოდ იღებდა და ისეთივე გზნებით უჭერდა მხარს, როგორც მეოთხედი საუკუნის წინ.

იგი მწვავედ გრძნობდა, რომ პრივილეგიური არტისტული კასტის (დროდადრო თავადაც რომ „რევოლუციის ცულით“ ემუქრებოდა) ტოლსტოისეული კრიტიკა კვლავაც ინარჩუნებდა აქტუალობას თანამედროვე ევროპისათვის. მაგრამ მართლმორწმუნე ტოლსტოველებთან შეტაკებისას კამათს არ იშლიდა ჭეშმარიტი შემოქმედებითი სულის უფლებების დასაცავად.

ტოლსტოის დაბადების მუასე წლისთავმა საშუალება მისცა როლანს ერთხელ კიდევ გადაეფლო გონების თვალი დიდი

რუსი მწერლის შემოქმედებისათვის და საკუთარ შემოქმედებაზე მისი გავლენა განალიზებინა. 1928 წლის 10 აგვისტოს იმხანად საბჭოთა კავშირში მყოფ რუმინელ პროზაიკოსს პანაიტ ისტრატიუს სწერდა:

„... ვფიქრობ, ტოლსტოის ასი წლისთავის დღეებში თქვენ ან მოსკოვში, ან იასნაიაში იქნებით, მომიგონეთ! ძალიან ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო შეიძლება ვერ ჩამოვიდე. ის ჩემი მეორე კი არა, პირველი მამაა. რა ვუყოთ, რომ ხელოვნების მეცნიერებისა და ადამიანის სულის განუსაზღვრელი თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ მის ბერმონაზვნურ ფანატიზმს არ ვიზიარებ, მე მას თაყვანს ვცემ ადამიანის ბუნების ცოდნისათვის, რაც ადამიანისადმი ღრმა, ყოვლისმომცველ და უდიდეს სიყვარულს ემყარება, მე თაყვანს ვცემ მის შეუპოვარ გულმართლობას, მის შეურიგებლობას ყოველგვარ სიცრუესთან. ამ მხრივ მისი ტოლი არავინ მეგულება“.

სტატიაში „აზიის პასუხი ტოლსტოისადმი“ როლანი ამტკიცებს, რომ „ტოლსტოის შემოქმედება აზიაზე შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, ვიდრე ევროპაზე“.

იყო თუ არა ტოლსტოის გავლენა აზიის ხალხებზე მართლაც ყოველთვის კეთილისმყოფელი? ამ საკითხს როლანი არ აყენებს. ფაქტებსა და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, პოეტურად ამალღებული ტონით ლაპარაკობს იგი ინდოეთის, ჩინეთისა და იაპონიის საზოგადო და კულტურის მოღვაწეთა უწყვეტ სულიერ კავშირზე ტოლსტოისთან. აქ ჩვენ ტოლსტოი წარმოგვიდგება მქადაგებლად, რომლის სიტყვამაც ხელი შეუწყო აზიის ხალხთა ზნეობრივი თვითშეგნების ამალღებას.

ცხადია, განდიზმისაკენ როლანის მისწრაფებამ, ან უფრო ფართოდ — აზიის ხალხების კულტურისა და ტრადიციებისაკენ მისმა მისწრაფებამ, გამოაჩინა როლანის იმ წლების იდეური პოზიციის სუსტი მხარეები — ბრძოლის რევოლუციური მეთოდებისადმი უნდობლობა, განმტკიცება სიყვარულისა და მოწყალებისა, ამ სიტყვების რაღაც განყენებული გაგება. მაგრამ როლანის მსოფლმხედველობის არც პროგრესული ნიშნები მიჩქმალულა. დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძველთაძველი გათიშვის მამტკიცებელ იმპერიალიზმის იდეოლოგთა საპირისპიროდ, იგი მსოფ-



ლიო კულტურის განუყოფლობის აზრს იცავდა.

რომენ როლანი არ იცნობდა პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში დაწერილ ვ. ი. ლენინის შრომებს — „მსოფლიო პოლიტიკის საწვავი მასალა“, „აზიის გამოღვიძება“, „ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია“. მაგრამ აზიის ხალხთა თვითშეგნების ზრდის, აქტიური ისტორიული მოღვაწეობის სარბიელზე მათი გამოჩენის უეჭველი და უცილობელი ფაქტი მხედველობიდან არ გამოორჩენია და კულტურის დასავლეთევროპელ მოღვაწეთაგან პირველმა დაინახა ამ ფაქტში დროების ნიშანი. როლანს იზიდავდა და ახარებდა სწორედ ის, რაზეც ლენინი წერდა 1913 წელს: „შუასაუკუნეობრივ უძრაობაში გაველურებულია და მივიწყებულმა ასობით მილიონმა მოსახლემ გაიღვიძა ახალი ცხოვრების, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და დემოკრატიისათვის საბრძოლველად“.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ როლანი ამ პრობლემაზე გამუდმებით ფიქრობს და შემთხვევას არ უშვებს გამოღვიძებული ხალხისადმი მხარდაჭერისა და კეთილგანწყობის გამოსახატავად. „ჩვენი ჟურნალი რომ იქმნებოდა, — იგონებს „ეროპის“ მთავარი რედაქტორი პიერ აბრამი, — რომენ როლანი დაჟინებით მოითხოვდა, დიდი გულისყურით მოგვიდებოდით აზიის ხალხთა ცხოვრებასა და კულტურას და განდის ბიოგრაფიაც კი გადმოგვცა დასაბეჭდად. ახლა, როცა ვიეტნამელი ხალხის ბრძოლისადმი მიძღვნილ საგანგებო ნომრებს ვამზადებთ, არსებითად როლანის ანდერძს ვასრულებთ“...

როლანის წიგნი განდის ცხოვრებაზე 1924 წელს დაისტამბა, იმავე წელს დაიბეჭდა მისი ცნობილი სტატიაც „ლენინის სიკვდილზე“.

შემთხვევითი არაა, რომ განდიზმის მიმდევრებთან კამათისას როლანი ლენინს იშველიებს. როლანის შეხედულებით, თუ განდის მოძღვრება გარკვეულად ეფექტური აღმოჩნდა ინდოეთის პირობებში, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ განდიზმი „აბსოლუტი“ და ერთადერთი უებარი წამალია. თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს პირობებში აუცილებელია ბრძოლის სხვა საშუალებების გამოყენება.

„რაც შემეხება პირადად მე, — წერდა როლანი, — არასდროს ვიქნები ძალადობის მომხრე. თუმცა ეს ხელს როდი მიშ-

ლის დავინახო, რომ პოზიციისა (რომელსაც მსხვერპლად გაუღია საკუთარი სიცოცხლე), განებივრებულ ფარისეველთა პოზიციასთან შედარებით, არა მხოლოდ მამაცურია, არამედ უფრო შთაგონებულია ადამიანისადმი ჭეშმარიტი სიყვარულით, ხოლო ეს სიყვარული კაცობრიობისადმი თავგანწირული სამსახურის შინაგანი მოთხოვნილებიდან მომდინარეობს!“.

როლანს სწამდა იმპერიალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისათვის განდის მომხრეთა და ლენინის მიმდევართა გაერთიანებისა და საერთო ენის გამონახვის აუცილებლობა (სწორედ მოქმედების ერთიანობის ამგვარი პრინციპი დაედო საფუძვლად 1932 წელს როლანისა და ბარბიუსის მიერ მოწვეულ ამსტერდამის ანტისაომარ კონგრესს).

როლანის ეს მრწამსი აისახა 1930 წლის 15 იანვარს არმინ ვეგნერისადმი მიწერილ ბარათში, სადაც ერთად მოიხსენიება ტოლსტოისა და ლენინის სახელები.

წერილში როლანი ავითარებს თავის საყვარელ თეზისს ადამიანური ბუნების სირთულის, უფრო სწორად, მრავალმხრივობის შესახებ. ადამიანში ნაირგვარი მისწრაფება და შესაძლებლობაა დაგროვილი, ყოველ განსხვავებულ მდგომარეობაში განსხვავებულად წარმოაჩენს იგი საკუთარ არსებას... ეს არაერთხელ დაუმტკიცებია როლანს, ამ პრინციპს ეყრდნობოდა იგი ჟან კრისტოფის, კოლა ბრუნოის, ანნეტის სახეთა შექმნისას. როლანი აქ საუბრობს ადამიანური მე-ს „პიროვნულ“ და „კოსმიურ“ ასპექტზე. მისი აზრით, „კოსმიური“ მე-ს მეოხებით ერწყმის პიროვნება სამყაროს ოკეანეს, კოლექტიურ ცხოვრებას.

„ჩემი მეორე, კოსმიური მე არა თუ არ უარყოფს ტოლსტოისა და ლენინს, არამედ უერთდება მათ და მილიონ სხვასაც და მეც, რომენ როლანიც, ამ არმიაში ვიჭვრ ჩემს ადვილს. ჩემი კოსმიური მე ერთი ჯარისკაცი როდია, იგი ლაშქარია, ოკეანეა, რომელსაც საკუთარი კანონები, თავისი ტალღები და მიქცევა-მოქცევა გააჩნია“...

„ამ თვალთახედვით ვსჯი, — აგრძელებს როლანი, — არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სხვებსაც და განსაკუთრებით რუსულ რევოლუციას, რომელიც თქვენ ძლიერ გაღელვებთ: ვიცი და თვალნათლივ ვხედავ, რომ ჩვენი ეპოქის გიგანტურ ნაკადში ის უმძლავრესი პირველი ტალღაა. ეს



ტალღა დაუნდობელია და თავის გზაზე ანადგურებს ყველასა და ყველაფერს, ჩემთვის რომ ასე ძვირფასი და სათაყვანოა. მაგრამ ის კოსმოსის, მარადიული მე-ს თვითმობრახობაა. თავზე გადაუვლის ტალღას, დაამსხვრევს მას, რათა გზა გაიკვლიოს შემდგომი ეტაპისაკენ. სალამი ბატონს! მაგრამ ვით მონა როდი ვგზავნი ამ სალამს! ბატონი თვით ვარ, თუ ეს მწადია, ძალიც შემწევს შევიცნო ჩემი მარადიული ყოფიერება.

მეორე მხრივ, ჩემი ინდივიდუალური მე არ უნდა უარყოფდეს საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ კანონებს. თუ რევოლუციის კანონი ძალადობას ითვალისწინებს მცირეოდენი პროგრესის მისაღწევადაც (ეს სოციალური რევოლუციის უპირველესი მოთხოვნაა თანამედროვე ეტაპზე), მაშინ რად უნდა ვთქვა უარი საკუთარ კანონზე — შევქმნა საკუთარი პარმონიული გარემო და მის რკალში მოვაქციო ჩემს ირგვლივ მყოფნიც.“

ამჯერად როლანი იმოწმებს ჰერაკლიტეს შეგონებას: „დისონანსთავან — უმშვენიერესი პარმონიაა“. მანამდეც არაერთხელ გაუხსენებია ეს.

„კაცობრიობა დაწყებითი კლასი როდია, სადაც ჩამარცვლით კითხულობენ: ბ, ა, ბა. იგი უდიადესი სიმფონიაა, სადაც ყველას, ვით ორკესტრში თავისი ადგილი უჭირავს. დაე, ეცადოს და, თუ ძალუძს, უსმინოს მთელ სიმფონიას! მაგრამ ჯერ საკუთარი პარტია შეასრულოს კარგად! სიმფონისტის უდიდესი ხელოვნებაც ხომ ისაა, არ ჩაახშოს არც ერთი ხმა... სამყაროს ყოფის პარმონიის სიმდიდრე ურთიერთდაკავშირებულ დისონანსთა მშვენიერი შენაერთითაა ნაქსოვი!“

როლანი ცდილობდა თავისებურად გაეცნობიერებინა ისტორიის დრამატული, დიალექტიკური მსვლელობა. უდავოდ გულწრფელი იყო იგი, როცა „რევოლუციის უღმობელი მსვლელობის“ ისტორიულ აუცილებლობას აღიარებდა და თავის ამოცანად მიიჩნევდა მშვიდობისა და პროგრესის საერთო საქმისთვის გაეერთიანებინა, „პარმონიულ ექმნა“ ადამიანთა მრავალმხრივი ენერჯია.

როლანის აზრით, თუ იმპერიალისტური რეაქციის და ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში შეიძლება ერთმანეთის გვერდით დადგნენ ლენინისა და განდის მიმდევარნი, მაშინ განსხვავებული აზრთა წყობის მიუხედავად ტოლსტოისა და ლე-

ნინის მემკვიდრეობა მით უფრო მისაღებაა თანამედროვე ადამიანის ინტელექტუალური სამყაროსთვის.

„ლენინი მთლიანად — საკუთარი სიცოცხლის ყოველ წუთს, მთელი არსებით იბრძვის. ყველაფერი, რაზეც ის ფიქრობს, თითქოს მხედართმთავრის სათვალთვალ კოშკიდან დაინახა ბრძოლის ველზე. ყველასაგან განსხვავებით, საკუთრივ მისი პიროვნება განასახიერებს ადამიანთა ქმედების ისტორიულ ჟამს — პროლეტარულ რევოლუციას. და სხვა არაფერი აინტერესებს...“


ასეთი დინამიური და მოკლე ფრაზებით იწყება რომენ როლანის სტატია „ლენინი, ხელოვნება და მოქმედება“, რომელიც ვლადიმერ ილიას ძის გარდაცვალების 10 წლისთავისათვის დაიწერა და პირველად ჟურნალ „ეროპში“ დაისტამბა 1934 წლის თებერვალში. იმაჟამად როლანი პოლიტიკური სტატიების ორ კრებულს ამზადებდა: „ბრძოლის თხუთმეტი წელიწადი“ და „მშვიდობის რევოლუციური გზა“. ეს კრებულები მწერალმა 1935 წელს დასტამბა, მაგრამ სტატია ლენინზე შემოინახა წიგნისათვის „თანამგზავრები“, რომელიც სხვადასხვა ეპოქის უდიდეს მწერლებს მიუძღვნა და შემდგომ წელს გამოსცა. აქ ლენინი კულტურის ისეთ დიდ მოღვაწეთა რიგში დგას, როგორცაა გოეთე, ჰიუგო, შექსპირი და ტოლსტოი.

ახალგაზრდობიდანვე „რეალური ფილოსოფოსების“ მოყვარული როლანი აღფრთოვანებით აღნიშნავს, რომ ლენინს აქვს „რეალურობის ძლიერი, უწყვეტი, შეუსუსტებელი გრძნობა. ლენინი მოკლებულია ილუზიებს, სძავს „ილუზიის მონა“. მაგრამ ილუზია და ოცნება ერთი როდია!

„ვიოცნებოთო“ — განსაკუთრებით მოსწონდა ლენინის ეს ნათქვამი როლანს და ვლადიმერ ილიას ძის ნაშრომის („რა ვაკეთოთ?“) ცნობილი ნაწყვეტის კომენტარში წერდა: „ამგვარად ოცნებობდა ლენინი სამი ათეული წლის წინ — იმ შავბნელ დროში, როცა მუშათა მოძრაობა ის-ის იყო ისახებოდა. და მისი ოცნება მოქმედება იყო“.

ახლა როლანისათვის უკვე ნათელია, რომ ლენინის პიროვნულ სრულყოფილებას ასკეტური თვითშეზღუდვა, სილამაზის, ადამიანური ემოციების სისრულისა და მაღალი სულიერი მისწრაფებების უარყოფა კი არ განსაზღვრავს, არამედ ის, რომ სულიერი ენერჯიის ყოველ გამოხატულე-





ბას — ლიტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას — სამოქმედოდ უკეთეს მობილუზაციას.

როლანი კვლავ უბრუნდება და თავის სტატიაში ეყრდნობა გორკის იმ ნარკვევს, რომელსაც ფრანგულ ენაზე მისი გამოქვეყნებისთანავე (1924 წ.) გაეცნო და დიდად გაიხარა, როცა დარწმუნდა, რომ ლენინს უყვარდა და თავყვანს სცემდა ბეთჰოვენის მუსიკას. და კიდევ უფრო სასიხარულო იყო, რომ ლენინს უყვარდა და ღრმად იცოდა ტოლსტოის შემოქმედება.

გორკისთან მიმოწერის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტოლსტოის შესახებ ლენინის სტატიებისადმი სერიოზული ინტერესი როლანს 30-იანი წლების დასაწყისში გაუჩნდა. შესაძლოა მწერალმა მათ შესახებ მარია პავლეს ასულ კუდაშევასაგან შეიტყო, რომელიც 1931 წლიდან მუდმივად ცხოვრობდა ვილვენში, როლანის სახლში, და შემდეგ მისი მეუღლეც გახდა. სწორედ მარია პავლეს ასულის შემწევობით (საბჭოთა წიგნებს, ჟურნალებსა და გაზეთებს რომ უთარგმნიდა) როლანმა შეიძლო გასცნობოდა მანამდე უცნობ უამრავ მასალასა და წყაროს.

როლანი დიდი რუსი მწერლის შემოქმედების აღიარებულ მცოდნეებთანაც მეგობრობდა. მაგრამ მხოლოდ ლენინის სტატიებში იპოვა ის, რაც მანამდე არსად წაეკითხა. ამ სტატიებმა დაუდასტურეს როლანს ოდინდელი ბუნდოვანი აზრი, რომ ხელისუფალთა წინააღმდეგ მიმართული ტოლსტოის რისხვა იყო პირველი გამოხატულება რუსი გლეხობის სტიქიური რევოლუციური მღელვარებისა. და რაც მთავარია, სწორედ ამ სტატიებმა შეაძლებინა, გადაეჭრა ბევრი პრობლემა, აეხსნა ტოლსტოის აშკარა მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა, პროფესიონალ ლიტერატორებს ჩიხში რომ აქცევდა ხშირად და როლანსაც, ბევრი დასავლეთელი მკითხველის მსგავსად, ახირებად და გონებისათვის მიუწვდომლად ეჩვენებოდა.

სტატიაში „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“ ლენინი იმ ისტორიულ ვითარებებზე ლაპარაკობს, რომლებმაც „ტოლსტოის მოძღვრება წარმოშვეს არა როგორც ინდივიდუალური რაიმე, არა როგორც ახირება ანდა ორიგინალურობა, არამედ როგორც ცხოვრების იმ პირობათა იდეოლოგია, რომელშიაც გარკვეული დროის მანძილზე მილიონობით ადამიანი იმყოფებოდა“.

არც ახირება, არც ორიგინალურობა...

ტოლსტოის ისეთმა სერიოზულმა განმმარტებელმაც კი, როგორც როლანი გახლდათ, ვერ შეიძლო ტოლსტოის მორალური მოძღვრების შესახებ არსებული განსაზღვრების დაძლევა, თითქოს ეს იყო „ინდივიდუალური რაღაც“. მხოლოდ ლენინმა შთააგონა მას შეუდარებლად ღრმა და დამაჯერებელი აზრი.

ტოლსტოის რელიგიურ-მორალური დოქტრინის კრიტიკას როლანი, ცხადია, ადრეც შეხვედროდა დასავლეთის მემარცხენე პუბლიცისტების ზეპირსა თუ წერილობით გამოსვლებში. მაგრამ ლენინის კრიტიკა დიდი რუსი მხატვრის მემკვიდრეობის შეუდარებელ სიყვარულსა და მისი ისტორიული დამსახურების შორსმჭვრეტელურ შეფასებას ერწყმოდა. ტოლსტოის თვით მონათვლაც კი „რუსული რევოლუციის სარკედ“ დიდად საპატიო იყო, რამეთუ იგი რევოლუციის ბელადიდან მომდინარეობდა და ტოლსტოის ეპოქალური, წარუვალი მნიშვნელობის აღიარებას ნიშნავდა. ამ აზრით, ტოლსტოის მემკვიდრეობის ლენინურმა ანალიზმა არა თუ შეურაცხყო როლანის გრძნობები, არამედ პირიქით, ეს ანალიზი მისი გრძნობებისა და ფიქრების მეკავშირედ იქცა.

ლენინმა განუმტკიცა როლანს რწმენა, რომ მხატვრისა და საზოგადოების კავშირი განსაკუთრებით ფაქიზი, რთული კავშირია და სრულიადაც არ არის აუცილებელი ზედაპირზე იდოს.

მხატვარს, კიდევ რომ მოისურვოს, არ ძალუძს ზურგი აქციოს კლასობრივ ბრძოლას, იგი „თავისი დროის ჰაერით“ სუნთქავს; მაგრამ საზოგადოებრივ ყოფას საკუთარი სამრეკლოდან უცქერს და სინამდვილის აღქმის საკუთარი ხერხები გააჩნია.

ხელოვნების დიდოსტატი, ამტკიცებს როლანი ლენინზე დაყრდნობით, როგორც წესი, დაჯილდოებულია წინასწარ განჭვრეტის უნარით. მას შეუძლია ამოიცნოს და ასახოს ის, რაც მწიფდება და მზადდება საზოგადოებაში. ასე იწინასწარმეტყველა ტოლსტოის, უფრო ადრე კი რუსოს, ვოლტერისა და დიდროს შემოქმედებამ რევოლუციური გადატრიალება, თუმცა თავად მათ „ბოლომდე არ ესმოდათ ის, რაც მწიფდებოდა და რასაც თავად იუწყებოდნენ“.

ტოლსტოის გარდაცვალების 25 წლის-თავისადმი მიძღვნილ შენიშვნაში როლანმა



რუსი კლასიკოსის ლენინისეული გაგება მოიშველია.

„ჟან-ჟაკ რუსოს მსგავსად, ისიც ძველი სამყაროს ნამსხვრევებზე ზის, ამ დამსხვრევას თავად შემწეობდა. თავისი სურვილის საპირისპიროდ, თავადვე შეამზადა ახალი სამყაროს არსებობაც და დღეს მის კარიბჭესთან მდგომს უკან ჩამოტოვება მოეღის“.

რუსული რევოლუციის ბელადში როლანმა დაინახა ისტორიული მოღვაწის ახალი ტიპი, რომელიც შეუმცდარად და ფხიზლად აფასებს საზოგადოებრივ რეალობას და ბრძოლაში ხალხთა მდიდარ სულიერ კულტურას ეყრდნობა.

როლანმა დაგვიხატა საუკუნე-ნახევრის მანძილზე კაცობრიობის გონებრივ ძიებათა სურათი, რომელიც გოეთეი და ჰეგელით იწყება და სრულდება მარქსითა და ლენინით. „ვიმოქმედოთ!“ — ამბობდა მეოცნებე გოეთე. „ვიოცნებოთ!“ — ამბობდა მოქმედი ლენინი.

გოეთესა და ლენინის სახელთა თანაფარდობითობა აქ დიდ პასუხისმგებლურ აზრს იძენს. არსებითად როლანმა გადააკეთა კომკავშირის III ყრილობაზე ლენინის მიერ გამოთქმული აზრი, რომ პროლეტარული კულტურა კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი კულტურის კანონზომიერი განვითარებაა.

1921 წლის წინა დღეებში, როცა ყველა ყმაწვილი დენტის, ბრძოლისა და ნგრევის სუნით სუნთქავდა, ლენინმა საბჭოთა ახალგაზრდობის ყრილობაზე თქვა: „კომუნისმი შეგვიძლია ავაშენოთ ცოდნის, ორგანიზაციისა და დაწესებულების მხოლოდ იმ წილით, ადამიანთა ძალისა და საშუალებების მხოლოდ იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან შემოგვრჩა... უდიდეს შეცდომას დაგუშვებდით, თუ შევეცდებოდით დაგვესკვნა, რომ კომუნისტი შეიძლება გავხდეთ საკაცობრიო ცოდნის მარაგის აუთვისებლად“.


„წინა თაობის ამოცანა ბურჟუაზიის დამხობაზე დაიყვანებოდა... ახალი თაობისა — უფრო რთულია... თქვენ კომუნისტური საზოგადოება უნდა ააგოთ“.

ნურვინ შეიცვლის საკუთარ მესი ნურვინ უარყოფს საკუთარ თავს! მაგრამ იმ აგურად გარდაქცევა კი უნდა შეიძლოს, რომელიც მომავლის საძირკველს წაადგება.

რომენ როლანს სულიერი ევოლუციის უკანასკნელ ეტაპზეც არ უარუყვია საკუთარი „მე“, მაგრამ მრავალი წლის გამოცდილებამ ხელი შეუწყო, უკეთ გაეცნობიერებინა ლენინის აზრის სისწორე, რომ „ჭეშმარიტად დიდმა მხატვარმა რევოლუციის არსებით მხარეთაგან ზოგიერთი მაინც უნდა ასახოს თავის ნაწარმოებებში“.







# აკაკი ბანერელი

## ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი

ღვილია საიუბილეო სტატიის წერა კანონიზებულ მწერალზე, მხატვარზე, ან მუსიკოსზე. ასეთ შემთხვევაში მხამზარეულად გვეძლევა საზოგადოდ ცნობილი და ყველას მიერ გაზიარებული შეხედულებანი. რამდენიმე პირველხარისხოვანი გამოკვლევა, ენციკლოპედიები თუ სოლიდური სახელმძღვანელოები სრული გარანტიაა ნებისმიერი თეორიული მოზაიკის შექმნისა. მიქსტურები საერთოდ სხვადასხვა ნაწილაკებისაგან შედგება, მთავარია მათი ოსტატურად შეზავების უნარი, რის ნიმუშებსაც ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ შეხედულებათა ნიჭიერი დალაგება წარმოადგენს. მაგრამ უსაშველოდ ძნელია იმ განუმეორებელ მხატვრულ მიგნებათა შემჩნევა და დაფასება, რომელთა სისტემა ქმნის შემოქმედის განსაკუთრებულ და — ამიტომაც — უნივერსალურ მეთოდს. გიგანტზე მსჯელობა ვერ ითმენს სეზონურ ზერელობას. ასეთი რამ მკონი ორდინალურ მოვლენებზე საუბრის დროსაც დაუშვებელია.

მუდამ ორი რამ ემუქრება წერილის ავტორს: ტრაფარეტი ან თვალში საცემი ორიგინალობა. ყველას შეუძლია სტატიის *ex abrupto* დაწყება იმის აღნიშვნით, რომ ტოლსტოი ერთსა და იმავე დროს ვება მორალური ძალა და ასევე გრანდიოზული მასშტაბის მხატვარია. მაგრამ ამ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას შეიძლება დაუპირისპირდეს ექსტრავაგანტური აზრიც: „ტოლსტოი მოძველდა“ ან „ტოლსტოი განვლილი ეტაპია“, — რუსი მწერლის შესახებ არსებულ უმდიდრეს ლიტერატურაში მსგავსი რეპლიკებიც ცნობილია. მაგრამ ხელოვნებაში მოქმედებს ფილტრაციისა და შერჩევის უღმობელი კანონი: განვლილ ეტაპებად აღმოჩნდებათ სოლმე მთელი საუკუნეები და ეპოქებიც, უმაღლეს სულიერ და გონებრივ ფენომენებს კი არაფერი აკლდებათ. რამდენმა „ეტაპმა“ განვლო ფიდიასის ან ბახის შემდეგ? ეტაპები მიმდინარეობენ, უნივერსალური სრულყოფილებანი კი რჩებიან, რადგან ხელოვნების ისტორიამ არ იცის ევოლუციის ზეაღმავალი სუბორდინაცია, იგი განვითარების სპირალურ ხაზს იცავს. პროზაში სერვანტესისა და ტოლსტოის სახელები აღნიშნავენ ისეთსავე ზღვარს, როგორსაც პომპროსის, რუსთაველის, დანტესა და გოეთეს სახელები პოეზიაში. ეპოქები მხოლოდ ზრუნავენ ასალი სახელების განლაგებაზე ამ სპირალის გასწვრივ, თანაც — მომაკვდინებელი სიძუნწითა და იმედის გამაქარწყლებელი დაგვიანებით.

ლევ ტოლსტოი ამ სპირალზეა.

პრინციპულად მიზანშეწონილი არაა გამოჩენილ მწერალთა და მეცნიერთა აზრების წამდაუწუმ დამოწმება რომელიმე დებულების წამოყენებისას. მტკიცების ამგვარი მანერა არც თუ იშვიათად ინტელექტუალური ლაჩრობის გამოვლენაა. ამასთან, როგორც წესი, მწერალთა გამონათქვამები ხშირად სუბიექტური ელფერისაა და თვითონ ტოლსტოი გვაწვდის საუკეთესო მაგალითს ამგვარი ცალმხრივობისა — არავის გაუზიარებია მისი ჰაპერკრიტიკული დაპოკიდებულება შექსპირისადმი (ერთი ღმერთი მეორეს ედავება!).

მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ობიექტური კრიტერიუმი ძაინც ჩვენს ხელთაა. შეუძლებელია სცდებოდეს მთელი პლეადა ჭეშმარიტად დიდი მწერლები —





მისა, რომელთა ხმები სრულს უნიონს ჰქმნიან. თავს უფლებას ვაძლევ (რაგინდ სიმსლად არ ჩაგვეთვალოს იგი) რამდენიმე ხმა გამოვეყო ერთობლივად ანსამბლიდან: „როცა ეს მჭარი დადუღდება, მისგან ღმერთების სასმელი გამოვა“ (ტურგენევი ახალგაზრდა ტოლსტოის შესახებ); „ანა კარენინა“ სრულყოფილებაა, რომელსაც შეუძლებელია რამე გაუტოლდეს ჩვენი ეპოქის ევროპული ლიტერატურიდან“ (დოსტოევსკი, 1877 წ.); „როგორი მხატვარი და როგორი ფსიქოლოგი!.. ეს ძლიერია, მეტად ძლიერია... ეს შექსპირისებური ხელოვნებაა“ (ფლობერი „ომი და მშვიდობის“ გამო); „უდიდესი რომანი მსოფლიოში“ (ჯონ გოლზუორთი იმავე რომანის შესახებ); „ეს სწორუბოვარი წიგნია“ (მარტენ დიუ ვარი აგრეთვე იმავე ნაწარმოებზე); „მე მხოლოდ ლეკვი ვარ ასეთი ლომის წინაშე“ (თომას მანი „ჰაჯი-მურატის“ ხელმეორედ გადაკითხვისას); „ტოლსტოა ბუმბერაზი მწერალია“ (ჯოისი „ადღომის“ გამო); „უმაღლესი მწვერვალი მსოფლიო ლიტერატურისა“ (როლანი იმავე ქმნილებაზე); „ომსა და მშვიდობას“ მე ვთვლი ყველაზე შესანიშნავ რომანად, რომელიც თქვენს დაწერილ ყველა დროისა და ყველა ქვეყნის ლიტერატურაში“ (ანდრე მორუა); „უახლესი“ „ილიადა“... „ადამიანური თქვანე“ (როლანი); „ტოლსტოი XX საუკუნის პომეროსია“ (ანატოლ ფრანსი). ამ შედარებას მიმართავენ ცვაივი, როლანი, მორიაკი, ალბერ კამიუ და სხვები... ვფიქრობთ საჭირო აღარაა მაგალითების გამრავლება და სია შეიძლება დავამთავროთ ლენინის ცნობილი სიტყვებით: „ვის ამოუყენებდით გვერდით მას ევროპაში?“ — შეეკითხა იგი მ. გორკის და თვითონვე მიუგო: „არავის!“ ზემოთ მოტანილი ანკეტა კარგად აღასტურებს რევოლუციის დიდი ბელადის აზრს.

და მაინც: კრიტიკული აზრის დემონი ჭირვეულია და იგი ჩაგვწურჩულებს, რომ გემოვნების უზურპაცია დასაგმობია და რომ ჩვენ „ღმერთების ბანდის“ (ნიცშე) ეპოქაში ვცხოვრობთ და რომ წარსულის ღმერთებმა თლიმბოს კვარცხლბეკი უნდა დატოვონ. და ამ დემონს თავისი არგუმენტაციისა სჯერა: ესთეტიკური უტილიტარიზმი მერყევია, ამჟამად მე ვიკვებები ახალი საზრდოთი — აღმგზნებ დისონანსებს ვამჯობინებ „ფუგის ხელოვნების“ მათემატიკურად განზომილ, ცივ და ერთფეროვან ვარიაციებს, ზამთრის ღამის მყუდროებისაგან რომ მომიწოდებენ; მითოლოგიზირებული ბუნდოვანებანი უფრო ჰკვებავენ ჩემს წარმოდგენებს რეალისტურ სიცხადესთან შედარებით და დაშლილი კომპოზიციები უფრო პასუხობენ ჩემს ულტრა-მოდერნისტულ მოთხოვნებებს, ვიდრე ნილოსისებური მღორე ღინება თხრობისა; ხალხთა და მასების ადგილგადანაცვლებანი თუ მოქმედ პირთა თჯახური ვნებების ვრცელი პანორამებიც ფუჭად მახარჯვინებენ დროს, — ასეთია საბუთები მკითხველისა, რომელსაც ჭეშმარიტი ნექტარის ნაცვლად ოსტატურად შესავეებული პალიატივი აურჩევია სულიერ საზრდოდ. და ამ ახალი ესთეტიკური უტილიტარიზმის მექთმავეთ არაფერი აკრთობთ, ისინი ერთი ყურიდან მეორეში უშვებენ ხოლმე უჭკვიანესთა გამაფრთხილებელ სიტყვებს: „ყველაფერი მოქრული ცვდება, ჭეშმარიტება კი რჩება“ (ტოლსტოი) და რომ „არაფერი ისე ადრე არ ხუნდება, როგორც სიახლე“ (ვალერი). იგი, ეს მოდერნისტი მკითხველი, შეუვალია სიბრიყვის ჯავშნის ტარების მეოხებით.

მაგრამ, აი, მოულოდნელად წამოამართება „შესანიშნავი არისტოკრატი“ (გორკი), რომლის სადა და გლესური ხალათი სავალალოდ აცდუნებდა მასთან საუბრისას ფაშილიარული ტონის ამღებთ და თავის ნაცრისფერი, შემზარავი და ყოვლის გამგები თვალების მხერას მიაპყრობს რომელიმე მეტიჩარას, რომელსაც „საფეთქელი უცივდება“ სასტიკი ღმერთის წარბების მოღუშვაზე. ამ თვალების მხერა, რამდენიმე გესლიან სიტყვასთან ერთად, თავზარდამცემია. მის დასახასიათებლად მოგვაქვს ორი ნაწყვეტი მოგონებებიდან:

«Как он прислушивался, как всматривался в собеседника из глубины серых, глубоко запятанных глаз, и как иронически сжимались его губы». «Тургенев говорил, что никогда в жизни не переживал ничего тяжелее этого испытывающего взгляда, который в соединении с двумя, тремя словами ядовитого замечания, способен был привести в бешенство».

ვოლტერას ან გოგოლის სიცილი უწყინარ მელოდიად უღერს ტოლსტოის თვალების მხერასთან შედარებით, რომელიც უმაღვე ამიშვლებდა ადამიანს, ხოლო საკუთრივ პროზაში არა ვრცელი მონოლოგებისა თუ დაალოგების გზით (ტოლსტოის ძალიან ეჯავრებოდა უორუ სანდი), არამედ რამდენიმე ფრაზის ან ფრაზის ნაწყვეტის პარალელურად პერსონაჟის მიმოსვრის, სახის გამომეტყველებისა თუ მოძრაობის სრულიად მოულოდნელი შტრისის აღნიშვნით.





ტოლსტოის მხატვრული მეთოდის საერთო სახელწოდებად პლასტიკური ფსიქოლოგია უნდა ვაღიაროთ. ჩვეულებრივი „ფსიქოლოგიური პროზის“ წარმომადგენელი იგი არ ყოფილა.

და მაინც (და არა ერთგზის) ხმა, რომელიც გემოვნების უზურპაციას გვსაყვედურობს, გვაიძულებს ახალ შეკითხვებსაც გავცეთ პასუხი. ეს ხმა გვეთანხმება, რომ ტოლსტოი თავის ეპოქის ამსახველი უდიდესი მწერალია, მაგრამ იგივე ხმა მოგვაგონებს, რომ არანაკლები (თუ მეტი არა) ეპოქის მხატვარი იყო ბალზაკი; ტრივიალურია ის აზრიც, რომ ტოლსტოი დიდი ფსიქოლოგია, რადგან მასზე ნაკლები ფსიქოლოგი (ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით) დოსტოევსკი არ ყოფილა; განსაცვიფრებელია ტოლსტოი-პორტრეტისტი, ამაზედაც არავინ დაობს, მაგრამ აკი თვითონ ტოლსტოი აღიარებდა, რომ მისი ერთ-ერთი მასწავლებელი ამ სფეროში იყო ლორენს სტერნი, პოზებისა და მიმოსვრის განუმეორებელი სკულპტორი მსოფლიო პროზაში; „ანა კარენინას“ ავტორი გორელიეფური სიცხადით ძერწავდა თავის პერსონაჟებს, ესეც მართალია, მაგრამ ამ მხრივ ნაკლები ნიჭიერებით არ იყო აღჭურვილი თეკერეი, რომელსაც აგრეთვე თავის ერთ-ერთ მასწავლებლად რაცხდა ტოლსტოი; „ომი და მშვიდობის“ შემოქმედი დიასაც ჰომეროსის მასშტაბის ბატალისტი პროზაში, მაგრამ ბოროდინოს ბრძოლის აღწერისას მას თვალწინ ედგა ვატერლოოს ბრძოლის ის მოდელი, რომელიც სტენდალმა შექმნა „პარმის საფანეში“ და პიერ ბუზუხოვი ნაწილობრივ მაინც მიაგავს ფაბრიციო დელ დონგოს; რა თქმა უნდა, ტოლსტოი მომხიბლავი პეიზაჟისტი, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილი არიან სხვა დიდი პეიზაჟისტები, რომლებიც მას არ დაუვარდებიან; ტოლსტოი ბრძენი მოხრობელია, მაგრამ თუკიდიდე, ტაციტუსი, მომხენი, გერცენი და თ. მანი უმაღლესი ჭკუითა და ეპიურობით ბრწყინავენ; უაღრესად სადა და ღრმაა ტოლსტოის ენა და სტილი, მაგრამ ამ მხრივაც მოექებნება მას ანალოგიები, ხაკმარისია თუნდაც ჩვენი სულხან-საბას თხრობის მიაძიტური არტისტიზმისა და მისი იგავ-მიუწვდომელი და სრულყოფილი სტილის გახსენება...

სკეპტიკური ხმა კი მაინც დაუსრულებლად აგრძელებს ანალოგიების ხერხულ ჩამოთვლას. ტოლსტოიმ ერთ-ერთმა პირველმა გამოხატა თავისი მოქმედი პირების „ცნობიერების ნაკადი“, ესეც მართალია, მაგრამ „ულისე“-ს ავტორის მიღწევები ამ მხრივ მაინც გამონაკლისია; ვინ მიაღწია ისეთ გულწრფელობას, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ტოლსტოის „აღსარება“-ში? რა თქმა უნდა, ოდესღაც მისთვის სათაყვანებელი რუსო თეატრალურია მასთან შედარებით, მაგრამ რა ვუყოთ ნეტარი ავგუსტინეს (გარ. 430 წ.) კოლოსალურ ფიგურას, რომლის „აღსარება“-ს („კონფესიონს“) არავითარი ანალოგი არ მოექებნება ანტიკურ ეპოქაში და ახალ საუკუნეებში. პეტრარკას მსგავსად, ტოლსტოი მხოლოდ მიმდევარია მისი და არა თანატოლი („ყველაზე უკეთ მე ჩავაბარებდი გამოცდებს ავგუსტინეს თხზულებების ცოდნაში, ხელმეორედ გადავიკითხე მისი „კონფესიონს“ და „დე ცივიტატე დეი“ და გაოგნებული ვარ, — ეუბნება ტოლსტოი ერთ თავის მდივანს)... ვინ შექმნა ისტორიულ-ბიოგრაფიულ პროზაში „ჰაჯი-მურატი“-ს ბადალი რამ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას კი სკეპტიკოსის ხმასაც მგონი ძალა აკლდება. ბრწყინვალეა ფლობერის „სალამბო“, თ. მანის „იოსები და მისი ძმები“ და „ლოტა ვაიმარში“, ბრუნო ფრანკის „ხერვანტესი“ და ალ. ტოლსტოის „პეტრე პირველი“, ი. ტინიანოვის „კიუსლია“ და „ვაზირ მუსტარის სიკვდილი“, მ. ბულგაკოვის რომანის პასაჟები პონტიუს პილატუსზე „ოსტატსა და მარგარიტა“-ში (სიის გავრცობა კიდევ შეიძლება), მაგრამ „ჰაჯი-მურატი“ მიუწვდომელია, რადგან შემთხვევით ჩამოთვლილი შედეგები ასე თუ ისე ადამიანურ შესაძლებლობათა ფარგლებში ექცევიან, ტოლსტოის მოთხრობაზე კი ეს არ ითქმის: ავტორი თითქოს გაძარცულია არისტოკრატი გრაფის ტანსაცმელი-სავან, მთიელის ჩოხა ჩაუცვამს და ისევე ფიქრობს, განიცდის და მოძრაობს, როგორც მთიელი. ესაა სრული გადასახლება სხვა ტომის ადამიანის ფსიქიკაში, ავტორი თვითონ გვევლინება ხან ავარელად, ხან ჩაჩნად და ჩვენთვის უცნობია ამგვარი, ფიზიოლოგიური თვალსაზრისითაც კი სრული, ტრანსფორმაცია საკუთარი არსებისა ისტორიული პერსონაჟის განცდებისა და ფიქრების სამყაროში, ე. ი. უცხო ტომის სულიერი ცხოვრებისა და გარეგნული მოძრაობის უზუსტესი წვდომა და წარმოსახვა (ვილჰელმ ვორინგერის „აინჰაურუნგ“), როგორსაც ტოლსტოი აღწევს „ჰაჯი-მურატსა“ და „კაზაკებში“. დამარცხებული ქსერქსე (ესქილეს „სპარსელები“), პერსოპოლისში რომ მოთქვამს, უწინარეს ყოვლისა ძვ. წ. V ს-ის ელინელის თვა-



ლით დანახული აქემენიდი მეფეა და შექსპირის ჰამლეტი, რომელსაც XVI ს-ის ინგლისელი არისტოკრატის რეუქტირება ასახაოთებს, სრულიად არ მიაგავს საქსონ გრამატიკოსის ქრონიკის ისტორიულ პარს (XI ს.), ჰაჯი-მურატი კი მკითხველის გვერდით სუნთქავს და მოძრაობს, — ამ მკითხველს არ სჭირდება წარმოდგენის დაძაბვა ცოცხალი პორტრეტისათვის რაიმე ნიუანსის მისამატებლად!

ტოლსტოის რეალისტური ხელოვნების უპირველეს თვისებას ამგვარი გულთამხილობა შეადგენს. მსოფლიო პროზის ყველაზე ბრწყინვალე ნიმუშები ასე თუ ისე რეალისტურია, მაგრამ ტოლსტოის რეალიზმი უნიკალურია. „რასაც დღეს რეალიზმს უწოდებენ, უმჯობესია მას პროვინციალიზმი ეწოდოს“ — წერდა თვითონ ტოლსტოი, რომლის ადამიანები ტიპის ან ხასიათის სტატიკურ ფარგლებში არ არიან მოქცეული. 1898 წელს ტოლსტოი აღნიშნავდა თავის დღიურში: „რა კარგი იქნება, დაიწეროს მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც ნათლად გამოისახება ადამიანის დენადობა (текучесть человека): რომ ის ხან ბოროტია, ხან ანგელოსი, ხან ბრძენი, ხან იდიოტი, ხან ძლიერი, ხან უმწეო არსება“ (დაყოფა ავტორისაა, ა. გ.). მწერლის ამ თეორიული დეკლარაციის კონკრეტულ საბუთად მოაქვთ შემდეგი ადგილი „ადღვომა“-დან. „ერთ-ერთი ჩვეულებრივი და გავრცელებული ცრურწმენაა, თითქოს ყოველ ადამიანს მოეპოვება თავისი განსაზღვრული თვისებანი, რომ არსებობს ადამიანი კეთილი, ბოროტი, ჭკვიანი, სულელი, ენერგიული, აპათიური და ა. შ. ადამიანები ასეთნი არ არიან. ადამიანები მდინარეებივითაა: წყალი ყველგან ერთნაირი და ყველგან ერთი და იგივეა, მაგრამ ყოველი მდინარე ზოგან ვიწროა, ზოგან ჩქარი, ხან ფართოა, ხან წყნარი, ხან წმინდა, ხან ცივი, ხან ამღვრეული, ხან თბილი. ადამიანებიც ასეა. თვითეული ადამიანი თავისთავში ატარებს ყველა ადამიანურ ჩანასახს და ზოგჯერ ამჟღავნებს ერთს, ზოგჯერ მეორეს და ხშირად ხდება, რომ სულ არ ჰგავს თავისთავს... ზოგჯერ ადამიანში ეს მონაცვლეობანი ძალზე მკაფიონი არიან. ასეთ ადამიანებს ეკუთვნოდა ნესლი-უღოვი“.

ტოლსტოის პროზაში უმთავრესად ფიქსირებულია სულიერი რყევის მომენტები, უკეთილშობილესი ავზნებანი, ეროსის სექსუალი ქვეცნობიერების სფეროში, უნებლიე აფექტაციები, სიკვდილის წინაშე შიში, სასიკვდილო აგონიები და ა. შ. ტოლსტოი არ არის ტიპების მხატვარი, რადგან მისი მიზანია ადამიანის სულის დიალექტიკის გადმოცემა, რაც პირველად ნ. ჩერნიშევსკიმ შენიშნა. XX ს-ში უცხოელთაგან ამ საკითხს შეესო მარტენ დიუ გარი: „მე ვფიქრობ ტოლსტოისზე, რომელმაც სხვაგვარი პერსონაჟები შექმნა, ვიდრე ბალზაკმა. ისინი უკვე არ არიან ტიპები ანუ ცხოვრების ერთგვარი კობიოები, რომელთაც შეიძლება „ხასიათები“ ეწოდოს და რომელთაც მასწავლებლები განუმარტავენ ხოლმე შეგირდებს „მიზანტროპი“-ს ანალიზის დროს. ისინი უტყუარი ცოცხალი არსებანი არიან და მათ შემდებელია ტიპები დაერქვათ ამა თუ იმ ეტიკეტის მისაკერებლად“. ანდრე მორუა კი წერს: „მე მინდა ვთქვა, რომ ტოლსტოის რომანი („ომი და მშვიდობა“, ა. გ.) ყველაზე ახლოსაა სრულ სინამდვილესთან... ყველაზე ღრმად ადამიანურია, რომელიც კი ოდესმე ჩაუფიქრებიათ და შეუქმნიათ. ნაწარმოების ათას სუთასი გვერდი იტევს მთელს სამყაროს, როგორც ნამდვილს და უფრო ნამდვილს. რადგან ჩვენ ვიცნობთ როსტოვებისა და ბოლკონსკების ოჯახს, ბორის დრუბეცკოის და მის დედას, თავად ვასილს და მის ასულს უკეთ, ვიდრე ჩვენს მეგობრებს და ჩვენსავე საკუთარ ოჯახს. ნატაშა როსტოვა ჩვენში აღძრავს მეტს ცხოველ ინტერესს, ვიდრე რომელიმე ქალი. თავად ანდრეში მე თანამზრახველ ძმას ვპოულობ. თუ მთელს დუნიაზე მოიძებნება ადამიანი, რომლის მეგობრობას შოვისურვებდი, ასეთი — იგია. და ამ ცხოვრებას, ცოცხალსა და რეალურს, თვით რეალურზე უფრო ჭეშმარიტს, მე ვნახულობ რომანის მესამესართისოვან პერსონაჟებშიც. მე ვიცნობ ტუშინს, დენისოვს, ბერგს უკეთ, ვიდრე იმ ოფიცრებს, რომლებთან ერთად მიომნია“.

ორი ფრანგი მწერლის შესხედულებანი ამართლებენ ტოლსტოის მრწამსს: „გმირები და ტიპები არ არსებობენ, არსებობს მხოლოდ ზოგად-კაცობრიული ცხოვრება, რომლის მატარებელნი არიან ცალკეული ინდივიდები“.

3.

„ახალ პროზაში ამბებისადმი ინტერესს ცვლის გრძნობებისადმი ინტერესი“, — წერდა ტოლსტოი. ამ თეორიული პოსტულატის მხატვრული ხორცშესხმაც „ანა კარენინა“-ს ავტორის ერთ-ერთი დამსახურებაა. საკითხავია მხოლოდ: როგორაა იგი რეალიზებული.



ტოლსტოის მხატვრული მეთოდის მიზანს გენიალური ინტუიციით შემჩნეულ წვრილმანთა ურთულესი შინაგანი სპექტრის ცხადყოფა შეადგენს, თანაც ისეთი სასწაულებრივი ძალით, რომელიც აგრეთვე ადამიანურ შესაძლებლობათა ფარგლებს სცილდება. და ჩვენი სტატია უზომოდ ვაიზრდებოდა, მათი მოკლე აღრიცხვაც კი რომ განგვეზრახა. ამიტომ რამდენიმე მაგალითს უნდა დავჯერდეთ.

აღუქსი კარენინთან პირველი ახსნა-განმარტების შემდეგ ლოგინში მწოლი ანა, რომელსაც მძინარე ქმრის ნესტოებიდან მომდინარე სტვენა აფხიზლებს უამიდან უამზე, სიბნელეში ფიქრობს („ანა კარენინა“, ნაწ. II, 8-ე თავის დასასრული):

«— Поздно, поздно, уж поздно,— прошептала она с улыбкой. Она долго лежала неподвижно с открытыми глазами, блеск которых, ей казалось, она сама в темноте видела».

ა. ჩხხოვი შესძრა ასეთმა მხატვრულ-ფსიქოლოგიურმა აღმოჩენამ. იგი ეუბნებოდა ი. ბუნინს ტოლსტოისზე:

«— Я его боюсь. Ведь подумайте, ведь он написал, что Анна сама чувствовала, видела, как у нее блестят глаза в темноте! Серьезно, я его боюсь,— говорил он, смеясь и как бы радуясь своей боязни» (Бунин. Собр. соч., 9, стр. 139).

ტრაგიკულად ბედნიერი ანა თავისსავე შეფაკლულ სახეს შესცქერის სიბნელეში! შეუძლებელია, ასეთი რამ მომხდარიყო, მაგრამ შეუძლებელია, რომ ასეთი რამ არ მომხდარიყო. ტოლსტოის წვრილმანების სპექტრს ანტიანომიური შინაარსი აქვს და მისი ლოგიკური შემოწმება შეუძლებელია. მიღება ან უარყოფა. დიად ხელოვნებას დაუჯერებელი აპყავს ხელშეუვალი მხატვრული აბსოლუტის რანგში. ამ მხრივ ტოლსტოი უფრო უდიდესი პოეტია, ვიდრე ბელეტრისტი.

მეორე მაგალითი „ომი და მშვიდობიდან“ (ნაწ. I):  
ძალი და მოუხეშავი პიერ ბეზუსოვი თავზე ადგას მომაკვდავ მამას: „პიერმა კისერი გულბოღიანედ წაიშვირა, რათა საბანს არ მოხდებოდა და შეასრულა ანა მისაილოვნას რჩევა—აკოცა ძვალ-მსხვილ და სორცსავსე ხელს. არც ხელი გრაფისა, არც რომელიმე ძარღვი მის სახეზე არ შერსეულა. პიერმა კვლავ შეხედა ანა მისაილოვნას — ახლა რაღა ვქნაო. ანა მისაილოვნამ თვალთ ანიშნა სავარძელზე, რომელიც საწოლთნ იდგა. პიერი მორჩილად ჩაეშვა სავარძელში... იგი გრაფს შეჰყურებდა, გრაფი კი იმ ადგილს შესცქეროდა, სადაც პიერის სახე იყო მაშინ, როცა იგი ფესზე იდგა“.

მომაკვდავის ხედვითი ავტომატურობის უკეთესი მხატვრული ფიქსაცია წარმოუდგენელია. ვაჟის სახე დარჩა და ვამოსატულია იმ სივრცეში, რომელიც სახეს ეკავა მის დაჯდომამდე. განა ოდნავ საკამათოა რომ ასეთი „წვრილმანი“ ერთ რომანად ღირს? (გასაკვირია, რომ ამ შტრიხისათვის ტოლსტოის არც ერთ მკვლევარს დღემდე ყურადღება არ მიუქცევია).

ისიც ცნობილია, რომ არაგინ არ აღწერს სიკვდილს ტოლსტოისებური ღრმა წვდომით. პრუსტის „ბერგოტის სიკვდილი“ მარტოოდენ ბაღღური ესკიზია კონსტანტინე ლევინის („ანა კარენინა“), ანდრე ბოლკონსკის („ომი და მშვიდობა“) ან პაჯი-მურატის სიკვდილის აღწერასთან შედარებით. აი როგორ კვდება ივან ილიჩი („ივან ილიჩის სიკვდილი“):

„მან ცოლს თვალთ ანიშნა შვილზე და თქვა — გაიყვანე... ცოდვას... შენც... — მას კიდევ უნდოდა ეთქვა прости, მაგრამ თქვა пропусти და, რადგან ძალი აღარ შესწევდა, ხელი ჩაიქნია“.

მომაკვდავის ცნობიერებაში ამოტივტივდა სიკვდილთან უკანასკნელი ჭიდილისათვის შესაფერი სიტყვა „გამიშვი“, ნაცვლად ხადი ცნობიერებისათვის სავალდებულო და გამოსათხოვარი სატყვისა „მაპატიე“! საგულისხმოა, რომ სწორედ ტოლსტოის ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ გი დე მოპასხანმა წამოიძახა: ჩემი ათი ტომი არ ღირს ამ ერთ მოთხრობად.

ზემოთ მოტანილი მაგალითები პლასტიკური და ფსიქოლოგიური მომენტების შერწყმით სახიათდება, უკეთ-ესაა ფიზიკური ტკივილებისა და აფორიაქებულ ცნობიერებათა სინქრონულად



მიმდინარე პროცესი, როცა პერსონაჟების ქვეცნობიერი პლასტიკაში შიშვლდებიან, სოლო შემოქმედის თხრობაში ისინი მკითხველისათვის ვიზუალურ სიცხადეს იძენენ. ტოლსტოის მხატვრული მეთოდისათვის პერსონაჟის არაგის მიუღწევია.

4

დროს საკითხი კოსმოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემაა. ჯერ კიდევ ნეტარე ავგუსტინემ დასვა კითხვა: „რას აკეთებდა ღმერთი ზეცისა და დედამიწის შექმნამდე?“ („აღსარება“. რუს. თარგ., კიევა, 1914, გვ. 309), და რომ „დროს გარეშე უაზრობაა მაშინ“ (იქვე, 311). კარგად ცნობილია, რომ დრო მატერიის თვისებაა და უკანასკნელის აღმოცენებამდე იგი არც არსებობდა. თანამედროვე კოსმოლოგიური თეორიები (აინშტაინი, ჰაიზენბერგი, რეისენბასი, უიტროუ, გრიუნბაუმი და სხვ.) ასე თუ ისე მოწოდებულნი არიან პასუხი გასცენ ავგუსტინეს კითხვას. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ამ პრობლემის წმინდა მხატვრული ასპექტი. რეალური დროის განცდა კონკრეტულ მომენტს („ახლა“) გულიანობს, სოლო წარსულის („მდე“) დაბრუნება შეუძლებელია, არც მომავლის („შემდეგ“) აქტივობის სარისხის წინასწარ დადგენა (პირველმა განვლო, მესამე კი არ დამდგარა). ავგუსტინეს დროს სუბიექტურ ფენომენად ესახებოდა (ამ გაგების თავისებურ რეფლექსს ანრი ბერგსონის სისტემა წარმოადგენს). ტოლსტოი ავგუსტინეს გზით მიდის, როგორც ადამიანი და შემოქმედი.

ი. ბუნიმა პირველად მიაქცია ყურადღება მწერლის შემდეგ სიტყვებს „პირველი მოგონებებიდან“:

«От пятилетнего ребенка до меня — только шаг. От новорожденного до пятилетнего — страшное расстояние. От зародыша до новорожденного — пучина. А от несуществования до зародыша не пучина, а непостижимость; мало того, что пространство, и время, и причина суть формы мышления, и что сущность жизни вне этих форм, но вся жизнь наша есть (все) большее и большее подчинение себя этим формам и потом опять освобождение от них».

ამ (და სხვა ანალოგიური) პასაჟის გამო ბუნინი მართებულად ასკვნის:

«Во всей всемирной литературе нет ничего похожего на эти строки и нет ничего равного им» (Собр. соч., 1967, т. 9, стр. 44—45).

მთელი პასაჟი კი საოცრად მოგვაგონებს ავგუსტინეს ორი უდიადესი ქმნილების „აღსარების“ („კონფესიონს“) და „ღმერთის სამეუფოს“ („დე ცივიტატე დეი“) სათანადო ადგილებს\*.


მწერლის ამ მოგონების თავბრუდამსხვევი ექოა ნატაშა როსტოვას სიტყვები (იგი ეპიგრაფად წინ უძღვის ანდრეი ბელის რომანს „კოტიკ ლეტაევი“):

«— Знаешь, я думаю,— сказала Наташа шопотом... — что когда вспоминаешь, вспоминаешь, все вспоминаешь, до того довоспоминаешься, что помнишь то, что было еще прежде, чем я была на свете...» (ნაწ. II).

ეს სიტყვები დაწერილია ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიტიკურ აღმოჩენებამდე, მხედველობაში გვაქვს უმთავრესად მისი განთქმული „სიამოვნების პრინციპის მიღმა“, რომელშიაც ავტორმა პარადოქსული აზრი განავითარა: ადამიანის ენერჯის ყველა გამოვლინება (ლიბიდოს დაკმაყოფილება, სხეულის დაქანცვა, შემოქმედებითი წვა და შრომა...) არსებითად სიკვდილისაკენ მისწრაფებაა. სიცოცხლე — მატერიის ბუნებრივი წონასწორობის დარღვევაა, იგი ორგანიზებული და მოქმედი ფენომენია, როცა სიკვდილი ამ მატერიის ბუნებრივი და ადრინდელი მდგომარეობის ხელახალი აღდგენაა. ცხოვრება გალიაში დატყვევებული და ვამძლარი ცხოველის უაზრო ძუნძულია, რომელსაც ნამდვილად დასვენება სწადია და ამიტომ უნდა დაიდალოს. სიკვდილი მატერიის ნირვანას ამყარებს, ე. ი. იგი ოდითგანვე მისთვის (მატერიისათვის) დამახასიათებელ და ნორმალურ ვითარებას აღადგენს.

\* ამ საკითხს სავანებოდ ვეხებით ვრცელ მონოგრაფიაში „ნეტარი ავგუსტინე“, რომელსაც ვერ. „საუნჯე“-სთვის ვწერთ (ა. გ.).





ადამიანის მიერ მისი არყოფნის პერიოდის მოგონება ტოლსტოიმდე არავის მოხვლია ფიქრად, არც ის აზრი, რომ ცხოვრება ბოლოს და ბოლოს სიცოცხლის არსებობის მანძილზე სწავლასვა გრძლივობის მქონე დროს ფენომენისგან განთავისუფლებაა. ეს ფსიქოლოგიური და მხატვრული აზრი კაცობრიობის საამაყო მონაპოვარია.

თანაც, თუ ნატაშა როსტოვა მართალია, ჩვენი ემბრიონები უნდა ინახავდნენ უხსოვარ დროიდან მომდინარე იმპულსურ ბიძგებს, რომ ჩვენს სასხლში დასეტიალობენ წმინდანები და ავაზაკები, მკვლელები და ანახორეტები. და ჩვენმა წინაპრებმა უნდა აგონ პასუხი ყველა ჩვენი შეცოდებისა თუ უმაღლეს სულიერ აღფრთოვანებათა გამო. ერთნაირად მართალნი არიან — ვინც სამშობლოსთვის თავდადების მიზნით გილოტიანაზე ადის და ვინც ინცესტის (სისხლის აღრევის) ცოდვითაა დადაღული. დემოსთენეს სიტყვა და სოფოკლეს თიდიპოსის თვითგამოტირილი თანაბარი ღირებულების მოვლენებაა.

თავის დაკვირვებიდან ტოლსტოის ასეთი ეთიკური რელატივიზმი არ გამოუტანია, ანალოგიურ დასკვნამდე მხოლოდ თანამედროვე დეკადენტობა მივიდა. მაინც: ჩვენ სრულიად არ გვიკვირს, რომ ბუნინი ისევე შესძრა ტოლსტოის სიტყვებმა „პირველ მოვონებებში“, როგორც ჩეხოვი — ანა კარენინას მიერ თავისავე სახის ჭვრეტამ სიბნელეში.

მხატვრულ ნაწარმოებში დროის სტრუქტურული დანიშნულება დღემდე არაა კარგად შესწავლილი. დიდ როლს ასრულებს იგი „ოდისეაში“ (ოდისევსის თხრობა ზღვებზე თავისი ათწლიანი ხეტიალის შესახებ ფეაკების ქვეყნის მეფის ალკინოსს სასახლეში), „ვეფხისტყაოსანში“ (საკუთარი თავგადასავლის თხრობა ტარიელის მიერ) და არა ერთ ღირსშესანიშნავ პოეტურ და პროზაულ ქმნილებაში. დრო კონსტიტუირ როლს ასრულებს უ. ფოლკნერის რომანში „ხმაური და მკვინვარება“. „დრო მუდამ ჩვენთან რჩებაო“ — აცხადებდა შესანიშნავი ამერიკელი ბელეტრისტი და მისი პირქუში რეალიზმი გაუკებარი დარჩებოდა ამ მომენტის გათვალისწინების გარეშე.

ტოლსტოის პროზა ამ მხრივაც ნორმის მნიშვნელობას ინარჩუნებს. დროის ზოგზავური დინება წარმართავს ტოლსტოის პერსონაჟების ცხოვრებას და სიკვდილის ფენომენი ამთავრებს ადამიანთა სიცოცხლეს, რომელიც მწერლის შეხედულებით სამი მთავარი აქტისაგან შედგება: დაბადებისა, შეუღლებისა და სიკვდილისაგან. უდიდესი ჰუმანისტი და ასეთივე მორალური ძალის მქონე ტოლსტოი სასტიკი მხატვარი იყო. დიადი ხელოვნება თავისი ბუნებით სასტიკია. მაგრამ ეს სისასტიკეც თავისებურია: ტოლსტოის სამყარო ულაძაზვსია და მის პროზას არასოდეს ვაპკარებია უხამსობის სიწვიც კი — ბრძენი-მხატვარი არავის არ აყენებს შეურაცხყოფას! „აღმაშფოთებელია შექსპირის დაცინვანი მეფეთა სასახლის კარის მსახურ სუძარებზე“ — აცხადებდა იგი. ივან ილიჩის მოსამსახურე პატრონზე უფრო ბედნიერი და ჯანმრთელია და კატუშა მასლოვა სჯობია კორჩაგინებს!

მხოლოდ ზოგი თანამედროვე მულტიპლიკაციური „პროზაიკოსი“ ინერწყვება თავისი სულის ექსკრემენტთა რეზერვუარიდან. და მათ ანალოგიური სულის მქონე კრიტიკოსები ჰყავთ მესოტბედ (მაგ. რომელიმე მჯღაბნელს ადვილად გაუტოლებენ სოლმე დოსტოევსკის!) ჩვენშიც და საზღვარგარეთაც.

ტოლსტოი მუდამ სერიოზულია. მოქალიკე ტოლსტოი ისევე წარმოუდგენელია, როგორც მამაღმერთი ჯამბაზის არენაზე.


მდრ. ა. მორუას სიტყვები: „მას (ტოლსტოის, ა. გ.) მხოლოდ თავისი გმირების გრძნობები და მისწრაფებანი აინტერესებს და არც კი განსჯის მათ საქციელს, ბალზაკი ჰკიცხავს ჰულოს, სამარცხვინო ბოძზე აკრავს ფერდინანდს. ფლობერს სძავს ბურჟუაზია, ტოლსტოი, როგორც დემიურგი და ღვთაება, ყველას თანაბარ სინათლეს და შუქს ჰფენს“ (ანდრე მორუა. ყველაზე დიადი. „მნათობი“, 1960, № 11, გვ. 14).

მაგრამ სილამაზე, რომელსაც ტოლსტოი გვიხატავს, implicite შეიცავს „რ ა ღ ა ც ს ა შ ი ნ ე ლ ს“. ასე, მაგ. ტოლსტოი არ ამორებს ეპითეტ „მ შ ვ ე ნ ი ე რ ს“ („прелестная“) ანა კარენინას. პერსონაჟის არსებაში გრიგალის ავარდნის შემდეგ კი ამ მომნიშნავი ქალის სილამაზე თანდათან შემზარავ იერს იძენს:

«... было что-то ужасное в ее прелести» — ასკვნის ტოლსტოი.

პლასტიკური ფსიქოლოგიზმი უძევს საფუძვლად ტოლსტოის გრანდიოზულ ფრესკას, რომელსაც ისევე განმსჭვალავს „რ ა ღ ა ც ს ა შ ი ნ ე ლ ი“, როგორც ლეონარდოს ვანუშკვირვალე sfumato (ნისლოვანება) — ჯოკონდას გრძნეულ ღიმილს. ამიტომაც ტოლსტოის მეთოდი უნივერსალური: იდეალურის ამომწურავი ვაგება ან ბოლომდე ამოკითხვა შეუძლებელია.





ქართველი  
წიგლიერთა კავშირი



ე. ლაშვილი

„კავშირი-მშენებელი“



**3** არმონიულად განვითარებული ყოველი ადამიანის დამოკიდებულება ლიტერატურისადმი გაივლის იმ საფეხურებს, უფრო სწორად, იმეორებს იმ მონაცვლეობას, რაც ლიტერატურის ისტორიამ იცის — ზღაპარი, მითი, ეპოსი, კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი, რომანტიზმი, რეალიზმი... შემდეგ ეს წრე თითქოს იკვრება ეპოსით, მოწიფული ასაკის ჟანრით. რა თქმა უნდა, ეს განცხადება პირობითია და ამგვარი სქემა უფრო ჩემსა და წინარე თაობებს შეეფერება... მაგრამ ეს „ჰარმონია“ არსებობდა და ლიტერატურული ქვეყნის ერთიანობისა და წარუვალობის რწმენას წარმოქმნიდა.

კიდევ, ადამიანი გაივლის ცალკე მწერლების მეუფების ხანას (შემდეგ ეს რჩება, მეტნაკლები ძალისხმევითა და სიმძაფრით მთელი სიცოცხლე რჩება), ადამიანი გაივლის ჰომეროსის ხანას, შექსპირის ხანას, სერვანტესის ხანას... ასეთი სახელი ბევრი როდია და მათ შორის ყოველთვის იგულისხმება ლევ ტოლსტოისა და თეოდორ დოსტოევსკის სახელები, მათდამი მორჩილების „ეპოქა“ (ქართველ კაცს აქვს თავისი „ეპოქებიც“, თავისი საყრდენი სვეტები, არანაკლებ ფასეული და მნიშვნელოვანი... მეტად მნიშვნელოვანიც).

ყველას განუცდია (ან ყველამ უნდა განიცადოს) შექსპირთან, სერვანტესთან, ტოლსტოისთან შეხვედრის სიხარული; უნდა დატყვევდეს და ექვემდებარდეს; შემდეგ შესაძლოა ერთგვარი მოწყენაცა და გულგრილობაც... რაც ძვირფასი ადამიანის ღალატსა ჰგავს; მერე, კვლავ დაბრუნების ბედნიერება...

ამ მოძრაობის სივრცე და მიმართულება როგორც წესი, ასე გამოიხატება — მოდური ლიტერატურის მერყევ სფეროსა და მუდმივ ლიტერატურულ ღირებულებათა მარადიულ ქვეყანას შორის.

ასეთი გადასვლა რკალიდან რკალში გარდუვალია.

კლასიკურ სიმეტრიებთან დაბრუნებაც გარდუვალია, რადგან მოდას არ ახასიათებს სიმშვიდე და სისადავე, მოდა მეტწილად ფორმით გამოიხატება და არა შინაარსით; მოდა დამქანცველია და ამაფორიაქებელი.



როდის უაღიბდება ამის შეგნება, როდის ეძიებ მაღალ სიმშვიდესა და წონასწორობას? ალბათ მოწიფულობის კვირახალზე, როცა ცნობიერებას „თავზარდამცემი დესპოტიზმით“ დაიპყრობს ძლევამოსილი ლევ ტოლსტოი; როცა მიხვდები, რომ „წითელი და შავი“ მხოლოდ მოსაწყენი საკითხავი არ არის, როცა ერთხელაც უბრუნდები „დონ კიხოტს“ და კარდენიოს ნოველა კი არ გაინტერესებს ან ქარის წისქვილებთან მეომარი რაინდის ფათერაკები... როცა უღრმავდები დონ კიხოტის მონოლოგთა აზრს და ლომთან მოსაუბრე მარტოსულის სიბრძნეს მიწვდები... როცა მიხვდები, რომ „ეს დიადი წიგნია; ისეთი კი არა დღეს რომ წერენ; ასეთი წიგნი კაცობრიობას რამდენიმე საუკუნეში ერთი ეგზავნება“ (თ. დოსტოევსკი).

არ ითქმის — მიყვარს სერვანტესი, მიყვარს ტოლსტოი... რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, სიყვარული აქ კნინობითი ფორმაა... ამ დამოკიდებულებას სხვა განმარტება ჭირდება; იქნებ მორჩილება, სასოება, თაყვანისცემა უფროა შესაფერი; არ ვიცი...

ჩვენი წარმოდგენა მწერლის გარეგნობაზე უაღიბდებოდა რომანტიკოსთა გავლენით: ბაირონი, შელი, მიუსე, ჰიუგო... ჭაბუკური ოცნება შინაგანი სილამაზისა და პოეტურობის გარეგნულ გამოხატულებაზე... შემდეგ სტენდალი — პირველი დაეჭვება... ბოლოს ტოლსტოი — რეპინის, გეს, კრამსკოის, მალტესტის პორტრეტები, ტოლსტოი დახატული ქალიშვილის მიერ, ტოლსტოი დაგეროტიპზე, გასპრას ფოტოგრაფიებზე...

#### **შტეფან ცვაიგი, „ტოლსტოი“:**

„ამ დიდგვაროვანი და დიადი გონების ადამიანს სახის ნაკვთები არსებითად უხეშად აქვს ჩამოქნილი, არც მეტი, არც ნაკლები — ნამდვილი გლენივით... ბერძენმა დემიურგმა კი არა, არამედ სოფლის მოუქნელმა ხურომ შეაკოწიწა ამ დიდი სულის სავანე. გაუთლელ-გაურანდავი, ხის მორებივით ძარღვიანი, დაბალი განივი კოჭები შუბლისა ერთი ციციქნა თვალების ზეგარდმო; კანი მხოლოდ მიწა და თიხაა... შუაში, დახშულ ოთხკუთხედში — ცხვირი, ფართო, ღია ცხოველური ნესტოებით; გაჩეჩილი თმის უკან ბრტყელი, მოჩოლოჩინებული, თითქოს მუშტის ერთი მორტყმით მიტყეპებული, ამორფული, დაბლა დაშვებული ყურები; ჩაცვნილ ლოყებს შუა მსხვილ-ტუჩებიანი, ბუზღუნა პირი“.

#### **ანრი ლაპოზი, „სადამო გრაფ ტოლსტოისთან“:**

„ჩვენ წინაშე გამოვიდა კაცი — სწორედ იგი, ვისაც სურათებით ვიცნობდით. ეს მოსეა, მიქელანჯელოს მოსე, გრძელი, დატალღულა წვერით. პატარა თვალები აქვს, მაგრამ მათში თავმოყრილია მთელი ცხოვრება. ეს თვალები უფრო მჭევრმეტყველია, ვიდრე თვით ტოლსტოი“.

#### **ჟიულ ლეგრა, „სტუმრად ტოლსტოისთან“:**

„განსაკუთრებით დამამახსოვრდა და გამაოცა თვალებმა; პაწაწინა, ულამაზო თვალებმა, ცივმა და საოცრად გამჭრიახმა; ... არსად მინახავს ასე ღრმად ჩამსხდარი, გამგმირავი, ინკვიზიტორული თვალები. ისინი პატარა ბურღივით გიბურღავდნენ ტვინს“.





**ივან ბუნინი, „ტოლსტოის გათავისუფლება“:**

„გაზეთის შუა ჩანდა მთელი მსოფლიოსთვის ნაცნობი პორტრეტი მოხუცი გლეხისა; ხალათი ტომარასავით ჩამოეცვა; დარდიანი, მოღუშული გამოხედვა ჰქონდა და ვეება, ცერა წვერი“.

**ივან ბუნინის სიტყვებია:** იგი შემოვიდა „სწრაფი, მსუბუქი, საშინელი; გამჭოლი მზერითა და წარბშეკრული... გამომიწოდა თავისი დიდი ხელი, ჩემი ჩაბლუჯა, ფრთხილად მომიჭირა, მოულოდნელად და მომხიბლავად გამიღიმა; ალერსითა და იმავ დროს მწუხარედ, გულმტკივნეულადაც კი... და მე დავინახე, რომ მისი მორუხო-ცისფერი პაწაწინა თვალები სრულებით არ იყო საშინელი და გამგმირავი... ნადირის თვალთა გამჭრიახობა კი ჰქონდა“.

**ლოპატინა, „მოგონებები“:**

„...და აი, იგი უცებ შემოვიდა მსუბუქი, ჭაბუკური ნაბიჯით; რბილი ჩექმები ეცვა და რუხი ხალათი ზედ შემოჭერილი თასმა-ქამრით; აი იგი, თავისი ვეება წვერითა და აღუწერელი, უსწორმასწორო და მკვეთრნაკვთიანი, მარად დაუვიწყარი სახით... ბასრ, გამჭოლ თვალებიანი... ეს თვალები იმთავითვე (და მთელი ცხოვრება) სიკეთეს მოკლებული, უღმობელი მეჩვენებოდა — ასეთ თვალებზე იტყოდა მამაჩემი — მგლისანი არიან...“

**ვ. საბაშნიკოვა-ვოლოშინა, „საუბარი ლევ ტოლსტოის გამო“:**

„ღრმად ჩამჯდარი, ნაცრისფერი გამჭრიახი თვალები აბურძგვნილი წარბების ქვემოდან ქუშად გამოიციქირებოდნენ... მე ისე კარგად ვიცნობდი პორტრეტების მიხედვით ამ დიდებულ შუბლს, ამ ფართო, უშნო, ჭეშმარიტად ტოლსტოის ცხვირს, ამ თვალებს“...

თვალები, ისევ და ისევ თვალები... („თვალი—სანთელი სხეულის...“).

**ჟორჟ ანრი ბურდონი, „ტოლსტოის მოსმენისას“:**

„ეს ნაცრისფერი-მოლურჯო, ღრმად ჩამჯდარი თვალები კოცონებით გიზგიზებენ, კრატერებით შფოთავენ და როგორც კი თავის მრუმე სხივს მოგაპყრობენ, პირდაპირ სულის სიღრმეში შეაღწევენ“.

**ანდრე ბონე, „ტოლსტოის სიახლოვეს“:**

„მე ვერ მოვწყდი მის ღიაფერის თვალებს — ღრმასა და მოუსვენარს... საოცრად ნათელ გამოხედვას; ზოგჯერ მკაცრს, ფოლადივით დაფერილს, ზოგჯერ ნაზსა და ალერსიანს, ოღონდ მუდამ შინაგანი გზნებით გასხივოსნებულს“.

და მაინც რა ფერის თვალები ჰქონდა?

„როგორც კი საუბარი რაიმე მნიშვნელოვანს შეეხებოდა, მაშინ ეს გრან-სენიორი ვულკანური სულის ძალას გაგრძნობინებდათ. მისი უთქმელი ფერის თვალები უცებ გაღურჯდებოდნენ, გამუქდებოდნენ, გახდებოდნენ რუხი, თაფლისფერი...“

გაჩნდა სიტყვა — გრან-სენიორი (დიდი ბატონი).

„უბრალოება და სიღიადე, შინაგანი სიფაქიზე და ნატიფი მიმოხრა ბუნებრივად ერწყმოდა მის პიროვნებას; ხელის ჩამორთმევისას, ან იმ ძუნწი მოძრაობით, რომლითაც იგი სტუმარს დასაჯდომად მიიწვევდა, და იმითაც, თუ როგორ უგდებდა ყურს მოსაუბრეს — იგრძნობოდა, რომ თქვენს წინაშე გრან-სენიორი იდგა“.



გაერეოდა ეს „დიდი ბატონი“ გლეხებში; მათივე მსგავსი, მათებრ დამაშვრალი, დიდხელეა და ქედმოძრეკილი... ესაუბრებოდა, ვით ტოლსტოი და სწორი, არც ბილწსიტყვაობას ერიდებოდა, არც გამოთქმებს ირჩევდა; იდგა იგი, მიწის მუშა და ჭირნახულის მომწვევი... მერე უცებ გაიმართებოდა, აიღებდა თავს და წამოიყვირებდა: „მე გრაფი გახლავართ, გრაფი!“

(ბატონი გრაფი, ძველ ბოიარინ ტოლსტოებისა და რიურიკის შთამომავალ თავად ვოლკონსკების ნაშიერი).

მერე დაწერა — „სახე უბრალო გლეხისა მქონდა...“

ვინმე „მაღალი წრის მეტრისტვის“, ვისაც „გვირგვინოსანი დენდი, ინგლისის მეფე ედუარდ VII ენახა და შემპარავად მომხიბლველი აბდულ-ჰამიდ მეორეც“, ტოლსტოი იყო ჭეშმარიტი „გრან-სენიორი“. მისი რწმუნებით, ბატონკაცური ქცევა და სიღარბაისლე პირველთათვის „შეძენილი თვისება“ იყო, ტოლსტოისტვის — ბუნებრივი, განუყოფელი.

„სახე უბრალო გლეხისა მქონდა“... „წავიდა დრო, როცა ტანჯავდა საკუთარი გარეგნობა (რისი ექოც „ბავშვობასა და ყრმობაშიც“ ისმის). ახლა კი ეს უკვე გამორჩეულობაა იმ წრიდან, წარმოშობით რომ ეკუთვნოდა... ახლა ეს საერთოდ გახლდათ გამორჩეულობა, დიდი ფარული აზრის მქონე, უზარმაზარი შინაგანი ენერჯის გარეგანი სახე; თითქოს მის არსში მობობოქრო ვნებები გარეგნობის დეფორმირებას იწვევდა, როგორც მიწის გულში აბობოქრებული ლავა ამობურცავს მიწის გლუვ ზედაპირს უსწორმასწორო და მაღალ ქედად.

დასასრულს ერთი მოულოდნელი შტრიხიც. იგი არც მონოგრაფიიდან არის ამოღებული, არც ლიტერატურული გამოკვლევიდან ან მოგონებიდან. არსებობს ერთი ძველი წიგნი, უარყოფილი, მივიწყებული. სიკსის „როგორ გამოვიცნოთ კაცის ხასიათი“. ამ წიგნში ერთი პატარა, განსაცვიფრებელი თავია, „გრაფოლოგიური დახასიათება“ (ანუ ქირომანტია) — „ლევ ტოლსტოი“. აი ისიც, ცოტა იდეალიზებული, მაღალფარდოვანი, მართალი:

„იგი თავისუფალია, დამოუკიდებელი. მშვიდი. თავისთვის აღარაფერს ელის მომავლისაგან და არც ადგენს მომავლის გეგმებს. სურს ადამიანებს სიკეთე და სარგებლობა მოუტანოს, მაგრამ არ სურს გამორჩეულად ბრწყინავდეს.

სხეულისა და სულის სრული ჰარმონიაა...

თვითვე განსჯის საკუთარ თავს...

ერცხვინება ყოველი ბოროტის, უვარგისის, ულამაზოსა და უღირსის გამო. მშვიდი ნერვები აქვს, ძლიერი ნება. დიდად ამტანია გონებრივი დატვირთვისას, არასოდეს არ ამბობს ყველაფერს, რასაც ფიქრობს. გაურბის ზედმეტს, არასაჭიროს. ისწრაფის მისაღწევისა და შესაძლებლისადმი. არ ცდილობს აღზევებას, მყარ ნიადაგს ინარჩუნებს ფეხთა ქვეშ.

ისე ხედავს სინამდვილეს, როგორიც იგია; და ისეც, როგორიც არ არის, მაგრამ შეიძლება იყოს და უნდა იყოს. მომავლისგან საერთოდ ბევრს გამოელის. ცდილობს არსებულის გაკეთილშობილებას. თვითვეა პირველი მაგალითი, თავისი ხელით შრომობს. შეუძლია უხელმძღვანელოს და წარმართოს სხვათა საქმიანობა, ასევე შეუძლია სხვისი შეისმინოს და დაემორჩილოს.

ნდობა მოპოვებული აქვს ცხოვრებისეული დიდი გამოცდილებისა და სიბრძნის გამო, აგრეთვე ურყევი ზნეობით.





სამართლიანია და მოწყალე.

წყევლის ბოროტებას და არა მათ, ვინც ბოროტებას სჩადის.

ალერსიანია, თავაზიანი და გულკეთილი.

მზადაა სხვათა მსახურებისთვის.

უხვია, ხელგაშლილი და უანგარო.

ამჟღავნებს ზრახვათა არისტოკრატიზმს; ამქვეყნისა და ადამიანებისაგან პირადად თავისთვის არაფერს მოითხოვს“.

„ღიახ, ჩემო კარგო, საოცარი ბიჭი იყო. მაგრამ რას ნიშნავს — მოკვდა? სიკვდილი არ არსებობს, იგი არ მომკვდარა, რაკი ჩვენ გვიყვარს და ვფიქრობთ მასზე.“

...იგი თხრობებს ისე სწრაფად ახტებოდა, რომ მიყოლა მიჭირდა... მიდიოდა და იმეორებდა — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მკაცრად, მკვეთრად: სიკვდილი არ არსებობს, სიკვდილი არ არსებობს“ (ი. ბუნინი).

მას ეშინოდა სიკვდილის; აკი თავადაც აღიარებდა, რომ ძრწოლასა ჰგვრიდა სიკვდილზე ფიქრი. ოღონდ შიში სხვისი თანალმობისა და თანაზიარობის სურვილს როდი წარმოშობდა. მას სურდა პროცესის შესწავლა და შეცნობა. ეს იყო დამოკიდებულება — გონისმიერი, ცნობიერი, იქნებ თვითმიზნურიც... შიში და ირონია, ცოდნა „არყოფნისა“, მოსაკვდენად მზადება... ყოველი ადრე სიჭაბუკიდან დაიწყო („ბავშვობა და ყრმობიდან“).

ი. ბუნინს ხაზგასმით მოაქვს მარკუს ავრელიუსის თეზა: „ჩვენი უმაღლესი დანიშნულება სიკვდილისთვის მზადებაა“, და როგორც წერს ტოლსტოი — „დღენიადაგ ემზადე სიკვდილისთვის, ისწავლე მოკვდე ღირსეულად“.

ღირსეულად, ლამაზად, ამაყად მოკვდომა რჩეულთა ხვედრია — სულის აღზევების, ძლიერების, ღვთისმოსაობისა და სათნოების მაგალითი.

„... და თუკი ვინმე ოდესმე იყო დაჯილდოებული ორმაგი ხედვით და დაჯილდოებული სწორედ სიკვდილის ანგელოსისგან, ეს გახლდათ ლევ ტოლსტოი“.

(„მარადიულ ცხოვრებას და ნაცვალებას, აქაც და ყველგან, იმდენად ვაღიარებ, რომ ასაკით უკვე სამარის კართან მდგომი, თავს ძალას ვატან — არ ვისურვო ხორციელი მოკვდინება, ე. ი. ახალი სიცოცხლით დაბადება“, — წერს იგი, უკვე მოძღვარი და ქადაგი, სიცოცხლის ბოლოს).

მ. გორკი იგონებს — ტოლსტოის ახლოს ცხოვრება შეუძლებელი იყო, რადგან მის ირგვლივ უდაბნო გადაშლილიყო და იგი მარტოდმარტო იმყოფებოდა იმ მიჯნაზე, სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის რომ გაწოლილათ.

ამის გამო იცოდა მან არყოფნის თაობაზე შემზარავად ბევრი, იყო ულმობელი და მკაცრი... თუმცა რა არის მწერლის თანალმობა? წუწუნი სხვათა ტკივილის გამო? რისთვის უნდა ვეძიოთ თანალმობის ის ფორმები, სენტიმენტალურ ადამიანებს რომ ჩვევიათ?! ჭირდება კი ასეთი თანაგრძნობა თვით გმირებს, პერსონაჟებს... იქნებ ამგვარი თანაგრძნობის უარყოფაში იფარება „ქმნის“ საიდუმლო...

აი რას სწერს ტოლსტოი ძმას ჯერ კიდევ 1851 წელს: „ამ დღეებში მოკლეს ჰკვიანი და მამაცი გენერალი სლევტოვი; თუ მოისურვებ გაგებას, ეტკინა რამე თუ არა, ამის თაობაზე მე არა ვიცი რა...“

ეს ცინიზმი როდი გახლავთ. ეს სიკვდილთან დამოკიდებულების ფორ-



მაა. სიკვდილის წინაშე შეკრთომა-შედრწუნებისაგან თავის დახსნის გზა... ეს არის თავად ანდრეის სიკვდილის ქროთგვარი წინასიტყვა.

„იგი იწვა დივანზე, გარს ბალიშები შემოეწყობო, ბეწვის ხალატი ემოსა გამხდარი იყო და ფერმიხდილი. თეთრ, გამჭვირვალე ხელში ცხვირსახოცი ეჭირა, მეორეთი, ნელი მოძრაობით, წამოზრდილ ულვაშს იწიწკნიდა. თვალი შემოსულთათვის მიეპყრო.

თავადის ქალმა მარიამ დაინახა მისი სახე, წააწყდა მის თვალებს, უცებ შეანელა ნაბიჯი და იგრძნო, როგორ შეაშრა ცრემლი და ჩაუწყდა მოწოლილი ქვითინი. ნათლად დაინახა თავად ანდრეის სახის გამომეტყველება. უცებ შეკრთა, დამნაშავედ შერაცხა თავი.

— კი მაგრამ რა დავაშავე? — გაიფიქრა.

— ის დააშავე, რომ ცხოვრობ და სიცოცხლისთვის ზრუნავ. მე კი... — უპასუხებდა მისი მკაცრი, გათოშილი გამოხედვა.

ღრმა ხედვა, ჩაბრუნებული შიგნით და არა გარესამყაროსადმი მიმართული... და ჩანდა მტრობა, როცა დასა და ნატაშას შეავლო თვალი“ („ომი და მშვიდობა“).

და კიდევ:


„მის გამოხედვაში — ცივსა და თითქმის მტრულ გამოხედვაში — იგრძნობოდა ცოცხალი ადამიანისთვის შემზარავი განდგომა ამქვეყნიურისგან. ეტყობოდა, იგი ძლივს უგებდა ყოველივეს ცოცხალს; იმავე ღროს იგრძნობოდა, იმის გამო კი ვერ გაეგო სიცოცხლისა, თითქოს მიხვედრის ძალა არ შესწევდა; იმის გამო ვერ გაეგო, რომ მან იცოდა რაღაც სხვა, ისეთი რამ, რასაც ვერ გაიგებდნენ და რისი გაგებაც არ ძალუძდათ ცოცხლებს, და ეს რაღაც ერთიანად დაუფლებოდა მის არსებას“ („ომი და მშვიდობა“).

და კიდევ:

„იგი არ ირხეოდა, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენოდა შეგრძნება. როცა ჰაჯი-ალამ მოიბინა და თავში დიდი ხანჯალი ჩასცხო, მას მოეჩვენა, რომ ჩაქუჩის ურტყამდნენ, ოღონდ ვერ მიხვდა, ვინ რისთვის ჩადიოდა ამას. ეს იყო მისი უკანასკნელი შეგრძნება, დაკავშირებული სხეულთან“ („ჰაჯი-მურატი“).

აქ არ არის თანაგრძნობა, ტოლსტოიმ აქაც არაფერი იცის ტკივილის გამო, „შეგრძნებები, დაკავშირებული სხეულთან“ მისთვის არაფერს ნიშნავს; იგი ისე ახლოსაა მიჭრილი არყოფნასთან, რომ ფიზიკური შეგრძნებანი ერთიანად გამქრალან. ამ სტოიკურ პოზაში (თავად ანდრეის პოზაში) არ არსებობს თანალმობის მოთხოვნა; პირიქით, იგი აღარაა საჭირო, ზედმეტია, შემაწუხებელი... რადგან თავადმა ანდრეიმ უკვე იცის ის, რაც მას განუზომლად აღამადლებს ყველასა და ყველაფერზე, იგი უკვე ნაზიარებია არყოფნის სრულქმნილებას... სწორედ ამის გამოისობით, ამ სიკვდილის სცენით, შემოიჭრება თავადი ანდრეის სახე ცნობიერებაში და იქ აღწევს სისრულეს... სწორედ აქ ვსწავლობდით ღირსეულ სიკვდილს... ანდრეი ბოლკონსკის გარდასვლა იყო პირველი შეხსნა იმ იდუმალი ქვეყნის დაგმანული კარისა, სადაც თვითშეცოდებისა და ხორციელი შეგრძნებისაგან გათავისუფლებული უნდა შეხვიდე. „სიკვდილი არ არსებობს, სიკვდილი არ არსებობს... — ამბობდა იგი მკვეთრად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ“ და ამბობდა იმიტომ, რომ ამქვეყნად ყველაზე მეტი იცოდა მისი „არსებობის“ თაობაზე.





ლევ ტოლსტოი შვიდწლეულებად ყოფდა თავის ცხოვრებას, ყოველი შვიდწლეული იყო დასრულებული მონაკვეთი სულიერი და გონებრივი განვითარებისა... ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, მეექვსე შვიდწლეულია, 35-დან 42 წლამდე, — როცა დაამთავრა და გამოსცა „ომი და მშვიდობა“.

„ომი და მშვიდობა“ ჭეშმარიტად ფილოსოფიური ქმნილებაა, სადაც ტოლსტოი დაკითხავს ბუნებას ყოველი სულიერის სახელით. ამ რომანში ჯერ კიდევ მოჭარბებულია ჰომეროსისეული ან შექსპირული „უშუალობა“, ე. ი. ლევ ტოლსტოის არ სურს ადამიანს მიუზღას სანაცვლო სიკეთისა და ბოროტებისთვის; მოჭარბებულია იმის შეგნება, რომ ადამიანის არსებობისთვის პასუხისმგებლობა ჩვენს გარეშე, ზესკნელშია საძიებელი“ (ლ. შესტოვი).

როცა კითხულობ რომანს, „ღია ფანჯრიდან რეალურ, ნამდვილ ცხოვრებას უთვალთვალე“, (შ. ცვაიგი), და ეს რეალური ცხოვრება ერთიანად წარმოსახვის ნაყოფია, ეს მისი „გამჭრიახი თვალი“ ეძებს თვისებათა საწყისსა და საფუძველს ახლობლებში... რაც მთავარია, იგი ფლობს იმ მაღალ ჰარმონიას, რასაც ეპიური სიმშვიდე, ეპიური ჭკრეტის ჰარმონია ჰქვია. იგი თანდათან ფრთხილად აშენებს ამ ქვეყანას და გაამხელს იმ უღრმეს საიდუმლოს, ყოველ ადამიანში რომ აღმოაჩინეს. იქნებ ამ საიდუმლოთა გამხელის გამო უჯანყდებოდნენ ახლობლები.

მაგრამ „სადღა ნახავთ თქვენ დღეს „ბავშვობასა და ყრმობას“, ისე ზუსტად და ნათლად რომ იყოს მოთხრობილი, როგორც წარმოსახა, მაგალითად, თავისი დრო და ოჯახი გრაფმა ტოლსტოიმ; ან თუნდაც „ომსა და მშვიდობას“?

...ვგულისხმობ მხოლოდ მათ ხასიათს, — დასრულებულს, გამოკვეთილსა და განსაზღვრულს — ესაა თვისება, რისი წყალობითაც წარმოიშვა ეპოქის ისეთი თვალნათლივი და ცხადი ასახვა, როგორც გრაფ ტოლსტოის ორთავე პოემაშია“ (ფ. დოსტოევსკი).

შემდეგ დოსტოევსკი წერს, რომ თვით მისი ეპოქისთვისაც კი „ეს პოემები, მხოლოდ და მხოლოდ წარსულის ისტორიული სურათებია“. ის რაც დოსტოევსკის ისტორიულ სურათებად მიაჩნია, მით უმეტეს „ისტორიულია“ (ანუ გარდასული) ჩვენთვის, ასახულის სტილისა და ყოფიერების თვალსაზრისით. ოღონდ საცნაურია ერთი: ლევ ტოლსტოის ჰარმონიული, „დიდებული სურათები ყოფისა“ (ფ. დ.) იმდენადვეა ისტორიული, რამდენადაც დოსტოევსკის „შემთხვევითი ოჯახები“, უწესრიგობა, ბუნდოვანება და ფორიაქი...

ზედროული, მარადი, მუდმივ მოქმედი აღმოჩნდა მათი ლიტერატურა, მათი ზნეობა, ეთიკა და ესთეტიკა; მათი „პოემები“ — მიუხედავად იმისა თუ რას „მოგვითხრობენ“: გრაფ ტოლსტოების „კეთილმოწყობილი“ ცხოვრების ამბებს (ასე უცხოა და „ისტორიულს“ დოსტოევსკისთვის) თუ დოსტოევსკების აღრეული, მოუწყობელი ყოფიერებისა (ეგზომ „სნეულისა“ და შორეულის ლევ ტოლსტოისთვის).

„ომი და მშვიდობა“ რთული ნაგებობაა, სადარბაზო მისასვლელი მაღამ შერევის სალონია, გუმბათი — ბოროდინო, ეპილოგი — პერსპექტივაა. უამრავი სიუჟეტური ხაზი ვრცელდება მის მიღმა და აქვს თავისი იდეა და კომპოზიცია.

(მერეჟკოვსკი საერთოდ მიუთითებდა ღია ექსპოზიციასა და ღია ფინალს;



რომენ როლანი ყველა კიდევ ეპილოგის შესაძლებელ გაგრძელებას, საკმაოდ გასაგებად და აწყობილად).

„რომანი ის ქვეყანაა, სადაც უცებ გზის გაკვლევა შეუძლებელია“... ალბათ არავის არასდროს გაჩენია სურვილი უცებ გაეკვლია გზა „ომსა და მშვიდობაში“, და დაეყვანა თავისი შთაბეჭდილება ერთ ფორმულა-ნიშნამდე. თუმცა არსებობენ „მკითხველი-ტურისტებიც“, უცებ რომ მიმოიბრუნენ ამ ქვეყანას და შემდეგ „შთაბეჭდილებებით“ დაყურსულნი მის სოციალურ-ესთეტიკურ არსზე თამამად მსჯელობენ კიდევ.

„ომი და მშვიდობა“ თავისთავად მოითხოვს გარკვეულ ინტელექტუალურსა და სულიერ მზადყოფნას, გონებრივ სიმწიფესა და მოთხოვნილებას, რადგან წიგნის წაკითხვაც თითქმის ისევეა დაკავშირებული აუცილებელ მოთხოვნილებასთან, როგორც წიგნის დაწერა.

ჩვენ სიჭაბუკისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმითა და ავტორიტეტთა უარყოფის სურვილით უკუვაგდებდით ბევრს, (ჩვენზე ჯერ კიდევ მოქმედებდა ლიტერატურული დილეტანტების საყვარელი გამოთქმა — ახალი; ახალი მოთხოვნა, ახალი პროზა... როცა რაიმე ნიშანი საერთო თვისებად ცხადდება; ძალას გვმატებდა იმის შეგნება-მირაჟი, რომ ეს ახალი რაღაც უპირატესობას გვანიჭებდა. აქვს ტოლსტოის ერთი გამონათქვამი, უაღრესად სიმპტომატური, დამახასიათებელი და, ჩემი აზრით, სადღეისოდ ჩვენთვისაც ყურადსაღები — „როგორც სტილისტები, თანამედროვე მწერლები გაცილებით დახელოვნებულნი არიან, ვიდრე ჩვენ — ხანდაზმულები. უფრო რე მხატვრები არიან, მოქნილნი, ღრმად ჩამძიებულნი; ოღონდ ერთია, ისინი აღარ მიმართავენ რამდენადმე მნიშვნელოვან თემებს, არ ამუშავენ მათ — ან არ სურთ, ან არ შეუძლიათ და გამოედევნებიან რაღაც წვრილმანებს“).

...უარყოფდით წაუკითხავად, პრინციპის გულისთვის... შემდეგ დადგადრო „ომისა და მშვიდობის“, და აღტაცებას ჩვენებურად გამოვხატავდით, ეს არ იყო ემოციური აფეთქება, მტკიცება, ხმაური... თავზარდაცემული გახლდით და ვლავარაკობდით ჩურჩულით, სერიოზულად, ფიქრიანად... მთელი არსებით შევიგრძენით ჭეშმარიტი ეპოსის ძალა.

ჩვენს აღტაცებაში იყო რაღაც მსგავსი დიდებული ტაძრით აღტაცებისა; ტაძარში არ ყვირიან, არ ჭყლობინობენ, ცუნდრუკით არ გამოხატავენ სიხარულს — ტაძარში სდუმან. დუმლია ტაძრით აღტაცება.

მერე დავიწყეთ სწავლა, დიახ, სწავლა... შევირდად მივებარეთ და თანდათან შევალწიეთ რომანის სტრუქტურაში.

ჩვენს დამოკიდებულებაში ტოლსტოისადმი იყო რაღაც განსხვავებული, ჩვენეული; დაგვიმორჩილა ქართული ხასიათისა და ტემპერამენტის საპირისპირო, თითქოს შეუთავსებელმა ფენომენმა, სულ სხვა სტილისტიკამ... დაგვიმორჩილა სწორედ იმან, რის თაობაზეც თომას მანი წერდა — „შესაძლოა ქვეყნიერებამ არც იცოდეს მეორე შემოქმედი, ვისთანაც მარად ეპიური, ჰომეროსისეული საწყისი ისე ძლიერი იყოს, როგორც ლევ ტოლსტოისთან. მის ქმნილებებში ცოცხლობს ეპოსის სტიქია, მისი დიადი ერთფეროვნება; რიტმი, ვით ზღვის თანაბარი სუნთქვა; ...შეუმუსვრელი სიჯანსაღე, შეუმუსვრელი რეალიზმი“.

სწორედ „ეპოსის სტიქიამ“, დიაღმა და ყოვლისმომცველმა სტიქიამ მაშინ (და დღესაც), ჩვენთვის თითქოს უცხო და ესოდენ მიმზიდველმა, დაატ-



ყველა ჩვენი წარმართი სულები. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, არც შეიძლება გვცოდნოდა, რომ „ფსიქოლოგიური უკვე პათოლოგიის საწყისია“, რომ „სი-ჯანსაღე — ხორცის საუფლოა...“ ჩვენ დავემორჩილეთ ჰარმონიის შეგრძნების დიად ინსტიქტს, შეუგნებლად ვითვისებდით იმ „ჯანსაღსა და უზაკველ“ სამ-ყაროს, სიცოცხლის იმ უნაპირო საუფლოს, რომელსაც ტოლსტოი, ეს „ხორ-ციელი არსის დიდი მესაიდუმლე“ (მერეჟკოვსკი), ჩვენს წინაშე გადაშლიდა.

„ომი და მშვიდობა“ ახალი ილიადაა. აქ ცხოვრობს და მოქმედებს ვნება-თა და ხატთა მთელი სამყარო. ამ ადამიანურ ოკეანეზე გაშლილია ყოვლის-მპყრობელი სული, ზვიადი სიმშვიდით რომ ამოჭრის ქარტეხილებს და ასევე თრგუნავს მათ“ (რომენ როლანი).

ბოლოს და ბოლოს, რას წარმოადგენს ეს „ოკეანე“? „უბრალო“ ადამი-ანების სამყოფელს; არც ერთი მათგანი არ ფლობს ზებუნებრივ, ზეკაცურ, გან-საკუთრებულ თვისებას... ეს არის წიგნი საოცრად ადამიანური ადამიანების შესახებ... იგი იქმნებოდა ბიბლიური სიღინჯითა და თანმიმდევრობით; იქმნე-ბოდა, როგორც შინაგანი მოთხოვნების შედეგი და ფიზიკური აუცილებ-ლობა; სხვანაირად არ შეიძლება...“

თვით ისეთი „განსაკუთრებული“ პიროვნება, როგორც არის მაგალითად, თავადი ანდრეი, ადამიანური სისადავითა და უბრალოებითაა აღბეჭდილი. იგი ისევე „გასაგებია“, როგორც მართლაც და „საშუალო“, შეზღუდული, მაგრამ რატომღაც ტოლსტოისთვის ძვირფასი, ნიკოლენკა როსტოვი; და ეს მიუხე-დავად იმისა, რომ თავადი ანდრეი თავისი ბუნებით, დაღლილი ფსიქიკით, ერთგვარი „ინგლისური სპლინით“ (რადგან რუსულ არისტოკრატიზმს ან ინ-გლისური ან ფრანგული სტილი და გამოხატულება ახასიათებდა), შინაგანი სინატიფის გარეგნულად ძუნწად, სკეპტიკური გამოვლენით ერთიანად გან-სხვავდება მისგან და არა მარტო მისგან.

წუთით დავივიწყოთ ყველა, ვის მოდელსაც ტოლსტოი, უღმობელი და ყოვლის მხედველი, ახლობელთა შორის ეძებდა (მოხუცი თავადი ბოლკონსკი, როსტოვების ოჯახი, ნატაშა, დოლოხოვი, დენისოვი, კურაგინები...) და მივ-მართოთ მათ, ვის სახეებსაც ისტორია ძერწავდა, ვის ხასიათებსაც ე. წ. ის-ტორიული ტრადიცია განაპირობებდა: ალექსანდრე პირველი, ბენიგსენი, ბაგ-რატიონი, კუტუზოვი, ნაპოლეონი... როგორ ექცევა მათ ტოლსტოი? კიდევ უფრო უღმობლად, ყოველგვარი აღმატების გარეშე, ისტორიული ტრადიცი-ის საპირისპიროდ. ტოლსტოი ისტორიკოსი საოცარი ობიექტურობის, ფაქტთა ერთგულებისა და საოცარივე თავნებობის მაგალითია. თუმცა მას, თუ შეიძ-ლება ასე ითქვას, ეროვნული სიმპათიების ნალექი მაინც ატყვია და ეს ბუ-ნებრივია (ისევე, როგორც ბუნებრივად მიმაჩნია გამოთქმა — „ჩვენები“ — ტოლსტოი უმეტესად ასე წერს — „ჩვენების მწყობრი“, „ჩვენი ავანგარდი“, „ჩვენი ქვემეხი“, „ჩვენები და ფრანგები“ და არა—რუსები და ფრანგები); ნუ დავივიწყებთ, ტოლსტოი მაღალ ობიექტურობასთან ერთად „სევასტოპოლის მოთხრობების“ ავტორიცაა, გარდა ამისა, ჩვენ აქ ვუახლოვდებით გარკვეულ ტენდენციას, თვალსაზრისს.

„...ბაგრატიონმა მხარი აუჭვია წინ ჩავლილ რიგებს და ცხენიდან ჩამოხტა. აღვირი კაზაკს მიუგდო, ნაბადი მოიხსნა და მასვე გადასცა. გამართა მუხლი, თავზე ქუდი გაისწორა.

მთის ძირას ფრანგთა კოლონა გამოჩნდა.



— ღვთით! — ჩაილაპარაკა ბაგრატიონმა მტკიცედ, გარკვევით, წამით შებრუნდა მწყობრისკენ და ხელების ქნევით, კავალერისტის უხერხული სიარულით, თითქოს თავს ძალას ატანსო, ოღროჩოღრო ველს გაბყუა“.

არაფერი რომ არ ვთქვათ საერთოდ რომანზე, თვით ამ მონაკვეთში — შენგრაბენის ბრძოლის აღწერაში — ბევრია უფრო ცხადი და თვალნათლივი სურათი (ტუშინის ბატარეა, ჰუსართა იერიში და ა. შ.), მაგრამ ეს სურათი სამ ათეულ წელზე მეტია მახსოვს და მას ვერც გვიანი შთაბეჭდილებები გადაეფარა, ვერც გონისმიერმა აღქმებმა გაუცვითა სიცხოველე, ალბათ იმის გამო, რომ სწორედ ამ სურათთანაა დაკავშირებული სიყმაწვილის ოცნებები, რომ აქ პეტრე ბაგრატიონზეა ლაპარაკი...

„თავადი ანდრეი გააოცა ბაგრატიონის გამომეტყველების შეცვლამ. მისი სახე დიდ ყურადღებასა და ბედნიერ გადაწყვეტილებას გამოხატავდა, როგორც იმ კაცის სახე, ზაფხულის შეხუთულ ღღეს წყალში გადახტომას რომ გადაწყვეტს და უკანასკნელ ქანს იღებს. მიმინოს მრგვალი, უტეხი თვალები აღტაცებითა და რაღაცნაირი ზიზღითაც იცქირებოდნენ წინ; ... ზანტად და მოზომილად მოძრაობდა“.

მარცვალ-მარცვალ იკრიბებოდა ყველა ის ადგილი, სადაც თავადი ბაგრატიონი იყო მოხსენებული (შენგრაბენი, აუსტერლიცი; წვეულება მოსკოვში, ბოროდინო...); და სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში ნათელი ხატი: აღმოსავლური, ხაზგასმული სიზანტე და სიდინჯე, შინაგანი არისტოკრატიზმი, ამაყი დამოუკიდებლობა და ძლიერი ნებით დაოკებული ფარული გზნება, ძალუში ტემპერამენტი... თანდათან, აქა-იქ გაიელვებს ფრაზა, თითქოს გაკვრით, მაგრამ ამ ფრაზების მიღმა უკვე თვალსაზრისი დგას; გამოკვეთილი, ჩამოყალიბებული — ისტორიისა და პიროვნების ურთიერთქმედების ტოლსტოისეული თვალსაზრისი.

„თავადმა ბაგრატიონმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა და ისე წარმოთქვა — კარგია, კარგი... — თითქოს ყოველი, რაც ხდებოდა და რასაც მოახსენებდნენ, წინასწარ ჰქონდა განჭვრეტილი...“

„...თავადი ბაგრატიონი ისე ირჩებოდა, თითქოს ყველაფერი რაც თავისთავად, ან ცალკეული მეთაურების ნებასურვილით ხდებოდა, თუ მისი ბრძანებით არა, ყოველ შემთხვევაში, მის მიერ წინასწარ განჭვრეტილი იყო. იმ დიდი ტაქტის გამო, რასაც იჩენდა, მიუხედავად მოვლენათა შემთხვევითობისა და სრული დამოუკიდებლობისა, მისი იქ ყოფნა მაინც ძალზე ბევრს ნიშნავდა. აღელვებული მეთაურები ეახლებოდნენ თავად ბაგრატიონს და იქვე მშვიდდებოდნენ. ჯარისკაცები და ოფიცრები ხალისიანად ესალმებოდნენ და მის თვალთა წინაშე უფრო ყოჩაღდებოდნენ; ჩანდა, სიმამაცით აწონებდნენ თავს“ („ომი და მშვიდობა“).

(რომენ როლანი ერთგვარ უკიდურესობამდეც მიდის — ტოლსტოის აზრით „ჭეშმარიტი მხედართმთავარი ის არის, ვინც არც ცდილობს ბრძოლას უხელმძღვანელოსო“...).

„ამ მოხუცს (კუტუზოვს) თითქოს ვნებათა ღღღვა მხოლოდ ჩვევად შემორჩა და ნაცვლად გონებისა — მოვლენათა მშვიდად ჰვრეტის უნარი. იგი არაფერს წამოიწყებს, არაფერს გამოიგონებს, მაგრამ ყველაფერს მოისმენს და დაიმახსოვრებს, ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, სასარგებლოს ხელს არ შეუშლის და საზიანოს წინ აღუდგება“ („ომი და მშვიდობა“).





ტოლსტოის თვალსაზრისი თანდათან ღრმავდება და აპოთეოზს ეპილოგში აღწევს, განსაკუთრებით ნაპოლეონის მიმართ. „ნაპოლეონი ტოლსტოისთვის დასაბამიდან დასასრულამდე მტერია და მტერი — ზნეობრივად დამნაშავე. ოღონდ იმ უბედურებათა გამო კი არა, რაც მან რუსეთსა და ევროპას მოუტანა (ეს მას აპატიეს კიდევ). ტოლსტოის სხვა რამ აღაშფოთებს. კერძოდ ის ფაქტი, რომ იმპერატორს მიაჩნდა — თითქოს 15 წლის მანძილზე ქმნიდა ისტორიას“ (ლ. შ.).

ტოლსტოის სწორედ ეს „ისტორიის შექმნის“ პრეტენზია აღიზიანებს, რადგანაც ერთიანად უპირისპირდება მის წარმოდგენას ადამიანის ადგილსა და როლზე არა მარტო ისტორიულ პროცესში, თვით ბუნებაშიც.

ნაპოლეონი ტოლსტოის სძულს, როგორც უზურპატორი, „წესრიგის“ აღმრევი, მის სამშობლოში შემოჭრილი მოძალადე... და სხვათა შორის, მის მიმართ რაღაცნაირი იდუმალი შეპაექრების, პიროვნული ჯიბრის, დაპირისპირების შინაგანი იმპულსიც ამოძრავებს.

ტოლსტოი თითქოს ერთი ხელის მოსმით უსწორებს ანგარიშს ნაპოლეონს: „რომ მიხვდეთ, ვინ არის ნაპოლეონი, უნდა წავიკითხოთ — მემორიალი წმ. ელენეს კუნძულისა. აქ ცდილობდა იგი აზრის მთელი სიღრმე გამოეჩინა. ...მე წავიკითხე მემორიალი — აზრის გასაოცარი სიძაბუნეა. აგებული ზოგადი მსჯელობების ხუხულა, სისულელითა და უხეში შეცდომებითაა სავსე. აი რა უფრო ნათელყოფს ნაპოლეონის პიროვნებას, ვიდრე მისი ომების ისტორია — სავარაუდოა, რომ ფალსიფიცირებული“.

ტოლსტოი განსაკუთრებით გამოყოფს ე. წ. „ომის სულს“ (რისი ნახვაც ბოროდინოზე პიერ ბეზუხოვს სურდა და რაც უნებლიეთ იხილა სტენდალის ფაბრიციო დელ დონგომ ვატერლოოზე. მათი პოზიციის მსგავსება ოდესღაც „აღმოჩენა“ მეგონა და ამის თაობაზე საგანგებოდ ვწერდი ესეში სტენდალზე; შემდეგ კი მორის დენი რომის მოგონებაში წავაწყდი ასეთ ადგილს:

„ტოლსტოიმ თქვა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტენდალმა. „ომსა და მშვიდობაზე“ მუშაობისას განიცადა „პარმის სავანის“ ძალუმი გავლენა. კერძოდ, ტოლსტოი განაცვიფრა იმ თვალთახედვამ, იმ კუთხემ, საიდანაც ფაბრიციო ბრძოლას უთვალთვალებს და ვერაფერს ხვდება. ეს ადგილი ადასტურებსო სტენდალის ღრმა გამოცდილებასა და ჭეშმარიტების ერთგულებას, ამის გამო ტოლსტოი დიდად აჯასებდა სტენდალს“).

ტოლსტოიმ იცის, ბრძოლის ველი ერთნაირად ამყლავნებს ადამიანის სულიერ ძალას, მსხვერპლის გაღების უნარს, ამხანაგობას, მხარდაჭერას... ოღონდ „გმირობა“ მისთვის ბუნებრივი აქტია (თვით ისეთ აპოლოგეტურ ქმნილებაშიც, როგორც არის „სევასტოპოლის მოთხრობების“ პირველი ნაწილი), მამაცობა ხალხის თვისებაა და არ ახასიათებს არავითარი პოზა. ეს ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მოკლებულია, მაგალითად, იმ არტისტიზმს, გარეგნულ ელვარებას, რაც ახასიათებს „ძველი გვარდიის“ სარდლის გენერალ კამბრონის სიტყვებს. ვატერლოოს ბრძოლაში კამბრონს საპატიო დანებება შესთავაზეს, მან უპასუხა — „ნეხვო, გვარდია არ ნებდება, გვარდია ილუპება“ (ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულში“ აღწერილი აქვს ეს სცენა, თვით კამბრონის ჩიბუხიც კი).

აკადემიკოსი ტარლე საგანგებოდ იხსენიებს ბაგრატიონის შეძახილს ბოროდინოს ველზე — იერიშზე გადმოსული ფრანგების დანახვისას იგი იტყ-



ვის — ჩინებულად მოდიან! (ტოლსტოი ამ სიტყვებს რატომღაც ვინმე ანონიმს წამოასროლინებს შენგრაბენის ბრძოლაში). ტარლე განსაკუთრებით აღნიშნავს ამ შეძახილის ესთეტიკურ არსს და მიაჩნია, რომ იგი სხვა წარმომავლობისაა, გულისხმობს პეტრე ბაგრატიონის წარმოშობას და აქ ეძებს ამ მოულოდნელი ესთეტიკური შეფასების სათავეს; ხედავს „აღმოსავლურ დახვეწილობასა“ და სილამაზის შეგრძნების განსხვავებულ ფორმას (ე. ტარლე, „1812 წელი“). ტოლსტოისთვის გმირობა ეროვნული ხასიათის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოფითი გამოვლენის აქტია და ძნელი სათქმელია, რა უფრო ახლობელია მისთვის — პლატონ კარატაევის უშფოთველი, ხალხური სიბრძნითა და დათმენით გასხივოსნებული აღსასრული თუ ანდრეი ბოლკონსკის გმირობის თეატრალური აფექტი აუსტერლიცზე. ალბათ მაინც პლატონ კარატაევი — ფესვი ეროვნული არსებობისა, მაგრამ ეს სხვა საკითხია და შორს წაგვიყვანს. ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ ტოლსტოის მიაჩნია — არავის ამქვეყნად არ ძალუძს „შექმნას ისტორია“.

„შემთხვევამ შექმნა ვითარება, გენიოსმა გამოიყენა იგი, — წერენ ისტორიკოსები.

მაგრამ რა არის შემთხვევა და რა არის გენიოსი?

სიტყვები — შემთხვევა და გენიოსი არ აღნიშნავენ რაიმეს ჭეშმარიტად არსებულს, ამის გამო არც განიმარტებიან. ისინი აღნიშნავენ მოვლენათა შეცნობის მხოლოდ ხარისხს.

...აღამიანს შეუძლია თვალყური ადევნოს ფუტკრის საქმიანობის სხვა მოვლენებთან მხოლოდ შეფარდებას. იგივე ითქმის ისტორიული პირებისა და ხალხების მიზანდასახულების თაობაზე“. („ომი და მშვიდობა“, ეპილოგი).

მოვლენები ვითარდება თავისი გზით, თავისი შინაგანი ლოგიკით, ბაგრატიონის, კუტუზოვის, ნაპოლეონის ზემოქმედება ფსიქოლოგიურ-ზნეობრივია. ტოლსტოი აღიარებს ამ ზნეობრივი ზემოქმედების ძალასა და მნიშვნელობას (ბაგრატიონი შენგრაბენთან, ნაპოლეონი აუსტერლიცზე, კუტუზოვი ბოროდინოზე), ოღონდ არც ერთ მათგანს არ აკისრია ზეკაცური მისია, აქ ისტორია კი არ „იქმნება“, აქ ისტორია „თამაშდება“.

„მშფოთვარე, ქედმაღალი, გატანჯული ზნეობაზე ფიქრით, დამძიმებული ფარული ღვთაებით...“ იგი არ თმობს თავის სამფლობელოს. მართალია უარყოფს უკეთესს, რაც განგებას მიუნიჭებია, რადგან ეძებს თავის ღმერთს და ამ ძიების გზაზე მკრეხელობად მოჩანს ყოველი, რაც კი მის შემოქმედებით გენიას შეუქმნია (იგი ამაყად აირიდებს უცხოელი სტუმრის გულწრფელ წამოძახილს — „რომ არ არსებობდეს თქვენი რომანები, ვინ დაინტერესდებოდა თქვენი ფილოსოფიით“), მაგრამ ვერ უარყოფს თავის მნიშვნელობას (ზნეობრივ გავლენას, ლიტერატურულ ავტორიტეტს). ყველა, ვინც კი მისი ზემოქმედების სფეროში მოხვედრილა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ „მნიშვნელოვნების“ გავლენას განიცდიდა და ეს განცდა დაუკავშირდა ეროვნულ სიამაყეს, ძლიერებისა და ნაციონალური კულტურის აღზევების შეგრძნებას.

ყველაზე ღრმად ამას ჩაწვდა კაცი, ვინც უდიდესი წილი დაიღო ეროვნული სულისა და ენერჯიის გამჟღავნებაში. დოსტოევსკი წერდა: „ანა კარენინა“ მხატვრულად სრულქმნილია და ღრმულად იშვა. არაფერი მსგავსი სად-



დღისო ევროპულ ლიტერატურაში არ არსებობს, ვერაფერი შეედრება მას. თავისი იდეით ეს უკვე ჩვენია; ჩვენი საკუთარი, სისხლისმიერი, ეროვნული თვისებაა ჩვენი. ეს გახლავთ ახალი სიტყვა ევროპის წინაშე წარმოთქმული, ან უკიდურეს შემთხვევაში, სიტყვის დასაწყისი, იმ სიტყვისა, ევროპაში რომ ვერ მოისმენთ და მიუხედავად გორიზონი სიამაყისა, ასე ჭირდება ევროპას“.

„სიტყვა“ — ამალორძინებელი, განახლების მომტანი... ეს არ არის განმანათლებლური იდეა, ეს არის ეროვნული ღირსების, ძალაუფლების, თვითმყოფადობის დაფუძნების იდეა. მათ არ ჰყავთ ფილოსოფოსები, მათ ჰყავთ მოაზროვნე მწერლები და სთავაზობენ ევროპას „ფილოსოფიურ ეპოსს“ — სერიოზულს, მშფოთვარეს, სიღრმისეულს, ეთიკურს... და იყო რაღაც საბედისწერო ამ პროზაში, იქნებ შინაგანი წინააღმდეგობა, იქნებ გათიშულობა და ერთმანეთისკენ ტანჯვით გავლილი გზა...

ამ ლიტერატურას აუცილებლად უნდა წარმოეშვა ახალი კერპები; იგი ვერ დაშთებოდა გოგოლის ეული გენიის ამარა.

ტოლსტოი — დოსტოევსკი...

ეს არ გახლავთ ტანდემი იმ გაგებით, როგორც ხმარობენ — სიმეტრიული ერთიანობა ორი მწვერვალისა. აქ მონაცვლეობაა, იგი იმთავითვე არსებობდა და ტრადიციად გადაიქცა.

ტოლსტოის „ჯანსაღ სამყაროს“ დროდადრო ფარავს დოსტოევსკის „სნეული ქვეყანა“, დოსტოევსკის „დაუნდობელი, მკაცრი ნიჭიერება“ ტოლსტოის „გულგრილ ეპიურობას“.

ტოლსტოი-მხატვარი არსად არ ამბობს, რომ სიკეთეს ემსახურება, იგი არ არის მოქადაგე; დოსტოევსკის ყოველთვის ქადაგება სურს; ტოლსტოი-მოძღვარი და მოქადაგე უარყოფს ტოლსტოი-ხელოვანს („ვისაც არ უნდა დააბრალო პოზა, ტოლსტოის ვერ დააბრალებ, იგი უაღრესად გულწრფელია“. ტომას სტედი), დოსტოევსკის წინაშე არ დგას ეს პრობლემა; იგი მოძღვრავს, ქადაგებს თავისი ხელოვნებით.

„ტოლსტოი არც ერთ მსხვერპლს (პერსონაჟს) არ იცოდებს, თქვენ ვერ მოისმენთ მისგან თანაგრძნობის მომასწავებელ ინტონაციას...“ ტოლსტოი განსჯის, ასამართლებს ადამიანებს.

დოსტოევსკი ეძებს მათი გამართლების გზებს. იგი სიკეთის ქმნის, სათნოების უფლებასაც არავის დაუთმობს, მეტიც, „ამ უფლების მოსაპოვებლად ბრძოლაში დაუნდობელია...“

ტოლსტოი-ხელოვანისთვის სიკეთის განყენებული ცნება ღირებულებას არ წარმოადგენს. „მას („ანა კარენინასი“ და „ომი და მშვიდობის“ ავტორს) არ სწამს სიცოცხლის სიკეთით შეცვლის შესაძლებლობა. არამცთუ არ სწამს, ასეთი შეცვალა არაბუნებრივად, სიყალბედ და თვალთმაქცობად მიაჩნია“ (ლ. შ.). იგი აღწერს ქვეყანას — მისგან დანახულსა და შესწავლილს... „თავისი ძლევაამოსილი გენიით აღსდგება“ მოვალეობის, წესრიგის დასაცავად.

დოსტოევსკი არ იცნობს ამ „წესრიგს“, მას მოუთოკავი, ყოვლისმომცველი თანაგრძნობა ამოძრავებს.

ტოლსტოის გამო ასეთი განსაცვიფრებელი სიტყვებიც კი დაწერილა: „იქნებ მსოფლიოს ლიტერატურაში არც არსებობს სხვა მეორე მწერალი, ასე დაუნდობლად და მშვიდად მიეყვანოს თავისი გმირი შემადრწუნებელ აღსა-



სრულამდე, როგორც ტოლსტოის მიჰყავს ანა კარენინა. მეტიც, მიჰყავს ზეიმი და სიხარულით“ (ლ. შ.).

იქნებ ეს უკიდურესობაც არის, „ზეიმი და სიხარული“, თუ შეიძლება ასეთი თქვას, პოლიტიკური გაზვიადებაა, და მაინც, ტოლსტოის თანაგრძნობა მალე მხედველი ოლიმპელის თანაგრძნობაა — ულმობელი, მკაცრი... და თუკი იგი ქმნის „ახალ ილიადას“, მაშინ მან იცის — ჯერ უნდა დაიღუპოს პატროკლე, მერე ჰექტორი, მერე აქილევსი, მერე აიაქსი... ასეთია „სიმართლე“ და ამას ვერავინ შეცვლის.

დოსტოევსკი არ ცნობს დაღუპვის ობიექტურ აუცილებლობას. იგი თავისი გმირების ცოდვა-მადლით ცხოვრობს, წვალობს, სურს გადაარჩენა. ბევრს მსჯელობს (ჯებირმორღვეული არხივით მოედინება ეს მსჯელობა) და არავისთვის გამოაქვს განაჩენი, პირიქით, იგი ადამიანთა მიერ გამოტანილი განაჩენის უსამართლობის გამო კარგავს წონასწორობასა და სიმშვიდეს... დოსტოევსკის მისტიკა ადამიანის სულის ბნელ ხვეულებში შეღწეული კაცის მისტიკაა, რომელიც ეძებს და ჰპოვებს ნათელს, მაგრამ ასევე ჰპოვებს დემონს, ეშმაკს, სატანას...

ტოლსტოი სიცოცხლის დასასრულამდე მაქსიმალისტი იყო; მაქსიმალისტი საკუთარი შემოქმედების მიმართ, სხვათა შემოქმედების შეფასებისას, როცა უარყოფდა და როცა აღიარებდა... მაქსიმალისტი იყო ნეოქრისტიანიზმის მოძღვარი და მოქადაგე... არ სწამდა სასწაული არც მიწაზე და არც ცაში, მან განდევნა სასწაული სახარებიდან; ალბათ ძნელი საპოვნია მეორე ადამიანი, ასე ერთიანად რომ მისცემოდა საქმეს და ასევე ერთიანად უარყოფდა, როცა უარყოფდა გონებით... იგი თვითვე ქმნიდა საკუთარ გამარჯვებებსა და დამარცხებებს... უცნაურია, ტოლსტოის დამოკიდებულება გარესამყაროსადმი თითქოს უარყოფდა ამ სამყაროს რეალურ არსებობას (მიუხედავად ყოვლისმომცველი „რეალიზმისა“), უარყოფდა იმით, რომ თვითვე ქმნიდა თავის მოდელს, სტრუქტურას, თავის ეთიკურ კანონს.

ჩვენ სიტყვას არ გადავსულვართ; რუსული, თუნდაც მსოფლიო ლიტერატურა წარმოუდგენელია ამ ორი ციური სხეულის გარეშე და ისინი უერთმანეთოდ... რა მნიშვნელობა აქვს, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ სიცოცხლეში. მთავარია მათი ერთობა-შეპირისპირება მარადისობის ვრცელ სარბიელზე... და სწორედ ამ მარადისობის წინაშე წარმოთქვა ტოლსტოიმ დოსტოევსკის სიკვდილის გამო — აღარ არის ფეოდორ დოსტოევსკი და აღარ დარჩა არავინ...


გამოხდება ხანი და ზოგი რამ ირონიულ შეფერილობას შეიძენს. ოდესღაც, ლიტერატურული ცხოვრების აისზე ნეკრასოვი სწერდა ტოლსტოის:

„მ ო წ ყ ა ლ ე ო ხ ე ლ შ ი ფ ე ვ!“

...გ ი რ ჩ ე ვ თ ნ უ ა მ ო ე ფ ა რ ე ბ ი თ ი ნ ი ც ი ა ლ ე ბ ს და და ი ბ ე ჭ დ ე თ თ ქ ვ ე ნ ი გ ვ ა რ ი თ; რ ა თ ქ მ ა უ ნ და, თ უ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს შ ე შ თ ხ ვ ე ვ ი თ ი ს ტ უ მ ა რ ი ა რ ბ რ ძ ა ნ დ ე ბ ი თ“.

იგი არ იყო სტუმარი; თვითმპყრობელი და უფალი გახლდათ და მაინც წავიდა ლიტერატურიდან, უარყო იგი... წავიდა ახალი რწმენისა და ღმერთის საძიებლად. შეიმოსა მწირის სამოსით, ფეხშიშველი და ნაგვემი დაადგა გზას





და ლალაძე: „ღმერთი ის განუსაზღვრელი ყოველია, რის კერძო ნაწილადაც ადამიანი შეიქნობს თავს... ჭეშმარიტად მხოლოდ ღმერთი არსებობს, ადამიანი მისი სახიერებაა მატერიალს, დროსა და სივრცეში“.

იგი იტანჯებოდა, რადგან წინ აღუდგა თავის ბუნებას; რადგან ლიტერატურაში ისე გრძნობდა თავს, როგორც ოჯახში — არც უამისობა შეეძლო და მუდამ გაქცევაზე ეჭირა თვალი... და გაიქცა, გაიპარა — ჯიუტი, თავნება, დაქანცული იმ პირობითობათა შეურყევლობითა და სიმყარით, რასაც საზოგადოებრივი მდგომარეობა, მოვალეობა, სახლ-კარი ერქვა. მას სურდა გათავისუფლება ყოველივე ამისგან, თუმცა გრძნობდა — ხუნდებს ხუნდებით ცვლიდა, მაგრამ მისი მშფოთვარე სული თავისუფლებას მიეღწეოდა... თავისუფლება-მირაჟს.. მან დაუპირისპირა „ღმერთი-სიკეთე“ „ღმერთს-მსჯავრმდებელს“ და პირველს მიენდო. აღიარა ის, რასაც ტოლსტოი-ხელოვანი თუ ერთიანად არ უარყოფდა, ყოველ შემთხვევაში დაეჭვებითა და უნდობლად ეკიდებოდა.

ბოლოს:

„...ვხედავდი, როგორ ფითრდებოდა, ძლივს იბრუნებდა სულს.

...უცებ ენერგიულად წამოიმართა, წამოჯდა და გარკვევით წარმოთქვა: — ერთს გირჩევთ დაიხსომოთ: უამრავი ხალხი არსებობს გარდა ლევ ტოლსტოისა, თქვენ კი მხოლოდ ერთს — ლევ ტოლსტოის მისჩერებიხართ.

...6 ნოემბერს, სიკვდილის წინ, სერგეის დაუძახა. სერგეი მიუახლოვდა და მან დიდი გაჭირვებით, ჩურჩულით უთხრა:

— სერიოჟა, მე ჭეშმარიტებას ვეტრფი... უზომოდ... ვეტრფი ჭეშმარიტებას.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო“.

(ტ. სუხოტინა-ტოლსტაია: „მამაჩემის სიკვდილის ამბავი და მისი ლტოლვილების შორეულ მიზეზთა გამო“).

მე მომისმენია კუპლეტები ლევ ტოლსტოის სიკვდილზე, უბირი მომღერლის მიერ ჩახლეჩილი ხმით დამღერებული... ეს იყო ხალხის მეხსიერებაში შემორჩენილი სიუჟეტი „ბატონო გრაფის“ შინიდან გაპარვისა და „უცხო მხარეში“ სიკვდილის შესახებ. ამ დატირება-თრენოსის უეშმაკო, გულუბრყვილო ტექსტი და ჰანგი ისეთი ღრმა, სულის შემძვრელი სევდით იყო გამსჭვალული, რომ არ ისმოდა მომღერლის ხრინწი, არც კუპლეტების ირონიული და უხეში შემწყნარებლობა.

როცა ამქვეყნიდან მიდის კაცი, ვისაც განგებამ მოძღვრისა და ერის გენიის ტვირთი ატვირთა, ადამიანები დიდხანს ვეღარ ავსებენ იმ სიცარიელეს, მისი წასვლით რომ წარმოიშვება... შემდეგ იქმნება მითი, ლეგენდა და, თურმე, იქმნება აი ასეთი ზეპირსიტყვიერება — სარკაზმისა და გოდების ნაზავი.

იგი თავის მამულში დაასაფლავეს.

და აი რას წერს ამაყი სკეპტიკოსი, „უფროსე მხატვარი და სიღრმეთა მწდომელი“ ივან ბუნინი:


„მას ასაფლავებდა „მადლიერი გლეხობა“, „სტუდენტი ახალგაზრდობა“ და „მთელი რუსეთის მოწინავე ინტელიგენცია“ — საზოგადო მოღვაწენი, ვე-



ქილები, ჟურნალისტები, ექიმები — ადამიანები, ეგზომ უცხონი მისთვის; ადამიანები, რომელთა ალტაცებას მხოლოდ ის იწვევდა, რომ იგი ასე ამხელდა ეკლესიასა და მთავრობას... ისინი სულის სიღრმეში ბედნიერიც კი იყვნენ, რადგან ეს იყო თეატრალური ექსტაზი, ყოველთვის რომ დაეუფლება „მოწინავე“ ბრბოს ყოველგვარი „სამოქალაქო“ გამოსვენებისას. აქ იგრძნობა ერთგვარი „რევოლუციური“ გამოწვევა და არსებობს იმის სასიამოვნო შეგნება, რომ დადგა წუთი, როცა ვერავითარი პოლიცია ვერას დაგიშავენს, რაც უფრო ბევრი იქნება „საზოგადოებრივი აღმავლობის“ იძულებით მომთმენი პოლიციელი — მით უკეთესი“.

პლატონ კარატაევი უხმოდ, უსიტყვოდ მიიცივალა... სათნო და მორჩილი... მიწვა, თითქოს იძინებდა, მყუდროდ მიიყუჟა და მიიცივალა...


„აჰა აღსასრულიც და... აღარაფერი!“ — წარმოთქვა ლევ ტოლსტოიმ, იხილა რა „ახალი სიცოცხლით დაბადებისას“ გამეფებული სრულქმნილი მღვდმარება.



ე. ლანსერე

„ჰაჯი-მურატი“





ქართული  
ბიბლიოთეკა



ბოლბოი

ჩინელი მხატვრის ლიუ-ჩუნის ნახატი, 1950-იანი წლები





### რუსულიდან

თარგმნა იოსებ ჯაბაღარმა

ტოლსტოი და ჩეხოვი პირველად მხოლოდ 90-იანი წლების დასაწყისში შეხვდნენ ერთმანეთს. ჩეხოვის სახელი იმ დროისათვის კარგად იყო ცნობილი იასნაია პოლიანაში და ახალგაზრდა მწერლის პატარა, იუმორით აღსავსე, ცხოვრებისეულ მოთხრობებს ტოლსტოი ღირსეულად აფასებდა.

უფრო ადრე ჩეხოვის ერთ-ერთი მოთხრობის წაკითხვა ტოლსტოის ურჩიან. ნ. სტრახოვმა, რომელმაც ეს ნათელი ტალანტი ჯერ კიდევ იმ დროს შენიშნა, როცა ჩეხოვი საერთოდ არ იყო ცნობილი, არ გამოეცა არც ერთი წიგნი და მხოლოდ ჟურნალებში იბეჭდებოდა. „რომელიმე კალენდარში წავიკითხე მისი პირველი მოთხრობა, — გადმოგვცემს ტოლსტოი თავის პირველ შთაბეჭდილებას, — ცოცხლადაა დაწერილი, მაგრამ ასეთი მოთხრობები კაცმა შეიძლება ათასობით დაწეროს და მაინც გაძნელებს მის ტალანტზე მსჯელობა, ჩეხოვს კი ალბათ სულ რამდენიმე ათეული ექნება დაწერილი.“ თუმცა, მალე ტოლსტოი დარწმუნდა, რომ მისი მსჯელობა მეტისმეტად ცალმხრივი და ფრთხილი იყო. „დიაკოვი სადილობდა და კითხულობდა ჩეხოვს“. — ჩაიწერა ტოლსტოიმ 1889 წლის 11 იანვარს. დიაკოვმა ტოლსტოის სურვილი გაუღვიძა ახლოს გაცნობოდა ჩეხოვს როგორც მწერალს. ტოლსტოი სხვისი გემოვნებით და რჩევით არასოდეს შეიქმნიდა აზრს, მაგრამ ამჯერად იგი ღიად დაინტერესებულა

ჩეხოვის მოთხრობებით. სავარაუდებელია, რომ ეს იყო კრებული „მწუხრისას“, რომელსაც 1888 წელს პუშკინის პრემია მიენიჭა და ორჯერ გამოიცა. ტოლსტოის იასნაია პოლიანას ბიბლიოთეკაში შემონახულია ამ წიგნის მეორე გამოცემა.

ტოლსტოიმ, როგორც ჩანს, ოთხჯერ გადაიკითხა კრებული და დღიურში ფაქიზად ჩაინიშნა თავისი შთაბეჭდილებები:

15 მარტი, 1889 წ. „მე ვკითხულობ ჩეხოვის მშვენიერ მოთხრობებს. მას უყვარს ბავშვები და ქალები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ცოტაა.“

17 მარტი: „ვკითხულობდი ჩეხოვს. არ ვარგა — უგერგილოა.“

ეს ჩანაწერი, როგორც ეტყობა, გაქვითებულია დილით წაკითხულის შთაბეჭდილებით, შემდეგ მოდის ახალი ჩანაწერი: — „მთელი საღამო ვიჯექი მარტო, ვკითხულობდი ჩეხოვს. სიყვარულის საოცარი ნიჭი აქვს მომადლებული, მხატვრული წვდომის საოცარი უნარი, მაგრამ ამ ნიჭს ჯერჯერობით ფუჭად ფლანგავს.“

და ბოლოს 18 მარტი: „ადრე ავდექი, ბევრი ვიმუშავე, ბოლომდე წავიკითხე ჩეხოვი...“ (ტ. 52, 52—53).

ტოლსტოი აღიარებს ჩეხოვის რეალისტური მანერის ღირსებებს. 1890 წ. გ. ა. რუსანოვთან საუბარში იგი ჩეხოვის „მოპასანთან მსგავსებასა და დიდ ტალანტსაც“ კი აღნიშნავს, ასეთი ქება კი იშვიათად თუ წამოცდებოდა ტოლსტოის. მას მოსწონს ჩეხოვის ფსიქოლოგიურ დაკვირ-



ვებათა შეუცდომლობა, ქალის სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნა, ბავშვების სიყვარული. მაგრამ ტოლსტოი ფიქრობს, რომ ახალგაზრდა მწერალს არა აქვს მთლად ჩამოყალიბებული მსოფლმხედველობა, რომ საკუთარი შემოქმედების საზრისი, მიზანი და მიმართულება თვით მისთვისაც არ არის საკმაოდ ნათელი, ყოველ შემთხვევაში შორს არის „ქრისტიანული შინაარსისაგან“, სიკეთისა და ბოროტების ქრისტიანული გაგებისაგან, ტოლსტოისათვის კი მხოლოდ ეს არის ხელოვნების გამართლება. ტოლსტოი თითქოს ხანდახან სინანულსაც გამოთქვამს ისეთ მხატვრულ ოსტატობაზე, როცა მივიწყებულია ხელოვნების რელიგიურ-ზნეობრივი მნიშვნელობა. მისი მქადაგებლური დამრიგებლური როლი.

„თანამედროვე ლიტერატურა მთლიანად დაფუძნებულია ლამაზ ფორმასა და სიუჟეტში სიახლის უარყოფაზე, — ეუბნება ტოლსტოი ა. ვ. ყირკევიჩს 1890 წელს. — წაიკითხეთ ევგენი მარკოვი, მაქსიმ ბელინსკი, ანტონ ჩეხოვი და სხვები. ფორმა სრულყოფილებამდე მიყვანილი, ჰოდა, ვისი რა საქმეა, რა სარგებლობას მოიტანს მთელი მათი ნაწერი! მათ ჩვევების გზით გამოიმუშავეს გარკვეული სტილი, დამუხტეს, ასე ვთქვათ, კალამი, და იოლად წერენ...“ ტოლსტოი აქ ჩეხოვს 80-იანი წლების საშუალო ბელეტრისტებისაგან არ გამოჰყოფს, არ ასხვავებს მას ევგ. მარკოვისა და ი. იასინსკისაგან.

ღრთა განმავლობაში ტოლსტოის სკეპსისი ჩეხოვის, როგორც მოთხრობის ოსტატის მიმართ, თანდათან ნელდება.

90-იანი წლების დასაწყისში ტოლსტოი კითხულობს „სტეპს“, „პალატა № 6“-ს, „შავ ბერს“ და მათ ავტორს უჩვეულო ქებით იხსენიებს. „სტეპი“ — მშვენიერებაა! — ეუბნება იგი გ. რუსანოვს. — ბუნების აღწერა მომხიბლავია. ეს მოთხრობა მე დიდი ბიოგრაფიული რომანის დასაწყისად წარმომიდგება, და მიკვირს, რატომ არ წერს ჩეხოვი ასეთ რომანს“. ტოლსტოი ჩეხოვს საყვედურობს სიკეთისა და ბოროტების განურჩევლობას, გულგრილობას.

მაგრამ როცა ტოლსტოი თავისუფლდება ჩეხოვის მხატვრული ჰიპნოზისაგან და მკაცრად, ან როგორც თავად ჩეხოვი იტყოდა, „ღვთისმეტყველურად“ ასამართლებს მას ხელოვნების გაგების მაღალი, „ქრისტიანული პოზიციიდან“, უნდა გვახსოვდეს მეორე ტოლსტოიც, რომელიც ლევს ჩეხოვის კითხვისას, კომიკურ ადგი-

ლებში გულიანად იცინის, ნაღვლიანი აღგილები კი ხშირად ტოლსტოი — ჩეხოვის მკითხველი — ცოცხლად აღიქვამს და სიამოვნებით ისრუტავს მისი შემოქმედების ცხოველ სიმართლეს, ტოლსტოი — ჩეხოვის კრიტიკოსი — კი განზე ტოვებს უშუალო შთაბეჭდილებას და წარბშეკრული იქმს თავის მქადაგებლურ სიმართლეს.

„...ერთ საღამოს ვეახელი ჩეხოვს, — იგონებს ვ. ტიხონოვი, — ის კი მომეგება და მითხრა:

— რა კარგია, რომ დღეს მოხვედით.

— რა მოხდა?

— იცით რა, ახლა ჩემთან უნდა შემოიაროს კ-მ, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოისთან წამიყვანოს გასაცნობად, მაგრამ მეშინია.

— რისი გეშინიათ? — გავიკვირვე მე.

— თვითონ განსაჯეთ! მეც არ ვიცი, მაგრამ მეშინია. ნუთუ შეიძლება, რომ უცბად თვითონ ტოლსტოი ვნახო ახლოს, ვესაუბრო მას! არა როგორც გენებოთ, მე კი ამის გაფიქრებაც თავზარს მცემს. მაშ ასე, თქვენ ჩამოხვედით... ჰოდა, ავდგეთ და ყველა წავიდეთ, სამივე ერთად.

მე თვალები დავაჭყიტე.

— მაპატიეთ, მე, მე რატომღა წამოვიდე? ტოლსტოის მე არ ვიცნობ, — მას კი, როგორც ვიცი, ჩემი გაცნობის იოტისოდენა სურვილიც არ გამოუთქვამს. როგორ შემიძლია წამოვიდე დაუპატიჟებლად? თქვენი საქმე სხვაა! ლევ ნიკოლოზის ძემ თვითონ ისურვა თქვენი გაცნობა. მაშასადამე, თქვენ იქ გელიან.

— კი, მაგრამ მარტო მეშინია! — ჯიუტობდა ჩეხოვი.

— თქვენ ხომ მარტო არ წახვალთ. თქვენთან კ. იქნება.

— მერე რა, რომ კ. იქნება! კ. დიდი ხანია იქ შინაურად ითვლება. ის სხვა ოთახში გავა, მე კი მარტო დავრჩები. მეშინია.

მე ვარწმუნებდი ჩეხოვს, რომ საშიში არაფერი იყო, რომ მას როგორც ახლობელს, ისე მიიღებდნენ. მაგრამ ანტონ პავლეს ძე მაინც თავისაზე იდგა: მეშინიაო, მხოლოდ ამას გაიძახოდა.

ცოტა ხანს ორივე ვდუმდით, მერე ჩეხოვმა კვლავ მკითხა:

— მაშ არაფრის გულისთვის არ წამოხვალთ?

— არაფრის გულისთვის. თვითონ გან-



საჯეთ: ეს ხომ ჩემის მხრივ თავხედობა იქნება!

— მაშინ იცით რა?—წამოიწყო ჩეხოვმა და დივანიდან წამოდგა, — გავიპაროთ სადმე?

— როგორ თუ „გავიპაროთ“? — გავიკვირვე მე.

— უბრალოდ, გავიპაროთ სახლიდან. კ. შემოივლის, ვერ გვნახავს შინ, და „საშინელი პაემანი“ ცოტა ხნით მაინც გადაიდება. — და მართლაც გავიპარენით.“

ჩეხოვის წერილებიდან ჩვენ იმასაც ვგებულობთ, რაც ბოლომდე ვერ თქვეს, ვერ გაიგეს ანდა მიჩქმალეს ზოგიერთმა მემუარისტებმა, რომელთაც აღწერეს მისი კომიკური მოკრძალება ტოლსტოის წინაშე. „მე ძალიან მინდა მოსკოვში წასვლა, — სწერს ჩეხოვი დას, — მაგრამ მეზარება ასეთ ამინდში მგზავრობა... მეშინია იმისიც, რომ სერგეენკო ძალით წამიყვანს ტოლსტოისთან, ტოლსტოისთან კი მე თვითონ წავალ გამცილებლებისა და მაკლერების გარეშე. ვერ გამიგია შუამავლობის რა ჟინი აქვთ ადამიანებს!“ (XVI, 56). როგორც ვხედავთ, ეს სულაც არა ჰგავს ვ. ტიხონოვის ვერსიას.

თანამედროვეთა მოგონებანი საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ტოლსტოისა და ჩეხოვის პირველი შეხვედრა.

ჩეხოვი იასნაია პოლიანაში აგვისტოს გრილ დილას ჩავიდა. ჰიშკრის თეთრი სვეტები უკან მოიტოვა და დინჯად გაუყვა არყის ხეების ნათელ ხეივანს. უცებ მოხუცი შენიშნა, თეთრი ტილოს ხალათი ეცვა, მხარზე პირსახოცი გადაეგდო. ჩეხოვი დააკვირდა და ლევ ნიკოლოზის ძე შეიცნო. ჩეხოვმა მღელვარება დასძლია, მივიდა მასთან და თავისი თავი წარუდგინა. ლევ ნიკოლოზის ძეს ისე გულწრფელად გაუხარდა მისი სტუმრობა, ისეთი უბრალოებითა და უშუალოებით შესთავაზა, მდინარეზე საბანაოდ გამომყევით, რომ ჩეხოვის მღელვარება და შეცბუნება ერთ წამში გაქრა. ისინი მეგობრული საუბრით გაუყვნენ იასნაია პოლიანას პარკს, ტოლსტოის საყვარელ „საბანაო გზას“, მდინარე ვორონკას ხეობისაკენ ბებერი მუხების ტყეზე გავლით. იქ, ველზე მოჩუხჩუხე მდინარის ტოტში საბანაო იყო.

ტოლსტოი ოდნავადაც არ აღმოჩნდა იმაზე უფერული და ნაკლები, როგორადაც წარმოედგინა ჩეხოვს „ომისა და მშვიდობის“ ავტორი ნაცნობთა ნაამბობითა და

მისი წიგნებით გამოწვეული შთაბეჭდილებებით. ეს გახლდათ სწორედ ის „ბუმბე-რაზი, იუპიტერი“, ვინც ალტაცებას ჰგვრიდა ჩეხოვს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ პირადად გაიცნობდა. ჩეხოვს ნეტარებას ჰგვრიდა ტოლსტოისთან საუბარი, ანცვიფრებდა „ლევ ნიკოლოზის ძის მახვილი თვალი, ადამიანის სულში, გარემოსა და ბუნებაში, საგანთა არსში წვდომის უნარი.“ ტოლსტოისათვის კი ჩეხოვი იყო არაჩვეულებრივად გულისხმიერი, თავაზიანი და ჭკვიანი მოსაუბრე.

ტოლსტოის ოჯახმა გულთბილად მიიღო ჩეხოვი, განსაკუთრებით ქალიშვილებმა, მათ შორის უფროსი — ტატიანა ლევის ასული — ჩეხოვის ნიჭის დიდი თაყვანისმცემელი გახლდათ. „ტოლსტოის ქალიშვილები მეტად სიმპათიურნი არიან, — სწერდა ჩეხოვი სუვორინს, როცა სამი თვის შემდეგ იასნაია პოლიანაში თავისი სტუმრობის შთაბეჭდილებებს იხსენებდა, — ისინი აღმერთებენ მამას და ფანატიკურად სწამთ მისი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტოლსტოი მართლაც უდიდესი ზნეობრივი ძალაა, თორემ ალალი და უმწიკვლო რომ არ იყოს, მაშინ საკუთარი ქალიშვილები პირველნი შეხედავდნენ სკეპტიკურად...“ (XVI 273).

ჩეხოვის იასნაია პოლიანაში სტუმრობის მეორე დღეს ტოლსტოის კარ-მიდამოს ვიღაც ზურგზე აბგამოკიდებული კაცი მიადგა. უცნობი ბრმა იყო და მოწყალეობას თხოულობდა. ჩეხოვს უსინათლო მოხუცი შეეებრა, ტოლსტოიმ ჩეხოვს ურჩია: ძმას მისწერე, იქნებ სადმე თავშესაფარში მოათავსოს ეგ საცოდავიო. ჩეხოვის ძმა იმჟამად ყურნალ „სლებოის“ განაგებდა. ჩეხოვმა დახმარება აღუთქვა მათხოვარს და მოსკოვში ჩასვლისთანავე შეასრულა დანაპირები. ტოლსტოისათვის, ვისაც წესად ჰქონდა კეთილ საქმეს ისე გამოდევნებოდა, „როგორც მონადირე გარეულ ფრინველს“, ჩეხოვის ასეთი კაცთმოყვარეობა მისი სულიერი ღირსებების საუკეთესო გამოხატულება იყო.

წინააღმდეგ ტოლსტოი ს. ი. ტანეევს ესაუბრებოდა და ასეთი აზრი გამოთქვა: „რომ შეიძლებოდეს ჩეხოვის გარშინთან შეერთება, მაშინ ძალიან დიდ მწერალთან გვექნებოდა საქმე... ჩეხოვს ცოტა აქვს ის, რაც გარშინს ჰქონდა მომადლებული, რომელმაც ყოველთვის იცოდა, რა სურდა, ჩეხოვმა კი ხან არ იცის, რა სურს“. სავარაუ-



დებელია, რომ ტოლსტოიმ თავისი შეხედულება პირადად უთხრა ჩეხოვს. შედარება გარშინთან, რომელსაც ჩეხოვი დიდად აფასებდა, მას საწყენად არ უნდა მოსჩვენებოდა. და საერთოდაც, როგორც ჩანს, ჩეხოვი მზად იყო ტოლსტოისაგან მოესმინა ყოველგვარი საყვედური, მაშინაც კი, როცა შინაგანად არ ეთანხმებოდა და თავის აზრზე იდგა უტეხად.

სასაღილო მაგიდასთან ლაპარაკი ჩამოვარდა ჩეხოვის სახალისზე მოგზაურობის შესახებ. ტოლსტოი მთლად კმაყოფილი არ იყო ჩეხოვის ნარკვევებით: „სად გაგონილა ასეთმა მხატვარმა არაფერი თქვას ბუნებაზე, უკიდევანო ტყეებზე, სიძლიერისა და სიდიადის იმ შთაბეჭდილებაზე, რასაც ისინი ახდენენ მნახველზე.“ ტოლსტოიმ აღიარა, რომ იგი თუმცა არ ყოფილა ციმბირში, მაგრამ მუდამ თვლიდა მას „საუცხოო მხარედ“. ჩეხოვმა ნათქვამი დაუდასტურა, მაშინ ტოლსტოიმ გაკვირვებით და თითქმის საყვედურითაც ჰკითხა: „მაშ, რატომ არ დამანახეთ ეს?“

ტოლსტოი ეკითხებოდა ჩეხოვს მისი ცხოვრების ამბავს, ეკითხებოდა ლიტერატურული საქმიანობის თაობაზეც, ცდილობდა გაეგო მისი ზოგადი შეხედულებანი. ჩეხოვი ხშირად დუმდა, როცა საუბარი ზოგად ფილოსოფიურ და რელიგიურ საკითხებს ეხებოდა. იგი ცდილობდა საუბარი წმინდა ლიტერატურულ ნიადაგზე გადაეტანა, აინტერესებდა, რას წერდა ტოლსტოი, აპირებდა თუ არა თავისი დრამის „წყვედიანის მეუღლების“ გადაკეთებას ცენზურის მოთხოვნების შესაბამისად, რათა ის სცენაზე დაედგათ.

ჯერ კიდევ მოსკოვში ჩეხოვმა ყური მოჰკრა, ტოლსტოი ახალ დიდ რომანზე მუშაობსო, და გასაგები იყო მისი მოუთმენლობა იასნაია პოლიანაში ჩასვლისთანავე გასცნობოდა ტოლსტოის ახალ ნაწარმოებს. სანამ ჩეხოვი ესტუმრებოდა, ორი დღით ადრე ტოლსტოი თვითონ უკითხავდა ჩამოსულ სტუმრებს „აღდგომის“ თავებს, მაგრამ ამჯერად შეუძლოდ გახდა და სადილის შემდეგ დასასვენებლად წავიდა, ჩეხოვი კი ვ. გ. ჩერტკოვთან, ი. ი. გორბუნოვ-პოსადოვთან, ს. ლ. ტოლსტოისა და ს. ტ. სემიონოვთან ერთად პარკის შორეული კუთხისაკენ გაემართა, სადაც განცალკევებულ ფანჯატურში მოეწყო ტოლსტოის ხელნაწერის კითხვა. ეს იყო „აღდგომის“ პირველი თავები: ნეხლიუდოვის შეხვედრა კათიუმასთან, სასამართლო, ის ამბები, რაც

წინ უძღვის რომანის გმირთა თავგადასავალს.

„ჯერ კითხულობდა ვ. გ. ჩერტკოვი, — იხსენებს ერთ-ერთი დამსწრე, — შემდეგ იგი ი. ი. გორბუნოვმა შეცვალა... ანტონ პავლეს ძე კითხვას მშვიდად, გულსყურით, მღუმარედ უსმენდა. ვკითხულობდით თითქმის ორ საათს. კითხვის დამთავრებისთანავე შინ შევედით ტოლსტოის კაბინეტში. ლევ ნიკოლოზის ძეს დაესვენა და უკვე ამდგარიყო, მაგრამ მაინც შეუძლოდ ბრძანდებოდა და კაბინეტიდან არ გამოდიოდა. იგი ცნობისმოყვარეობით ელოდებოდა, რას ეტყოდნენ მის ახალ ნამუშევარზე.“

ანტონ პავლეს ძემ წყნარად და დინჯად დაიწყო, რომ ყველაფერი ეს ძალიან კარგია. განსაკუთრებით დამაჯერებლადაა ასახული ასამართლოს სურათიო. თურმე ამ ცოტა ხნის წინ თვითონ ჩეხოვი ასრულებდა ნაფიც მსაჯულის მოვალეობას და თავისი თვალთ ენახა, როგორ ეკიდებიან მოსამართლენი საქმეს: ყველას სხვა რამისკენ ჰქონია გულსყური მიპყრობილი, ხოლო რაც უნდა გადაეჭრათ, იმაზე არავინ იწუხებდა თავს. ერთ-ერთ მორიგ სესიაზე ვეჭილმა თუ პროკურორმა თურმე დითირამბებით მიმართა ნაფიც მსაჯულთა სკამზე მჯდომ ანტონ პავლეს ძეს, იმის მაგივრად, რომ საქმე გაერჩია. მეტად სარწმუნოა ისიც, რომ ვაჭარი მართლაც მოწამლეს და არა სხვა გზით მოუღეს ბოლო. ანტონ პავლეს ძე სახალისზე ნამყოფი იყო და ამტკიცებდა: კატორღელი ქალების უმეტესობა სწორედ მოწამვლის გულისათვის არის გადასახლებულიო. ხოლო ის ამბავი, რომ მასლოვას ორი წლით მიუსაჯეს კატორღა, ჩეხოვს არადამაჯერებლად მოეჩვენა. კატორღას ასეთი მცირე ვადით არ უსჯიანო, განაცხადა მან. ტოლსტოიმ ყურადღებით მოისმინა ჩეხოვის აზრი და რომანზე მუშაობის გაგრძელებისას მითითებული შეცდომა გაასწორა, მასლოვას განაჩენს რომ ეხებოდა.

„ეს შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებია, — სწერდა ჩეხოვი „აღდგომის“ შესახებ მ. ო. მენშიკოვს, — ყველაზე უინტერესოა ის, ჭაბუკ ნეხლიუდოვისა და კათიუმას ურთიერთობაზეა ნათქვამი, ყველაზე საინტერესო კი — თავადები, გენერლები, დეიდები, გლეხები, პატიმრები და ზედამხედველები არიან. სცენას სპირიტ გენერალთან, პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრის კო-



მენდანტთან, სულგანაბული ვკითხულობდი, ისეთი კარგია! ახლა სავარძელში მჯდარ მადამ კორჩაგინას აღარ იტყვიოთ ანდა გლახს, ფედოსიას ქმარს! ეს გლახი თავის დედაკაცს „ალოიანს“ უწოდებს. აი სწორედ ტოლსტოის აქვს ალოიანი კალამი“ (XVIII, 312).

როცა საკადრისს უზღავდა ტოლსტოის ხელოვნებას, მისი აზრის სიღრმეს, ჩეხოვმა „აღდგომის“ სუსტი მხარეები და წინააღმდეგობანიც აღნიშნა. „რომანს ბოლო არა აქვს,—შენიშნავს იგი იმავე წერილში,—იმას კი, რითაც რომანი მთავრდება, არ შეიძლება დაბოლოება ვუწოდოთ. წერო, წერო, მერე კი ადგე და ყველაფერზე სახარება დაიწყო — ეს უკვე მეტი-მეტი ღვთისმოსაობაა. ყველაფრის გადაწყვეტა სახარებიდან მოტანილი ტექსტით ისევე ნებისმიერად შეიძლება, როგორც პატიმრების ხუთ რანგად დაყოფა. რატომ ხუთად და არა ათად? რატომ ვიმოწმებთ ტექსტს სახარებიდან და არა ყურანიდან? რა გამოდის? ჯერ უნდა აიძულო ადამიანი სახარება იწამოს, რომ ის ჭეშმარიტებაა, მერე კი ყველაფერი ამ ტექსტის მიხედვით გადავწყვიტოთ“ (XVIII, 313).

„მე მთელი რომანი „აღდგომა“, — ამბობს ტოლსტოი, თითქოს ჩეხოვის კრიტიკას პასუხობსო, — მხოლოდ იმიტომ დავწერე, რომ მისი ბოლო თავი წაიკითხონ. თუ ჩემს მხატვრულ ნაწარმოებებს რაიმე ღირსება გააჩნიათ, ეს ღირსება ისაა, რომ ისინი ჩემი აზრების რეკლამაა“. ასეთი მტკიცება იმდენად პარადოქსულია, რომ უნდა ვიფიქროთ, ტოლსტოიმ იგი პოლემიკური აღგზნების დროს გამოთქვა. მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, მწერალი უთუოდ იმედოვნებდა, რომ რომანის ევანგელურ დაბოლოებას სერიოზული, დამრიგებლური ზემოქმედება ექნებოდა.

არავითარ უსიამო გულახდილობასა და უთანხმოებას არ წაუხდენია ეს შეხვედრა, მასპინძელი და სტუმარი ერთმანეთს მეტი-მეტად კმაყოფილნი დაშორდნენ. „საუცხოო შთაბეჭდილება დამრჩა, — სწერდა ჩეხოვი სუგორინს, — თავს ისე თავისუფლად ვგრძნობდი, როგორც შინ, ლევ ნიკოლოზის ძესთან საუბარიც ადვილი იყო“ (XVI № 271). თავის მხრივ ტოლსტოი აცნობებდა ვაჟიშვილს: „ჩეხოვი იყო ჩვენთან, ძალიან მომეწონა. ის ძალიან ნიჭიერია, და ეტყობა, გულკეთილიცაა. მაგრამ ჯერ კიდევ არ გააჩნია გარკვეული თვალსაზრისი“ (ტ. 63, 158).

თუ რას გულისხმობდა ტოლსტოი ამ „თვალსაზრისში“, კიდევ ერთხელ ნათელი ხდება პ. ა. სერგეენკოს მოგონებებიდან: „ჩეხოვმა ნაღვლიანი შთაბეჭდილება დატოვა. ლევ ნიკოლოზის ძისათვის ნათელი გახდა, რომ ჩეხოვი განზე იდგა რელიგიური ძიებებიდან, ჩვენი დიდი მწერლის ღრმა რწმენით კი, მხოლოდ ასეთ ძიებებს შეუძლია მიიყვანოს ადამიანი შინაგან გაცისკროვნებამდე და ჭეშმარიტი ცხოვრების წყარომდე. მაგრამ მას ნამდვილად იზიდავდა ჩეხოვი როგორც მხატვარი და როგორც საუცხოო, ნაზი ბუნების ადამიანი. ამიტომაც დარჩა ტოლსტოის ნაღვლიანი შთაბეჭდილება.“

1899 წლის 12 აპრილს ჩეხოვი ჩამოვიდა მოსკოვში და რამოდენიმე დღის შემდეგ ახალ ბინაში დაბინავდა მალაია დმიტროვკაზე შეშკოვის სახლში. აქ სრულიად მოულოდნელად მოძებნა იგი ლევ ტოლსტოიმ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სულიკომ“ ლევ ტოლსტოიზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა და ამის გამო მისი ავტორისადმი კიდევ უფრო სიმპათიურად განეწყო.

22 აპრილს საღამოს ჩეხოვის ბინაში შეკრებილიყო რამოდენიმე ნაცნობი, მათ შორის იყვნენ ა. ი. იუჟინი და მხატვრული თეატრის არტისტი, ჩეხოვის ტაგანროგის გიმნაზიელი ამხანაგი ა. ლ. ვიშნევსკი.

კარზე დარეკეს. „მე გასაღებად წავედდი, — იხსენებს მარია პავლეს ასული ჩეხოვა, — უცებ დავინახე თხელ პალტოში გამოწყობილი პატარა ტანის მოხუცი, მე გავშეშდი — ჩემს წინაშე ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი იდგა...“

ლევ ნიკოლოზის ძე ჩემი ძმის კაბინეტისკენ წავიყვანე. ზღურბლთან ველარ მოვითმინე და მრავალმნიშვნელოვნად წარმოვთქვი:

— ანტონა, იცი ვინ მოვიდა ჩვენთან?

კაბინეტში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ვიშნევსკის ჩვეულებად ჰქონდა ხმამაღლა ლაპარაკი, თითქმის ყვიროდა. ჩეხოვს ეუხერხულა ასეთ ვითარებაში ტოლსტოის მიღება. ხალხმრავლობის გამო საუბარი ვერ აეწყო.

იმ დღეებში საერთო ყურადღების ცენტრში იყო „ნივაში“ დაბეჭდილი „აღდგომის“ თავები, მაგრამ როგორც ა. ი. იუჟინი იგონებს, ამის შესახებ ორიოდე სიტყვა ითქვა იმ საღამოს.



ჩეხოვმა სხვათა შორის იკითხა:

„— ცენზურამ ბევრი ამოშალა „აღდგომიდან“?“

— არა, მნიშვნელოვანი არაფერი, — მიუგო ტოლსტოიმ და ჩეხოვს ყირიმზე დაუწყო გამოკითხვა. ჩეხოვი მისთვის ჩვეული ნახევრად სერიოზულობით ეუბნებოდა, იქ მომწყინდაო. იმ ხანებში თეატრალურ-ლიტერატურულმა კომიტეტმა დაიწუნა ჩეხოვის პიესა „ძია ვანია“, ამიტომაც „საიმპერატორო“ მცირე თეატრი მას დასადგმელად ვერ მიიღებდა.

„იბადება ახალგაზრდა თეატრი... მეტად, მეტად სიმპათიური. მე პიესა მათ მივეცი...“ — თქვა ჩეხოვმა.

ტოლსტოის არ ესიამოვნა, ჩეხოვთან რომ ასეთი ხმაურიანი ჭრელი კომპანია დახვდა, მალე დაემშვიდობა და წავიდა. დაუფარავი სინანულით სწერდა ჩეხოვი მენშიკოვს: „ჩემთან ლევ ტოლსტოი იყო, მაგრამ საუბარი ვერ გამოგვივიდა, რადგან ჩემთან უამრავი ხალხი იყო, მათ შორის ორი აქტიორი, რომელთა რწმენით ამქვეყნად თეატრზე მალე არაფერი არ დგას“<sup>1</sup> (XVIII, 140).

23 აპრილს ჩეხოვი თვითონ წავიდა სტუმრად ტოლსტოისთან. ამჟამად მათი მეგობრული საუბრისათვის ხელი არავის შეუშლია, სადილობისას ჩეხოვი ლაპარაკობდა ახალგაზრდა მწერალ მაქსიმ გორკიზე, რომელიც იალტაში გაეცნო. აღმოჩნდა, რომ ტოლსტოიმ დიდი ხანია შენიშნა გორკის ნიჭი, წაიკითხა მისი მოთხრობები. ჩეხოვმა სიხარულით შეატყობინა გორკის წერილით, რომ ტოლსტოი მას „შესანიშნავ მწერლად“ თვლის. „ტოლსტოი ბევრს მეკითხებოდა თქვენს შესახებ, — სწერდა ჩეხოვი გორკის, — თქვენ ტოლსტოის უღვიძებთ ცნობისმოყვარეობას. როგორც ჩანს, მოხიბლულია თქვენით.“ (XVIII, 139.)

გორკის, როგორც მხატვრის, შეფასებისას ტოლსტოისა და ჩეხოვის აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ჩეხოვმა გორკში ამოიცნო „უეჭველი ნიჭი და ამავე დროს ნამდვილი, დიდი ნიჭი“. მას ყველაზე მეტად მოეწონა მოთხრობები: „ბაზრობა გოლტვაში“, „სტეპში“, „ტივებზე“. მაგრამ ზოგიერთი მოთხრობის ამაღლებული ექსპრესიულობა ჩეხოვს არ მოსწონდა. ტოლსტოიმ გაიზიარა ჩეხოვის არჩევანიც და კრიტიკაც. „ტოლსტოის მოსწონს თქვენი „ბაზრობა“ და „სტეპში“, მაგრამ არ მოს-

წონს „მალვა“. მან თქვა: „შეიძლება გამოიგონო ყველაფერი, რაც საჭიროა, მაგრამ არ შეიძლება ფსიქოლოგიის გამოგონება, გორკისთან კი ვხვდებით ფსიქოლოგიურ გამოგონებებს, იგი იმას აღწერს, რაც არ უგრძობია.“

1901—1902 წლების შემოდგომასა და ზამთარში ჩეხოვი და ტოლსტოი ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. ტოლსტოიმ გრაფინია პანინას მამულში, გასპრაში თითქმის წელიწადი გაატარა იალტის მახლობლად, სადაც მოწყენილობასა და მარტოობაში იტანჯებოდა ავადმყოფი ჩეხოვი. ადვილი გასაგებია, როგორი სასიხარულო იყო ჩეხოვისათვის ეს მეზობლობა ტოლსტოისთან, იმის შესაძლებლობა, რომ შეხვედროდა და ესაუბრა მასთან. როგორც კი უკეთ იგრძნობდა თავს და გამოიღარებდა, ჩეხოვი სტუმრად მიდიოდა ტოლსტოისთან გასპრაში.

პირველად ჩეხოვი გასპრაში 1901 წლის 12 სექტემბერს ჩავიდა. იმ დღეს გასპრაში გადაღებულია უნიკალური სურათები, რომლებმაც თავიანთი კონკრეტულობითა და მკაფიოობით ამ შეხვედრების ცოცხალი წუთები შემოგვინახა: ტოლსტოი და ჩეხოვი დაბალ თეთრ დივანზე დასასვენებლად ჩამომსხდარან. მეორე სურათზე ისინი ჩაის მაგიდას უსხედან ტერასაზე, ტოლსტოი რაღაცას უამბობს ჩეხოვს, ფარფლებიანი საზაფხულო ქუდი ხურავს და მოსაუბრეს თითქოს თვალებით მსჭვალავსო.

ამ დღეს ჩეხოვი მობერებულად, მოქანცულად გამოიყურებოდა, ხშირად ახველებდა, მაგრამ ამის მიუხედავად თავს ავადმყოფად კი არა, ექიმად უფრო გრძნობდა: ხშირ-ხშირად უსინჯავდა მაჯისცემას ტოლსტოის.

თუ რამდენად კარგად იცოდა ჩეხოვმა, რა ხდებოდა იმ დროს გასპრაში, შეიძლება ერთი ფაქტით განვსაჯოთ. გაიგეს თუ არა ტოლსტოის მძიმე ავადმყოფობა, მისმა მოძულე ეკლესიის მსახურებმა პროვოკაციის მოწყობა განიზრახეს. მწერლის სიკვდილის შემთხვევაში პანინას სახლში პობედონოსცევის პირადი განკარგულებით უნდა შეეღწია მღვდელს და, იქიდან გამოსვლისას, ჭიშკართან შეკრებილი ხალხისათვის გამოეცხადებინა, რომ გრაფმა ტოლსტოიმ სიკვდილის წინ ცოდვები მოინანია და მართლმადიდებლური ეკლესიის კალთას დაუბრუნდაო. „ამ შემზარავ სიტყურეს, — სწერს პ. ა. ბულანჟე, — უნდა მოე-

<sup>1</sup> ა. ი. იუჟინის მოგონებებიდან.



ცვა მთელი რუსეთი და მსოფლიო და ის საქმე უნდა გაეკეთებინა, რომელიც ათეუ-ლი წლების მანძილზე ვერ გააკეთა ვერც რუსულმა ცენზურამ, ვერც ლევ ნიკოლო-ზის ძის ნაწარმოებთა დევნამ.“

ტოლსტოის ახლობლებმა კონტრშეთქ-მულება მოაწყვეს. გადაწყდა: თუკი ტოლ-სტოი გარდაიცვლებოდა, გასპრაში ყველა-სათვის დაემალათ ეს ამბავი და რაც შეიძ-ლება სასწრაფოდ დაეგზავნათ პირობითი დეპეშები პეტერბურგში, მოსკოვსა და სა-ზღვარგარეთ იმ მიზნით, რომ გაზეთებსა და საზოგადოებას უფრო ადრე სცოდნოდა საქმის ნამდვილი ვითარება, ვიდრე პოპე-დონოსცევის ადგილობრივი აგენტები დაი-წყებდნენ პროვოკაციულ მოქმედებას.

ჩეხოვი, როგორც გორკი, რომელიც ტოლსტოის ხელნაწერებს მალავდა თავის აგარაკზე, კარგად იყო გაცნობილი ყველა-ფერს, რაც ხდებოდა, და ახლობელთა „შე-თქმულებაშიც“ მონაწილეობდა...

ჩეხოვი ძალიან გახარებული იყო, როცა ტოლსტოიმ უცებ მოიკეთა, თითქოს უი-მედო სამედიცინო პროგნოზებს დასცი-ნაო. ჩეხოვის წერილებში გამამხნევებელი ხმები გაისმა: „...ჩვენი მოხუცი გამოცოცხ-ლდა, იმედს იძლევა“ (XIX, 237), „უცებ ბედმა გაგვიღი“, მოხუცი უკეთესადაა და ახლა ლოგინიდან წამოდგომასაც აპირებს“ (XIX, 239).

იმ ზამთარს ჩეხოვი ხშირად ავადმყო-ფობდა, მაგრამ ამის მიუხედავად, მაინც ხშირად ნახულობდა ტოლსტოის...

ტოლსტოისთან ყოველი შეხვედრა ჩე-ხოვისათვის დიდი მოვლენა იყო, 1901 წლის სექტემბერში, როცა გორკის იალტა-ში იწვევდა, ჩეხოვი სწერდა, რომ შესაძ-ლებლობა ექნებათ მოინახულონ ტოლსტოი. ეს ყირიმული ცხოვრების ერთ-ერთი მთა-ვარი სატყუარა იყო, „იალტაში ზამთრო-ბით ხალხი ცოტაა, არავინ შეგაწყენს თავს, მუშაობაში ხელს არ შეგიშლის.“

იალტაში ჩასულ გორკის სტუმართმო-ყვარე მასპინძელმა ბევრი რამ უამბო ტოლ-სტოის შესახებ, რომელთანაც უკვე ორჯერ მოესწრო ყოფნა. „ჩეხოვი მუდამ ნაზი და ნაღვლიანი ღიმილით ლაპარაკობდა ტოლ-სტოიზე, ლაპარაკობდა ხმადაბლა, როგორც რაღაც აჩრდილისებურზე, იდუმალზე, რო-მელსაც მხოლოდ ფაქიზი, რბილი სიტყვები ესადაგება,“ — იგონებდა მოგვიანებით გორ-კი. 1901 წლის 14 ნოემბერს გორკი, ჩეხო-ვი და ახლად შემოერთებული კ. ბალ-მიანტი უკვე ესტუმრნენ ტოლსტოის. მათ

იქ გულთბილად შეხვდნენ, რამდენიმე დღის შემდეგ კი ტოლსტოიმ დღიურში ჩაიწერა, რომ გორკიმაც და ჩეხოვმაც იგი ძალიან „ასიამოვნეს“, სხვათა შორის, არაფერი არ ჩაუწერია ბალმონტზე (1901 წლის 29 ნო-ემბრის ჩანაწერი, ტ. 54, 113). ბალმონტმა იმ დღეს დიდი პათოსით წაიკითხა თავისი ლექსი „მზის სურნელება“. „ტოლსტოიმ თავი ვერ შეიკავა და გადაიხარხარა, „მუ-ცელზე ხელები მიიჭირა“ და უთხრა, ეს „აბდაუბდა და სისულელეაო“. „აი თქვენ გაქვთ კარგი რითმები, ცოტა აზრსაც რომ დაუმატებდეთ.“<sup>1</sup> ადვილი წარმოსადგენია, როგორ გაამხიარულებდა ჩეხოვს ეს სცენა.

მეორედ გორკიმ და ჩეხოვმა ერთად მოინახულეს ტოლსტოი უკვე ავადმყოფო-ბის შემდეგ.

გორკის ჩეხოვმა ურჩია ჩაეწერა ტოლ-სტოის მოსწრებულნი გამოთქმები, რითაც მდიდარი იყო მისი საუბარი. გორკი იხსე-ნებს, როგორ დარდობდა ჩეხოვი: „გოეთეს უკან დასდევდნენ და ყოველ სიტყვას იწერდნენ, ტოლსტოის აზრები კი პაერ-ში იკარგება. ჩემო კარგო, აი ასეთი დაუ-დევარნი ვართ რუსები. მერე დასძაბვენ გონებას, დაიწყებენ მოგონებების წერას და მოჩმახავენ რაღაც-რაღაცეებს“. გორკის მი-ერ შექმნილი ტოლსტოის ლიტერატურუ-ლი პორტრეტის ღირსება, ყოველივე სხვა-სთან ერთად, მის მკაცრ ფაქტიურ ჭეშმა-რიტებაშიც მდგომარეობს. გორკის მიერ „ცხელ კვალზე“ გაკეთებულმა ჩანაწერებმა შემოგვინახა ტოლსტოისა და ჩეხოვის გას-პრაში შეხვედრების წვრილმანები.

გორკის არ გამოჰპარვია ის განსაკუთრე-ბული სიფაქიზე და გულითადობა, რითაც ტოლსტოი ღებულობდა ხოლმე ჩეხოვს. ჩე-ხოვის პიროვნულ ბუნებაში ტოლსტოის ბევრი რამ მოსწონდა. „მას ჩეხოვი უყ-ვარდა, — იგონებს გორკი, — და მუდამ, რო-ცა შეჰყურებდა, თითქოს იმ წუთში ან-ტონ პავლეს ძის სახეს ელაციცებოდა თავისი ფაქიზი მზერით. ერთხელ ჩეხოვი პარკის ბილიკზე მოდიოდა ალექსანდრა ლევის ასულთან ერთად, ტოლსტოი კი, მაშინ ჯერ ისევ ავად იყო, ტერასაზე სა-ვარძელში იჯდა, მთელი სხეულით წამოი-წია, თითქოს თან უნდა გაჰყოლოდა, იგი ჩურჩულებდა:

— ოჰ, რა საყვარელი, მშვენიერი კა-

<sup>1</sup> ი. ნ. ალტმულერის ჩანაწერებიდან „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1960 წ., 29 ოქტომბერი.



ცია: მოკრძალებული, წყნარი, თითქოს ქალიშვილიაო! ისე დადის, როგორც ქალიშვილი. ერთი სიტყვით — საუცხოო კაცია.“

სხვათა შორის, არ შეიძლება ითქვას, რომ ყირიმში შეხვედრის დღეებში ტოლსტოის ჩეხოვისა ყველაფერი მოსწონდა და არაფერი არ აშორებდა, არ ძაბავდა მის გულსყურს. თუმცა ჩეხოვი გაუბრუნდა ტოლსტოისთან პირდაპირ სიტყვიერ შეტაკებებს, მაგრამ მათს ურთიერთობაში ყველაფერი უმფოთველ იდრიადა არ წარმოგვიდგება. ტოლსტოი ვრძნობდა, რომ ჩეხოვი ზოგ რამეში მისთვის უცხო იყო და, როცა მას გორკის ადარებდა, ამ უკანასკნელს სულიერად უფრო მახლობლად სთვლიდა...

ტოლსტოის არ მოსწონდა რუსი დეკადენტების ახალმოდური ნაწერები. დეკადენტურ ლექსებში ტოლსტოი რუსულ ეროვნულ ტრადიციებთან განხეთქილებას ხედავდა.

„მე მოხუცი ვარ, — ეუბნებოდა ტოლსტოი გორკის, — და შეიძლება უკვე აღარ მესმის დღევანდელი ლიტერატურა, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით ეს რუსული არ არის. დაიწყეს რაღაც განსაკუთრებული ლექსების წერა... — არ ვიცი, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ასეთი ლექსები. ლექსი უნდა პუშკინისაგან, ტიუტჩევისაგან, შენშინისაგან ვისწავლოთ. აი, თქვენ, — იგი მიუბრუნდა ჩეხოვს, — თქვენ რუსი ხართ! დიახ, მართლაც ნამდვილი რუსი.“

ტოლსტოიმ აღერსიანად გაიღიმა და ანტონ პავლეს ძეს მხარზე ხელი მოჰხვია, მან კი დაიმორცხვა და ბოხი ხმით რაღაც წამოიწყო თავის აგარაკზე, თათრებზე.“

ჩეხოვში — პიროვნებასა და შემოქმედში — ტოლსტოის განსაკუთრებით უყვარდა ეს რუსული ეროვნული თვისებები: ნათელი სამართლიანობა, სისადავე და სულიერი სიღბო.

ტოლსტოი ბოლო წლებში თამამად აყენებდა ჩეხოვს სახელგანთქმულ მოპასანზე მალა. „ფრანგებს, — ეუბნებოდა ტოლსტოი გორკის, — სამი მწერალი ჰყავთ: სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი, ჰო, კიდევ — მოპასანი, მაგრამ ჩეხოვი მასზე უკეთესია.“

ასეთი დიდი შექება ჩვეულებრივ დიდ უხერხულობაში აყენებდა ჩეხოვს და ისიც თავდაცვის იარაღად ირონიას იშველიებდა ხოლმე. ჩეხოვი ბუნინს ეუბნებოდა: „ტოლსტოი აქებს მოპასანს, კუბრინს, სემიონოვს და მეც. მათთან მასახელებს, რატომ? იმი-

ტომ, რომ ის ჩვენ, როგორც ბავშვებს, ისე გვიყურებს. ჩვენი მოთხოვნები, თხზულებები და რომანები მისთვის ბავშვური თამაშია, ამიტომაც ერთ ტომარაში აქცევს მოპასანსა და სემიონოვს. სულ სხვა საქმეა შექსპირი, ეს უკვე დიდია და აღიზიანებს კიდევ იმიტომ, რომ შექსპირი ტოლსტოისებურად არ წერს.“ ამ გამოთქმაში ერთადაა მოცემული როგორც თაყვანისცემა ტოლსტოისადმი, ისე მსუბუქი ირონია იმის გამო, რომ ტოლსტოის ავტორიტეტს ყველანი ბრმად ემორჩილებიან.

1902 წლის 31 მარტს ტოლსტოი და ჩეხოვი უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს. როცა ტელეგრაფმა გერმანიის კურორტ ბადენვეილერიდან მძიმე ცნობა მოიტანა, ჩეხოვი გარდაიცვალაო, ტოლსტოიმ მტკივნეულად განიცადა ეს ამბავი. „მამაჩემმა მეტისმეტად განიცადა ანტონ პავლეს ძის სიკვდილი“, — წერდა ს. ლ. ტოლსტოი. ჩეხოვის დაკრძალვის წინა დღეს, როცა სიტყვა ზოგიერთი ახალი მწერლის ნაწარმოებებზე ჩამოვარდა, ტოლსტოიმ ღრმა მწუხარებით თქვა: „ჩეხოვი შეუცვლელია...“ როცა გაიგო, რომ ერთ-ერთ ვაჟიშვილს კრებული ჰქონდა, რომელშიაც „ალუბლის ბაღი“ იყო დაბეჭდილი, მან დაუმატა: „ოჰ, როგორი სიამოვნებით წავიკითხავ ახლა მას.“

1904 წელს იასნაია პოლიანაში ჩასულმა გახეთ „რუსის“ კორესპონდენტმა ა. ზენგერმა ჩაიწერა ტოლსტოის გამოსათხოვარი სიტყვა ჩეხოვისადმი. ტოლსტოი თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა, ცდილობდა მოეძებნა ყველაზე უტყუარი და ზუსტი გამოთქმები, რათა ჩეხოვის მნიშვნელობა განესაზღვრა:

„ჩეხოვი... იყო შეუდარებელი მხატვარი... დიახ, დიახ... სწორედ შეუდარებელი... ცხოვრების მხატვარი... იგი გასაგები და მახლობელია არა მხოლოდ ყოველი რუსისათვის, არამედ ყოველი ადამიანისათვის საერთოდ. ეს კი მთავარია... მე ერთი გერმანელის წიგნი წავიკითხე: ახალგაზრდა კაცი ცდილობს თავის საცოლეს კარგი საჩუქარი უძღვნას და წიგნებს აჩუქებს, მერვე ვისას... ჩეხოვისას. ეს სრული ჭეშმარიტებაა, მე მაშინ აღტაცებული ვიყავი... ჩეხოვი ცხოვრებიდან იღებდა იმას, რასაც ხედავდა, იღებდა უცვლელად, მიუხედავად შინაარსისა. სამაგიეროდ, თუ იგი რაიმეს აიღებდა, მაშინ განსაცვიფრებლად და გასაგებად დახატავდა და ყველა წვრილმანს ნათლად გადმოსცემდა... ჩამოქნიდა უკანას-



კნელ ნაკეთებამდე... ჩეხოვი გულდია იყო, ეს კი უდიდესი ღირსებაა; თავისი გულწრფელობის წყალობით მან შექმნა ახალი, ჩემი აზრით, მთელი მსოფლიოსათვის, წერის სრულიად ახალი ფორმები, რომლის მსგავსი მე არსად შემხვედრია. მისი ენა— უჩვეულო ენაა. პირველად რაღაც უცნაურად, „ჩამოუყალიბებლად“ მომეჩვენა, მაგრამ როგორც კი ჩავწვდი, მაშინვე მომხიბლა ამ ენამ... დიახ, სწორედ ამ „ჩამოუყალიბებლობის“ წყალობით ანდა არ ვიცი, როგორ ვუწოდო, იგი გიპყრობთ უცნაურად და სწორედ თქვენი ყოველგვარი ნება-სურვილის გარეშე, თქვენს სულში ნერგავს მშვენიერ მხატვრულ სახეებს... მე ვიმეორებ, რომ ახალი ფორმები შექმნა ჩეხოვმა, და ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე ვამტკიცებ, რომ ტექნიკით იგი, ჩეხოვი, ჩემზე ბევრად მაღლა დგას. მე მინდა ისიც გითხრათ, რომ ჩეხოვს აქვს კიდევ ერთი დიდი თვისება: ის ერთი იმ იშვიათი მწერალთაგანია, რომლებიც, როგორც დიკენსი და პუშკინი და სხვა მათი მსგავსნი, შეიძლება ბევრჯერ, ბევრჯერ წა-

იკითხო, — ეს ჩემი საკუთარი გამოცდილებით ვიცი... ერთიც შემიძლია გითხრათ — ჩეხოვის სიკვდილი დიდი დანაკარგია ჩვენთვის, მით უმეტეს, რომ შეუდარებელი მხატვრის გარდა ჩვენ დაკარგეთ მშვენიერი, გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი... ეს გახლდათ მომხიბლავი ადამიანი, მოკრძალებული, საყვარელი...“

ალბათ, როცა ამას ამბობდა, ტოლსტოის ახსენდებოდა წყნარი, მზიანი დღე გასპრაში და ჩეხოვის მომხიბლავი ღიმილი, რითაც სტუმარი ემშვიდობებოდა მასპინძელს.

გორკის მოგონებებში ასეთი საკულტურული სურათია აღბეჭდილი, გამხდარი, მაღალი ტანის ჩეხოვი პარკის ბილიკს დადგომია და იქაურობას შორდება, ხოლო ტერასაზე სავარძლიდან წამოწეულა გამოჯანმრთელებული მოხუცი ტოლსტოი, თითქოს უკან უნდა მიჰყვეს საყვარელ სტუმარსო...

ამ ორი შესანიშნავი რუსი ადამიანის შეხვედრების რამოდენიმე ეპიზოდში არის რაღაც განსაკუთრებული მომხიბლაობა და აზრი. მათი სახელებით კი ამაყობს მსოფლიო კულტურა.

□





## რუსულიდან

თარგმნა ნანა ღარჩია

### ლევ ტოლსტოის სიკვდილის ამბავი და მისი შინიდან წასვლის შორეულ მიზნებად

სწორად მდებდნენ ბრალს, რომ მე არასოდეს ამიმაღლებია ხმა, როცა მამაჩემის — ლევ ტოლსტოის — თხზულებებს მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აქვეყნებდნენ ან კიდევ უსიარცხვილოდ ითვისებდნენ, ისევე როგორც დუმილით ვხვდებოდი სიცრუესა და ცილისწამებას, დროდადრო თავს რომ იჩენდნენ და არც ახლა შეწყვეტილა მთელი მსოფლიოს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ტოლსტოის სახელის გარშემო.

მე მამის კვალს მივყვებოდი: მას ხომ წესად ჰქონდა არასოდეს გაეცა პასუხი, როცა ხელყოფდნენ მის ლიტერატურულ უფლებებს და არც ცილისწამებისათვის მიეგდო ყური, თუ პირად ცხოვრებას ეხებოდა.

და თუ უკვე აღარ ძალმიძს დუმილი, ეს ამიტომ, რომ გამოიცა წიგნები დაწერილი მამაჩემის მეგობართა მიერ, რომლებიც ყალბად ხატავენ ჩემი მშობლების ურთიერთდამოკიდებულებას და მიკერძებით, განზრახ ამახინჯებენ დედაჩემის სახეს. ამ წიგნებში აღწერილი ფაქტები, როგორც წესი, ზუსტია, მაგრამ თუ გოგოლის ნათქვამს დავიმოწმებთ — არაფერია იმაზე უარესი, ვიდრე სიმართლეს მოკლებული ჭეშმარიტება.

მე ვფიქრობდი, როგორც უფროსი ქალიშვილი, ჭეშმარიტებას ქომაგად უნდა დავდგომოდი. მშობელთა ნათელი ხსოვნა მავალეებს ამჟამად დავარღვიო მდუმარება.

რასაკვირველია, მძიმე მოვალეობაა, რადგან მომიხდება ფარდა ავხადო ბევრს რასმე ისეთს, რაიც, უმეტესწილად, არასოდეს სცილდება ვიწრო ოჯახური წრის ფარგლებს.

ჩვეულებრივ სახლში არ მიცხოვრია. ჩვენი სახლი შემინული გახლდათ, თვითეული გამვლელ-გამომვლელისათვის საჩინო. ყოველ ადამიანს შეეძლო ყველაფრის დანახვა, შეეძლო ჩაწვდომოდა ჩვენი ოჯახური ყოფის ინტიმურ წვრილმანს და სამსჯავროზე გაეტანა საკუთარი თვალთვალის შედეგად მიღწეული მეტნაკლებად სამართლიანი დასკვნები. ჩვენ ისლა დაგვრჩენოდა მომსვლელ-სტუმართა თავდაჭერილობის იმედი გვექონოდა.

მამაჩემი არასოდეს უფრთხოდა საკუთარ თავზე ლაპარაკს, როცა კი ამას საჭიროდ სცნობდა. ისე ცხოვრობდა, არავის ემალებოდა. მან დაწერა „აღსარება“ და თავის ამ აღსარებაში უაღრესად გულწრფელად ახადა ფარდა საკუთარი გულის ყველა საიდუმლოს.

მიმაჩნია, რომ დადგა უამი, როცა ადამიანებს, ვისაც ტოლსტოი უყვართ, გავუზიარო ყოველივე ჩემს მიერ განცდილი იმ წლებში, მის გვერდით რომ გავატარე. მე საკუთარი თვალსაზრისი ჩამომიყალიბდა, ცალკერძ დედაჩემისა და მამაჩემის ურთიერთობაზე და ცალკერძ მათ დამოკიდებულებაზე ჩვენდამი — შვილებისადმი. მე მოწმე





გახლავართ. თავდაპირველად მსურდა ჩემი რუსი ძმებისა და დებისათვის მიმემართა: მამაჩემს მათ შორის ახლაც უამრავი მეგობარი ჰყავს. ახლა ფრანგებს მივმართავ, რადგან დარწმუნებული ვარ, იქაც მრავლად იპოვებიან ტოლსტოის მეგობარნი. მათგან დასაფიცი არაფერი მაქვს. მინდა ისინი იყვნენ მოსამართლენი. მინდა ახლებურად გაშუქებული ვუჩვენო მამაჩემის ცხოვრების ზოგიერთი მხარე. სავსებით გულახდილი და უაღრესად გულწრფელი ვიქნები; და თუ ვერ ვიტყვი ყოველივეს, რაიც შემეძლო მეტყვა ჩემთა მშობელთა ცხოვრებისეული დრამისა გამო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მეტისმეტად მრავალი ადამიანი იყო გარეული ამ ტრაგედიაში და ზოგი მათგანისათვის ეს ფრიალ ნაადრევი იქნებოდა.

ყველა თარიღი „ძველი სტილით“ არის მითითებული, ანუ ცამეტი დღის დაგვიანებით.

\* \* \*

1910 წლის 28 ოქტომბერს, შემოდგომის ბნელ ღამეს, სამ საათზე მამაჩემმა დატოვა თავისი სახლი იასნაია პოლიანაში, სადაც დაიბადა და სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გაატარა.

მაინც რა გახდა მიზეზი ამ გამგზავრებისა — მეტსაც ვიტყვი, ამ გაქცევისა? ცნობილია თუ არა ეს მიზეზი ან იქნება თუ არა ოდესმე ცნობილი?

ყველაზე იოლი იქნებოდა გვეთქვა, რომ ტოლსტოი ცოლს გაექცა, რადგანაც ქალს არ ესმოდა მისი და ამდენად მასთან ცხოვრება უძძიმდა, ანდა მცირედი ფუფუნება, ოჯახში რომ სუფევდა, მისთვის აუტანელი იყო, და უნდოდა სადად, განმარტოებით ეცხოვრა გლეხკაცებსა და მუშებს შორის. მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში არასოდეს არ ხდება ისე, რომ რომელიმე ერთმა მიზეზმა უპირატესობა მოიპოვოს ყველა სხვა მიზეზთა ზედა და უბიძგოს ან ეს მოიმოქმედოს ან ის. და ეს აზრი განსაკუთრებულ ჰეშმარიტებას წარმოადგენს ისეთი მდიდარი, მგზნებარე სულისა და რთული ბუნების ადამიანისათვის, როგორიც გახლდათ მამაჩემი. მისი საქციელი განაპირობა მიზეზთა წყებათაწყებამ, ერთმანეთს რომ ეხამებოდნენ, ერწყმოდნენ, ეჯახებოდნენ, ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ.

მე გახლდით მოწმე მამაჩემის ცხოვრე-

ბის ორი ხანისა: მისი რელიგიური კრიზისის წინარე და შემდგომ. აქვე დაუსძინ. მისეთი მოწმე გახლდით, ვისაც საგანგებოდ კარგი პირობები ჰქონდა. ყველაზე მეტად მე ვიყავ ნაზიარები ტოლსტოის ინტიმურ ცხოვრებას. ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში, ვიდრე გავთხოვდებოდი, მე სულ შინ ვცხოვრობდი. მამაჩემი ჩემთან ფრიალ გულახდილი გახლდათ, განსაკუთრებით ისეთ ამბებში, რაიც დედაჩემს ეხებოდა. მან იცოდა, რომ მე ორივე მიყვარდა და მუდამ მზად ვიყავი ყველაფერი გამეკეთებინა, რაც კი ჩემზე იყო დამოკიდებული, რათა მათ შორის მშვიდობას დაედო ბინა.

თავის მხრივ, დედაჩემიც მიზიარებდა ფარულ დარდსა თუ სიხარულს. მე უფროსი ასული ვიყავ, მხოლოდ ოციოდე წლით უმცროსი მასზე. წლებმა ჩვენს შორის ასაკობრივი ზღვარი იმდენად წაშალა, რომ დედა როგორც თანატოლს, როგორც მეგობარს ისე მექცეოდა.

რათა შევიმეცნოთ ვითარების მთელი ტრაგიზმი, შეუმჩნევლად რომ იზრდებოდა თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე და დასრულდა იმით, რომ მამაჩემი შინიდან გაიქცა და გარდაიცვალა სადგურის უფროსის პაწაწინა ქოხში, უნდა ჩავუფიქრდეთ იმ გარემოებას, თუ როგორ იყო მოწიფული ტოლსტოი და როგორი იყო ის ასული, ის სრულიად ნორჩი სონია ბერსი, მისი მეუღლე რომ გახდა.

წინ მიდევს მამაჩემის ინტიმური დღიურები 1847 წლიდან მოკიდებული, როცა იგი ყაზანის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ. მაშინ მამა ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო. დედაჩემის დღიურებიც მაქვს, 1862 წლით რომ იწყება. დედა მაშინ თვრამეტი წლის იყო და ახალი გათხოვილი. თვითეული ყურადღებებიანი ადამიანი იპოვის ამ საბუთებში ჩანასახს იმ ხასიათებისას, მოწიფულობის ასაკში რომ განვითარდა და განმტკიცდა.

აი როგორი იყო მამა: გამუდმებით ებრძოდა საკუთარ ვნებებს, არაფერს გააკეთებდა, საგულდაგულოდ რომ არ აეწონ-დაეწონა, შეუწყალებელი სისასტიკით სჯიდა საკუთარ თავს, უაღრესად მომთხოვნი თავისი თავისა და სხვების მიმართაც. ამავედროულად გამოუსწორებელი ოპტიმისტი, არასოდეს რომ არ ჩიოდა, ყოველი რთული მდგომარეობიდან იპოვიდა გამოსავალს, ეძიებდა თვითეული პრობლემის ამოხსნას, ნუგეშს პო-



ვებდა ყოველგვარი უბედურებისა და უსიამოვნების ჟამს. კბილის ტკივილსაც კი გამართლებას მოუძებნიდა. თავის დღიურში წერს: „... კბილის ტკივილს უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს ჯანმრთელობისათვის“. სხვა ადგილას უწერია: „ყველა სატკივარს აშკარა მორალური სარგებელი მოჰქონდა. ამისთვისაც მადლობელი ვარ მისი“.

მთელი მისი ცხოვრების ლეიტმოტივი იყო „თვითდაოსტატება“. 1847 წლის 24 მარტს იგი წერს: „მე ბევრად შევიცვალე, მაგრამ მაინც ჯერ არ მიმიღწევია სრულყოფილების იმ დონისათვის (მეცადინეობას ვგულისხმობ), რის მიღწევაც მსურდა“. და იქვე დღიურში მოხაზავს ქცევის ზოგიერთ წესს. იგი საკუთარ თავს მეტისმეტად მრავალ დავალებას აძლევს და რაკი არ ძალუძს შესრულება, უკმაყოფილოა.

7 აპრილს ტოლსტოი წერს: „ზუსტად ერთი კვირის თავზე სოფელში მივემგზავრები. რა გავაკეთო ამ კვირაში? უნდა ვიმეცადინო ინგლისურსა და ლათინურ ენებში, რომაულ სამართალსა და წესებში.“ კვირის ბოლოს აღნიშნავს: „რა იქნება მიზანი ჩემი ცხოვრებისა ორი წლის განმავლობაში? 1) შევისწავლო იურიდიულ მეცნიერებათა სრული კურსი, რომელიც საჭიროა უნივერსიტეტში საბოლოო გამოცდის ჩასაბარებლად. 2) შევისწავლო პრაქტიკული მედიცინა და თეორიულის ნაწილი. 3) შევისწავლო ენები: ფრანგული, რუსული, გერმანული, ინგლისური, იტალიური და ლათინური. 4) შევისწავლო სოფლის მეურნეობა როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად. 5) შევისწავლო ისტორია, გეოგრაფია და სტატისტიკა. 6) შევისწავლო მათემატიკა, გიმნაზიის კურსი. 7) დავწერო დისერტაცია. 8) მივადწიო სრულყოფილების საშუალო დონეს მუსიკასა და ფერწერაში; 9) დავწერო წესები. 10) შევიძინო მცირეოდენი ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. 11) დავწერო თხზულებანი ყველა იმ საგანში, რომლებსაც შევისწავლი“.

მეორე დღეს მიხვდა, რომ გადაჭარბებით შეაფასა საკუთარი შესაძლებლობები და 18 აპრილს ჩაინიშნა: „უცებ უამრავი წესი ჩამოვწერე და მსურდა მივყოლოდი, მაგრამ ჩემი ძალები მეტისმეტად სუსტი აღმოჩნდა საამისოდ“.

ორი თვის მოწადინების შემდგომ აღნიშნავს: „ოჰ, რა ძნელია ადამიანისათვის განავითაროს საკუთარ არსებაში კარგი, როცა მხოლოდ ცუდის ზემოქმედებას განიცდის“. „მივადწევ კია ოდესმე იმას, როცა არ ვიქ-

ნები დამოკიდებული არავითარ გარეშე ვითარებაზე? ჩემის აზრით ეს გახლავთ უდიდესი სრულქმნილება“.

მოგვიანებით დარწმუნდა, რომ სრულქმნილება და სრულქმნა (— სრულყოფა) სულ სხვადასხვა მცნებებია. და 1854 წლის 3 ივლისს ჩაინიშნა: „ჩემი უმთავრესი შეცდომა... ის გახლავთ, რომ მე სრულქმნილება და სრულქმნა ერთმანეთში ავურიე. უწინარეს ყოვლისა კარგად უნდა შეიმეცნო საკუთარი თავი და საკუთარი ნაკლი; ეცადო გამოასწორო იგი და არ დაისახო მიზნად სრულქმნილება, რასაც არათუ ვერ მივადწევ იმ უდაბლესი წერტილიდან, სადაც ვდგავარ, არამედ იმედიც მეწურება, რომ საერთოდ შესაძლებელია მიღწევა“.

იგი მაინც ყოველ დღეს ხმარობს, არ კარგავს იმედს. დროდადრო აღნიშნავს სრულყოფისაკენ მიმავალ გზაზე მიღწეულ წარმატებებს. „ჩემი გამოსწორების საქმე ჩინებულად მიდის.“ „ვტკბები, ისე სწრაფად ვვითარდები მორალურად“, — შენიშნავს მოგვიანებით. ერთხელ ასეთი ამოცანა დაისახა: „დღეში თითო კეთილი საქმე“, და იქვე დასძინა: „და საკმარისია“. „მტკიცედ გადავწყვიტე საკუთარი სიცოცხლე მივუძღვნა მოყვასზე ზრუნვას. უკანასკნელად ვეუბნები საკუთარ თავს: გავა სამი დღე და თუ მე ვერას ვარგებ ადამიანებს, თავს მოვიკლავ“. ერთი თვის თავზე ჩაწერა: „თუ ხვალ ვერას გავაკეთებ, ტყვიას მივირტყამ შუბლში“.

მრავალი წლის შემდგომ, ბრძოლის ამ წლებს რომ იგონებდა, მამაჩემი წერდა:

„... ერთადერთი ჭეშმარიტი რწმენა იმხანად ჩემი იყო რწმენა სრულქმნილებისა. მაგრამ რაში იყო ეს სრულქმნილება და მისი მიზანი, ვერ გეტყოდით... მთელი გულით ვესწრაფოდი კარგი ვყოფილიყავ, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავი, ვნებებით სავსე, და მარტო, სრულიად მარტო, ვეძიებდი სიკეთეს. ყოველთვის, როცა ვცდილობდი ჩემი უგულითადესი სურვილის გამჟღავნებას, ვყოფილიყავი მორალურად კარგი პიროვნება — ზიზღსა და დაცინვას მომაგებდნენ. ხოლო როგორც კი მდაბალ ვნებებს ავყვებოდი, ყოველმხრივ მაქებდნენ და მაქებებდნენ“.

შემდგომ — ქორწინება.

1862 წლის 12 სექტემბერს ტოლსტოი წერს: „მე შეყვარებული ვარ. არ მეგონა, თუ ასეთი სიყვარული შეიძლებოდა. მე ხელი ვარ, თავს მოვიკლავ, ასე რომ გაგრძელდეს“.



16 სექტემბერს იგი ყმაწვილ ქალს, სონია ბერსს ბარათს გადასცემს და ცოლობას სთხოვს. დღიურში კი იწერს: „ვუთხარი. ქალმა — ჰოო. იგი დაჭრილ ფრინველს მაგონებს. რა უნდა დავწერო. ეს არც დავავიწყდება და ვერც დაწერ“. ერთ კვირაში, 23 სექტემბერს — ქორწილი. გავა ორი დღე და იგი წერს: „ენით უთქმელი ბედნიერება... ასეთ დიდ ბედნიერებას ერთი სიცოცხლე ვერ დაიტევს“.

რა იყო ქორწინება ტოლსტოისათვის? ფურცელი სიყვარულისა, საშუალება ბოლო მოეღო იმ ცდუნებათათვის, მას რომ აწამებდნენ; ქორწინება იყო მისი ცხოვრების ის ხანა, რომელსაც მან ვერ მიუძღვნა მთელი თავისი გონებრივი და სულიერი ძალები. არ გასულა წელიწადიც და იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცოლ-ქმრული ცხოვრების ცხრა თვე მისთვის გამოყვეყჩების ხანა იყო. მას სინდისი ქენჯნის ასე ეგოისტურად რომ იცხოვრა, მძიმე ტვირთად აწევს უქმად ყოფნა და აღარ სცემს პატივს საკუთარ თავს. ოჯახური ცხოვრების სიხარულმა ერთიანად შთანთქა იგი და დაავიწყებინა „სიმალღე ჭეშმარიტებისა და ძლიერებისა“, აღრე რომ იცოდა.

1863 წლის 18 ივნისს ტოლსტოი დღიურში იწერს: „სადა ვარ მე? სად არის ის პიროვნული მე, თვითონვე რომ მიყვარდა და ვიცნობდი, ვინაც ზოგჯერ ჭეშმარიტი სახით გამომეცხადებოდა და სიხარულსა და შიშსა მგვრიდა? მე სულნამცეცა ადამიანი ვარ, აჩარაობა ვარ. მე ასეთი ვარ იმ დღიდან, რაც ცოლად შევირთე ქალი, რომელიც მიყვარს“. ტოლსტოი ამ დღის ჩანაწერს ლოცვით ამთავრებს: „ღმერთო დიდებულო... მაცხოვრე მუდამ ასეთის შეგნებით შენის არსებისა და საკუთარი ძალისა...“

და აი, ეს ქალიც. როგორი იყო იგი, სონია ბერსი, როცა გაიცნო ტოლსტოი, შეიყვარა და მას ცოლად გაჰყვა? იგი იყო ექიმ ბერსის მეორე შვილი, აღზრდილი მისი წრისა და საუკუნის თავადის ასულთა კვალად. იმხანად გათხოვება თვითეული თავადის ქალის სასიცოცხლო მიზანი იყო და დედაჩემიც თავისდაუნებლიეთ მიისწრაფოდა ამ იდეალისაკენ. ქორწინება მისთვის იყო რაღაც წმიდათაწმიდა. მთელი თავისი აღზრდით იგი მომზადებული იყო საოჯახო ცხოვრებისათვის და ამ ცხოვრებას მიუძღვნა მან თავისი უმანკო სულისა და სხეულის მთელი სიმდიდრე.

მაგრამ ქმრის ბუნების საპირისპიროდ ცოლი ბუნებით პესიმისტი. ხშირად ეძ-

ლევა სევდას და ადვილად წყდება ხოლმე გული. ეჩვენება, რომ ირგვლივ ყველაფერს უბედურება მოაქვს მისთვის. მუდამ ჰგონია, რომ გამოუვალ მდგომარეობაშია და ნაცვლად იმისა, რომ გამოსავალი გზა ეძიოს, ან ჩივის ან საყვედურობს საკუთარ თავს, ან გასამართლებელ მიზეზს ეძიებს. იგი პასუხისმგებლობას გრძნობს ყველა უბედურებათა გამო, გარს რომ ახვევია და თავი დამნაშავე ჰგონია, რაკი შველა არ შეუძლია.

პირველი დიდი უბედურება ამ ქალის ცხოვრებაში იყო ის, როცა შეიტყო რა ცხოვრებას ეწეოდა მისი მეუღლე ქორწინებამდე. სიკვდილის დღემდე ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ მთელი თავისი სიყვარული მიუძღვნა კაცს, რომელსაც აღრე სხვა ქალები ჰყვარებია. აი რას ვკითხულობთ დედაჩემის დღიურში: „მთელი მისი წარსული იმდენად საშინელია ჩემთვის, რომ მე ალბათ ვერასდროს შევურიგდები ამას... მას არ ესმის, რომ მისი წარსული მთელი ცხოვრებაა ათასნაირი გრძნობით სავსე, კარგით თუ ცუდით, და ეს გრძნობები უკვე აღარ შეიძლება მე მეკუთვნოდნენ, ისევე როგორც არ შეიძლება მე მეკუთვნოდეს მისი სიჭაბუკე, გახარჯული, ღმერთმა რომ უწყის მხოლოდ, ვის და რის გამო. მას არც ესმის, რომ ყველაფერს ვუძღვნი, რომ ჩემს არსებაში ყოველივე ხელშეუხებია, რომ მას მხოლოდ ჩემი ბავშვობა არ ეკუთვნოდა... თვითონ კი ისურვებდა მეც მასავით მეცხოვრა, განმეცადა იმდენივე ცუდი, რამდენიც მან განიცადა, რომ უკეთ შემეცნო კარგი. თავისდაუნებლიეთ გული სწყდება, რომ ბედნიერება იოლად მოვიპოვე, ისე დავეუფლე, არც დავფიქრებულვარ, არც დავტანჯულვარ... რა უნდა ვქნა? მე კი ვერ მიპატიებია ღმერთისათვის, ასე რად მოაწყო ეს ქვეყანა, რომ ყველანი, ვიდრე წესიერნი გახდებოდნენ, აუცილებლად უნდა გადარეულიყვნენ.“

მას არ შეუძლია ისარგებლოს წილხვედრი ბედნიერებით. ბედნიერების წუთებშიც კი იგი როგორღაც ახერხებს თავი გაიწამოს იჭვებითა და წინათგრძნობებით. „თუ შეუძლოდ არის, ვფიქრობ, უსათუოდ მოკვდება-მეთქი და დამეხვევა შავი ფიქრები მთელი სამი საათის განმავლობაში. მხიარულ გუნებაზეა და ახლა იმაზე ვიმტვრევ თავს, არ გაუნელდეს-მეთქი სულის ეს განწყობილება... თუ შინ არ არის ან დაკავებულია, ისევე მასზე ვფიქრობ, ყურს ვუგდებ, ხომ არ მოდის-მეთქი. და თუ გვერდით არის,



მისი სახის გამომეტყველებას ვადევნებ თვალს“.

და ქალიც ეჭვიანობს ყველასა და ყველაფერზე: „თვითონაც მძულს და მისი ხალხიც. ვგრძნობ, რომ ან მე უნდა ვიყო, მე—ჯერხნობით ოჯახის წარმომადგენელი, ანდა ხალხი, ასე გულმხურვალედ რომ უყვარს ლ-ს. ეს ვგოიზშია. იყოს ასე. მე მისთვის ვცოცხლობ, მისით ვცოცხლობ, ასევე მინდა საპასუხოდ, თორემ აქ სული მეხუთება და თავს ლალად ვერ ვგრძნობ“.

სხვა ადგილას უწერია: „მისი თხზულების დასაწყისი წავიკითხე და ყველგან, სადაც სიყვარულია, სადაც ქალები არიან, ზიზღი ვიგრძენი, სული დამიმძიმდა, ყველაფერს, ყველაფერს დავწვავდი, ჩემი ნება რომ იყოს. დაე, არსად არაფერმა არ მომაგონოს მისი წარსული. აღარც მისი ნაშრომი დამენანებოდა, რადგან ეჭვიანობამ საშინელი პატივმოყვარე გამხადა.“

მე რომ შემეძლოს მოვკლა იგი და შემდგომ ხელახლა შევქმნა, ზუსტად ასეთი, ამასაც უდიდესი სიამოვნებით მოვიმოქმედებდი“.

საბრალო ბაღი! იტანჯება უაზრო შეუსაბამობათაგან, თვითვე რომ გამოიგონათავის საწამებლად. იგი ვერ ხვდება, რომ ქორწინებაზე მისი შეხედულება რაკი არ შეესაბამება სინამდვილეს, ტანჯვის მიზეზიც სწორედ აქედან მომდინარეობს. ამ ქალისათვის ყოველივე ოჯახური ცხოვრებით გვირგვინდებოდა: ყოფილიყო ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე, თავგადადებული დედა — აი მოვალეობა, რასაც ისახავდა. და ღმერთია მოწამე — პატიოსნად შეასრულა მან ეს მოვალეობა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე, ქმრისგანაც ამასვე მოითხოვდა.

მაგრამ შეეძლო ლევ ტოლსტოის თავისი ინტერესები ოჯახით შემოესაზღვრა და მხოლოდ მეუღლე და მამა ყოფილიყო?

უთანხმოება, ოდნავ შესამჩნევად რომ იჩინა თავი ჩემი მშობლების ცოლ-ქმრობის ლამის პირველი დღეებიდანვე, იმ დიდი სიყვარულის წყალობით, მათ რომ აკავშირებდათ, თითქმის ოცი წელიწადი იყო დამალული, იმ დრომდე, რომელსაც ტოლსტოის მოქცევას ანდა რელიგიურ კრიზისს ეძახიან, და რასაც თვითონ თავის მეორე დაბადებას ეძახდა. მათი ქორწინების პირველი ოცი წელიწადი ბედნიერების მომტანი იყო.

მაშ ასე, როგორც უკვე მოგახსენეთ, დედაჩემი თვრამეტი წლისა გათხოვდა. იგი ლამაზია, ტანკენარი, მგზნებარე შავგვრე-

მანი ქალიშვილი. ადრე სოფელში არასოდეს უცხოვრია. და აი ამ მკვიდრმა ქალაქელმა, თითქმის ბავშვმა, უნდა უარყოს ყოველგვარი სიამე-სიხარული, რაც დიდ ოჯახსა და დიდ ქალაქში ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. სექტემბრის კუნაპეტ ლამეს ქმართან ერთად მიემგზავრება დიდი სამგზავრო ეკიპაჟით, დორმეზს რომ ეძახიან. იგი მიემგზავრება იასნაია პოლიანაში, სადაც ვერავის ნახავს გარდა მოხუცი დეიდის ტატიანა ალექსანდრეს ასულისა, ვისაც გარს ახვევია რამდენიმე უცნაური დედაკაცი, რომელთაგან ერთი სრულ ჭკუაზე არც არის. მას ეშინია. გადაკამკამებული კრემლის ნაცვლად, სადაც მისი მშობლები ცხოვრობდნენ, უკუნეთ წყვილიადში ჩაფლული კარ-მიდამო ხვდება. სასურველ სტუმართა ნაცვლად სახლის კარები მხოლოდ გამვლელ მომლოცავთათვის იღება. ეს უჩვეულო გარემო უცნაური და ცოტა შემზარავი ეჩვენება, ქმარს კი დივანზე სძინავს, სასთუმლად ტყავის ბალიში უდევს, თანაც ბალიშისპირიც არა აქვს გადაკრული.

ახალგაზრდა ქალისათვის ადვილი არ იყო ამ ახლებურ ცხოვრებას შეჰგუებოდა. მაგრამ დიდი და ორმხრივი სიყვარული ყველაფერს ავიწყებდა.

მამაჩემი წერს: „იგი იმდენად წმინდაა, კარგია, იმდენად უბიწოა, ამ წუთებში ვგრძნობ, რომ მე არ მეკუთვნის, თუმცა მთელი არსებით მეტვის. არ მეკუთვნის იმიტომ, რომ ვერ ვბედავ. თავი ღირსად არ მიმაჩნია“.

თავის მხრივ არც ახალგაზრდა ცოლს მიაჩნდა თავი ღირსად ისეთი დიდი ადამიანისა, როგორიც მისი მეუღლე იყო. იგი გამუდმებით ესწრაფოდა სიმადლეს, რომელზედაც ეს ბუმბერაზი იდგა მის თვალში. „რაკი ყველაფერში ვგრძნობდი ლევ ნიკოლაევიჩის დამთრგუნველ უპირატესობას, ეს იქნებოდა ასაკი, განათლება, ნიჭი, თუ ცხოვრებისეული გამოცდილება, აღარაფერი რომ არა ვთქვათ მის გენიალობაზე, თავს არ ვზოგავდი სულიერად მივახლოებოდი. თუ მის დონეზე ვერ დავდგებოდი, იმდენად მაინც მივახლოებოდი, რომ გამეგო მისი სულის მოძრაობა, მაგრამ ვგრძნობდი, რა უმწეო ვიყავ“.

ვნახოთ, როგორ ცხოვრობდნენ მაშინ იასნაია პოლიანაში. დალევდა თუ არა ყავას, მამა მაშინვე სამუშაო ოთახს მიაშურებდა. მაგრამ მუშაობის დროსაც ვერ იცილებდა გვერდიდან თავის მეუღლეს. დედა ჩუმად იჯდა დივანზე და ვიდრე მამა წერ-



და, ხელსაქმით ირთობდა თავს. საღამოს კი შეუდგებოდა დღისით დაწერილი ფურცლების სუფთად გადაწერას. რა დაღლილიც არ უნდა ყოფილიყო, დედას არასოდეს ჩაუგდია დღე, რადგან ეს სამუშაო მიაჩნდა თავის უმთავრეს მოვალეობად. გადაწერდა და დარბაზში თავისი მეუღლის მოხუც დეიდას მოიკითხავდა.

გავიდა ცოტა ხანი. უკვე დედა პირველი შვილის გაჩენას ელოდა. როცა კი თავს შეუძლოდ იგრძნობდა, მიწვებოდა ხოლმე ქმრის ფერხთით შავი დათვის ტყავზე, ამ დათვის ეშვები ამ რამდენიმე წლის წინათ კინალამ საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, და ასე მშვიდად მძინარე ელოდებოდა იმ საათის დადგომას, როცა ყველანი თავთავიანთ ოთახებში წავიდ-წამოვიდოდნენ. მაშამ ისურვა, რომ დედას არათუ თვითონ ეწოვებინა ძუძუ თავისი პირმშოსათვის (ეს გახლდათ ჩემი ძმა სერგეი), არამედ ძიძის გარეშეც იოლად გასულიყო. ეს მძიმე მოთხოვნა იყო ახალგაზრდა, გამოუცდელი, ფუფუნებაში გაზრდილი ქალისათვის. ბალღი სუსტი იყო. ძუძუს წოვება, ასე დიდ ტკივილს რომ აყენებდა დედას, მაინც ვეღარ შეძლო და შეწყვიტა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ. ძიძის მოყვანა? ეს ჩემს მოზღვებს დანაშაულად მიაჩნდათ. გადაწყვიტეს ბავშვისათვის ძუძუ წაერთმიათ. იმ დროს მაინცდამაინც თავს არ იტკივებდნენ ჰიგიენისა და სტერილიზაციის გამო. ბავშვი მძიმე ავად შეიქნა, დღიურში დედას აღწერილი აქვს, მამაჩემი როგორ უმზადებდა პაწიას რძეს და აცახცახებული ხელებით როგორ აწვდიდა საწოვარას და ცდილობდა შეჩვეოდა თავის ახალ მოვალეობას. „თვითონ კი სასოწარკვეთილი დღედაღამ ვტიროდი, ვეთხოვებოდი ბიჭუნას, მინდოდა ჩამეგონებინა, თითქოსდა ჩემი გაგება შეეძლო, რომ ბრალი არ მიმიძლოდა, ძუძუ თუ ვერ ვაწოვე“.

მამა ღამეებს უთევდა ვაჟიშვილს. განთიადი ტანგაუხდელს მოუსწრებდა ხოლმე და ისიც უბრუნდებოდა თავის კაბინეტში ალექსანდრე პირველს, ნაპოლეონს, პიერს, თავად ანდრეის, ნატაშას, პლატონ კარატაევს — „ომისა და მშვიდობის“ ყველა გმირს; ეპოპეას იგი ამ ხანებში წერდა. მაგრამ მაინც დაღვა წუთი, როცა მათ, სურვილის საწინააღმდეგოდ, ძიძის აყვანა მოუხდათ.

მალე მეც მოვევლინე ამ ქვეყანას. ჩემს გამო ამდენი დავიდარაბა არ ატეხილა.

ჩემს დედ-მამას სიცოცხლე მშვენიერი ეჩვენებოდა. მამაჩემი თავის სიმამრს სწერდა: „თითქოს მხოლოდ ახლა დაიწყო თავლობის თვე... რა საყვარელია სონია თავის ორ პაწიასთან ერთად“.

გავიდა კიდევ წელიწად-ნახევარი და ჩემი ძმა ილია დაიბადა. შემდეგ წელიწად-ნახევარიდან ორი წლის შუალედებით ჩვენი ოჯახი გამუდმებით იზრდებოდა. ცამეტი ბავშვი ვიყავით, რომელთაგან თერთმეტს დედა აწოვებდა ძუძუს. ვიდრე მამაჩემის გამოცდილი და კეთილი მარჯვენა მართავდა ჩვენს ცხოვრებას, ყველაფერი ჩინებულად მიედინებოდა. დედა ყოველივე საუკეთესოს, რაც კი გააჩნდა, თავის ქმარს ანაცვალავდა, მთელ თავის ძალას, მთელ თავის სიყვარულს.


ჩვენ მთელ წელიწადს იასნაია პოლიანაში ვატარებდით. მამაჩემის მოღვაწეობა განაწილებული იყო ლიტერატურულ შრომასა, ოჯახსა და მეურნეობას შორის. იგი რგავდა ხეებს, აფართოებდა ბაღებსა და ტყეებს, აშენებდა ფუტკარს, დგამდა ახორს, მისდევდა მეცხოველეობას, მაგრამ საუკეთესო ძალები და დროის უმეტესი ნაწილი ლიტერატურულ შრომას მიჰქონდა.

„ახლა მე ღრუბელივით გარს მომეხვია სიხარული და შეგნება იმისა, რომ შემძლია გავაკეთო დიადი რამ — დაწერო ალექსანდრესა და ნაპოლეონის ფსიქოლოგიური ისტორიული რომანი“. ეს სტრიქონები 1865 წლით დათარიღებული დღიურიდან არის აღებული. აქ პირველად არის ნახსენები „ომი და მშვიდობა“.

ორი წლის თავზე კი დედაჩემი აღნიშნავდა: „ლევო მთელი ზამთარი გაღიზიანებული, ხშირად თვალცრემლიანი და აღელვებული წერს. ჩემის აზრით მისი რომანი „ომი და მშვიდობა“ ჩინებული უნდა იყოს. ყველაფერი, რაც წამიკითხა, ისე ამადელვებელია, რომ ცრემლი მოგერევა“.

კითხვისას დედა თავის შენიშვნებს ეუბნებოდა. მამა მათ ყურად იღებდა და ზოგჯერ მისი შენიშვნების შესაბამისად ცვლიდა ტექსტს. მოვიტან ერთ პატარა ნაწყვეტს მამაჩემის წერილიდან, ცოლს რომ გაუგზავნა 1864 წლის 7 დეკემბერს: „კაბინეტში ვწერ და წინ მიდევს შენი სურათები — შენი ოთხი ასაკის ამსახველი. გეთაყვა, სონია. რა ჭკვიანი ხარ, ყველაფერს უმაღლესად ხვდები, რასაც ჩაუფიქრდები“. და შემდეგ აანალიზებს რა დედაჩემის გონიერებას, ასე ამთავრებს: „მე კი ჯერაც არ მითქვამს, რატომ ხარ ჭკვიანი. კარგი მე-“





უღლეც სწორედ ამას ჰქვია, ისე ფიქრობ ქმარზე, როგორც საკუთარ თავზე. მახსოვს, მითხარი, სამხედრო და ისტორიული ამბები ცუდი გამოვა, კარგი იქნება მეორე მხარე — ხასიათები, ოჯახური და ფსიქოლოგიური ამბები... ამაზე დიდი სიმართლე რაღა იქნება. მახსოვს, როგორ მითხარი ეს და ახლაც ასეთი მახსოვხარ. ჰოდა, ტანისავით მეც მინდა ვიყვირო: დედა, მე მინდა იასნაია პოლიანაში, მე მინდა სონია... სულს ჩემო საყვარელო, მხოლოდ გიყვარდე ისე, როგორც მე მიყვარხარ, სხვას არაფერს დავეძებ და ყველაფერი მშვენივრად იქნება“.

იმ ხანებში ცოლსაც და ქმარსაც, თვითელს თავისი საქმე ჰქონდა, გულისყურითა და სიყვარულით რომ ეკიდებოდნენ, და თან ერთმანეთის ცხოვრებას ავსებდნენ. თვითელი მთელი არსებით ეძლეოდა ამ საქმეს.

მამაჩემის საქმე გახლდათ ლიტერატურული შრომა. „უნდა წერო მხოლოდ მაშინ, როცა ყოველთვის, რამდენჯერაც ჩააწობ კალამს მელანში, სამელნეში ჩატოვებ საკუთარი ხორცის ნაგლეჯს...“

რაც შეეხება დედას, იგი საკუთარი ხორცის ნაგლეჯს ყოველდღიურად ტოვებდა ბავშვთა ოთახში. იგი დღბურში წერს: „ჩემი შვილები მიყვარს თავდავიწყებით, ლამის ტკივილსა ვგრძნობ“. თითქოს აი ახლაც თვალწინ მიდგას დედა, ხელში ბავშვი უჭირავს, თავი უკან გადაუგდია, კბილს კბილზე აჭერს, რომ ტკივილი დამალოს. იგი დედის მოვალეობას ყველაზე მნიშვნელოვან მოვალეობად მიიჩნევდა: „რომც მომკლას ამ ტანჯვამ, თავს მაინც არ დავანებებინებ“, — გაუტყდა ერთხელ თავის დას წერილში. მეორე წერილში კი სწერს: „ჩემი შვილი არ იქნებოდა სავსებით ჩემი, უცხო ქალს რომ ეწოვებინა მისთვის ძუძუ მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან ჟამს, პირველ წელიწადს“. ესაა დედობრივი მონება საკუთარი ნებით. ათი თვის ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემი იმავე დას სწერდა: „ახლა თავისუფალი ვარ, ტანია, მაგრამ რაოდენ მძიმეა ეს თავისუფლება...“

დროდადრო მამა საქმეებისა გამო მოსკოვს მიემგზავრებოდა. ყოველდღიური მიწერ-მოწერა განშორებას უმსუბუქებდათ. იასნაია პოლიანადან დედა წერდა: „ვზივარ შენს კაბინეტში, ვწერ და ვტირი. ვტირი საკუთარი ბედნიერების გამო, შენს გამო, ვტირი, რადგან შენ არა ხარ ჩემს

გვერდით. ვიგონებ ყოველივეს განგლილს...“

მამა კი პასუხად უგზავნის: „ზეგ ბავშვების ოთახში მოგეხვევი შენ ასე ნახს, და უცხრომელს, მშვენიერს მეუღლეს ჩემსას“.

დაიხსომეთ, იგი ზუსტად მიუთითებს, რომ ეს მოხდება ბავშვების ოთახში. მან კარგად იცოდა, რა დროსაც არ უნდა ჩასულიყო შინ, ცოლი ბავშვებთან დაუხვდებოდა.

ზოგჯერ დედას აშინებდა, რომ მხოლოდ ქმარ-შვილისათვის არსებობდა, პირადი არაფერი რჩებოდა. ეს იგრძნობა 1862 წლის ჩანაწერებში: „მე ვფიქრობ მისი ფიქრებით, ყველაფერს მისი თვალთ ვუცქერი, თავს ძალას ვატან, მისთანა ვერ გავხდები, თავს კი დავკარგავ. უკვე აღარა ვარ ის, რაც ვიყავი და უფრო მიჭირს“. სხვა ადგილას შენიშნავს: „როცა იგი შინ არ არის, მე ისევ მისი ინტერესებით ვცხოვრობ, შევალ მის კაბინეტში, დავალაგებ, გადავაწყობ სკივრში თეთრეულსა და ნივთებს, გადავიკითხავ ხელნაწერს და მთელი ძალით ვცდილობ მის გონებრივ სამყაროში შესვლას“. დედა სწერს მამას: „...უშენოდ ყოფნა იგივეა, რაც უსულოდ ყოფნა. მხოლოდ შენ, ერთადერთმა იცი ყველას და ყველაფერს პოეტური მშვენიერება მიანიჭო და რაღაც სიმადლეზე აიყვანო... როგორც კი უშენოდ დავრჩები, მხოლოდ ის მიყვარს, რაიც შენ გიყვარს. ხშირად აღარ ვიცი, თავად მე მიყვარს, თუ მხოლოდ იმის გამო, რომ შენ გიყვარს“.

ზოგჯერ ახალგაზრდობას, სიმხიარულის სურვილს თავისი გააქვთ და იგი წამოიძახებს ხოლმე: „... ისინი დასაძინებლად მგზავნიან, მე კი თავდაყირა დადგომა მინდა, სიმღერა, ცეკვა მინდა“. და ეს იმის გამო ხდება, რომ ქალი მხოლოდ და მხოლოდ ცხრამეტი წლისაა. გრძნობს, რომ ახალგაზრდაა და ხშირად გამოუტყდება ხოლმე საკუთარ თავს: „ზოგჯერ ისე გულით მწადიან გავეჭვე ამ ცხოვრებას. არ შეიძლება. მე ამისი არც დრო მაქვს და არც უფლება“. დედა განსაკუთრებულად შეიგრძნობს მუსიკას, ამიტომაც ყველაზე მეტად მისი ეშინია.

„მაშენკამ რაღაც დაუკრა და მუსიკამ, ასე დიდი ხანია რომ არ მსმენია, ერთბაშად გამომიტაცა ბავშვების ოთახიდან, საიდანაც ამდენი ხანია, ნაბიჯი არსად გამიღამს და სადღაც შორს გადამისროლა, სადღაც ყოველივე სულ სხვაა. შემეშინდა კიდევ, ჩემს არსებაში დიდი ხანია ჩავახშე



ყველა ის სიმი, რომელიც მტკიოდა და მგრძნობიარე იყო მუსიკის ჰანგების მოსმენისა თუ ბუნების დანახვისთანავე... ვისურვებდი არასოდეს გაღვიძებულიყო ჩემს სულში ეს გრძნობა, რომელიც შენ — პოეტსა და მწერალს — გჭირდება, ხოლო მე — დედასა და დიასახლისს — მხოლოდ ტკივილს მგვრის, რადგანაც ამ გრძნობას მე ვერ მივეცემი და არც შემფერის“.

ეს შინაგანი ჭიდილი, ეს ძალდატანება საკუთარ თავზე, ქმარს შეუმჩნეველი არა რჩებოდა და ამიტომ კიდევ უფრო ძლიერად უყვარდა იგი, თუმცა შეშინებული ადევნებდა თავს. ეს აისახა კიდევ 1863 წლით დათარიღებულ დღიურში: „... იგი ახალგაზრდაა, ბევრი რამ არ ესმის და არც უყვარს ჩემი და უამრავ რასმე ახშობს საკუთარ სულში ჩემი გულისთვის. და ყველა ამ მსხვერპლს თავისდაუნებლიეთ სათვალავში მიგდებს“.

ჭეშმარიტად, სწორედ ასეთი ანგარიში წარუდგინა დედამ მამაჩემს, მაგრამ ეს მოხდა გაცილებით გვიან, გაცილებით გვიან. იმ ხანებში კი ცხოვრება კარგი იყო და გზა იოლად სავალი.

ამავე ხანიდან მამაჩემი ცდილობს უფრო სადა გახადოს ოჯახის ცხოვრება და შემოიღოს უფრო მკაცრი წესები, ვიდრე ეს მისი წრის ხალხში იყო მიღებული. მაგრამ ყოველი ცდა მარცხით დასრულდა და სასწრაფოდ მიანება თავი. მამას სურდა, მისი უფროსი ვაჟი უგადიოდ გაზრდილიყო. დედაჩემის ავადმყოფობამ უცილობელი გახდა გამდელის დაქირავება. ხოლო ცოტა მოგვიანებით იგი ინგლისიდან ჩამოიყვანეს. ფორანით მგზავრობის პირველმა მცდელობამაც არ გაამართლა, დედაჩემი ისე დაანჯღრია, რომ ავად შეიქნა. სხვა რა გზა იყო — ეტლი დაიქირავეს. მამა ბუნებით ჯიუტი არ გახლდათ. ესეც არ იყოს, თუკი მას მიზნად ჰქონდა დასახული ცხოვრების სრულქმნა, ოღნავადაც არ ცდილობდა თავისი ნება სხვებისათვის მოეხვია თავს. მაშ ასე, რაკი დარწმუნდა, რომ არ ძალუძდა ცოლის გემოვნებისა და ზნე-ჩვეულებათა შეცვლა, სხვა რა გზა ჰქონდა, დაემორჩილა ბედს. ეს არც ისე ძნელი იყო, რადგან იმ ხანებში გაუბრალოება მისთვის უფრო გემოვნების საქმე იყო, ვიდრე რწმენისა, თანაც მაშინ იასნაია პოლიანაში ისედაც სადად ცხოვრობდნენ.

მცირე ფუფუნებამ სახლში მას უკან იჩინა თავი, როცა დაიწყო მამაჩემის თხზულებათა წარმატებით გაყიდვა. იზრდებოდა

ოჯახის შემოსავალი და ჩვენც უფრო ხელგაშლილად ვცხოვრობდით. უცხოელი გუვერნანტები გვყავდა, რუსული ენის მასწავლებლები, როგორც ქალები, ისე კაცები. ყველანი ჩვენთან ცხოვრობდნენ. კვირაში რამდენიმეჯერ პედაგოგები ტულიდანაც ჩამოდიოდნენ, გვიტარებდნენ საღვთო სჯულის გაკვეთილებს, გვასწავლიდნენ რამდენიმე უცხო ენას, მუსიკასა და მხატვრობას.

ბედნიერი ცხოვრების ეს ოცწლიანი ხანა დრამით დამთავრდა, კარგა ხანია რომ მზადდებოდა და ბოლოს დაანგრია კიდევ ჩვენი ოჯახური კერა.

დრამა ჭეშმარიტ დრამად მაშინ იქცევა, როცა დამნაშავენი არ არიან, მაგრამ ვითარება ჩიხში მიგამწყვდევს. ჩვენი ოჯახი მართლაც ტრაგიკულ ვითარებაში აღმოჩნდა, საიდანაც თავდასაღწევი გზა არ იყო.

როცა სულ პატარები ვიყავით, ჩვენმა მშობლებმა მოსკოვში ცხოვრება გადაწყვიტეს, როგორც კი უფროსი ბავშვები ცოტას წამოიზრდებოდნენ. ჩემს ძმას საუნივერსიტეტოდ შინ ამზადებდნენ. რაც შემეხება მე, თვრამეტი წლისა უკვე უნდა გავეყვანეთ მაღალი წრის საზოგადოებაში. ეს თავად მამაჩემმა გადაწყვიტა მტკიცედ. მახსოვს, როგორი შეწუხებული იყო, როცა ლავიწის ძვალი მოვიტეხე. მოსკოვში საუკეთესო ქირურგთან მიმიყვანა, ეკითხებოდა, ოპერაციის შემდგომ ხომ აღარ დააჩნდებაო. უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ არაფერი შემემჩნეოდა სამეჯლისოდ მორთულს.

მაგრამ 1880 წლის დადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე მამაჩემის სულიერი ინტერესები ერთიანად შეიცვალა. ეს ამბავი შეუმჩნეველად დაიწყო.

1887 წელს იგი წერდა თავის მეგობარს სტრახოვს: „ამ დღეებში მოვისმინე მღვდლის გაკვეთილი, კატეხიზმოს უკითხავდა ბავშვებს. დიდი უგვანობა იყო ყოველივეცხადად ჩანს, რომ ჭკვიან ბავშვებს არათუ არა სწამთ ეს სიტყვები, არამედ სძულთ და სხვაგვარად არც შეუძლიათ. ამიტომ სურვილი აღმეძრა კატეხიზმოს ფორმაში გადმომეცა ის, რაიც მწამს და ვცადე კიდევ. მაგრამ ამ ცდამ მაჩვენა, რაოდენ ძნელია ჩემთვის ამის გაკეთება, ვშიშობ, რომ შეუძლებელიც კია.“

ამის გამო ნაღველი ლოდვიით დამაწვა გულზე.“

ამ დღიდან მოკიდებული მამაჩემი დაულავად ეძიებს გზებს თავისი რწმენის



გამოსახატავად. „აღსარებაში“ იგი მოგვითხრობს, როგორ იგრძნო მოქცევის პირველი ნიშნები. „... რაღაც უცნაური რამ მემართებოდა: უცაბედად საგონებელში ვვარდებოდი, თითქოს ცხოვრება შეჩერდა, თითქოს არ ვიცოდი, როგორ მეცხოვრა, რა გამეკეთებინა... და ასეთი შეჩერებანი ცხოვრების მდინარეებისა მუდამ ერთგვაროვანი კითხვებით გამოსახებოდა: რატომ? კი მაგრამ შემდგომ?“

თავდაპირველად მამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ კითხვებს, რაკი მათ უსაფუძვლოდ მიიჩნევდა. მაგრამ ეს კითხვები სულ უფრო და უფრო ხშირად წამოპყროფდნენ ხოლმე თავს, მეტის დაჟინებით მოითხოვდნენ პასუხს.

და მამაც მიხვდა, „რომ მასაც იგივე დაემართა, რაიც ემართება სასიკვდილო სენით შეპყრობილ ადამიანს.“ მან დაინახა, რომ აუცილებლად უნდა გაეცა პასუხი ამ კითხვებზე. მას უნდა სცოდნოდა, რისთვის წერდა წიგნს, რისთვის ზრდიდა ვაჟიშვილს, რისთვის ყიდულობდა ახალ მამულს. „კარგი, — ეუბნებოდა იგი საკუთარ თავს, — შენ გეჭნება ათასობით დესეტინა მიწა, ასობით ცხენი, შენ იქნები მსოფლიოს ყველა მწერალსა და პოეტზე უფრო სახელგანთქმული. მაგრამ რად? რისთვის? რას მოგცემს ყოველივე ეს?“ „აღსარებაში“ წერს: „მე თითქოს ვცხოვრობდი, დიდხანს ვცხოვრობდი, ვიარე, ბევრი ვიარე, მერე მივაღდექი უფსკრულს და ნათლად დავინახე, რომ წინ აღარაფერია სიკვდილის გარდა.“

„მოხდა ისე, რომ ჯანსაღმა, ბედნიერმა კაცმა უცებ ვიგრძენი, რომ აღარ შემიძლია მეტი ცხოვრება.“

და სწორედ მაშინ მე, ბედნიერმა კაცმა სასწრაფოდ გავიტანე თოკი ჩემი ოთახიდან, სადაც ყოველ საღამოს მარტო ვიყავი, რათა თავი არ ჩამომეხრჩო კარადებს შორის კედონზე, აღარც სანადირო თოფი დამქონდა, რათა არ ვეცდუნებინე ცხოვრებისაგან თავდახსნის იოლ ხერხს.

წყვდიადის შიში მეტისმეტად დიდი იყო და მე მინდოდა სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად გავთავისუფლებულიყავ მისგან ან ყულფით ან ტყვიით...“

„ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რომ ყოველივე ამაში რაღაც სიყალბე გამოსჭვივის, მაგრამ ამ სიყალბის დანახვა მე არ შემეძლო. კარგა ხნის შემდგომ ეს წყვდიადი თანდათან გაიფანტა, განათდა და მეც თანდათანობით ჩავწვდი ჩემს მდგომარეობას.“

ცოტ-ცოტაობით მამა დარწმუნდა, რომ

ცხოვრების ძალა ემყარება რწმენას, რომ ყველაზე ღრმა ადამიანური სიბრძნე დაფარულია პასუხებში, რომლებსაც რწმენა იძლევა.

და მანაც დაიწყო ყველა ხალხთა რელიგიების შესწავლა და პირველ რიგში მართლმადიდებლურისა. იგი წიგნების მეშვეობით სწავლობდა, მაგრამ უშუალოდ ცოცხალ ადამიანებსაც მიმართავდა. მამა დაუახლოვდა უბრალო ხალხს — მორწმუნეთ და თუმცა კი შენიშნა, რომ ისინი, ჭეშმარიტი ქრისტიანები, ამავე ღროს მეტისმეტად ცრუმორწმუნენიც იყვნენ, მაინც მიხვდა, რომ ეს ცრურწმენა მათთვის აუცილებელიც იყო და თან მათი ცხოვრების გამართლებაც გახლდათ. მამამ ისწავლა ამ ხალხის სიყვარული და რაც უფრო მეტად უყვარდა ისინი, მით უფრო უმსუბუქდებოდა ცხოვრების ტვირთი.

მაშინ მიხვდა ტოლსტოი, რომ თავისთავად ცხოვრება სრულიადაც არ იყო უსარგებლო, არ იყო ბოროტება, მაგრამ თავად მის ცხოვრებას არ ჰქონდა აზრი, ცუდად ცხოვრობდა.

და სახარების სიტყვები, რომ ადამიანები წყვდიადს არჩევენ სინათლეს. უგვანი საქციელის გამო, მისთვის გასაგები და ნათელი შეიქნა.

ყოველივე განცდილმა იგი აიძულა საკუთარ ცხოვრებას გულდასმით ჩაჰკვირვებოდა. ეს გახლდათ დასაწყისი ძიებისა და იჭვების პერიოდისა, დარდსა და ძრწოლაში რომ გაატარა. პასუხებს კითხვებზე, ასე რომ სდევდნენ, იგი ეძიებდა მცენიერებაშიც, ფილოსოფიაშიც, რელიგიაშიც.

და აი, სიმწიფის ასაკს მიღწეულმა, როცა ცხოვრებისაგან მიიღო სრული ბედნიერება, როგორსაც შეიძლება ელოდეს ადამიანი, მან ზურგი აქცია ამ ბედნიერებას.

ყველა ამქვეყნიური სიკეთე, ყველა მიწიერი ცდუნება ამიერიდან მისთვის იქცევა არა მხოლოდ დაბრკოლებად, არამედ მძიმე ჯვრად. ღროდადრო ეჩვენება, რომ ეს ტვირთი მის ძალ-ღონეს აღემატება და მის გადაგდებას მოინდომებს, მოინდომებს ჩამოიშოროს მთელი თავისი წარსული, ოჯახური ცხოვრება, რაზედაც სიჭაბუკეში ოცნებობდა; უარი თქვას შეძენილ ქონებაზე და, ბოლოს, ჩამოშორდეს ეკლესიას, მისთვის ასე ძვირფასს, რადგან ეკლესია წარმოადგენდა დამაკავშირებელ რგოლს ხალხთან, ასე გულით რომ უყვარდა.

მაგრამ ვიდრე უარს იტყოდა რელიგიაზე, რომელიც ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა,



მან ეს რელიგია შეუწყნარებლად გააანალიზა. იგი კეთილსინდისიერად იცავდა ყველა მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებას, მარხვასა და მარხვის დღეებს, კითხულობდა ლოცვანს და ესწრებოდა საეკლესიო მსახურებას.

მახსოვს, ყოველ კვირადღეს მე და მამა წირვაზე მივდიოდით. ფეხით მივდიოდით, იმის ნაცვლად, რომ ოთხცხენიანი ეტლით გავმგზავრებულიყავით, როგორც ამას დედა აკეთებდა, როცა ბავშვები ზიარების მისაღებად მიჰყავდა. მამა ჩვეულებისამებრ ადვილად მოიყრიდა ხოლმე მუხლს. ჩვენ მკაცრად ვინახავდით მარხვას და თევზსაც კი არ ვჭამდით. დედაჩემი წერს დღიურში: „ლევ ნიკოლაევიჩს უფრო და უფრო ეცვლება ხასიათი. თუმცა მუდამ მორიდებული და ნაკლებმომთხოვნი, ახლა კიდევ უფრო მოკრძალებული, უწყინარი და მომთმენი შეიქნა. და ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდობის წლებიდანვე დაწყებული მარადიული ომი, მიზნად მორალური სრულქმნა რომ გაუხდია, სრული წარმატებით გვირგვინდება“.

რაკი სურდა ყოველმხრივ შეესწავლა მართლმადიდებლობა, მამა ხშირად მიემგზავრებოდა მოსკოვს ეპისკოპოს მაკართან, იყო სერგიევის ლავრაში და ფეხით ჩავიდა სავანე ოპტინაში. იგი გაემგზავრა კიევში. მისი სიტყვებით, იქითკენ ფრიად მიუწევდა გული. მაგრამ ჩავიდა თუ არა სახელგანთქმულ მონასტერში, ცოლს მოსწერა: „მთელი დილა ნაშუადღევის სამ საათამდე დავდიოდი ტაძრებში, მღვიმეებში, ბერებში და ძალზე უკმაყოფილო ვარ. არ ღირდა ამად... 7 საათზე ისევ ლავრაში მივბრუნდი სქიმოსან ანტონიოსთან და ჭკუის-სასწავლი ცოტა რამ ვნახე.“

იმავედროულად მამა სახარებას სწავლობდა და რაც უფრო ღრმად სწავლობდა, მით უფრო მეტად ხვდებოდა მართლმადიდებლობის მთელ სიყალბეს. მისთვის თანდათან ცხადი გახდა წმინდაწყლის ქრისტიანული მოძღვრების სიდიადე. „მე მივადწიე მზეს, მივეყვებოდი რა მის სხივებს“, — ამბობდა მამა, და ამით გამოხატავდა, რომ მართლმადიდებლობის გავლით მივიდა ქრისტიანობასთან. თხზულებაში „რაშია რწმენა ჩემი“, იგი წერს: „ეს იყო წამიერი განათება ჭეშმარიტების ნათლით.“ მის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, მან სრული პასუხები მიიღო კითხვებზე: „როგორია აზრი ცხოვრებისა? ან კიდევ, როგორია სხვათა ცხოვრების აზრი?“

ამ ხანებში მამა გატაცებით მუშაობდა

და უზარმაზარი შრომა გასწია. ხელახლა თარგმნა ოთხივე სახარება, შეადარა ისინი და ამ შეჯერების საფუძველზე დაადგინა ერთიანი ტექსტი.

ამასთან ერთად, იგი განაგრძობდა მუშაობას დოგმატიკური თეოლოგიის კრიტიკულ გარჩევაზე და ამდენად თავისი სიცოცხლის მიწურულს იძულებული შეიქნა შეესწავლა ებრაული და ბერძნული ენები.

ჩემი ვალია განვმარტო, როგორ იმოქმედა მამის მოქცევამ ოჯახზე. რასაკვირველია, ოჯახის წევრები ვერ გაუტოლდებოდნენ მას ვერც გონებით, ვერც თავისი ინტელექტუალური და მორალური ღირსებებით, მათ არ გაუვლიათ მამასთან ერთად შინაგანი გარდაქმნის გზა, ოჯახს არც შეეძლო მას გაჰყოლოდა. ეს ოჯახი აღზრდილი იყო გარკვეულ ტრადიციებზე, გარკვეულ გარემოში და აი უცებ ოჯახის თავი უარს ამბობს მისთვის ჩვეული ცხოვრების ყაიდაზე განყენებულ იდეათა გამო, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მის ადრინდელ შეხედულებებთან.

მაგრამ მამას უფლებამოსილად არ მიაჩნია თავი ერთბაშად დაანგრიოს ის, რაც თვითონვე შექმნა.

მან იქორწინა თვრამეტი წლის ქალწულზე. ჩამოაყალიბა ამ ქალის ბუნება, მისმა ზეგავლენამ ამ ქალის არსებაში ღრმა ფესვები გაიდგა. განა თვითონ არ სთხოვდა თავის მეუღლეს, მხოლოდ პირელი კლასის ვაგონით იმგზავრეო. განა თვითონ არ უკვეთავდა თავისი ცოლ-შვილისათვის ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ყველაზე საუკეთესო ხარისხისას და ყველაზე საუკეთესო მაღაზიებში? ახლა კი ითხოვს გლეხებივით იცხოვრონ. რატომ? რატომ უნდა თქვან უარი უქმად ყოფნასა და მხიარულებაზე? რატომ უნდა იშრომონ დღე და ღამე, შრომას ხომ ათასგვარი გაჭირვება ახლავს თან? — აი კითხვები, რომლებსაც დედა ეკითხებოდა თავის თავს.

თავდაპირველად დედა შეეცადა გაეგო მამის გულისწადილი. აი რას სწერდა დედაჩემი ერთხელ მამას: „გუშინ შენთან ერთად ვბრუნდებოდი ეტლით და სულ ვფიქრობდი, რას არ გავცემდი, ოღონდ გამეგო რა გიდევეს სულში, რაზე ფიქრობ. ჩემთვის ძალზე სამწუხაროა, რომ შენ თითქმის არ მიზიარებ გულისწადილს, ეს მე მორალურადაც მჭირდება და კარგიც იქნებოდა. ალბათ გგონია, ჭიუტი და თავნება ვარ, მე კი ვგრძნობ, უამრავი რამ, რაც კარგია,



ჩუმად გადმოდის ჩემს სულში და ამქვეყნად სიცოცხლეს მიაღვილებს.“

მინდა განსაკუთრებულად აღვნიშნო მამაჩემის ერთი თვისება: იგი არამცთუ სხვა ვინმეს ასწავლიდა ჭკუას, თავისი ოჯახის წევრებსაც კი არ არიგებდა და არასოდეს მიუცია რჩევა. იგი ძალზე იშვიათად გვესაუბრებოდა თავის რწმენაზე, მარტო იღვწოდა საკუთარი სულიერი სამყაროს გარდასაქმნელად. ჩვენ ვერ ვხედავდით, როგორ ვითარდებოდა ეს პროცესი. და ერთ მშვენიერ დღეს უკვე შედეგის მოწმენი შევიქენით. საამისოდ კი არ გახლდით მომზადებულნი.

იმ წლებში მისი არ გვესმოდა. მისი შეხედულებები გვაშინებდნენ მხოლოდ, კი არ გვარწმუნებდნენ.

ეგების რალაცნაირი ჩვეული სიმორცხვე უშლიდა ხელს გაეზიარებინა ჩვენთვის ჩუმად ნალოლიავეები ძვირფასი ფიქრები. ეგების ეშინოდა ვეიძულებინეთ, ძალა დაეტანებინა. და ჩვენ, მისმა შვილებმა, მხოლოდ მისი მოწაფეების წყალობით ვისწავლეთ, როგორ გაგვეგო უკეთ საკუთარი მამისათვის.

ქორწინებიდან ექვსიოდე კვირი თავზე დედა თავის დღიურში წერდა: „უცნურია, მე იგი საშინლად მიყვარს, ზეგავლენას კი ძალზე მცირედ ვგრძნობ.“

მამასა და ოჯახს შორის უთანხმოებამ მოსკოვში გადასვლის შემდეგ უფრო იჩინა თავი. მშობლების ინტერესები სულ უფრო შორდებოდა ერთმანეთს. სახლის მოწყობა, მასწავლებელთა შერჩევა, ბავშვების შეყვანა სკოლებში, ეტლისა და ცხენების ყიდვა, შინამოსამსახურეთა დაქირავება — ეს ყველაფერი დედას უნდა მოეგვარებინა. ჩვენს ტანსაცმელზედაც უნდა ეზრუნა. დედა კი უახლოეს ხანში ისევ ბავშვის გაჩენას ელოდა. მამას ებრალებოდა თავისი ცოლი და თუმცა ოჯახის შინაურ საქმეთა მოგვარება სულაც არ აინტერესებდა, მაინც ცდილობდა დახმარებოდა მეუღლეს. მამა სწერდა მოსკოვში დედაჩემს: „არც დაიჯერებ, როგორ მტანჯავს იმაზე ფიქრი, რომ შენ თავს ძალას ატან და ისე მუშაობ. ვნანობ, რომ ცოტას (თითქმის არც) გეხმარებოდი... ვფიქრობდი, ჩემსავით დაძაბულად რომ იმუშაო და რაიმე შექმნა, ამქვეყნად ყველაფერი უნდა დაივიწყო-მეთქი და მეც მეტიმეტად მავიწყდებოდი და ახლა ვნანობ. ღვთისა და ჩვენი სიყვარულის გულისთვის, თავს გაუფრთხილდი, უფრო მეტი მოსაგვარებელი საქმე ჩემი ჩამოსვლის დროისა-

თვის გადადე. მე ყველაფერს სიხარულით გავაკეთებ, თანაც არცთუ ურთოდ, რადგან მოვინდომებ.“

და მართლაც მამამ დააჩქარა მოსკოვს ჩამოსვლა, რათა დედას დახმარებოდა. მან ითავა ბიჭების განაწილება გიმნაზიებში, მე სამხატვრო სახელოსნოში მომაწყო და ჩვენი ცხოვრების სხვა უამრავ წვრილმანს მოჰკიდა ხელი. მაგრამ მამას ძალიან უმძიმდა მოსკოვში ცხოვრება. მისი სულიერი ტანჯვა ჩვენც გვტანჯავდა. „მაგრამ ყველანი, თუმცა სახლი კი შეაქეს, — წერდა დედა თავის დას, — მაშინვე სასოწარკვეთილებას მიეცნენ და ეს ჭმუნვა და სევდა სამ დღეს გრძელდებოდა, თანაც სულ უფრო ძლიერდებოდა. ბანქოს სათამაშო სახლი გეგონება, ისეთი ხმაურია და ამიტომაც არც ლევის კაბინეტში და არც ჩვენს საძინებელში სიმშვიდეს ვერ პოვებ. ხშირად თავზარდაცემული ვარ და მთელი დღის განმავლობაში ერთიანად დაძაბული, მეტისმეტად რომ არ იხმაურონ. ბოლოს მე და ლევმა ვისაუბრეთ. მითხრა, შენ რომ გიყვარდე და ჩემს სულიერ სიმშვიდეზე ფიქრობდე, ამ უზარმაზარ ოთახში არ მამყოფებდიო, აქ ხომ ადამიანი წუთითაც ვერ მოისვენებს. თვითეული სავარძელი, რომელიც ამ ოთახში დგას, გლეხკაცისათვის მთელი ბედნიერება იქნებოდა, ანუ ამ ოცდაორ მანეთად ცხენს ან ძროხას იყიდდაო, აქ რომ ვარ, ტირილი მინდაო და ა. შ. შეგიძლია წარმოიდგინო, რა ლალად ვცხოვრობ, თანაც ორიოდ კვირაში უნდა ვიმშობიარო; ხოლო სადავიდარაბო საქმეები და სამუშაო უამრავია“.

მოსკოვში ყოფნის დროს უკლებლივ ყველანი წარჩინებულთა საზოგადოების მოვალეობებს ვერ ავუდიოდით; ეს საღამოებიო, ეს ცხოვრებისეული წვრილმანებიო, ბავშვთა აღზრდაზე ზრუნვაო. მამა სულ სხვაგვარ ურთიერთობას ამყარებდა იმ ადამიანებთან, ვისაც ჩუმად „უბირ ხალხს“ ვეძახდით. მხერხავებთან ერთად დაიარებოდა მოსკოვის გარეუბანში ვორობიოვის მთაზე, საიდანაც ოდესღაც ნაპოლეონი ქალაქს გადაჰყურებდა. თავის ახალ ნაცნობებს რომ შეხვედროდა, მამა ყოველდღე გადიოდა მდინარის გაღმა ნაპირზე და მათთან ერთად მუშაობდა. „იგი დადიოდა ციხეებსა და საპყრობილეებში, ესწრებოდა სათემო და სამოქალაქო სასამართლოებს, რეკრუტთა გაწვევას და თითქოს განზრახ ეძიებდა ყველგან ადამიანთა ტანჯვას, ძალმომრეობას და მგზნებარედ უარყოფდა კაცობრიობის ცხოვრების მთელ არსებულ წყობას,



ყველაფერს გამოხატავდა, ყველაფრის გამოიტანჯებოდა და სიმპათიას მხოლოდ ხალხის მიმართ გრძნობდა, ყველა ჩაგრულს თანაუგრძნობდა“.

მართლაც ასე იყო ყოველივე და მამასაც არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. იგი უკვე იზიარებდა ქრისტიანულ მოძღვრებას მოყვასისადმი სიყვარულზე: მას უნდა მოეძებნა ისინი, ვისი ტანჯვის შემსუბუქებაც შეეძლო. გარდა ამისა, უფრო და უფრო მეტად აწამებდა ის ამბავი, რომ ქონების პატრონი იყო, და იმ აზრს ელოლიაფებოდა, როდის დააღწევდა თავს სიმდიდრეს.

„უნდა გავცე ყოველივე, რაც გამაჩნია, — წერს იგი, — არა იმიტომ, რომ სიკეთე ჩავიდინო, არამედ იმად, რომ ნაკლებ დამნაშავე ვიყო“.

და მამამ დაიწყო ხელაღებით ფულის გაცემა. ეს აშინებდა დედაჩემს.

„ლევ ნიკოლაევიჩის გუნება-განწყობის ცვლილება კიდევ იმაში გამოიხატა, რომ ფულს უხვად გასცემდა, განუკითხავად ყველას აძლევდა, ვინც კი სთხოვდა. შევეცადე დამერწმუნებინა, რომ საჭიროა რაღაცნაირად მოგვარება ამ საკითხისა, უნდა იცოდე, ვის ან რად აძლევ, იგი კი ჭიუტად იმტარებდა სახარების სიტყვებს: მიეც მთხოვარს...“

დედას არ ესმოდა, რომ მისი ქმრისათვის ქონებისა და ფულის გაცემა ნიშნავდა ცოდვის მოცილებას, მესაკუთრის ცოდვისა, რომელიც აუტანელი შეიქნა მისთვის იმ დღიდან, როცა აღიარა გარკვეული თვალსაზრისი.

ჩვენი მოსკოვში ცხოვრების პირველ ზამთარს ერთმა გარემოებამ მამაჩემი ფრიად ააღელვა. მინდა მოგიხსნათ 1882 წლის საქალაქო აღწერაზე. მამა მოხალისედ ჩაეწერა დამთვლელად. თანაც ითხოვა მისთვის ის უბანი მიეცათ, სადაც მოსკოვის მოსახლეობის დაბალი ფენა ბინადრობდა, სადაც იყო ღამის სათევი სახლები და ბუნავები თავაწყვეტილი გარყვნილებისა. შეიცნო რა ადამიანების, ცხოვრების ფსკერზე მყოფი ადამიანების მორალური ზნედაცემულობის მთელი სიღრმე, მას თავზარი დაეცა და ჩვეულებისამებრ შთაბეჭდილებანი შეუწყალებლად გააანალიზა. რა არის ამ შემზარავი სიღუბჭირის მიზეზი? საიდან მომდინარეობს ეს მანკიერება? პასუხმაც არ დააყოვნა. თუკი არიან ადამიანები, რომლებსაც უჭირთ — ეს იმის ბრალია, რომ სხვებს ზედმეტი ქონება აქვთ.

თუკი არსებობენ უმეცარნი — ეს იმის გა-

მო ხდება, რომ სხვებს ზომაზე მეტი აქვთ უსარგებლო ცოდნა.

თუკი ზოგიერთებს ქანტი უწყდებოდათ მძიმე შრომისაგან, მაშასადამე, სხვები ფუფუნებაში ცხოვრობენ.

და როცა იგი თავის თავს კითხვას უსვამდა: ვინ არიან ეს სხვები? — პასუხი ცხადი იყო: ეს მე ვარ, მე და ჩემი ოჯახი. დიდი ხანია ამას უთქვამდა გული, მაგრამ რაც ახლა დაინახა, აიძულა მამა. ელიარებინა ყოველივე მთელი თავისი არსებობით.

მამაჩემის მსგავსი ადამიანები შთაბეჭდილებებს ჩვეულებრივ უფრო მწვავედ განიცდიან. ეს უნარი მამას მოჭარბებული ჰქონდა, ვიდრე მის ახლობელ ადამიანებს. და აღმოაჩინა რა ცოდვა, რაშიაც მასაც ედო წილი, მან მოვალედ ჩათვალა თავი, მომავალში აღეკვეთა ეს ცოდვა და ამით გამოესყიდა დანაშაული.

მაგრამ მამა მალე დარწმუნდა, ეს საქმე არც იმდენად იოლი მოსაგვარებელი იყო. ჩვენ მაშინ იმ სახლში ვცხოვრობდით, თვითონ რომ გვიყიდა. ჩვენ არც კი დავფიქრებულვართ რა დიდი მსხვერპლი გაიღო მამამ ოჯახის გულისთვის. დედაჩემი ცოტა მიამიტურად სწერდა თავის დას: „ლევმა ამ რამდენიმე დღის წინათ განგვიცხადა, მოსკოვი უზარმაზარი ჩემი და დასნებოვნებული წუმბე არისო, მაიძულა გამეზიარებინა ეს აზრი. და უფრო მეტიც, გადავწყვიტეთ საცხოვრებლად აქ აღარასოდეს აღარ ჩამოვსულიყავით, მაგრამ ცოტა ხნის მერე ისე მოწადინებული ეძებდა ყველა ქუჩასა თუ მოსახვევში ჩვენთვის საცხოვრებელ სახლს... აქ უკვე ბრძენთა ბრძენიც ვერას გაიგებს.“

ჩემი ძმა სერგეი უნივერსიტეტში სწავლობდა. მე ის-ის იყო მაღალი წრის საზოგადოებაში წარმადგინეს. მამამ თვითონ წამიყვანა ჩემს პირველ მეჯლისზე.

აი, როგორ მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება: მე და დედა გვიან ვდგებოდით, მერე მთელი დღე სტუმრებს ვღებულობდით ან თვითონ მივივლიოდით სტუმრად. საღამო ხანს ეტლით ან მარხილით მივემგზავრებოდით ან მეჯლისზე ან წვეულებაზე. ასეთნაირი ცხოვრება დედას ხან სიამოვნებას ანიჭებდა, ხან კი გრძნობდა, რომ ფუჭი იყო ასეთი დროსტარება. იგი სწერს თავის დას: „ახლა ჩვენ მთლიანად მაღალი წრის საზოგადოებას მივეცი თავი... სიმართლე გითხრა, სამხიარულოს ძალზე ცოტას ვხედავ... ხუთშაბათი მიღების დღედ დავაწესეთ. და აი, ჩვენც დავსხდებით ხოლმე ბაიყუშებივით სასტუმ-





როში, ლელკა ფანჯარასთან ცმუკავს, უყურებს, ვინ მოვიდა. შემდეგ გამოაქვთ ჩაი, რომი, ორცხობილა, ტარტინები, ყოველივეს მაღიანად შეექცევიან. ჩვენც ასევე მივდივართ ხოლმე მიღების დღეებში და ასევე გვიმასპინძლებიან“. დისადმი გაგზავნილი სხვა წერილი: „ლევია ძალზე მშვიდად არის, მუშაობს, რაღაც სტატიებს წერს; ზოგჯერ იფცთქებს და ამხედრდება ქალაქური და, საერთოდ, თავადური ყოფის წინააღმდეგული მტკივა, მაგრამ ვიცი, რომ სხვაგვარად არ შეუძლია. იგი მოწინავე ადამიანია, წინ მიუძღვის ბრბოს და უჩვენებს გზას, რომელსაც უნდა დაადგინენ ადამიანები. მე კი ბრბო ვარ, ბრბოს მდინარებას მივყვები, ბრბოსთან ერთად ვხედავ ფარნის შუქს, რომელიც მოაქვს ყოველ მოწინავე ადამიანს, და, რასაკვირველია, ლევსაც. და ვაღიარებ, რომ ეს არის სინათლე, მაგრამ უფრო სწრაფად სვლა არ შემიძლია, რადგანაც სულს მიხუთავს ეს ბრბოც, გარემოც და საკუთარი ზნე-ჩვეულებანიც.“

„ლევია ძალიან მშვიდად არის, რაღაც სტატიებს წერს“: აი რას ფიქრობდა თურმე დედა, ეგონა, მისი მეუღლე სტატიებს წერდა, ვერც ხვდებოდა, სულიერად როგორ იტანჯებოდა, როცა თავის მდგომარეობაზე ფიქრობდა და გამოსავალ გზას ეძიებდა. ძნელი გასაგები არ არის, რის გამო იტანჯებოდა მამა. ღამის სათევი სახლებიდან შინ მიბრუნებული ხედავდა თეთრსუფრაგადაფარებულ მაგიდას, სადაც ფორთოხლები და ნამცხვარი აწყვია, ორი ლაქია გულმოდგინედ ემსახურება ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე უქნარებს. კედლებზე ქსოვილია გაკრული, ყველგან ხალიჩებია. ამ ფულით ათ ადამიანს ჩააცმევდა. ტკივილი და უკმაყოფილება გულს უწურავს.

გავიხსენოთ რას წერს იგი სტატიაში: „მამა რა უნდა გავაკეთოთ“. „როგორ შეუძლია ადამიანს, თუკი გონი და სინდისი მთლიანად არ დაუკარგავს, იცხოვროს ისე, რომ თვითონ არ იბრძოლოს მთელი კაცობრიობის სიცოცხლისათვის და მხოლოდ შთანთქმას ამ ადამიანების სიცოცხლისათვის მებრძოლთა მონაპოვარი, თავისი მოთხოვნილებებით უფრო მძიმე ჭაპანი არგუნოს და გაზარდოს ამ ბრძოლაში დაღუპულთა რიცხვი“.

მამას ესმოდა, რომ ადამიანმა მარტო პირადი კეთილდღეობისათვის არ უნდა იცხოვროს, არამედ უნდა მონაწილეობდეს სხვათა კეთილდღეობის მოპოვების საქმეში. ეს იყო მისთვის ბუნებრივი კანონი, რომლის

აღსრულებაც მიაგებდა ადამიანს ბედნიერებას. მაგრამ იგი ხედავს, რომ ეს კანონი დარღვეულია, მურა-ფუტკრეებით ადამიანები უარს ამბობენ შრომაზე და სხვათა შრომის ხარჯზე ცხოვრობენ. და სწორედ იმ ფუტკართა მსგავსად იღუპებიან, რადგანაც ხელყვეს ბუნების კანონი. განწირული ფუტკრები კი ჩვენა ვართ — მე და ჩემი ოჯახი, ფიქრობდა იგი. ეს არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო.

მამას შეგნებული ჰქონდა, რომ ცოლს არ შეეძლო მისი გაგება. მამაჩემის ტანჯვას ქალი უყურებდა, როგორც ავადმყოფობის გამოვლინებას და ეშინოდა გონება არ დაჰკარგოსო. დედაჩემის აზრით, ეს იყო კრიზისი და იმედოვნებდა, ჩქარა გაუვლისო. ქალი ოდნავადაც ვერ გრძნობდა, რაოდენ დიადი იყო ის, რაც მისი ქმრის სულში ტრიალებდა. აი რას სწერს დედაჩემი თავის დას: „ლევს კაბინეტში სძინავს. უძილობა აწუხებს და ზოგჯერ ნაშუალამევის სამ საათამდე ბოლთას სცემს ოთახში“. „სულიერად მოსვენებულია და ჩვენც მეგობრულად ვართ, საკმაოდ მზიარულადაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ წავიკინკლავეთ, ისიც ცოტათი.“

ისინი გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ კეთილი მეგობრებით, მაგრამ ერთმანეთისათვის უცხონი იყვნენ, პირთამდე ავსებდათ დიდი და გულწრფელი სიყვარული, მაგრამ უფრო და უფრო გრძნობდნენ, რა ბევრი რამ აშორებდათ ერთმანეთს. და მამასაც სწორედ მაშინ დაებადა და აეკვიატა აზრი, სამუდამოდ დაეგმო ძველი ცხოვრება და დაეწყო ახალი, უფრო მეტად რომ ესადაგებოდა მის რწმენას.

1879 წელს დედა სწერს თავის დას: „ლევია სულ მუშაობს, როგორც თვითონ ამბობს, მაგრამ ვაი რომ... წერს რაღაც რელიგიურ შეგონებებს, კითხულობს და ფიქრობს თავის ტკივილამდე და ყველაფერი იმისათვის ხდება, რომ აჩვენოს, ეკლესია რამდენად არ შეესაბამება სახარების მოძღვრებას... ერთი რამ მწადია მხოლოდ: რაც შეიძლება მალე დაამთავროს და მოიშოროს სახადივით...“

ვიდრე მამაჩემი ლიტერატურულ შრომას ეწეოდა, მისი ცოლი ცხოველ ინტერესს იჩენდა. მაგრამ ახლა, როცა განყენებულმა საკითხებმა იჩინა თავი, ქალი არათუ გულგრილი დარჩა, არამედ სამტროდაც განეწყო. თვითონ დედა ერთ-ერთ ჩანაწერში ასე ხსნის ამ საკითხს: „ღვარძლიანი უარყოფა მართლმადიდებლობისა და ეკლესიისა,



ამ ეკლესიისა და მისთა მსახურთა ლანძღვა, ჩვენი ცხოვრების გაკიცხვა, დაგმობა ყველაფრისა, რასაც მე და ჩემი ახლობლები ჩავდივართ, — ყოველივე ეს აუტანელი იყო. მაშინ ჯერ ისევ ვათეთრებდი ხოლმე, რასაც წერდა და ასწორებდა ლევ ნიკოლაევიჩი. მაგრამ მახსოვს, ერთხელ, ეს იყო 1880 წელს, ვწერდი, ვწერდი და ვგრძნობდი, სისხლი როგორ მაწვებოდა პირისახეზე და ბოლოს თავში ამივარდა. ჩემს სულში აღშფოთებამ გაიღვიძა, სასწრაფოდ ავკრიფე ყველა ფურცელი, მივუტანე ლევ ნიკოლაევიჩს და განვუცხადე, რომ ამიერიდან აღარ გადავწერდი“.

თვითონაც რომ არ გაღიზიანებულიყო, მამა ხშირად ტოვებდა მოსკოვს. ყველაზე ხშირად იგი იასნაია პოლიანაში მიემგზავრებოდა. ზოგჯერ ოლსუფიევებთან ჩავიდოდა მოსკოვთან ახლოს მდებარე სოფელში, ანდა თავის ძველ სევასტოპოლელ მეგობარს ესტუმრებოდა, ზოგჯერ კი უფრო შორსაც — სამარის გუბერნიაში ბაშკირებს მიაშურებდა. მაგრამ სიმშვიდეს ვერც იქ პოულობდა. 1885 წლის 22 მაისს იგი სწერს თავის მეგობარს ლ. დ. ურუსოვს: „სოფელში ყოფნა რატომღაც მიმძიმს. ჩვენი უმართებულო ცხოვრება, უპოვართა მონობა, ასე ცხადი რომ არის ჩემთვის და ჩვენ კი ასე მიამიტურად ვხუჭავთ თვალს, განსაკუთრებით მიმძიმს. არ ვიცი რად, მაგრამ ხშირად ვიხსენებ: ვინც ბოლომდე აიტანს, გადარჩება და თუმც არ ეგების, მაინც ველი რაღაცას, რაიც გადამარჩინს ცხოვრებასა და აზროვნებას შორის არსებულ მწვავე უთანხმოებისაგან“.

მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა და ისიც განაგრძობდა ცხოვრებას საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ, რაც მას აწამებდა. ამ დროს იგი განსაკუთრებით მარტოსულად გრძნობს თავს. იგი სწერს მ. ა. ენგელჰარდტს: „თქვენ, ალბათ, არ ფიქრობთ ამას, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ რაოდენ მარტო ვარ, რაოდენ საძულველია ჩემს ირგვლივ მყოფთათვის ის, რაც ჭეშმარიტ „მეს“ წარმოადგენს“.

და თითქმის იმავე ხანებში მისი ცოლი ატყობინებს თავის დას: „მარტოსული აღრეც ვყოფილვარ, მაგრამ როგორც ახლა ვარ, ასე მარტო — არასდროს. და ეს ისე ცხადია, ისე კარგად ვგრძნობ, რომ არავის არ უნდა ჩემი ცნობა, არავის არ ვაინტერესებ“.

1883 წლის 23 ოქტომბერს მამა სწერს დედაჩემს: „ვიდრე ცოცხლები ვართ, გა-

მუდმებით ვიცვლებით და, მადლობა ღმერთს, შეგვიძლია შევიცვალოთ, და შეტად და მეტად მივეახლოთ ჭეშმარიტებას. მე მხოლოდ ამას ვეძებ და ვისურვებ ჩემთვისაც და ახლობელთათვისაც: შენთვის და ბავშვებისათვის. უიმედობა რა სათქმელია, როცა მწამს, რომ ჩვენ სულიერად მივეახლებით ერთმანეთს თუ ჩემს სიცოცხლეში ვერა, შემდეგ მაინც“.

ან სხვა წერილები ავიღოთ: „შენ ასე ძლიერი, გარეგნულად ჩინებული (მორალურადაც მშვენიერი) არსება ღუპავ საკუთარ ძალებს“. „შენ საოცარი ძალის პატრონი ხარ არა მარტო ფიზიკურად, არამედ მორალურადაც, მხოლოდ სულ მცირედი რაღაც გაკლია, მცირედი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მალე მოიპოვებ, მე ამაში დარწმუნებული ვარ. ოღონდ გულდაწყვეტილი ვიქნები იმიერ ჭეყანას, თუკი ამას აღსრულება ჩემი სიკვდილის შემდგომ უწერია. მაგანთ და მაგანთ გული წყდებათ, რომ დიდება სიკვდილის შემდეგ მოდის. ამ მხრივ მე სანატრელი არა მაქვს რა. მე არამცთუ მრავალ რასმე შეგველოდი, არამედ დიდებასაც მთლიანად დავთმობდი, რომ შენ ჩემს სიცოცხლეშივე დამნათესავებოდი სულიერად, ისე როგორც ეს ჩემი სიკვდილის შემდეგ მოხდება.“

სხვა ადგილას კი ასეთ აზრს გამოთქვამს: თუკი ჩემი რწმენა ჭეშმარიტია, მაშინ მას სხვა ადამიანებივით ჩემი მეუღლეც აღიარებსო.

მაგრამ იმ დღეებში სიახლოვეზე ფიქრი ნაადრევი იყო. ქმრის ცხოვრების ყაიდა დედას არანაკლებ აშინებდა, ვიდრე მისი იდეები. „... ზნე-ჩვეულებაც შეიცვალა, — სწერს იგი თავის დას, — დღე არ გავა, რაღაც ახალი არ გაუჩნდეს. დგება 7 საათზე — ბნელა. ქაჩავს წყალს მთელი სახლისათვის. ციგით მოათრევს უზარმაზარ გეჯას. ხერხავს დიდრონ ხეებს, აპობს და აწყობს საყენებად. თეთრ პურს არ ჭამს, არც არსად დაიარება.“

ცხოვრობდნენ ასე აუტანელ დაძაბულ გარემოში, თვითთელი თავისთვის, არ ერეოდნენ ერთმანეთის ცხოვრებაში, მაგრამ ერთს კი გრძნობდნენ, რომ ოცწლიანი სიყვარულით განმტკიცებული კავშირი მაინც არსებობდა. ერთმანეთში დაუსრულებელ კამათსა და ხანგრძლივ დავას არავითარი შედეგი არ მოჰქონდა, მხოლოდ იარას უღრმავებდა ორთავეს. 1884 წლის ზაფხულში მშობლებს შორის რამდენადმე უფრო მძიმე სცენა გაიმართა. 18 ივნისს შუალამისას



მამამ მხრებზე მოივლო ჩანთა და დატოვა სახლი.

დღემდე თვალნათლივ ვხედავ როგორ ეფარება თვალს მამაჩემი არყის ხეების ხეივანში. ვხედავ დედასაც — სახლთან ხის ძირას ზის, პირისახეზე ტანჯვა აღბეჭდვია. ფართოდ გახელილი თვალები, მწუხარე, უსიცოცხლო მზერა სივრცისათვის მიუპყრია. დედას იმ დღეს უნდა ემშობიარა და უკვე გრძნობდა პირველ მტეხიარობას. შუაღამე გადასული იყო. ჩემი ძმა ილია დედასთან მივიდა და სათუთად მიიყვანა საწოლამდე მის საძინებელ ოთახში. გარიჟრაჟზე ჩემი და ალექსანდრა დაიბადა.

იმ ღამეს მამა შორს არ წასულა. მან იცოდა, დედას რომ უნდა ემშობიარა — ამქვეყნად მისი შვილი უნდა გაეჩინა. უკან დააბრუნა ცოლისადმი სიბრალულმა. მაგრამ მდგომარეობა მაინც იმდენად დაძაბული რჩებოდა, რომ აღარ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო. განხეთქილება მოხდა გადამწყვეტი ახსნა-განმარტების შემდეგ, როცა მეუღლეებმა ერთმანეთს გაუმხილეს თავიანთი წყენა, ფარდა ახადეს ყოველივეს, რამაც წამებად აქცია მათი ყოველდღიური ცხოვრება. ეს მოხდა იმავე წლის დეკემბერში. მამაჩემს, როგორც ჩანს, გაუწყდა მოთმინების ძაფი. მან ვეღარ შეიკავა თავი. მთელი მისი თავშეკავების უნარი და სიღბო უკვალოდ წაშალა გულისწყრომის დაუოკებელმა ტალღამ.

ტკივილისაგან სახედარევილი მივიდა იგი ცოლთან და პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად განუცხადა — სახლიდან „მივდივარო. აი ნაწყვეტი დედაჩემის წერილიდან, რომელიც თავის დას გაუგზავნა ჯა სადაც აღწერილი აქვს, რაც მოხდა: „მოვიდა ლევი უკიდურესად აღელვებული. პირგამეხებული. ვზივარ და ვწერ. შემოვიდა, შევხედე — საშინელი სახე აქვს. მანამდე მშვენივრად ვცხოვრობდით, ერთი უსიამო სიტყვა არ თქმულა, არაფერი, სულმთლად არაფერი.

— მოვედი გითხრა, რომ განქორწინება მწადია შენთან. ასე ცხოვრება არ შემიძლია. გავემგზავრები პარიზში ან ამერიკაში.

გესმის, ტანია, მთელი სახლი რომ ჩამომქცეოდა თავზე, ასე არ გამიკვირდებოდა.

— რა მოხდა?

— არაფერი. მაგრამ საზიდარს თუ უფრო და უფრო მეტ ტვირთს დავუდებთ, ცხენი დადგება და აღარ წაიღებს.

რა ტვირთს ვუდებდით — ვერ გავიგე. მაგრამ დაიწყო ყვირილი, საყვედურები,

უხეში სიტყვები, უფრო და უფრო გაგიჟდა. მე ვითმენდი, ვითმენდი, არაფერს ვეუბნებოდი პასუხად — ვხედავ, კაცო ქკუიდან შეიშალა. ბოლოს, როცა მითხრა — სადაც შენა ხარ, იქ სუნთქვა ძნელდებაო, — ვუბრძანე მოეტანათ სკივრი და დავიწყე ჩემი ნივთების ჩალაგება, მინდოდა თქვენთან ჩამოვსულიყავ, თუნდაც რამდენიმე დღით. მოირბინეს ბავშვებმა, მორთეს ღრიალი. მე რე მუდარა დამიწყო „დარჩიო“. დავრჩი, მაგრამ უცებ ისეთი ქვითინი აუვარდა, რომ სათქმელადაც ძნელია.

აბა ერთი წარმოიდგინე: ლევი ერთიანად ცახცახებს და თრთის, შემეცოდა. ოთხივე ბავშვი: ტანია, ილია, ლელია, მამა — ერთად ღრიალებენ. მე წელი გამიშეშდა, არც სიტყვა, არც ცრემლი. მინდა რაღაც წამოვროშო, მაგრამ თავს ვიკავებ, მეშინია და ამიტომ ხმას არ ვიღებ. მთელი სამი საათი კრინტი არ დამიძრავს. რომც მოვეკალ ვინმეს — სიტყვას ვერ დამაცდენინებდა.

ასე დასრულდა ყოველივე. მაგრამ დარდი, მწუხარება, განხეთქილება, გაუცხოების ავადმყოფური განცდა — ყოველივე ეს სულში ჩამრჩა. ხშირად უგუნურივით ვეკითხები საკუთარ თავს: რად? რისთვის? სახლიდან ნაბიჯს არა ვდგამ, ხელნაწერზე შუაღამის სამ საათამდე ვმუშაობ, ჩუმად ვარ. როგორ მიყვარდა ყველანი და მახსოვდა მუდამ, და რისთვის?“

მე მახსოვს ის საშინელი ზამთრის ღამე. ჩვენ მაშინ ცხრანი ვიყავით. თვითუღს ცხადად ვხედავ: ჩვენ, უფროსები, წინა ოთახში კიბეზე ვსხედვართ პირველ საფეხურზე. დროდადრო ავირბენთ მეორე სართულზე, იმ ოთახის კართან, სადაც ჩვენი მშობლები საუბრობენ. ყურს ვუგდებთ. ისინი საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და საშინელ მღელვარებას ამჟღავნებდნენ. ვგრძნობდით, რომ ჩვენი მშობლები უკიდურესად მნიშვნელოვან და გადამწყვეტ საკითხზე საუბრობდნენ. არც ერთი თმობდა, არც — მეორე. ორივენი იცავდნენ რაღაცას, ისეთს, თვითუღს სიცოცხლეზე მეტად რომ უღირდა: დედა — თავისი შვილების კეთილდღეობას, მათ ბედნიერებას — როგორც მას ესმოდა ეს ბედნიერება, — მამაჩემი კი საკუთარ სულს იცავდა.

დედას „სიგიჟემდე, ტკივილამდე“ უყვარდა თავისი შვილები. მამაჩემს კი ყველაფერზე მეტად ჭეშმარიტება უყვარდა. სიტყვები სრულად ვერ აღწევდა ჩვენს ყურთასმენამდე, მაგრამ ის, რაც გვესმოდა, საკმარისი იყო გაგვეგო, რა ტრიალებდა ჩვენს



ოჯახში. „მე არ შემძლია, — ეუბნებოდა მამა, — ჭავჭავიძე ცხოვრება ფუფუნებასა და უსაქმურობაში. მე ველარ მივიღებ მონაწილეობას ბავშვების აღზრდაში, რადგან ასეთი აღზრდა დამღუპველია მათთვის. აღარ შემძლია ამიერიდან სახლისა და მამულების მფლობელი ვიყო. თვითეული ცხოვრებისეული ნაბიჯი აუტანელი წამებაა ჩემთვის“. ბოლოს ასე განაცხადა: „ან მე წავალ ან სხვაგვარად უნდა ვიცხოვროთ: გავცეთ მთელი ჩვენი ქონება და ვიცხოვროთ გლეხებივით საკუთარი შრომით!“

დედამ უპასუხა: „თუ შენ წახვალ, თავს მოვიკლავ, რადგან არ შემძლია უშენოდ სიცოცხლე. რაც შეეხება ცხოვრების წესის შეცვლას, ეს მე არ შემძლია და არ დაგეთანხმები, და საერთოდ არ მესმის, რად უნდა დავანგრიოთ რაღაც ქიმერის გამო ყოველმხრივ ბედნიერი ცხოვრება“. და იწყებოდა ისევ თავიდან დავა, ჯადოსნური წრე შეკრულიყო.

გვესმოდა თუ არა აზრი იმისა, რასაც მამა ამბობდა? მე, მაგალითად, არ მესმოდა. მტკიცედ მწამდა, რომ მამა არ შეიძლებოდა შემცდარიყო. მაგრამ რაში მდგომარეობდა ეს ჭეშმარიტება, მან რომ იპოვა, კარგად არ ვიცოდი. მე, ოცი წლის ქალიშვილს, მამის ჭეშმარიტება იმდენად მიუწვდომელი მეჩვენებოდა, იმდენად აღმატებული ჩემი გაგების უნარზე, რომ საერთოდ აღარ მქონდა იმედი, თუ ოდესმე მაინც მივხვდებოდი. არც დედაჩემის პოზიცია მესმოდა. ვფიქრობდი, რომ იგი უნდა დამორჩილებოდა მამაჩემის ნება-სურვილს, როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს სურვილი. განა უფრო ადვილი არ არის დაჰყვე ნებას ქმრისა, რომელიც გიყვარს და რომელსაც უყვარხარ, ვიდრე აიტანო ეს მორალური წამება? მე ასე ვფიქრობდი და არ მესმოდა, სხვაგვარად რად გადაეწყვიტა.

ჩვენ, ბავშვებს, ვინ რას გვკითხავდა?! ვისხედით წინა ოთახში კიბეზე და ველოდით, როდის შეთანხმდებოდნენ. უცებ ჩაიარა მსახურმა და ჩემოდანი დედაჩემის საძინებელ ოთახში შეიტანა — ჩვენთვის ნათელი გახდა ყოველივე. საბედნიეროდ ჩვენთან ერთად იყო ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი — მიხეილ ალექსანდრეს ძე სტახოვიჩი. იმ დღეს უნდა გამგზავრებულიყო პეტერბურგში, მაგრამ ვთხოვეთ გადაედო გამგზავრება, რადგან მარტო დარჩენის გვეშინოდა. თუ დედა გამგზავრებას გადაწყვეტდა, იგი მას გაჰყვებოდა. სტახოვიჩიც ჩვენთან იჯდა წინკარში. ახლაც თვალწინ

მიდგას, როგორ ზის თავის ჩემოდანზე და ყოველნაირად ცდილობს შეამოკლოს ეს უთავებელი ზამთრის ღამე.

და აი დასრულდა ეს ღამეც, ეს თავზარდამცემი ღამე. დასრულდა ისე, რომ რაიმე გარკვეული გადაწყვეტილება არ მიუღიათ, კვანძი არ გახსნილა. მას აქეთ მძიმე საკითხებს მეტად აღარ შეხებია. დედა მხოლოდ მამის ცხოვრების კეთილმოწყობაზე ზრუნავდა.

მამა კი ისევ დარდიანი იყო, ჩუმი, თავის ფიქრებში ერთიანად ჩაძირული, მან ხომ მოულოდნელად გული ატკინა ცოლ-შვილს და ეს სტანჯავდა, თუმცა არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. მამა უნდა დამშვიდებულიყო, ყველაფერი კარგად აეწონდაეწონა და ამიტომ გადაწყვიტა სოფელში წასულიყო ოლსუფიევებთან, მოსკოვიდან თხუთმეტი ოდრე კილომეტრის დაშორებით.


აი პარმალის წინ ორადგილიანი ციგა დგას. სულთანი, ჩვენი კეთილი ცხენი, ჭკვიანი თვალებით მომჩერებია. დედამ საგზაოდ სანოვაგე გაგვიმზადა, ქურჭებითა და საბნებით მოგვამარაგა. იგი ჭკუას გვარიგებს, გვაფრთხილებს, როგორ უნდა მოვიქცეთ, ქარბუქში გზა რომ არ აგვებნეს და არ გავიყინოთ. დედა ღელავს; ყინვისაგან ლოყები დასწითლებია, ხოლო დიდრონი შავი თვალები შეკავებული მღელვარებისაგან უბრწყინავს.

ავიღე ხელში ალვირი, გაიღო ჭიშკარი და მე და მამა მარტო დავრჩით გზაზე ამ მშვენიერი ზამთრის დილასისხამზე. დღემდე მახსოვს ეს მგზავრობა, თვითეული წვრილმანი. რიგრიგობით მივერეკებოდით ცხენს. რამდენჯერმე გადავყირავდით. უკვე შუალამე იყო და ძლიერი ქარბუქი მძვინვარებდა, როცა მივადექით ჩვენი მეგობრების სახლს. ჩვენს გონიერ სულთანს ერთი წლის წინ ჰქონდა ეს გზა გავლილი, ახსოვდა თვითეული შესახვევი და პირდაპირ მიგვიყვანა მიზანთან. თუმცა არცთუ მთლად მიზანთან — ჯიქურ გაემართა საჯინიბოსაკენ, სადაც ერთხელ უკვე იყო ნამყოფი.

გზაში მამა გულახდილად მესაუბრა და პირველად მაშინ გახდა ჩემთვის ცოტად თუ ბევრად გასაგები მისი მსოფლმხედველობა.

მაგრამ მოსკოვში ხომ უნდა დავბრუნებულიყავით? ჩვენს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. იგი ადრინდელი განრიგით მიედინებოდა. მე თამამად შემძლია განვაცხადო და ვამტკიცო, რომ ჩემი მშობლების ურთიერთსიყვარული არათუ არ შენელებულა, არამედ პირიქით, გადატანილმა ტანჯ-





ვამ კიდევ უფრო გააძლიერა ეს სიყვარული. თითქოს დეზდემონა და ოტელო იყვნენ. დედას უყვარდა მისი ტანჯვის გამო, ხოლო მამას თანაგრძნობისათვის, რაც დედამ გამოიჩინა მისი ტანჯვისადმი. ვფიქრობ, არ შეეცდები, თუ დავსძენ, რომ მამისადმი სიბრაღის გრძნობამ დედას ყველაფერი გააკეთებინა, რის გაკეთებაც შეეძლო, რათა მიახლოებოდა მას გულითა და გონებით, რათა დაინტერესებულყო მისი შრომებით; მერე რარიგ ცდილობდა გაეგო ისინი.

ამ ხანებში მამა წერდა თხზულებას „სიცოცხლის გამო“. თავისი უბრალოებით დიდმა ამ ნაწარმოებმა დედის გულში რაღაცნაირი გამოძახილი ჰპოვა. ამის დასტურია თავისი დისადმი გაგზავნილი წერილი: „... ვზივარ სრულიად მარტო... მთელი დღე ვწერდი. ლევის სტატია გადავწერე „სიცოცხლისა და სიკვდილის გამო“, (ფილოსოფია), რომელსაც იგი ამჟამად კითხულობს უნივერსიტეტის ფსიქოლოგიურ საზოგადოებაში. კარგი სტატიაა, ყოყლოჩინობისა და ტენდენციის გარეშე, წმინდა ფილოსოფიური“. შემდეგ მომდევნო წერილში წერს: „ჩემის აზრით ძალიან კარგია და ღრმა ჩანაფიქრი აქვს. მეც მომწონს, რადგან იდეალისტურია“.

სტატია იმდენად კარგად ეპასუხებოდა დედაჩემის გრძნობებს, რომ მან არათუ გადაწერა, არამედ ფრანგულ ენაზედაც თარგმნა.

მერე რაოდენი სიხარული მოჰგვარა თავის მხრივ მამას მათი სულების დაახლოებამ! და თუმცა ეს სიახლოვე დროებითი იყო, არასრული და არ ნიშნავდა აზრებისა და ქცევის შეცვლას, მაგრამ დედა აღარ უარყოფდა მამაჩემის რწმენას, არ კიცხავდა მის იდეებს, არ სძულდა, როგორც ადამიანი. რა გულით ეწადა მამას სრული თანხმობა. უნდოდა ხელი გაეწვდინა ამ ქალისათვის და დახმარებოდა, რათა სულიერად ამაღლებულიყო იგი, რაც საშუალებას მისცემდა დედას უკეთ გაეგო მამაჩემის აზრები. მამა მზად იყო თავისი ცოლისათვის მიეძღვნა სიყვარულით სავსე გული. 1891 წლის 23 ოქტომბერს მამა იასნაიდან სწერს დედას: „ისეთი კარგი, ბედნიერების მომნიჭებელი შთაბეჭდილება დამრჩა ჩვენი ბოლო საუბრიდან, რომ როგორც კი გამახსენდება, მაშინვე სიხარულით ვივსები“.

ან კიდევ სხვა წერილში: „რადგანაც სიმხნევისათვის ჩემი სიყვარული გჭირდება, ეს სიყვარული იმდენია, რომ მეტი აღარც

შეიძლება. გამუდმებით შენზე ვფიქრობ, მუდამ გრძნობამორეული.“

აი კიდევ ერთი ნაწყვეტი 1895 წლით დათარიღებული წერილიდან: „გრძნობა, რომელიც მე განვიცადე, იყო უცნაური გულის აჩუყება, სიბრაღული და სრულიად ახალი სიყვარული შენდამი. ისეთი სიყვარული, როცა მე მთლიანად ჩავესახლე შენს არსებაში და განვიცადე ის, რასაც შენ განიცდიდი. ეს ისეთი წმინდა, კარგი გრძნობაა, არაფერი არ უნდა მეთქვა, მაგრამ ვიცი, გაგახარებს ამის გაგონება და ვიცი, რომ გამჟღავნება ვერას დააკლებს, ვერ შეცვლის. პირიქით, ახლა როცა შენ გწერ, იმასვე განვიცდი. უცნაურია ეს ჩვენი გრძნობა, როგორც დაისის მწუხარი. მხოლოდ იშვიათად ამცირებენ ამ შუქს ჩვენი ურთიერთუთანხმოების ღრუბლები. მე მაინც მჯერა, რომ ეს ღრუბლები გაიფანტება ღამის დადგომამდე და მზის ჩასვენება სავსებით ნათელი და სხივმფინარი იქნება.“

1896 წელს: „შენ ისეთი უწყინარი, მოსიყვარულე, სათნო იყავი ბოლო დღეებში და მეც მუდამ ასეთს ვიგონებ.“ ან კიდევ: „გახსოვს მეუბნებოდ, შენი წერილები ჩემთვის სასარგებლოც არისო და სასიამოვნოც. მე კი როგორ მწაღია, სულ მუდამ მწაღია, კარგი რამ გაგიკეთო, კიდევ უფრო უკეთესი, შეგიმსუბუქო ცხოვრების ტვირთი, ყველაფერი ვიღონო, რომ შენ მშვიდად იყო, მხნედ, კარგად. გამუდმებით შენზე ვფიქრობ. რაღაცნაირად მეშინია შენს გამო. ისეთი სუსტი ხარ და თან ისეთი ძვირფასი.“

1897 წელს, ზაფხულის დასაწყისში დედამ მოახერხა რამდენიმე დღით დაეტოვებინა მოსკოვი, სადაც იგი უმცროსი ვაჟი-შვილების სწავლების გამო იყო შეჩერებული და მოულოდნელად ჩამოვიდა იასნაიში.

სოფელში მცირე ხანი დაჰყო და ისევ უკან გაბრუნდა. ქმარმა წერილი დაადევნა: „შენი ჩამოსვლით ძლიერი, ცინცხალი, კარგი შთაბეჭდილება დატოვე; ახლა უფრო ვგრძნობ, რომ შენ აღარ ხარ ჩემს გვერდით.“

ჩემი გაღვიძება და შენი გამოჩენა — ამაზე ძლიერი სიხარული ალბათ არასოდეს განმიცდია“.

და სხვა წერილში: „არ შემიძლია გავეჩუქე იმ გულისამაჩვილებელსა და მწუხარე გრძნობას, ჩემო ძვირფასო, ჩემო კარგო



სონია, როცა ვიხსენებ, რა გულმდღუღარედ ტიროდი გამგზავრების დღეს.

მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ის კეთილი, ღვთიური, რაც ასე უხვად გაქვს მომადლებული, სძლევს ყოველივე იმას, რაც შენ გორგუნავს და ქანცს გიწყვეტს, მთელ იმ აპათიურსა და უშინაარსო ცხოვრებას, რაც ასე გაწუხებს, და შენ კიდევ იცხოვრებ მხიარულად, მშვიდად.

მე მხოლოდ ვშიშობ, ხელი არ შეგიშალო, დახმარება კი სხვა მხრივ არ შემიძლია, გარდა იმისა, რომ უფრო ძლიერად მიყვარდე. ეს სიყვარული გამუდმებით თანა მღევს.“

ამ ხანებში მამამ საკუთარ შვილებს შენიშნა მისდამი სიმპათიისა და გაგების ნაპერწკალი. ამან უდიდესი ბედნიერება მიანიჭა. მე მას წერილებს ვუგზავნიდი. ვრცელი პასუხიც მომივიდა, სავსე სინაზითა და დახმარების უდიდესი სურვილით.

ჩემი და მაშა მთელი არსებით მამის მიმდევარი გახლდათ: მაშინ თოთხმეტი წლისა იყო. შვილებში ისა და უმცროსი ძმა ჰგავდნენ მამას ყველაზე უფრო. მაშას მამის თვალები ჰქონდა, ცისფერი, უძირო, გამომცდელი და სხივიერი. საზრუნავი არასოდეს გამოლევიდა — მუდამ აწუხებდა ვინმეს ბედი. სხვაგვარი მე იგი არ მახსოვს.

იასნაია პოლიანაში ავადმყოფებს მაშა უვლიდა, ასწავლიდა ბავშვებს და ღარიბებს ლუკმაპურს უჩენდა. დაიარებოდა მოსკოვის ლაზარეთებში და მოწყალების დის მოვალეობებს ეუფლებოდა. დედას აწუხებდა მისი ჯანმრთელობის ამბავი და შიშობდა, რადგან მაშას გულთან ახლოს მიჰქონდა ყველას უბედურება. ამას რომ ხედავდა, მაშა ძალზე ბედნიერი იყო, გრძნობდა, რომ მაშა მას მიემხრო, ხედავდა, რომ მისი ასული სიმპათიურად იყო განწყობილი მამის აზრებისა და შრომებისადმი.

ძმებიც ასევე მეტნაკლებად იზიარებდნენ მამის იდეებს და მონაწილეობდნენ მის ცხოვრებაში, თუმცა მაშასავით მტკიცედ ვერა. ერთი ხანობა ჩემი ძმა ლევი შედარებით ახლოს იყო მამასთან, მაგრამ შემდგომ უფრო ჩამოშორდა. იყო დრო, როცა იგი ყველაფერზე მაღლა მამის შეხედულებებს აყენებდა.

„ლევს სათქმელიც აქვს და იცის, რა მითხრას, — წერს მამა ერთ წერილში, — თანაც ისე მითხრას, მაგრძნობინოს, რომ ჩემი ახლობელია თვითონაც და მისი ინტერესებიც და რომ მან იცის ან სურს იცოდეს ზემო გულისწადილი.“

ამ წლებში მამაჩემმა, მისდა საბედნი-

ეროდ, შესძლო განეხორციელებინა თავისი ორი სურვილი: უარი განაცხადა ყოველ-გვარ კერძო საკუთრებაზე და მეუღლეს დაითანხმა, რათა მისი ლიტერატურული ნაწარმოებები გამოეცა ყველას, ვინც კი მოისურვებდა რუსეთსა თუ საზღვარგარეთ. რადგანაც მამას არ სურდა ერთბაშად წაერთმია ყოველივე ცოლისა და ბავშვებისათვის, ამიტომ ცოლს დაუტოვა საავტორო უფლება 1880 წლამდე დაწერილ თხზულებებზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ნაწარმოებებზე, რომლებიც დაწერა „სულიერად მეორედ დაბადებამდე“; ბუნებრივია, მეორედ დაბადების შემდეგ მამას უკვე აღარ შეეძლო გაეყიდა ის, რასაც წერდა, რადგანაც თვლიდა, რომ მსგავსი ვაჭრობა საკუთარი აზრებითა და გრძნობებით ისევე სამარცხვინოა, როგორც საკუთარი სხეულით ვაჭრობა. ცოლზე ადვილად არ გაუმარჯვნიავიდრე თანხმობას მისცემდა, დედა შეუპოვრად ეწინააღმდეგებოდა. მამა სთხოვდა კარგად ჩაფიქრებოდა მის თხოვნას, წრფელი გულით, როგორც ფიქრობს ადამიანი ღვთის წინაშე ან სიკვდილის წინ. აი, რას წერდა მამა იასნაია პოლიანადან: „... გააკეთე ეს კეთილი გრძნობით, იმ შეგნებით, რომ თავად შენთვის არის ეს სიხარულის მომნიჭებელი, რადგან ამით შენ ათავისუფლებ მძიმე მდგომარეობიდან იმ ადამიანს, რომელიც გიყვარს. მაგრამ არაფერი გააკეთო ავი გრძნობით.“

დედა დაეთანხმა, დაეთანხმა, მაგრამ ვერ კი გაუგო. თუმცა შეგნებული ჰქონდა, რომ მისი მეუღლის სულში იყო ერთი ადგილი, სადაც იგი ვერაფერს დათმობდა, მისდამი სიყვარულიც ვერ უშველიდა, რადგან სინდისის მოთხოვნა ლევ ტოლსტოის სიცოცხლეზე ძვირად უღირდა.

იმავე წელს მამა კერძო საკუთრებისგანაც გათავისუფლდა. მისი ოცნება იყო გაეცა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, და მთელი ოჯახით ეცხოვრა ისე, როგორც გლეხები ცხოვრობენ. ამაზე ცოლი არ ეთანხმებოდა. მაშინ მამამ მთელი ქონება შესთავაზა. ცოლმა უარი უთხრა და არცთუ უსაფუძვლოდ: „შენ თვლი, რომ საკუთრება ბოროტებაა და გინდა ეს ბოროტება მე ვიტვირთო?“

რა უნდა ექნა მამას? რაღაცაზე ხომ უნდა შეჩერებულიყვნენ. ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტეს ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს მამა უკვე გარდაცვლილი იყო. სახელდობრ, მისი მემკვიდრეები უნდა დაპატრონებოდნენ ქონებას და გაეყოთ ერთმანეთში. შე-



აფასეს მთელი უძრავი ქონება. შემდეგ ყველაფერი ათ ნაწილად გაჰყვეს: თითო წილი თითო ბავშვზე და ერთიც — დედაზე. ვყარეთ კენჭი. იასნაია პოლიანა დედასა და უმცროს ძმას ვანიკოს ერგოთ. ეს განაწილება ჩვენთვის მეტისმეტად სამძიმო იყო. იგი თავის დას წერდა: „არის ამ გაყოფაში რაღაც გულისმომწყვლელი და არადელიკატური მამასთან დამოკიდებულებაში.“

სწორედ იმ ხანებში ჩვენ, ბავშვებმა, მამასთან შეთანხმებით პატარა გამარჯვება გამოვტაცეთ დედას. მან ნება დაგვრთო ზაფხულობით მინდვრად გვემუშავა გლეხებთან ერთად.

ჩვენი ცხოვრების უმშვენიერესი ხანა! ყოველ სისხამ დილით, ცვარში, მე და ჩემი და მხრებზე ფოცხებს გავიდებდით და გლეხის ქალებთან ერთად სათიბში მივდიოდით. მამაკაცები, მათ შორის მამაჩემი და ჩემი ძმები — ილია და ლევი, გამთენიის ოთხი საათიდან თიბავდნენ. ქალები ჩავმწყრივდებოდით და მზის გულზე გადმოვაბრუნებდით მოთიბულ ბალახს. თივა „ბატონის ეზოში“ გადაგვქონდა. მაგრამ ჩვენ ბატონისათვის კი არ ვმუშაობდით, არამედ გლეხების სასარგებლოდ. გლეხები ბატონის სათიბების გათიბვაში თივის ნახევარს იღებდნენ.

შუადღისას მუშაობა წყდებოდა. იქვე, ხეების ჩრდილში ვსადილობდით — ჩვენთვის საჭმელი უმცროს დას ალექსანდრას მოჰქონდა. ჩვენი ულუფაც ისეთივე ღარიბული იყო, როგორც გლეხებისა. მამაკაცები ჩქარობდნენ, არ გვაძლევდნენ დასვენების საშუალებას. უკანასკნელი ლუკმა არც გვქონდა გადაყლაპული, ისინი კი უკვე ყვიროდნენ: „აბა, ქალებო, დაუჩქარეთ“. და თუ ცა მოიღრუბლებოდა და წვიმა იყო მოსალოდნელი, მაშინ საერთოდ არ გვინდობდნენ. დაძახებისთანავე უნდა გვეტაცნა ხელი ფოცხებისათვის, უნდა ჩავმდგარიყავით მწყრივში და მცხუნვარე მზისქვეშ გვემუშავა, ვიდრე სიცხე არ დაიკლებდა მზის ჩასვლასთან ერთად. რა ლამაზი სანახავია რუსული სოფელი თიბვის დროს! რაოდენი მომხიბლაობა შეინარჩუნა ჩემს თვალში! საკმარისია გავიხსენო მდინარე ვორონკას გაყოლებაზე მდიდარი ველ-მინდვრები, გლეხკაცებითა და გლეხების ქალებით ნაირფერად აჭრელებული. იმ ხანებში გლეხები ტრადიციულ ეროვნულ ტანსაცმელს ატარებდნენ: ქალიშვილები — პერანგებსა და სარაფანებს, ქალები პანევებს წინსაფ-

რებით, მე და ჩემი და, იმათგან რომ არ გამოვრჩეულიყავით, ასევე ვიცვამდით.

შინ შებინდებულზე გბრუნდებოდით მხიარულნი, სიცილ-კისკისით, სიმღერითა და ცეკვით. ჩემი და მაშა, წინ რომ მიუძლოდა ქალებს, ხშირად დაყრიდა ფოცხებს, გამოიწვევდა რომელსამე გლეხის გოგოს და დაუვლიდა წრეში მასთან ერთად. ზოგჯერ დედაჩემიც გამოდიოდა მინდვრად სამუშაოდ. გადაიცვამდა სოფლურ კაბას, აიღებდა ფოცხს და ჩვენთან ერთად წამოვიდოდა. მაგრამ შეჩვეული არ იყო მშვიდ და თანაბარ შრომას, რაც აუცილებელია, როცა მინდვრად მუშაობ. იგი მაშინვე ანგარიშ-მიუცემლად იწყებდა ჯაფას, თავს არ ზოგავდა. ერთხელაც ძალამ უმტყუნა და ავად გახდა. ის დღე იყო და მეტად აღარასოდეს უშრომია ფიზიკურად.

მამა მთელ დღეებს უბრალო ხალხში ატარებდა, რომელიც გულით უყვარდა. იგი ტოლს არ უღებდა გლეხკაცს მუშაობაში. მიაჩნდა, რომ შრომა ადამიანის მოვალეობაა. თანაც მამა გრძნობდა, რომ ბავშვები სიპათიურად იყვნენ განწყობილნი, მოსწონდათ მისი ცხოვრების წესიც და ის იღებოდა, რომელთა შესაბამისადაც ცხოვრობდა. მაშინ მამა ბედნიერი იყო.

მოვიდოდა ზამთარი და მამაც ისევ მიუჯდებოდა საწერ მაგიდას. იმ წლებში მოწაფეები საკმაო რაოდენობით ჰყავდა. ზოგიერთი ამ მოწაფეთაგან თავისი მასწავლებლის მეგობარიც გახდა და ჩვენიც. იმათგან, ვინც ჩვენი ცხოვრების თანამონაწილე გახდა, დავასახელებ ბირიუკოვს, გორბუნოვსა და ჩერტკოვს. უფრო გვიან მათ შეემატა წმინდანი ქალი მარია ალექსანდრეს ასული შმიდტი.

ჩერტკოვი... თავდაპირველად მე და მაშას გვეგონა, რომ მისი სახით ძვირფასი დამხმარე შევიძინეთ ჩვენი მთავარი მოვალეობის — მამის ხელნაწერების გადაწერის საქმეში. ჩერტკოვმა გვიშოვნა პირის გადასაღები წნეხი. ასე შემოინახა ყველა წერილის პირი. მანამდე კი იმით ვკმაყოფილდებოდით, რომ უფრო მნიშვნელოვანი წერილის პირს ვიღებდით მხოლოდ. მამაჩემის თვითიული დღიურის ასლი მაშინვე კეთდებოდა და ჩერტკოვს ბარდებოდა. ერთი სიტყვით, ჩერტკოვი იქცა მთელი ამ საქმიანობის მთავარ ზამბარად.

იმ ხანებში მამაჩემისა და მისი დამხმარე მეგობრების უმთავრესი საზრუნავი იყო პატარა იაფფასიანი ბროშურების დაბეჭდვა და გავრცელება. ამით უნდოდათ შეეც-



ვალათ ის ძალზე მწირი სულიერი საზრდო, ხალხს რომ სთავაზობდნენ. ასეთი გახლდათ „პოსრედნიკის“ ამოცანა, რომლის გამოცემებიც მთელ რუსეთში ვრცელდებოდა მილიონ ცალად. ამ ბროშურებში დაიბეჭდა ტოლსტოის ცნობილი მოთხრობები. პირველად აქ გამოქვეყნდა „წყვდიადის მეუფება“. „პოსრედნიკში“ სხვა დიდი მწერლებიც თანამშრომლობდნენ და ხალხმაც შეიტანა საკუთარი წვლილი უსახელო თანამშრომლობით. დედა თავაზიანად ხვდებოდა მამის მოწაფეებს: ბირიუკოვს, გორბუნოვს, ჩერტკოვსაც კი. „პოსრედნიკში“ მათი მოღვაწეობა დედას არ აღელვებდა და ტოლსტოიც ხარობდა, რაკი დედა სტუმართმოყვრულად იღებდა მის მეგობრებს.

„შენ იმდენი კარგი თვისება გაქვს, — წერს მამა, — შენი დამოკიდებულება ჩერტკოვთან და ბირიუკოვთან ფრიად მახარებს.“

მაგრამ 1895 წელს უბედურება დატრიალდა, რამაც უდიდესი და საბედისწერო ზემოქმედება მოახდინა დედაჩემის ხასიათზე.

უბედურება, რამაც თავდაყირა დააყენა მთელი მისი ცხოვრება, იყო პატარა შვიდი წლის ვანიკოს, მისი ნაბოლარა ვაჟიშვილის სიკვდილი. შვილის სიკვდილით თავზარდაცემული დედა ამის შემდეგ აღარც გამართულა წელში.

ჩემმა მშობლებმა და განსაკუთრებით დედამ თავისი სიცოცხლის დასალიერს ამ ბავშვზე შეაჩერეს მთელი სიყვარული — გასაოცრად ნიჭიერი, არაჩვეულებრივად მოსიყვარულე ვანიკო ნამდვილად იყო ამ სიყვარულის ღირსი. გონებრივადაც ძალზე ნაადრევად ვითარდებოდა. როცა ვანიკო მამასთან არ იყო, იგი მუდამ უდიდესი სინაზით ახსენებდა წერილებში. „ვანიკო ძალიან მიყვარს.“ „ძალიან საყვარელია, უფრე მეტია, ვინემ საყვარელი — შესანიშნავია.“ ვანიკოს სწერდა: „ვანიკო, მომწერე წერილი! მე შენ მიყვარხარ! მამა.“

და აი უცებ ეს ბავშვი სამ დღეში დაიღუპა ქუნთრუშით. მალე ამ შემზარავი ამბის შემდეგ, 1895 წლის მარტში, დედაჩემი სწერს თავის დას: „ხედავ, ტანია, ცოცხალი დავრჩი ვანიკოს შემდეგ. დილით პირველი გაღვიძება ხანმოკლე მტანჯავი ძილის შემდგომ საშინელებაა, იმდენად, რომ წამოვიყვირებ, ვეძახი ვანიკოს, მინდა ავიტაცო, ვიგრძნო, დავკოცნო — და მაგიერ ეს უმწეობა სიცარიელის წინაშე, ეს ჯოჯოხეთი! სახლში არავის და არაფრის ხმა არ ისმის.

სამარისებური სიჩუმეა. საშა გაქვავებული ზის კუთხეში, დიდრონი სევდიანი თვალებით მომჩერებია და ტირის.

გოგონებმა დედობრივი სიყვარულის მოთხოვნილება მთლიანად ვანიკოზე გადაიტანეს. მასაც უსაზღვროდ უყვარდა ისინი, ეალერსებოდა ყველას და ყველასათვის ჰყოფნიდა სინაზე. ახლა კი მათთვისაც მიეფარა თვალს.

ლევო სულ მოიხარა, დაბერდა. დარდიანი დაიარება, ნათელ თვალებში ნაღველი ჩადგომია. ჩანს, რომ მისთვისაც ჩამქრალა მისი სიბერის უკანასკნელი ნათელი სხივი. ვანიკოს გარდაცვალებიდან მესამე დღეს იჯდა, ქვითინებდა და ამბობდა: „ცხოვრებაში პირველად ვგრძნობ, რომ საშველი არ არის.“ მის დანახვაზე გული მეფლითებოდა! უბედურებამ ისიც გატეხა.

ვაჟიშვილები ჩამოვიდნენ. ილია იმ დღესვე ჩვენთან გაჩნდა და გული დამიამა თავისი თანაგრძნობით, ცრემლებითა და სიკეთით. სერიოზა დაკრძალვის დღეს ჩამოვიდა და ახლაც ჩვენთან არის. საბედნიეროდ, საბრალო ლევო არ ყოფილა. იგი ექიმ ოგრანოვიჩის სანატორიულ კოლონიაში ცხოვრობს, მოსკოვიდან სამი საათის სავალია. ღმერთმა განარაღა იგი ამ უბედურებას.

ლევო მეუბნებოდა, რომ ხშირად, როგორც კი მოიკეთებდა ხოლმე ვანიკო, ბედნიერებისაგან სუნთქვა მეკვროდაო.

სამშაბათს... საღამოს, 21 თებერვალს, მაშა მათ ხმამაღლა უკითხავდა ვერა ტოლსტაიას მიერ გადმოკეთებულ დიკენსის მოთხრობას „დიდი მოლოდინი“, რომლისთვისაც „კატორღელის ასული“ დაურქმევია. როცა ვანიკო ჩემთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა, ვკითხე, წაკითხული თუ მოგეწონამეთქი. მან საშინლად დანადვლიანებულმა შემომხედა და მითხრა:

— ნუ მკითხავ, დედი, იმდენად სევდისმომგვრელია ყოველივე, საშინელებაა... ესტელა პიპის არ გაპყოლია ცოლად!

მინდოდა გამემხიარულებინა, მაგრამ რას ვხედავ! ბავშვს საშინელი ფერი ადევს. ჩავიყვანე დაბლა. ვანიკო ამთქნარებს და ცრემლმორეული მეუბნება:

— ოჰ, დედა, ისევ იგი, იგი! (ციებაზე მეუბნებოდა).

თერმომეტრი ჩავუდე — 38 და 5. ღამით იწვოდა სიცხისაგან, მაგრამ ეძინა. დილით ექიმის მოსაყვანად გავგზავნეთ კაცი. ექიმმა მაშინვე გვითხრა — ქუნთრუშა სჭირსო. სიცხე უკვე ორმოცს აღემატებოდა. თან ტკივილი დაეწყო... შუალამისას, სამ საათ-



ზე, გონზე მოვიდა, შემომხედა და მითხრა:  
— მაპატიე, ჩემო საყვარელო დედიკო, რომ გაგაღვიძეს.

— მე გამოვიძინე, ჩემო კარგო, ჩვენ რიგრიგობით ვისხედით, — ვუთხარი მე.

— ახლა ვიღასი ჯერია! ტანისასი?

— არა, მაშასი.

— დაუძახე მაშას. შენ წადი, დაიძინე!

და დამიწყო კოცნა ისე მაგრად, მაგრად, ნაზად! იწვდიდა თავის გამომშრალ ტუჩებს და მეკვროდა.

— რა გტკივა? — ვკითხე მე.

— არაფერი არ მტკივა.

— მაშ რა გაწუხებს, ნაღველი?

— ჰო, ნაღველი.

ამის შემდეგ თითქმის არც მოსულა გრძნობაზე. ოთხშაბათს მთელი ღღე იწვოდა, იწვიათად წამოიკვნესებდა. გამონაყარი დილიდან გაქრა. შემოვანხვით მდოგვიან ცივ წყალში დასველებული ზეწარი. შემდეგ თბილ აბაზანაში ჩავსვით. ასე რამდენჯერმე გავიმეორეთ. არაფერმა არ უშველა. სულ უფრო და უფრო მძიმედ კუთავდა. ხელ-ფეხი თანდათან უცივდებოდა. შემდეგ გაახილა თვალი და გაყუჩდა... მის საწოლთან იყვნენ: მაშა, მაშენკა (ლევის და), იგი სულ ლოცულობდა და პირჯვარს წერდა, ძიძა და სხვა არავინ. ტანია სულ გარბოდა. მე და ლევი მეორე ოთახში ვისხედით, სასოწარკვეთილებისაგან გაქვავებულნი.

... იმდენი გვირგვინა, ყვავილები და თაიგულები გამოგზავნეს, მთელი ოთახი ბაღი გეგონებოდა. სენის გადაღებაზე არავის უფიქრია. ერთად ვიყავით. მაშენკა ჩვენთან ცხოვრობდა და ჩვენთან ერთად ინაწილებდა მწუხარებას მთელი სულითა და გულით.

მესამე დღეს, 25-ში წესი ავუგეთ, დავჯვდეთ და დავდეთ ჩვენს დიდ ოთხადგილიან ციგაზე. კუბო და ციგა გვირგვინებითა და ყვავილებით იყო დაფარული. დავიძარით ნელა...

სასაფლაოზე უამრავი ხალხი წამოვიდა. სიჩუმე იყო და თბილოდა. გზაში ლევი იგონებდა: როგორ დადიოდა იგი ამ გზა პოკროვსკოეში, გული უჩვილდებოდა, ტირიდა და ძალიან მეფერებოდა სიტყვებითა და მოგონებებით... მერე ისევ ლევსა და ვაყიშვილებს მიჰქონდათ კუბო... ყველანი ტიროდნენ მოხუცი, დარდით მოკლული მამის შემხედვარენი. აბა იფიქრე, ტანია, განა ეს ბუნებრივია, რომ ჩვენ, გაჭაღარავებულმა მშობლებმა მიწას მივაბაროთ ჩვენი ყველაზე ნათელი მომავალი ამ ბავშვის სახით?

როგორ ჩაუშვეს სამარეში, როგორ მიყარეს მიწა — აღარაფერი მახსოვს. მე უცებ საღვაც ჩავიკარგე, ბუნდოვნად ვნედავდი ლევის მკერდს, ზედ რომ მიკრავდა. ვიღაც წინ ამეფარა, ორმო რომ არ დამენახა, ვიღაც მიჭერდა... მე კი ერთი ცრემლიც არ ჩამომვარდნია, კრინტიც არ დამცდენია.

გონს მაშინ მოვეგე, როცა სასაფლაოდან წამოვედით. ძიძა დავინახე, სხვა ციგაზე იჯდა და ბავშვების ზღვას პურს, კალაჩს და პიტნის თაფლისპურებს ურიგებდა...

ლევი კი ტირილით მეუბნებოდა: „მე კი ვოცნებობდი, ვანიკო ჩემს შემდგომ ღვთის საქმეს განაგრძობს-მეთქი!“ მისი მწუხარების ყურება უფრო მიმძიმს, ვიდრე საკუთარი მწუხარების ატანა... მე და ვანიკო უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით, საღამოს ჩემი გაშვება უჭირდა. ვილოცებ, მე მას, იგი კიღევ მე გადამწერს პირჯვარს, შემდეგ მეტყვის: მაკოცე მაგრად, აბა ჩამოდე თავი ჩემს გვერდით, ისუნთქე ჩემს მკერდზე, რომ შენი სუნთქვით ჩავიძინო. როცა ავად გახდებოდა, მეუბნებოდა: „აი, ეს ღვთის ნებაა, დედა, რომ მე ისევ ავად შევიქენ!“

ვანიკოსთან ერთად დაიხურა ბავშვურად საყვარელი, ხშირად უგუნური, მაგრამ რთული და მხიარული პაწია სამყარო. არც სიცილი, არც ბავშვის ნაბიჯის ხმა, არც თამაში, არც ნაძვის ხე, კვერცხების არც შეღებვა, არც გორება, არც პირველი მარხვა (ვანიკო სულ მთხოვდა, ნება მომეცი, ვიმარხულო). დასრულდა ყველაფერი, რაც ავსებდა ჩემს ცხოვრებას, შემიძლია ვთქვა, რომ ბავშვობიდანვე.“

მწუხარებამ ისე დარია ხელი დედას, რომ კინაღამ დაჰკარგა განსჯის უნარი. თავდაპირველად რელიგიურმა ეკზალტაციამ მოიცვა, დროის უმეტეს ნაწილს ლოცვაში ატარებდა შინ თუ ეკლესიაში. მამა განსაკუთრებული სინაზით ეპყრობოდა და, რაკი დედას მარტო დარჩენისა ეშინოდა, მამა, მაშა და მე დღედაღამ მის გვერდით ვიყავით. როცა დედა ეკლესიაში მიდიოდა, მამა უკან მიჰყვებოდა, მერე შესასვლელში ელოდა და შინ მოჰყავდა. მამა კარგა ხნის ჩამოშორებული იყო ეკლესიას და ცოლის ასეთი სულიერი მდგომარეობა ეუცხოებოდა. პირადი მწუხარება რომ გადაევიწყებინა, მამა ცდილობდა დედის გულისყური სხვა ადამიანების მწუხარებაზე გადაეტანა: დაჰყავდა ციხეებში, აიძულებდა წიგნები ეყიდა პატიმართათვის. მაგრამ ქალს აღარაფერი აინ-



ტერესებდა, აღარც საკუთარი შვილები, აღარც იასნაია პოლიანა.

იგი წერს თავის დას: „ნუთუ შეიძლება დიდხანს იცოცხლო ასეთ სატანჯველში? ყველაფერი, ყველაფერი გაქრა ჩემთვის. და უფრო დიდი საშინელება ის არის, რომ რვა ბავშვი დამრჩა, მე კი მაინც მარტოდმარტო დავრჩი საკუთარ მწუხარებასთან და არ შემიძლია ჩავეჭიდო მათ, თუმც ისინი დიდად კეთილნი და ალერსიანნი არიან“. „ჩემთვის არაფერი არ არსებობს, არც მზე, არც ბუნება, არც ყვავილები, არც ბანაობა, არც მეურნეობა, ბავშვებიც კი. ყველაფერი მკვდარია, ყველაფერს საფლავის ქვასავით მძიმე დარდი აწევს.“

მწუხარებამ გატეხა დედა. იგი მუდამ გამოირჩეოდა თავისი მგრძნობიარე, ცვალებადი, მღელვარე ბუნებით, ადვილად ღიზიანდებოდა. მამა მაშინვე მიხვდა რა დღეში ჩავარდა მისი ცოლი. ამიტომ იტანჯებოდა და შიშობდა... „შენ ისე სწრაფად გეცვლება გუნება, — წერდა დედას, — რომ ხვალ შეიძლება სულ სხვა წერილი გამომიგზავნო.“ ხოლო როცა დედა გაუტყდა, მეშინია, ჭკუიდან არ შევიშალოო, შეეცადა დაემშვიდებინა აფორიაქებული ქალი: „ფსიქიურ აშლილობაზე მწერ, საშინელი სისულელეა.“ სინამდვილეში კი მამას ეშინოდა. „ვზივარ და ვიტანჯები, როგორც კი გამახსენდება შენი ფიზიკური და, რაც მთავარია, სულიერი მდგომარეობა და თავს ვკიცხავ.“ „სამწუხაროა, რომ არ მომწერე როგორ იმგზავრე. წასვლის ხანს ძალიან დელავდი.“

ამ თავზარდამცემი უბედურების შემდეგ დედაჩემი მოულოდნელად მუსიკამ გაიტაცა. იასნაია პოლიანაში ჩამოვიდა ერთი ჩვენი მეგობარი — პიანისტი ტანეევი. და ეს გახდა ბიძგი დედაჩემის სულიერი ცვლილებისა. აი რას სწერს იგი ბავშვის გარდაცვალებიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ თავის მუდმივ რწმუნებულს — დას: „ჩემი ცხოვრება, მთელი გულისყური მუსიკას ეკუთვნის, მხოლოდ მუსიკა მაცოცხლებს, ვსწავლობ, ვესწრები კონცერტებს, ვყიდულობ ნოტებს, ვარჩევ, მაგრამ ვხედავ, ყველაფერი დაგვიანებულია. წარმატება თითქმის არა მაქვს. ეს თავისებური სიგიჟეა, მაგრამ განა რას უნდა მოველოდე ჩემი დამსხვრეული სულისაგან? ვერა და ვერ დავუბრუნდი ნორმალურ მდგომარეობას ვანიკოს გარდაცვალების შემდეგ... ლევი არაჩვეულებრივად ალერსიანი და მომთმენია. ამ ბოლო დროს რაღაცნაირად განსაკუთრებულად ვგრძნობ მის ზეგავლენას, თითქოს

სულიერად მფარველობს. მიხვდა, რომ ღვაკარგე სულიერი წონასწორობა და სულ მეხმარება გულითადად, ალერსიანად.“

აი, რას დაემსგავსა უბედურებისაგან შერყეული მისი ცხოვრება.

მამა? განა გაეტეხვინება იგი პირადულ მწუხარებას ან სიხარულს მისცემს თავს? ამ ძლიერმა პიროვნებამ იცოდა, რისთვისაც იყო მოწოდებული. შინაგანი ჭიდილი, ჭიდილი საკუთარ თავთან უწინდებურად გრძელდებოდა და ვერავითარი ცხოვრებისეული სიმძიმელი ვერ შეუშლიდა ხელს.

წასვლა, გამგზავრება — უწინდებურად მამის ოცნებად რჩებოდა. მაგრამ ამ ოცნებას აღსრულება არ ეწერა, რადგან მისი ცოლი უკვე ყველაზე სუსტ და უბედურ არსებად იქცა. მამაჩემი იყო, როგორც დედა ამბობდა, „დამცველი მისი სულისა“. დედას კი რა უნდა მიეცა მამაჩემისათვის ამის სანაცვლოდ? არაფერი. საკუთარ მწუხარებაში ჩაძირულ ქალს ადგილი აღარ ჰქონდა უკვე სულიერ სამყაროში იმ ადამიანისა, რომელიც მის გვერდით კი ცხოვრობდა, მაგრამ საკუთარი სატანჯველი ღრღნიდა. ქალი ვერც ამჩნევდა მეუღლის სულის ძრწოლას და არც არავითარ გულისყურს იჩენდა, მაშინ როცა შინაგან ჭიდილს ერთიანად მოეცვა მამაჩემის გულიც და სულიც.

მართალია, დედა სტუმართმოყვრულად უხვდებოდა იმ ხალხს, ვისაც „უბირთ“ ვეძახდით, მაგრამ იოტისოდენადაც არ ცდილობდა გაეგო, საიდან მომდინარეობდა ამ უბირი ადამიანებისა და მისი მეუღლის სი-ახლოვე. იმ ხანებში მამაჩემის ცხოვრება საკუთარ თავთან გამუდმებული და გმირული ჭიდილი იყო. უმძიმდა იასნაიაში ცხოვრების პირობებთან შეგუება, მაგრამ იცოდა, რომ მოთმინება მართებდა, სანამ ძალ-ღონე არ უმტყუნებდა — იგი მოვალე იყო ასე მოქცეულიყო.

აი, როგორ ცხოვრობდა იმ ხანებში მამაჩემი: გაიღვიძებდა თუ არა, ან ტყეში, ანდა მინდვრად მიდიოდა. „სალოცავად დავიარებო“, ასე ამბობდა, ანუ მარტოდმარტო ბუნების წიაღში მოუხმობდა თავისი „მეს“ საუკეთესო ძალებს, რათა იმდღევანდელი ვალი პირნათლად მოეხადა. თუმცა იშვიათად თუ მოახერხებდა, დილის ეს საათები მარტოს გაეტარებინა. ადამიანები, რომელთაც მისი მატერიალური თუ სულიერი შემწეობა სჭირდებოდათ, სახლთან ან გზად დადარაჯებულნი ელოდნენ მის გამოჩენას:



უპოვარნი თუ ყარიბნი, უქონელნი, მოწყალეებს რომ ითხოვდნენ, გლეხები, სათხოვარი რომ ჰქონდათ ან რაიმე საკითხი მოსაგვარებელი. ადამიანები ქვეყნიერების ყველა კუთხიდან მოედინებოდნენ, რათა გაეზიარებინათ თავიანთი შეჭირვება და რჩევა ეკითხათ, თუ არ ჩავთვლით იმათ, რომლებიც თავად გამოეცხადებოდნენ რჩევადარიგებებით. ყოველდღიურად სამი საფოსტო განყოფილება გასცემდა წიგნებს, წერილებს, ჟურნალ-გაზეთებს: მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ისინი.

მამა ცდილობდა შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა მთხოვნელები და კორესპონდენტები. შემდგომ შეუდგებოდა მწერლურ შრომას. განა საჭიროა ამის თქმა? ახლა იგი წერდა არა სახელისა და დიდებისათვის, კიდევ უფრო მეტად არად დაგიდევდათ ფულს. იგი წერდა, რადგან თავის მოვალეობად მიაჩნდა გაეგებინებინა ადამიანებისათვის ჰუმანიტება, მან რომ აღმოაჩინა და ხალხისათვის ბედნიერება რომ უნდა მიეტანა. და ამგვარი შრომა იყო მისთვის სიხარულის წყარო.

1899 წლით დათარიღებულ წერილში, ერთ ახალგაზრდა კაცს რომ გაუგზავნა, ვკითხულობთ: „თქვენ სწორად მიმიხვდით, მე მიხარია, როცა შევიტყობ, რომ მეგობრები შორეულ აღმოსავლეთშიც მყვანან. მთავარი კი ის არის, რომ ჩემი ნაწერები, ესოდენ დიდ ბედნიერებას რომ მანიჭებენ, ამასვე განაცდევინებენ სხვებსაც, თუმცა კი იშვიათად არიან ასეთი ადამიანები.“

საღამოებს ოჯახის წევრებთან და სტუმრებთან ატარებდა. დაძინების წინ კი დაასრულებდა დღიურსა და კორესპონდენტებს.

მაგრამ ფიქრი ცხოვრების წესის შეცვლაზე განუწყვეტლივ თან სდევდა. მისი მეგობრები, და არა მხოლოდ მეგობრები, მიიჩნევდნენ, რომ მან უსათუოდ უნდა ჩამოიშოროს ოჯახი, რათა საკუთარი რწმენის შესაბამისად დაიწყოს ცხოვრება. მომსვლელთა შორის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მისი თხზულებების საფუძველზე შეექმნათ წარმოდგენა მამის ცხოვრებაზე და როცა ეს ადამიანები ტოლსტოის სახლში ხედავდნენ თეთრხელთათმანიან მსახურებს, ვერცხლის ლანგრებით რომ შემოჰქონდათ სადილი, ხედავდნენ, როგორ თამაშობდნენ ჩოგბურთს, ისინი ვერ მალავდნენ გულსტკივილსა და აღშფოთებას, და რაკი არ იცოდნენ ყოველივე ის, რასაც

უხამებდა ტოლსტოი თავის საქციელს, კარგავდნენ მასწავლებლისადმი რწმენას.

მრავალი წერილობითი აგებინებდნენ, რომ გული გაუტყდათ, საყვედურობდნენ, არათანმიმდევარი ბრძანდებითო. ტოლსტოი იტანჯებოდა. მაგრამ ჰუმანიტ მეგობრებად სწორედ მათ მიიჩნევდა და საბასუხო წერილებში კიდევ უფრო მკაცრად ჰკიცხავდა საკუთარ თავს, ვიდრე ამას მისი კორესპონდენტები იქმოდნენ. ტოლსტოი ყველას ეუბნებოდა, მე რომ ვნახო კაცი, ჩემსავით ცხოვრობდეს, ხოლო ქადაგებდეს იმას, რასაც მე ვქადაგებ, ფარისეველს ვუწოდებდიო. მსგავსი მოსაზრებები აიძულებდნენ უფრო ღრმად ჩაეხედნა საკუთარ ცხოვრებაში. იგი ისევ და ისევ ეკითხებოდა საკუთარ თავს: „...განა კარგს ვჩადი, რომ ვდუმვარ?.. უკეთესი არ იქნებოდა წავსულიყავ, გადავკარგულიყავ?“ და პასუხიც ასეთი გახლდათ: „ასე იმიტომ არ ვიქცევი, რომ ისევ საკუთარ თავზე ზრუნვა გამოვა, თუკი ამ ყოველად მოწამლულ ცხოვრებას გავექცევი. ჩემი რწმენით, კაცი მაშინ ხარ, თუ ასეთ ცხოვრებას გაუძლებ. მეც უნდა გავუძლო.“

მეგობარს, დაყინებით რომ მოითხოვდა მისგან ასე მოქცეულიყო, ტოლსტოი პასუხობს: „ერთი რამ შემიძლია გითხრათ, რომ მიზეზები, რომლებიც მაჩერებენ შევცვალო ცხოვრება იმგვარად, როგორც თქვენ მირჩევთ, შეუცვლელია კი წამებაა ჩემთვის, რომ მიზეზები, რომლებიც ხელს მიშლიან ამ საქმეში, გამომდინარეობს იმავე საფუძვლებიდან სიყვარულისა, რის გულისთვისაც ეს ცვლილება სასურველია როგორც თქვენთვის, ასევე ჩემთვის. სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რომ მე არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ან არ შემიძლია, ანდა უბრალოდ ცუდი თვისებები მაქვს, რომლებიც ხელს მიშლიან აღვასრულო, რასაც თქვენ მირჩევთ. რა უნდა ვქნა? მთელი სულითა და გულით მწაღია, მაგრამ არ შემიძლია ვიპოვო გზა და მხოლოდ მადლობელი ვიქნები მისი, ვინც ამ გზას მაჩვენებს. და ამას ირონიულად კი არ გეუბნებით, არამედ სავსებით გულწრფელად.“

აი მეორე პასუხი იმავე კითხვაზე:

„იასნაია პოლიანა, 17 თებერვალი, 1910 წელი.“

თქვენი წერილი შიგ გულში მომხვდა. ის, რის გაკეთებასაც მირჩევთ, ჩემი სანუკვარი ოცნებაა, მაგრამ დღემდე ვერ შევასრულე. მიზეზი უამრავია (მაგრამ არამც და არამც ის, თითქოს თავს ვზოგავდე). მთა-



გარი მიზეზი გახლავთ, არაფერი ჩავიდინოთ ისეთი, რომ სხვებზე შემოქმედება მოვახდინოთ. ეს ჩვენ არ ხელგვეწიფების და არც უნდა წარმართავდეს ჩვენს მოღვაწეობას. ჩვენი ჩანაფიქრი უნდა აღსრულდეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი შეიქმნება არა სავარაუდო გარეგან მიზეზთა, არამედ სულის შინაგან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როცა ადრინდელ მდგომარეობაში ყოფნა ზნეობრივად ისევე შეუძლებელი იქნება, როგორც ფიზიკურად შეუძლებელია არ დაახველო, როცა სუნთქვა გიჭირს. ვგრძნობ, რომ ახლოს არის ამგვარი სულიერი ყოფა და დღითიდღე კიდევ უფრო ვუახლოვდები.

ის, რასაც თქვენ მირჩევთ: უარი ვთქვა საკუთარ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, ქონებაზე და დავურიგო იმათ, ვინც თავს უფლებამოსილად მიიჩნევს დაეპატრონოს მას ჩემი გარდაცვალების შემდეგ, ჯერ კიდევ 25 წლის წინათ გაკეთდა. მაგრამ ის ამბავი, რომ ვცხოვრობო ოჯახში ცოლსა და ქალიშვილებთან ერთად საშინელ, სამარცხვინო ფუფუნებაში, როცა ირგვლივ ასეთი სიღარიბეა, უფრო და უფრო მეტად მტანჯავს, გამუდმებით მტანჯავს, და არ არის დღე თქვენი რჩევის აღსრულებაზე არ ვფიქრობდე.

დიდად, დიდად გმადლობთ თქვენი წერილის გამო...

თქვენი მოსიყვარულე  
ლ. ტოლსტოი.

ერთხელაც იყო ასეთი აზრი გამოთქვა: „თუ მე ოჯახს მივატოვებ, რა მოხდება? მეორეც, მესამეც ამასვე ჩაიდენს. შედეგი ის იქნება, რომ მე სხვა ოჯახს დავეხმარები, რომლის უფროსიც ახლა ჩემს ოჯახს გაუწვდის დახმარების ხელს და ა. შ.“

მახსოვს, ტულადან ვბრუნდებოდით. შუალაშე იყო. უცებ ხმამაღლა დაიწყო ფიქრი. ასე ხშირად მოქცეულა ჩემი თანდასწრებით. იმ ხალხზე ლაპარაკობდა, ჩვენთან რუსეთში სალოსებს (ღვთის გლახებს) რომ ეძახიან. განმიმარტა: ეს ადამიანები ხშირად განზრახ გაჩვენებენ თავს, თითქოს ამა თუ იმ ცოდვას სჩადიან, რათა მოყვასთა გაკიცხვა დაიმსახურონ. მათი მიზანია განვიითარონ ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული სათნოება: მორჩილება. მეც იგივე დამემართა, ადამიანებს გაკიცხვის საბაზი მივეცი, სინამდვილეში კი ბრალი არ მიმიძღვისო. დღიურები, ჩანაწერები და წერილები, მამაჩემის ცხოვრების ამ პერიოდს რომ მი-

ეკუთვნება, ავლენენ მის უცნაურ სულიერ მდგომარეობას: ტანჯვასა და სასოწარკვეთილებას მოულოდნელად სიხარული და ბედნიერება ენაცვლებოდა. აი რამდენიმე გამონათქვამი მისი წერილებიდან. 1902 წელს მე მწერს: „ჩემს სულს უხარია და სიამოვნებს.“ ან სხვა წერილი, 1900 წლის შემდგომ რომ არის დაწერილი: „შემიძლია ღმერთს ვუძაღლოდე და ვიხაროდე ყველაფრის გამო.“ „უცნაურია, რაც უფრო დიდხანს ვბოგინობ ამქვეყნად, ყოველივე უკეთესი მეჩვენება.“ 1907 წელი: „ავადმყოფობის შემდეგ ძალამ მიმტყუნა. მაგრამ სული უფრო და უფრო დამიამიდა.“

დავუბრუნდეთ ტოლსტოის დღიურს. 1908 წლის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „მიმიძიმს, მტკივა. ბოლო დღეებში გამუდმებით სიცხე მაქვს და თავს ცუდად ვგრძნობ. სული ძლივს მიდგას. გვედები ალბათ. დიახ, ძნელია, როცა ასეთ სულელურ, გაუმართლებელ ფუფუნებაში ცხოვრობ, მე რომ მომიხდა ცხოვრება და კიდევ უფრო ძნელია ასეთ პირობებში სიკვდილი.“

„უწინდებურად ვიტანჯები. ცხოვრება აქ, იასნაია პოლიანაში ერთიანად მოშხამულია. ხადაც არ უნდა წავიდე — ყველგან სირცხვილი და წამება...“

„ერთი რამ უფრო და უფრო მტანჯავს: ეს გაუმართლებელი უგუნური ფუფუნება სიღარიბისა და გაჭირვების გვერდიგვერდ, ყოველივე უარესდება, უფრო და უფრო მძიმე ასატანი ხდება. არ შემიძლია დავივიწყო, არ დავინახო.“

როგორ უნდა აიხსნას ეს მგზნებარე და მტანჯველი სულიერი სწრაფვანი? ვფიქრობ, რომ სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა მისი შინაგანი ჭიდილის შედეგი გახლდათ: იგი გრძნობდა გამარჯვებას ამ ჭიდილისა, რაც დროდადრო გონებას გაუნათებდა ხოლმე. მაგრამ მეორეს მხრივ, მისი ცხოვრების გარეგანი პირობები უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. აგრარული არეულობის უამს, 1905—1906 წლებში, იასნაია პოლიანას პოლიცია იცავდა განუწყვეტლად მოედინებოდა უსაქმურ სტუმართა ნაკადი. ჭორები და მოთქმამოთქმა — ყოველივე სტანჯავდა და ასე ცხოვრება აღარ შეეძლო.

ტოლსტოი ელოდა რაღაცას, რაიც უნდა მომხდარიყო და გაეთავისუფლებინა იგი ცხოვრების აუტანელ წინააღმდეგობათაგან. მაგრამ მსგავსი არაფერი ხდებოდა. პირიქით, მდგომარეობა უარესდებოდა. ცოლი, თითქოს მოპოვებულ გამარჯვებას გრძნობ-



სო, უფრო დიდი სიმშვიდით განაგრძობდა ცხოვრებას საკუთარი შეხედულების შესაბამისად, არ უწევდა რა ანგარიშს ქმრის სინდისის მოთხოვნას. ვაჟიშვილები დამოუკიდებლად ცხოვრობდნენ. მათ ცხოვრებაში მამის იდეებს ადგილი არ ჰქონდათ. ჩემი უმცროსი და ალექსანდრა ჯერ მეტიმეტად ახალგაზრდა იყო. მე და მამა ჩვენს ქმრებთან გავემგზავრებით. მამა მარტო დარჩა.

თავსდამტყდარი უდიდესი უბედურების შემდეგ დედაჩემმა ველარ ჰპოვა სიმშვიდე. იგი ყველგან ეძიებდა ამ სიმშვიდეს, მაგრამ არა იქ, სადაც შეიძლებოდა ეპოვა: მუსიკაში, მხატვრობაში, ახალ ურთიერთობაში... მაგრამ მისი ბობოქარი ბუნების ავადმყოფურ გულისტქმათა დასაცხრობად სხვა საშუალებანი იყო საჭირო. დედას არ ჰყოფნიდა მორალური ძალა, რომელიც დაეხმარებოდა საკუთარი სატანჯველი სასიკეთოდ შემოებრუნებინა. არასწორი ნაბიჯი გადადგა, როცა უარი განაცხადა ქმარს გაპყოლოდა და იმ ხნიდან დაწყებული უფრო და უფრო ასცდა ჭეშმარიტების გზას. ახლა იგი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, საკუთარ განცდებზე, წუხს იმის გამო, თუ რას იტყვიან მასზე ადამიანები.

მამა ხშირად ამბობდა: გონებრივი აშლილობა — ეს მხოლოდ გადაჭარბებული ეგოიზმი არისო.

და მართლაც დედაჩემის ფსიქიური აშლილობა სწორედ ამდაგვარი იყო. თუ ადრე იგი მზად იყო უანგაროდ მიეძღვნა საკუთარი თავი სხვებისათვის, ახლა ავადმყოფური იჭვიანობის მსხვერპლი შეიქნა: რას ამბობენ ან რას იტყვიან მომავალში? ხომ არ დაუძახებენ ოდესმე ქსანთიფას? საამისო საფუძველი კი ჰქონდა; დედას ხომ გარს ეხვივნენ ადამიანები, რომლებსაც ებრალებოდათ მისი მეუღლე, ვისაც ცოლმა ცხოვრებაში ამდენი უსიამოვნება შეაზვედრა. რაკი ეს შიში გამუდმებით სდევდა, დედამ თავისი მეუღლის ყველა ჩანაწერის გადათვალთვლება მოითხოვა. ისურვა ამოეშალათ ყველაფერი, რაც შემდგომ ცუდ წარმოდგენას შეუქმნიდა ხალხს მის პიროვნებაზე. იგი ყველგან და ყველაფერში თავს იმართლებდა, პირველ შემხვედრთანაც კი, ისეთი ადამიანების წინაშეც, ვისაც ფიქრადაც არ ჰქონიათ რაიმეში დაედანაშაულებინათ იგი. დედა დაჟინებით უხსნიდა ყველას, რატომ არ გახდა ქმრის მიმდევარი, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ეს მეუღლე აცდა სწორ გზას და თითქოს ამით ცდილობდა

გაემართლებინა საკუთარი მცდელობა ეხელმძღვანელა ქმრისთვის.

1909 წლის ზაფხულში ჩემმა დამ ალექსანდრამ დეპეშა გამომიგზავნა; სასწრაფოდ მიხმობდა იასნაია პოლიანაში. მე მაშინვე ჩავედი. დედა ლოგინად დამხვდა.

იასნაიაში მთელი დრამა გათამაშდა. მამამ გადაწყვიტა სტოკჰოლმში გამგზავრებულიყო მშვიდობის კონგრესზე მოხსენების წასაკითხად. დედა უჩვეულო სიჯიუტით აღუდგა წინ, რაკი თვლიდა, რომ გამგზავრება მამის ჯანმრთელობისათვის სახიფათო იყო. გადაწყვიტა არ გაეშვა. რაკი მამამ წინააღმდეგობა გაუწია, სულ გაოგნდა და დაიბნა. იგი ხან ჯიუტად აცხადებდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა თავისი გაეტანა, ხანაც ამბობდა, სიკვდილის მეტი რაღა დამრჩენია, ყველას ჩემი მოწამვლა უნდაო.

მე რომ ჩავედი, კრიზისი უკვე ჩავლილი იყო. იწვა მისუსტებული და მორჩილი. „ტანეჩკა, იცი, მე მეგონა, ჩემი მოწამვლა უნდოდათ. დუშანი (ექიმი მაკოვიცკი, მამაჩემის მეგობარი და მოწაფე) მაიძულებდა რაღაც მოტკბო ფხვნილები ჩამეყლაპა. საერთოდ იგი კეთილი კაცი არ არის, მაგრამ მამაშენი უყვარს. ვფიქრობდი, ჩემგან მამაშენის გათავისუფლება უნდა-მეთქი“, — დავამშვიდე, როგორც შევძელი.

ამ ფრიად უბედურმა, ავადმყოფმა, მარტოსულმა არსებამ უდიდესი სიბრაღული აღმიძრა. თუ დედა მარტო დარჩა, ამაში თავადაც მიუძღოდა ბრალი, მაგრამ განა ამის გამო ნაკლებად იტანჯებოდა? მამა სიყვარულით თავს ევლებოდა. მე გავემგზავრე, სიმშვიდე ისევ აღსდგა. ამჯერად ყოველივე მოგვარდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, არსებითად არაფერი შეცვლილა. გასაღიზიანებლად ახალ-ახალი საბაბი იჩენდა თავს, რასაც ახალი სცენები და საყვედურები მოსდევდა.

დედამ უარი განუცხადა მამას ხელნაწერის გადაწერაზე. რასაკვირველია, შემცვლელი მოიძებნა. მაშინ დედა ამ საბაბს ჩაეჭიდა: აჰა, მას იშორებენ, აღარ სჭირდებათ, ე. ი. ქმარი სხვის შემწეობას ეძებს, მაშინ როცა ადრე ყველაფერი მის ხელთ იყო. სხვა რა გზა იყო? ამ ქალს აღარ შეეძლო უწინდებურად დაინტერესებულიყო მისი მეუღლის საქმიანობით, რაც მისთვის უკვე სრულიად უცხო გამხდარიყო. მაგრამ დედა იტანჯებოდა, გული სტკიოდა, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყო, ამ დროს კი მის გვერდით ესოდენ გატაცებით საქმიანობდ-





ნენ. ბოლოს და ბოლოს ვეღარ გაუძლო და უკვე მამის ნამოღვაწევს დაუწყო ლანდვა-გინება. ასეთი ქცევით კიდევ უფრო გაიუარესა საქმე: მუშაობას მისგან მალულად განაგრძობდნენ. მისი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. როცა დედა იმ ოთახში გაივლიდა, რომელიც საბეჭდ მანქანაზე ხელნაწერის პირის გადასაღებად იყო განკუთვნილი, ალექსანდრა და მამაჩემის მდივანი სასწრაფოდ შეწყვეტდნენ მუშაობას და ჩუმდებოდნენ. ზოგჯერ კი, თავიდან რომ აეცილებინათ ახსნა-განმარტება, სულაც მალავდნენ ხელნაწერს. გამჭრიახი გონების პატრონს ვერას გამოაპარებდი და ისიც ღიზიანდებოდა. ჯერ ისევ ყმაწვილქალობისას კაცს თვალში მოხვდებოდა მისი ადვილად აღგზნებადი ბუნება, ახლა კი ეს ჩანასახი იმდენად განვითარდა, რომ სულიერ ავადობად ექცა. დედა ვეღარ ერეოდა საკუთარ თავს და მწვავე ნერვული შეტევები უფრო გაუხშირდა.

ასეთი ყოფა მეტისმეტად მძიმე ასატანი იყო მამაჩემისათვის. ვეღარც მუშაობდა, უძილობა ხშირად აწუხებდა, ხოლო ამოდენა მორალურმა ტანჯვამ მის ჯანმრთელობას დადი დააჩნია. მამა თავს ძალას ატანდა ეს სატანჯველი მიეღო, როგორც საკუთარ ცოდვათა გამოსასყიდი. ცდილობდა ეპოფა მიზენი, რათა მორჩილება გამოეჩინა. 1910 წლის 16 ივლისს მამა დღიურში წერს: „მადლობის მეტი რა მეტქმის ღვთის მიმართ, ასე მსუბუქად რომ მსჯის.“

1910 წლის ზაფხული, თავისი უკანასკნელი ზაფხული, რომლის თვითეული დღე მისთვის ახალი სატანჯველის მომტანი იყო, მამამ თითქმის მთლიანად სხვაგან გაატარა და არა იასნაია პოლიანაში. მაისში ჩემთან იყო სტუმრად კოჩეტებში — ჩემი ქმრის მამულში, ივნისში ჩერტკოვს ეწვია, რომელიც იმჟამად მეშჩერსკოეში ცხოვრობდა, იჯარით აღებულ კარ-მიდამოში. თავის მეგობართან ყოფნის დროს მამაჩემი ცდილობდა გარკვეულიყო შექმნილ ვითარებაში და გზა ეპოფა. „უნდა ვცადო და სონიას შეგნებულად შევებრძოლო სიკეთით, სიყვარულით. შორიდან ეს შესაძლებელი მეჩვენება. შევეცდები მის გვერდით მყოფმაც შევასრულო“, — წერს მამა დღიურში. „განგებამ გვარგუნა ერთი, მაგრამ სამაგიეროდ აუწყავი სიკეთე სიყვარულისა. მხოლოდ გიყვარდეს და ყველაფერი სიხარულის მომნიჭებელია — ცაც, ხეებიც, ადამიანებიც და საკუთარი თავიც. ჩვენ კი ბედნიერებას

ყველგან ვეძიებთ, ოღონდ არა სიყვარულში.“

მეშჩერსკოეში მამამ ცოლისაგან დედასა მიიღო. იგი უხმობდა, ვეღარებოდა, დაბრუნდიო. მამაც დაბრუნდა. „იმაზე უარესი ვიხილე, ვიდრე მოველოდი. ისტერიკა, ისეა გაღიზიანებული, ენა ვერ იტყვის.“

ეს უბედურება საკმარისი არ აღმოჩნდა. უარესი ჭირი დაესართა. ჩემი ძმა ლიოვა ჩაერია მშობლების საქმეში და მამის ბრალმდებლისა და დედის დამცველის როლი იტვირთა.

დღე დღეს მისდევდ. მამა ინიშნავდა უბის წიგნაკში, როგორ ვითარდებოდა მოვლენები და როგორ იცვლებოდა ცოლის მდგომარეობა. ჩანაწერები მოწმობენ, რომ დედაჩემის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. „სონია ისევ გაღიზიანებულია, ისტერიულ მდგომარეობაშია. ძალიან მიმძიმს.“ „სონია ისევ აღგზნებულია და ისევ იგივე კარმხრივი ტანჯვა-წამება.“ „საშინელი ღამე — უღმობელი და მძიმე სენი.“

როგორც ვხედავთ, მამაჩემი დედას ისე უყურებდა, როგორც სნეულს. მაგრამ მრავალნი და მათ შორის ექიმი მაკოვიცკი მიიჩნევდნენ, რომ იგი თვალთმაქცობდა, თორემ სავსებით ნორმალური ადამიანია, ხოლო მისი ვითომდა ისტერია მხოლოდ ხერხია საკუთარი მიზნის მისაღწევად. სწორედ მაშინ, 1910 წლის ივლისში მამამ შეადგინა თავისი ბოლო ანდერძი, რომელიც შემდგომ აღასრულა კიდევ.

მამას ერთი ანდერძი უკვე დაწერილი ჰქონდა მეშჩერსკოეში ჩერტკოვთან ყოფნის დროს. ამ აქტის თანახმად იგი თავის ყველა ნაწარმოებს უკლებლივ საერთო საკუთრებად აცხადებდა. მაგრამ იურისტმა მიუთითა, ასეთი ანდერძი ვერ აღსრულდება, რადგან კანონი მემკვიდრის დანიშვნას მოითხოვსო. მამამ გადაწყვიტა თავის მემკვიდრედ უმცროსი ქალიშვილი ალექსანდრა აერჩია, ხოლო თუკი მე უფრო მეტხანს ვიცოცხლებდი, იმ შემთხვევაში მემკვიდრე მე შევიქნებოდი. საშას და, აუცილებლობის შემთხვევაში, მე უნდა გადაგვეცა მამის ყველა ნაწარმოები საერთო სარგებლობისათვის. განსაკუთრებულ დანართში მამა ჩერტკოვს ავალებდა რედაქტორობა გაეწია ყველა ხელნაწერისათვის.

დედაჩემისათვის არაფერი უცნობებიათ. მაგრამ ის ამბავი, რომ რაღაცას ბოლომდე არ ამბობდნენ, რაღაც მინიშნებებმა, წინათგრძნობამ ექვი აღებინა, რომ ანდერძი



არსებობდა. მას არც დღისით და არც ღამით არ შეუწყვეტია თავისი იტყვიების ნივთიერ მტკიცებათა ძიება.

ასე და ამგვარად, მამას, ვისაც ადრე არაფერი ჰქონია დამალული ცოლისაგან, ახლა საიდუმლო ჰქონდა და უნდოდა როგორმე გადაერჩინა ეს საიდუმლო. ამის გამო მეტისმეტად მძიმე დღეში ჩავარდა. მამა უმაღლავდა ხელნაწერსა და დღიურს, დედა კი მთელ თავის ენერგიას იმაზე ხარჯავდა, რათა ამოეხსნა ეს საიდუმლო — საიდუმლო თავისი მეუღლისა; იგი კართან მდგარი ჩუმად უგდებდა ყურს, როცა მამა ვინმეს ესაუბრებოდა, ხოლო როცა მამაჩემი ოთახში არ იყო, მის ქაღალდებში იქექებოდა.

მაშინ მამამ ახალი დღიური გაიჩინა. „მხოლოდ ჩემთვის“ — ასე ეძახდა ამ დღიურს. მცირე ზომისა იყო და შეეძლო დაემალა: სულ თან დაატარებდა, ხან უბეში ჩაიდებდა, ხანაც ჩექმის ყელში ჩაიჩურთავდა. მართალია, მამას დიდად გაუჭირდა, მაგრამ ბოლოს მაინც შეეგუა იმ ამბავს, რომ ამ დღიურის პირსაც მაშინვე იღებდნენ, ჯერ კიდევ მეღანაშეუმშრალს. იგი წერს: „დიახ, უკვე აღარ მაქვს დღიური, გულწრფელი, უბრალო დღიური. სხვა უნდა გავიჩინო.“

ამ მეორე დღიურის წარმოება ტოლსტოიმ 1910 წლის 29 ივლისიდან დაიწყო. „ვიწყებ ახალი დღიურის წერას, ნამდვილი დღიურისას მხოლოდ ჩემთვის. ერთი რამ უნდა ჩავინიშნო: თუ ზოგიერთი მეგობრის იტყვიები სამართლიანია, მაშინ მას (ს. ა.) ახლა მიზნის მისაღწევად ალერსის გზა აურჩევია. აი უკვე რამდენიმე დღეა ხელზე მკოცნის, რაც ადრე არასოდეს გაუკეთებია. აღარც სცენებს მიმართავს და არც სასოწარკვეთილია. მომიტევეთ, უფალო და კეთილო ადამიანებო, თუ ვცდები. მე კი სულ იოლად შეიძლება შევცდე, გადავიხარო სიკეთისა და სიყვარულისაკენ. სავსებით გულწრფელად შემიძლია ამ ქალის სიყვარული.“

მეორე დღეს მამა წერდა: „ჩერტკოვმა ბრძოლაში ჩამითრია. ეს ბრძოლა ჩემთვის მძიმეც არის და გულისამრევიც.“

როგორც კი ანდერძი დაწერა, ლევ ნიკოლაევიჩს ეჭვი არ ასვენებდა, სულ საკუთარ სინდისს ეკითხებოდა: კარგად მოვიქეციო თუ ცუდად? ორ აგვისტოს მამა წერს: „გუშინ პოშას ვესაუბრე და მან ფრიად მართებულად მითხრა, შენ იმაში ხარ დამნაშავე, ანდერძი საიდუმლოდ რომ დაწერეო. ეს ან აშკარად უნდა გაგეკეთებინა, განგეცხადებინა მათთვის, ვისაც ეხებო-

და ან ყველაფერი ისე დაგეტოვებინა, როგორც იყო — არაფერი გაგეკეთებინა. იგი სავსებით მართალია, ცუდად მოვიქეცი და ახლა ვზღავ. ცუდი ვქენი, რომ მაღულად ვიმოქმედე, რაკი წინასწარ დავუშვი, ჩემი შემკვიდრები ცუდი ბუნებისანი აღმოჩნდებიან-მეთქი და რაც მთავარია, უდაოდ ცუდი ვქენი, რომ ანდერძი წესის მიხედვით შევადგინე და, მაშასადამე, ჩემს მიერ უარყოფილი მთავრობის დაწესებულებით ვისარგებლე. უკვე ნათლად ვხედავ, რომ ყველაფერში, რაც ახლა ხდება, მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. ყველაფერი უწინდებურად უნდა დამეტოვებინა და არა გამეკეთებინა რა. საეჭვოა, რომ ჩემი ნაწერების გავრცელებამ გამოისყიდოს ის უნდობლობა, რაიც უნდა გამოიწვიოს ჩემმა არათანმიმდევრულმა საქციელმა.“

იმავე ორ აგვისტოს მამა დღიურში წერს: „ძალზე, ძალზე კარგად შევიგნე ჩემი შეცდომა. უნდა შემეკრიბა ყველა შემკვიდრე და გამემხილა საკუთარი განზრახვა. არა, ასე ჩუმად არ უნდა შემოქმედა. მე ეს ჩერტკოვს მივწერე. მას გული დაწყდა.“

ჩერტკოვმა მამას გრძელი წერილით უპასუხა. ეს პასუხი გამოქვეყნდა გოლდენევიჩის წიგნში. ამ წიგნის გამოქვეყნება გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი დავარდვიო მღუმარება. ჩერტკოვის წერილი თერთმეტ ნაბეჭდ გვერდს მოიცავს.

ამ დოკუმენტში ჩერტკოვი ყბედობს იმის თაობაზე, „რაზე ფიქრობდა გრაფის მეუღლე ტოლსტაია.“ იგი ააშკარავებს, თუ „რას უპირებს ეს ქალბატონი თავისი ქმრის ნაწარმოებებს“. ჩერტკოვი თითქოს წინასწარ ხედავს, რას უპასუხებდნენ ეს ქალბატონი და ზოგიერთი მისი ვაჟიშვილი ტოლსტოის მეგობრებს, როცა ისინი პრესაში გამოაცხადებდნენ, რომ სურთ თავისი მასწავლებლის თხზულებათა გამოცემა. ჩერტკოვი აღწერს, როგორ იქნევა მამის დაუმთავრებელ მოთხრობას — „ყალბი კუპონი“ — ტოლსტოის ერთი ვაჟიშვილი და გაჰყვიროდა, ამ ყალბი კუპონიდან „ასი ათას ნაღდ ოქროს ამოვსოლაო“. როცა ძმას ვკითხე, გადაჭრით უარყო, მსგავსი არაფერი თქმულა და არც მომხდარაო.

მამაჩემი ძალიან შეურაცხყო იმან, რაც ჩერტკოვმა დაწერა მის ოჯახზე. უბის წიგნაკში ჩანიშნული აქვს: „ჩერტკოვისაგან დიდი წერილი მივიღე, სადაც აღწერილია ადრინდელი ამბები. გული მეტკინა, მძიმე იყო წასაკითხადაც და მოსაგონებლადაც.“



იგი სავსებით მართალია, მის წინაშე დამნაშავედ ვგრძნობ თავს. პოშა არ იყო მართალი. წერილს ერთსაც გავუგზავნი და მეორესაც.“

მამა ჩერტკოვს პასუხობს: „თქვენმა წერილმა ორი მთავარი გრძნობა აღმიძრა: შემეზიზნა ის უხეში ანგარება და გამოვლენა უგრძნობელობისა, რასაც მე ან ვერ ვხედავდი ან ვხედავდი და გადამაფიწყდა. შევწუხდი და ვინანე, გული რომ გატკინეთ ჩემი წერილით“. (ეს წერილი მე არ ვიცი). მამა იქვე დასძენს, რომ მაინც უკმაყოფილოა იმით, რაც ჩაიდინა. „... ვგრძნობ, რომ შეიძლებოდა უკეთ მოვქცეულიყავ, თუმცა არ ვიცი კი, როგორ.“

როგორც კი დედაჩემს ეჭვი გაუჩნდა, ანდერძის სულისჩამდგმელი ჩერტკოვი არისო, მაშინვე შეიძულა ჩერტკოვი, ეჭვიანობდა მასზე. ეს გრძნობა აეკვიატა, გონი დააკარგვინა და ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მოსთხოვა ლევ ნიკოლაევიჩს, ჩერტკოვთან ყოველგვარი ურთიერთობა შეეწყვიტა. უკეთუ ჩემს სურვილს წინ აღუდგებოდა, თავს მოვიკლავო, განუცხადა. მამამ დაუთმო, მაგრამ სისუსტით კი არ მოსვლია, მოვალეობის გრძნობამ დაათმობინა.

ის ამბავი, რომ მამა არ უნდა შეხვედროდა თავის მეგობარს, მხოლოდ გულსატკენი როდი იყო მისთვის. ეს მთელ რიგ უხერხულობებთან და სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ტელიატინკიში, იასნაიადან სამიოდ კილომეტრზე, დღედაღამ მუშაობდნენ, ლევ ნიკოლაევიჩის თხზულებებს გამოსაცემად ამზადებდნენ. ნაცვლად იმისა, რომ ენახა და საქმეები სიტყვიერად გადაეწყვიტა, მამას ახლა ყველაფრის გამო უნდა მიეწერა. ეს ნამალევი მიწერ-მოწერა დედასაც უდიდეს სატანჯველს აყენებდა. ჩერტკოვი, თუმცა არ მოდიოდა, დედა მაინც ვერ დამშვიდდა. ეჭვი ჰქონდა, რომ ისინი ნამალევად ხვდებოდნენ ერთმანეთს და დედაც ქმრის თვითნებულ ნაბიჯს უთვალთვალეობდა.

ლევ ნიკოლაევიჩი ხუთ აგვისტოს დღიურში წერს, იმ დღიურში, ჩექმის ყელში რომ ინახავდა: „სირცხვილია, თავსლაფისდასხმაა, სასაცილო და გულსატკენია, თავს რომ ვარიდებ ჩერტკოვს. გუშინ დილით (ს. ა.) მეტად საცოდავი იყო, უბოროტო. მიხარია ყოველთვის, როცა ასეთს ვხედავ — რა ადვილია ჩემთვის მისი შებრალება და სიყვარულიც, როცა თვითონ იტანჯება, სხვებს კი არ აგდებს სატანჯველში.“ ახლა ვნახოთ, მეორე დღეს რას ფიქ-

რობს: „ახლა შევხვდი... სოფია ანდრეევნას, სწრაფი ნაბიჯით მოდიოდა, საშინლად აღელვებული. შემეცოდა ძალიან. შინაურებს ვუთხარი, ჩუმად მიადევნეთ თვალი, საით წავიდა-მეთქი. საშამ კი მითხრა: უმიზნოდ როდი დაიარება, შენ გყარაულობსო. სიბრალული გამინელდა. ამაში არის უკეთურება და მე ჯერ კიდევ არ შემიძლია გულგრილი ვიყო — იმ აზრით, რომ არ შემიძლია უკეთურება მიყვარდეს. ვფიქრობ, დავტოვო წერილი და გავემგზავრო. მგონია, მისთვის ასე უკეთესი იქნება.“

„მისთვის ასე უკეთესი იქნება,“ — აი ერთ-ერთი მიზეზი მამაჩემის შინიდან წასვლისა რამდენიმე კვირის შემდეგ. იგი ფიქრობდა, რომ ავადმყოფ ქალს ეს არგებდა. თანაც ფუფუნებით ცხოვრება იასნაია პოლიანაში, ცხოვრების პირობები, მისთვის მიუღებელი მას შემდგომ, რაც იგი მეორედ დაიბადა, ძნელი ასატანი იყო ოთხმოცდორი წლის ბერიკაცისათვის, რომელსაც უკვე სხვა ინტერესები არა ჰქონდა, გარდა ვანყენებული რელიგიური ინტერესებისა.

1910 წლის 20 აგვისტოს იგი წერს: „ამ დღის საუფლოს ხილვა ისე მტანჯავს, ვფიქრობ გავიქცე, დავიშალო.“

მამა ძალზე ხშირად შურით ლაპარაკობდა ინდოელებზე, სიბერეში რომ მოწყდებოდა ქვეყნიერებას და მარტონი ცხოვრობენ. იგი დიდი ხანია ჩუმად ელოლიავებოდა თცნებას: სიცოცხლის დარჩენილი დღეები სიღარიბეში გაეტარებინა, ირგვლივ უბრალო ხალხი შემოეკრიბა, ის ხალხი, გულით რომ უყვარდა.

აგვისტოში იასნაიაში ჩავედი, რათა მამა კოჩეტიში წამეყვანა, მინდოდა ჩვენსა დაესვენა: ბოლო თვეებში ხომ მოუსვენარი ცხოვრება არგუნა ბედმა. როგორც კი ჩავედი, დედამ მთელი თავისი მოხერხებულება გამოიყენა, რომ თვითონაც წამოგვყოლოდა.

იგი ხან თავის ავადობას იმიზეზებდა, ხანაც აღშფოთდებოდა, სად გაგონილა, ცოლს ქმარი მოაშორონ, რათა მან დაისვენოსო. „დაისვენოს? რისგან? ჩემი სიყვარულისაგან? ჩემი ზრუნვისაგან? რას იტყობდი, შენი მეუღლე რომ წაეყვანათ, რათა მას შენგან დაესვენა?!“ დედამ ყოველი ღონე იხმარა. ერთხელ, როცა მამაჩემთან ვიყავი კაბინეტში, შემოვიდა და თვალცრემლიანმა დაგვიწყო მუდარა: მეც თან წამიყვანეთო. მარტო დარჩენის ეშინოდა. საზეიმოდ შემოგვფიცა, მამას არ შეაწუხებდა. მოხდა ის, რაც უნდა



მომხდარიყო! შეგვებრალა და დავთანხმდით. იმავე დღეს, 1910 წლის 14 აგვისტოს მამაჩემი წერდა: „სულ უარესად და უარესად არის. უთენია გამოვარდა... შემდეგ რაღაც საშინელებას ყვებოდა, თქმაც მიმძიმს... მოვითმენ. ღმერთო, მიშველე! ყველა გააწამა და ყველაზე მეტად საკუთარი თავი. მოემგზავრება ჩვენთან ერთად.“

და ჩვენ ექვსნი გავემგზავრენით: მამა, დედა, ჩემი და ალექსანდრა, ექიმი მაკოვიცკი, მე და მამაჩემის ბოლო მდივანი ბულგაკოვი. ვიდრე ჩვენსა იყვნენ, ყველაფერი კარგად მიედინებოდა. ორ კვირაში დედაჩემი იასნაიაში დაბრუნდა, საქმეების გამო უხმეს. მამა მაშინვე შეაწუხა უმისობამ. „გამგზავრების წინ გულისამაჩუყებლად მთხოვა პატიება. ძალიან მიყვარს და ამ სიყვარულს საფუძვლად სიბრალული უდევს. სონიას გულითადი წერილი გაეფუნჯა.“

აი, ეს წერილიც: „შენ ძალზე ამიჩუყე გული, ძვირფასო სონია, გამოთხოვების უამს ისეთი კარგი და გულწრფელი სიტყვები. მითხარი. რა კარგი იქნებოდა, იმის დათრგუნვა შეგეძლოს, არ ვიცი, როგორ ვთქვა, აი იმის, რაიც შენს არსებაში შენვე გაწვალე. რა კარგი იქნებოდა შენთვისაც და ჩემთვისაც. მთელი საღამო მოწყენილი და სასოწარკვეთილი ვარ. გამუდმებით შენზე ვფიქრობ. ვწერ იმას, რასაც ვგრძნობ და არ მინდა ზედმეტი მოგწერო რაიმე. მომწერე, გთხოვ. შენი მოსიყვარულე ქმარი ლ. ტ.“

დედა გაემგზავრა, მაგრამ მამას ცნობებს აწვდიდნენ. როგორც იასნაია პოლიანადან, ასევე ტელიატინკიდან, მისი დღიურის ასლებთან ერთად, ანგარიშსაც უგზავნიდნენ სოფია ანდრეევნას სიტყვასა თუ საქციელზე. მამა ღელავდა. დაბეჭდვები კი გრძელდებოდა. „იასნაიადან მიღებული წერილები საშინელებაა“, — ჩაწერილი აქვს მამას უბის წიგნაკში.

სამ ოქტომბერს მამას გულმა შეუტია, რასაც თან კრუნჩხვებაც დაერთო. დედას ეგონა, აღსასრულის დღე დაუდგაო. იგი განადგურებული იყო, უცებ აეხილა თვალი და დაინახა ყველაფერი, რაც ხდებოდა. თავი დამნაშავედ აღიარა, მიხვდა, რომ ქმრის ავადმყოფობაში ყველაზე მეტად თვითონ იყო ბრალეული. იგი ხან ქმრის საწოლთან მუხლებზე დაჩოქილი ეხვეოდა მას კრუნჩხვამორეულ ფეხებზე, ხან მეზობელ ოთახში გარბოდა, იატაკზე დაეცემოდა, შეშინებული ლოცულობდა, ხურვები-

ანივით იწერდა პირჯვარს და ჩურჩულებდა: „ღმერთო, ღმერთო, მაპატიე! დიახ, ეს მე ვარ დამნაშავე! ღმერთო! მხოლოდ ჯერ ნუ, ჯერ ნუ!“

მამამ გაუძლო შეტევას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მოიხარა და ნათელ თვალებში უფრო მეტი სევდა ჩაუდგა.

შემდგომ მდგომარეობა უფრო და უფრო გაუარესდა. 25 ოქტომბერს, წასვლამდე სამი დღით ადრე, მამა წერს: „ისევ იგივე მძიმე შეგრძნებანი, ეჭვები, თვალთვალი და ცოდვილი სურვილი, რათა მან (ს. ა.) საბაბი მომცეს გასამგზავრებლად. ასეთი ცუდი კაცი ვარ. მაგრამ როგორც კი წასვლას განვიზრახავ, მისი მდგომარეობაც მაფიქრებს, მებრალება და არც შემიძლია...“ იმავე დღეს წერს: „მთელი ღამე მესიზმრება ჩემი და მისი გააფთრებული ომი. გამეღვიძება, ჩამეძინება და ისევ იგივე მეორდება.“

კიდევ ორი დღე და 28 ოქტომბერს, შუაღამეს, მამას ის ტკივილი მიაყენეს, რომელსაც ელოდა და მანაც სამუდამოდ დასტოვა იასნაია პოლიანა.

აი, როგორ აღნიშნავს ამ მოვლენას თავის დღიურში: „1910 წლის 28 ოქტომბერი. დავწეჭი თორმეტის ნახევარზე, მეძინა სამ საათამდე. გამეღვიძა და ისევ, როგორც წინა ღამეებში, კარის გაღებისა და ნაბიჯის ხმა გავიგონე. წინა ღამეებში არ გამიხედავს კარისაკენ, ახლა გავიხედე და ღიობში დავინახე, კაბინეტში შუქი კაშკაშებს, რაღაც შარიშურის ხმაც მესმის. ეს სოფია ანდრეევნა ეძებს რაღაცას ალბათ, კითხულობს, ისევ ნაბიჯის ხმა, ფრთხილად გამოღება კარისა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამან შეუთქავებელი ზიზღისა და აღშფოთების გრძნობა აღმიძრა. დაძინება მინდოდა, ვერ შევძელი. მთელი საათი ვიტრიალე, ავანთე სანთელი და წამოვჯექი. კარი შემოაღო და შემოვიდა სოფია ანდრეევნა: ხომ ჯანმრთელად ბრძანდებითო, გაუკვირდა, სინათლე რომ დაინახა ჩემს ოთახში. ზიზღი და აღშფოთება მატულობს, სუნთქვა მეკვრის, ვითვლი მაჯას — 97. აღარ შემიძლია დავწვე და უცებ საბოლოო გადაწყვეტილება ვიღებ: გავემგზავრო. ვწერ წერილს. ვიწყებ ყველაზე აუცილებელი ნივთების ჩალაგებას; ოღონდ კი წავიდე. ვალვიძებ ღუშანს, შემდეგ საშას, მგხმარებიან ბარგის ჩალაგებაში. მაკანკალებს იმის გაფიქრებაზე, რომ გაიგონებს, გამოვა — სცენები, ისტერიკა, დავიდარაბის გარეშე ვერც აწი წავალ. მეექვსე საათი დაიწყო — ყველაფერი ასე თუ ისე გამზადე-



ბულია. მივდივარ საჯინიბოში, რათა ვუბრძანო ცხენები შეაბან... იქნებ ვცდები, თავს რომ ვიმართლებ, მაგრამ მგონია, თავი გადავირჩინე, არა ლევ ნიკოლაევიჩი, არამედ ის, რაიც ზოგჯერ და თუნდაც სულ მცირედ არის ჩემს არსებაში.“

ბოლო ნაწყვეტი შეიძლება შეუდაროთ ანდერძის პროექტის იმ სიტყვებს, რომელიც ტოლსტოიმ მოხაზა დღიურში 1895 წლის 27 მარტს: „იყო დრო, როცა ვგრძნობდი, რომ ღვთის ნების აღმსრულებელი ვხდებოდი. ეს იყო ჩემი ცხოვრების უბედნიერესი წუთები.“

მე არ გახლდით იასნაიაში არც 27, არც 28 ოქტომბერს. ოცდარვაში საღამოს ჩემი დისაგან, ალექსანდრასაგან, დეპეშა მივიღე: „დაუყოვნებლივ ჩამოდი.“ მაშინვე გავემგზავრე. სადგურ ორიოლში ნაცნობმა კარისკაცმა მამაჩემისათვის განკუთვნილი ორი დეპეშა გადმომცა, ერთში ეწერა: „დაბრუნდი რაც შეიძლება სწრაფად. საშა.“ და მეორე: „არ შეეგეშინდეს, ნამდვილია ის დეპეშები, რომელსაც ხელს აწერს ალექსანდრა.“

მივხვდი, რომ პირველი დეპეშა ყალბი იყო. დილით იასნაიაში ჩავედი. იქ სრული დაბნეულობა მეფობდა. ლიოვას გარდა, რომელიც იმხანად პარიზში იყო, ყველა ძმა ჩამოსულიყო. დედის მდგომარეობა სახიფათო იყო. როცა ოცდარვაში, დილით, მამაჩემის დატოვებული წერილი გადასცეს, დედა სახლიდან გაიქცა და გუბურაში ჩაფარდა. გადაარჩინეს. ამის შემდეგ რამდენჯერმე სცადა თავის მოკვლა. როცა დარწმუნდა, გამუდმებით მითვალთვალებენ და თავის მოკვლას ვეღარ მოვახერხებო, განაცხადა, რომ „შიმშილით ამოიხდიდა სულს.“

ეს საშინელი დღეები იყო. თვითუღმა ჩვენთაგანმა მისწერა წერილი მამას. მამამ 1910 წლის 31 ოქტომბერს გვიპასუხა: „დიდად მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო კარგო მეგობრებო, კეთილო მეგობრებო, სერიოზუა და ტანია, ასე რომ განიცდით ჩემს უბედურებას. მადლობელი ვარ თქვენი წერილების გამოც. შენი წერილი, სერიოზუა, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო. მოკლე, ნათელი, შინაარსიანი და რაც მთავარია, კეთილი. არ შემიძლია არ მეშინოდეს ყველაფრისა და ვერც პასუხისმგებლობას მოვიხსნი. მაგრამ სხვაგვარად მოქცევა ვერ შევძელი. მე ვწერდი წერილებს საშას ჩერტკოვის მეშვეობით და ვსთხოვდი ეცნობებინა თქვენ-

თვის, ბავშვებისათვის ყოველივე. წაიკითხეთ. მე ვწერდი იმას, რასაც გულით ვგრძნობდი, რომ სხვაგვარად მოქცევა არ შემიძლია. მე მასაც მივწერე — დედასაც ისიც გაჩვენებთ. ყოველივე კარგად ავწონდავწონე და ისე მივწერე. ჩვენ ახლა მივმგზავრებით. ჯერ არ ვიცით საით. ჩემს ამბავს ყოველთვის გაცნობებთ ჩერტკოვის მეშვეობით.

მშვიდობით. გმადლობთ, საყვარელო ბავშვებო, და მაპატიეთ, რომ ასეა თუ ისე, მე ვარ თქვენი ტანჯვის მიზეზი. განსაკუთრებით, შენ, ჩემო კარგო, ჩემო მტრედო, ტანეჩკა. აი, ყველაფერი. ვჩქარობ გავემგზავრო ისე, რომ დედამ არ მომისწროს, მასთან შეხვედრა ახლა საშინელება იქნებოდა. მეშინია. მაშ ასე, მშვიდობით. დილის 4 საათია. შამარდინო.

ლ. ნ.“

ალექსანდრას გარდა არავინ იცოდა, სად იმყოფებოდა მამა. ალექსანდრა მასთან გაემგზავრა, ჩვენ კი სიტყვა მოგვცა, თუ მამა ავად გახდება, უსათუოდ გაგაგებინებთო. ჩემი ძმა სერგეი მოსკოვს დაბრუნდა. მისი გამგზავრების შემდეგ ყოველივე უფრო გულისმომწყვლევი გამოჩნდა, ხოლო ის, რაც გველოდა, კიდევ უფრო საშიში. მე ეჭვიც არ მეპარებოდა, მამა უსათუოდ დაიღუპებოდა, როგორც კი ცხოვრების პირობებს შეიცვლიდა.

დედის მდგომარეობაც დარდად მაწვა გულზე. პირადად თვითონაც მენანებოდა, მაგრამ თუ დედა თავის მოკვლას მოახერხებდა, მამა ვეღარასოდეს ვეღარ პოვებდა ვერც სიმშვიდესა და ვერც ბედნიერებას და ამიტომაც უფრო ვწუხდი. მოწვეული ფსიქიატრი და მოწყალეების და მის საწოლს არ შორდებოდნენ.

ალექსანდრას გამგზავრებიდან რამდენიმე დღე გავიდა, ჩემთან მოვიდა ბულგაკოვი, ჩერტკოვთან რომ ცხოვრობდა ტელიატინკიში და საიდუმლოდ მაცნობა, მამა ავად შეიქნა და ჩერტკოვი მასთან გაემგზავრაო.

— სად არის ავადმყოფი?


— ჩერტკოვმა ამიკრძალა თქმა.

— შორს არის? რუსეთშია? საზღვარგარეთ?

ბულგაკოვს შეკითხვები დავაყარე, მაგრამ არაფერს მპასუხობდა, რადგან ასე ჰქონდა ნაბრძანები.

— ნუთუ ჩერტკოვს არ ესმის, რომ ჩემ-





თვის აუცილებელია ამის ცოდნა? მაშ, რად არ დაგროთოთ ნება, რომ გეთქვათ?

— არ ვიცი, — მიპასუხა ბულგაკოვმა და ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ვერაფერი გამიგიაო. — მაიძულა ფიცი მიმეცა, რომ არავის გავუმხელდი საიდუმლოს, რომელიც მხოლოდ მე გამანდო.

ადვილი წარმოსადგენია, რა ღამე გამითენდა ამ ცნობის შემდეგ.

მამა სადღაც ახლოს მიკვდება, მე კი არ ვიცი მისი ადგილსამყოფელი, არ შემიძლია მოვუარო. ვინ იცის, ეგების ველარც კი ვნახო. მომცემენ კი ნებას თუნდაც თვალი შევაგლო უკანასკნელად სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარეს? უძილო ღამე. ნამდვილი ჯოჯოხეთი. და მთელი ღამე მეზობელი ოთახიდან ჩემამდე აღწევდა დედის გაბმული ქვითინისა და კვნესის ხმა. დილით რომ ავდექი, ჯერ არ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, რა გადამეწყვიტა. მაგრამ აღმოჩნდა ვინმე უცნობი, რომელმაც შეიბრალა ლევ ტოლსტოის ოჯახი. მან დეპეშა გამოგვიგზავნა: „ლევ ნიკოლაევიჩი ასტაპოვოშია — სადგურის უფროსთან. სიცხე 40° აქვს“. სიკვდილამდე მადლობელი ვიქნები „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტის, ორლოვისა.

გავადვიძე დედა და ძმები. გავემგზავრეთ ტულაში. ასტაპოვოში მხოლოდ ერთი მატარებელი დადიოდა დღეში. იმ მატარებელს ველარ მივუსწართ და ამიტომ საგანგებო მატარებელი შევუკვეთეთ.

იასნაიდან გამომგზავრების წინ დედამ ხურვებიანის სისწრაფით ყველაფერზე იფიქრა. ყველაფერზე იზრუნა. თან წამოიღო ყველა ნივთი, რომლებიც შეიძლებოდა მამას დასჭირვებოდა, არაფერი დავიწყნია. მაგრამ თუ გონება ნათელი ჰქონდა, გულში სიკეთე არ ედო. იმ დღეებში ჩვენ, მისი შვილები, ვბრაზობდით მასზე და ვკიცხავდით, რადგან ვხედავდით, რომ მიზეზი ყოველივესი, რაც მოხდა, დედა იყო. რაკი მონაწიეების ნიშანწყალი ვერ შევნიშნეთ, ვერც პატიება შევიძელით.

ასტაპოვოში ჩვენი ვაგონი ჩამოხსნეს და სათადარიგო ხაზზე დააყენეს. ვაგონში მოვეწყვეთ და გადავწყვიტეთ იქ გვეცხოვრა, ვიდრე ეს საჭირო იქნებოდა. დედას რომ არ დაეუბნებინა, მამასთან მიმიშვითო, გამოვაცხადეთ, რომ ჩვენც არ მივდიოდით. მხოლოდ ჩემი ძმა სერგეი შედიოდა მამასთან. სერგეის ალექსანდრამ უხმო. მერე მამას შემთხვევით გაუგია, რომ მეც იქ ვი-

ყავი და უკითხავს, რად არ შემოდისო. მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრული გავიქეცი სადგურის უფროსის პაწია სახლისაკენ. მეშინოდა, მამა დედაჩემის ამბავს მკითხავს და რა ვუპასუხო-მეთქი. ჩემს სიცოცხლეში მამაჩემისათვის ტყუილი არ მითქვამს და ვიცი, რომ ასეთ მღელვარე წუთებშიც ვერ დაუშალავდი სიმართლეს.

როცა შევედი, სრულ გონებაზე იყო. რამდენიმე ალერსიანი სიტყვა მითხრა და შემდეგ მკითხა: „დედასთან ვინ დარჩა?“ კითხვა ისე იყო დასმული, რომ შემეძლო მეპასუხა და ჭეშმარიტებისთვისაც არ მეღალატნა. ვუთხარი, დედასთან ვაყიშვილები არიან, კიდევ ექიმი და მოწყალეების დაამეთქი. დიდხანს მეკითხებოდა, სურდა, ყველა წვრილმანი სცოდნოდა. ამ თემაზე ლაპარაკი ხომ არ გადელვებს-მეთქი, ვკითხე, ჯიქურ შემაწყვეტინა: „განაგრძე, განაგრძე, რა უნდა იყოს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი?“ და ასე დედაჩემის ამბავს დიდხანს და გამოწვლილვით მეკითხებოდა.

შემდგომ უკვე თავისუფლად შევდიოდი მამასთან და წილად მხვდა ბედნიერება ხშირად მენახა მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში. ძალიან მინდოდა დედაჩემისათვის ეხმო, ისე გულით მეწადა, რომ შერიგებოდა სიკვდილის წინ. ჩემს აზრს ალექსანდრაც იზიარებდა, მაგრამ ნათელი იყო: მამას ეშინოდა მასთან შეხვედრისა. ბოდავდა: „გაქცევა, გაქცევა...“ ანდა: „ღამედევნება, დამედევნება“. ფანჯარაზე ფარდა ჩამოგვაფარებინა, რადგან ელანდებოდა, რომ იქიდან ვილაც ქალი უთვალთვალავდა. დეპეშა მიკარნახა ვაყიშვილების სახელზე, რომლებიც ვითომდა დედასთან იყვნენ იასნაია პოლიანაში, ასე ეგონა მას. „მდგომარეობა გამიუმჯობესდა, მაგრამ გული ისე სუსტად მაქვს, რომ დედასთან შეხვედრა ჩემთვის დამლუბველი იქნება.“

ერთხელ, მის გვერდით რომ ვმორიგეობდი, დამიძახა და მითხრა: „ბევრი რამ ბრალდება სონიას. ცუდად დავიჭირეთ თადარიგი.“ მღელვარებამ სუნთქვა შემიკრა. მინდოდა ნათქვამი გაემეორებინა, რათა დავრწმუნებულიყავ, რომ სწორად გავიგე მისი სიტყვები: „რა თქვი, მამა? რომელი სო... სოდა?“ და მან გაიმეორა: „სონიას, სონიას ბრალდება ბევრი რამ.“

„გინდა მისი ნახვა? გინდა სონიას ნახვა?“ ვკითხე, მაგრამ უკვე გონებადაკარგულს აღარაფერი გაუგონია. მე ვერ მი-



ვიღე პასუხი — არც პო უთქვამს, არც არა. ველარ გავბედე შეკითხვის გამეორება, მე-შინოდა არ ჩამეჭრო ძლივს მბუხუტავი ცეცხლი.

დედის საქციელი ძნელი გასაგები იყო. ხან უცებ განაცხადებდა, გიჟი ხომ არა ვარ, თვითონაც მესმის, ჩემი დანახვა მისთვის სასიკვდილო ლახვარი იქნებაო, ხანაც იტყოდა: უარესი რა უნდა მოხდეს, ასეა თუ ისე, მეტად ველარასოდეს ველარ ვნახავო. ხან ატირდებოდა, ჩიოდა: „ერთი მითხარით, მე ვიცხოვრე მის გვერდით ორმოცდარვა წელიწადი და ახლა როცა კვდება, შეიძლება მე არ ვუვლიდე?!“

ვგრძნობდით, რომ მართლაც საშინელ დღეში იყო, მაგრამ რაკი მამა არ ეძახდა, ვერ ვბუდებდით დაუკითხავად ამ ნაბიჯის გადადგმას.

ერთხელ მამაჩემს თავსასთუმალთან ვეჯექი და მისი მარჯვენა ხელი მეჭირა, ხელი, ასე რომ მიყვარდა და აუღელვებლად ვერასოდეს ვუყურებდი, რაკი მახსოვდა რამდენი რამ გადასცა ამ ხელმა კაცობრიობას მისი სულის კარნახით. მამა თვლემდა. უცებ მისი ხმა მესმის: „აი, აღსასრულიც მოვიდა... და არაფერი“. ვხედავ, როგორ ფითრდება. მესმის სუნთქვა, წყვეტილი სუნთქვა. ალბათ ეს აღსასრულია, ვეუბნები საკუთარ თავს და ვგრძნობ, შიშისაგან თავზე თმა როგორ მერხვევა და სისხლი მეყინება ძარღვებში. მინდა ვინმეს დავუძახო საშველად, მაგრამ ადგომა არ შემიძლია, — მამას ჩემი ხელი უჭირავს და როგორც კი სულ ოდნავ შევეცდები გავითავისუფლო, უფრო მიჭერს.

ბოლოს ვიღაც შემოვიდა, სასწრაფოდ გავგზავნე ექიმის მოსაყვანად. ქაფურის ნემსი გაუკეთეს და ფერი ისევ დაუბრუნდა პირისახეზე; სუნთქვაც უფრო თანაბარი გაუხდა.

უცებ მან ენერგიულად წამოიწია, დაჯდა და მკაფიოდ, ძლიერი ხმით თქვა: „გირჩევთ მხოლოდ ერთი რამ გახსოვდეთ: ამქვეყნად უამრავი ადამიანი არსებობს ლევ ტოლსტოის გარდა, თქვენ კი ყველანი მართლ ლევს მისჩერებიხართ.“

ბოლო სიტყვები უფრო ჩუმად თქვა და ბალიშზე გადავარდა.

6 ნოემბერს, სიკვდილის წინა დღეს სერიოზულად უხმო. როცა სერიოზუა მივიდა, თავს ძალა დაატანა და ჩუმად უთხრა: „სერიოზუა! მე ჭეშმარიტება მიყვარს, ძალიან მიყვარს ჭეშმარიტება!“ ეს მისი ბოლო სიტყვები იყო. ჯერ ისევ სულ ახალგაზრდა ჭაბუკი იყო, როცა ამოყვანა და, რომ მისი გმირი, მთელი სულით რომ უყვარს, ეს ჭეშმარიტებაა, და იმ დღემდე, როცა თავის უფროს ვაჟს, თავის „ჭეშმარიტ მეგობარს“ მისუსტებული ხმით უთხრა, ჭეშმარიტება მიყვარსო, მამას მართლაც არასდროს უღალატნია ჭეშმარიტებისათვის. „შეიცნობთ ჭეშმარიტებას და ჭეშმარიტება თავისუფლებას მოგანიჭებთ.“ მამამ ეს იცოდა და სიკვდილამდე ემსახურებოდა ჭეშმარიტებას.


იმავე საღამოს, 10 საათზე სერგეი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, საქმე ცუდად არისო. არ ვიცოდით, გავგეფრთხილებინათ თუ არა დედა. თვითუღმა თავისი მოსაზრება გამოთქვა და გადავწყვიტეთ, ჯერ მამის მდგომარეობა გავვეგო და ამისდა მიხედვით მოვქცეულიყავით, მაგრამ მე და სერგეიმ სახლამდე მისვლაც ვერ მოვასწარით, სადაც მამა იწვა, რომ შევნიშნეთ: დედა უკან მოგვეყვებოდა. შევედით. მამა უგონოდ იყო. ექიმებმა გვითხრეს, რომ აღსასრული დაუდგაო. დედა მივიდა, თავთან დაუჯდა, დაიხარა და საალერსო სიტყვებს ეუბნებოდა, ემშვიდობებოდა, თხოვდა მიეტევიებინა ყოველივე, რაშიც ბრალი მიუძღოდა. რამდენიმე ღრმა ამოოხვრა იყო ერთადერთი პასუხი.

ასე გარდაიცვალა მამაჩემი რიაზანის ოლქის მიყრუებულ კუთხეში, პაწია სახლში სადგურის უფროსისა, რომელმაც თავშესაფარი მიუჩინა. მე შეგვნიშნულად ვამბობ, მამაჩემი-მეთქი, რადგან ამ წიგნს ვწერდი, როგორც მისი ასული. დიდი მწერალი ლევ ტოლსტოი მე სხვებზე მეტად როდი მეკუთვნის. მე მხოლოდ მსურდა უბრალოდ მომეთხრო ამ ორი ჩემთვის ძვირფასი ადამიანის, მათი სიყვარულის, მათი ტანჯვისა და სიხარულის, ერთი სიტყვით, მათი ცხოვრების ამბავი, რაც მე სიმართლედ მიმაჩნია.

დედამ ცხრა წელი იცოცხლა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. იგი გარდაიცვალა იასნაია პოლიანაში 1919 წლის ნოემბერში, მეუღლის მსგავსად ფილტვების ანთებით. როცა კვდებოდა, ირგვლივ შვილები და შვილიშვილები ეხვივნენ. მისდა სასიხარულოდ, აღექსანდრა, ვისთანაც უწინ დიდი უთანხმოება ჰქონდა, გულით უვლიდა ბოლო წუთამდე. დედამ იცოდა, რომ კვდებოდა, მორჩილად ელოდა სიკვდილს და ასევე მორჩილი შეეგება.

ბოლო წლებში იგი დამშვიდდა. ის, რა-





ბ. ლ. სუსოტინა-ბოლსტაია

ზედაც მისი ქმარი ოცნებობდა, ნაწილობრივ აღსრულდა: დედა სულიერად გარდაიქმნა, რისთვისაც მამაჩემი მზად იყო მთელი თავისი დიდება შეეწირა. ახლა მისთვის ნაკლებად უცხო იყო მამაჩემის მსოფლმხედველობა. იგი ვეგეტარიანელი გახდა, ირგვლივ მყოფთა მიმართ კეთილი. მაგრამ ერთი სისუსტე მაინც შერჩა — აწინებდა ფიქრი იმაზე, თუ რას იტყოდნენ ან დაწერდნენ მასზე, როცა იგი აღარ იქნებოდა ამქვეყნად, ეშინოდა საკუთარი რეპუტაციის. აი, რატომ არ უშვებდა ხელიდან არც ერთ შემთხვევას თავი ემართლებინა საკუთარი სიტყვისა თუ საქციელის გამო. იგი არაფერს თავილობდა, ოღონდაც დაეცვა საკუთარი თავი, თითქოსდა სურდა წინასწარ აეცილებინა ის დარტყმები, შემდგომ რომ მიაყენებდნენ — მან ეს კარგად იცოდა. ისიც იცოდა, ვინ მიაყენებდა. სიცოცხლის მიწურულს ხშირად ლაპარაკობდა თავის გარდაცვლილ ვაჟსა და მეუღლეზე. ერთხელ მითხრა: გამუდმებით მამათქვენზე ვფიქრობო და იქვე დასძინა: „ჩვენ ცუდად ვცხოვრობდით და ეს მტანჯავს...“

ასეთია ძირითადად ცხოვრება ამოორი ადამიანისა, რომლებსაც იმდენადვე აკავშირებდათ ურთიერთსიყვარული, რამდენადაც გათიშულნი იყვნენ თავიანთი მისწრაფებებით. უსაზღვროდ ახლობელნი ურთიერთისათვის და იმავე დროს უსაზღვროდ შორებელნი. კიდევ ერთი მაგალითი მარადიული ბრძოლისა სულის სიდიადესა და ხორცის მეუფებას შორის.

და ვინ იქნება იგზომ კადნიერი დამნაშავეზე მიუთითოს? განა შეუძლია სულს უარი განაცხადოს საკუთარი თავისუფლების დაცვაზე? ან განა შეიძლება ბრალეულად შერაცხო ძეხორციელი, თუკი იგი საკუთარი არსებობისათვის იბრძვის? შეიძლება დედაჩემი დაადანაშაულო, რომ მან ვერ შეძლო ამალღებულ იყო იქამდე, სადაც მისი მეუღლე იდგა? ეს უფრო მისი უბედურება იყო, ვინემ დანაშაული და სწორედ ამ უბედურებამ მოუღო ბოლო. ან მამა რადამნაშავე იყო, თუკი სურდა გადაერჩინა ის „რადაც,“ რის კვალსაც სულში დროდადრო გრძნობდა და გადაერჩინა იგი საკუთარი სიცოცხლის ფასად?



„ანა კარენინა“  
რომანის პირველი გამოცემის ფრონტისპისი. ნიუ-იორკი, 1886 წ. ამერიკელი მხატვრის ბოიდ სმიტის ილუსტრაცია.



თბილისი, 11 ნოემბერი 2011 წ.

ს. მონაძაშვილს  
გვთხოვს

